

ელგუჯა მექვაბიშვილი

თანამედროვე ეკონომიკური თეორიები  
(ლექციების კურსი)

თბილისი

2016

**ანოტაცია:** ნაშრომში ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია როგორც მთავარი „მეინსტრიმული“, ასევე შედარებით ნაკლებად ცნობილი ეკონომიკური თეორიები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცნობილი თეორეტიკოსი ეკონომისტების ნაშრომების კრიტიკულ ანალიზს. ნაშრომი განკუთვნილია მაგისტრანტებისთვის, დოქტორანტებისთვის და თანამედროვე ეკონომიკური თეორიებით დაინტერესებული ყველა მკითხველისთვის.

**რედაქტორი:** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **თეიმურაზ ბერიძე**

**რეცენზენტი:** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი  
**ინგა ბალარჯიშვილი**

## შინაარსი

შესავალი .....	5
თემა 1. კეინზიანური ეკონომიკური თეორია.....	8
ლექცია I. ჯონ მეინარდ კეინზი - თანამედროვე მეკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი (ჯ.მ. კეინზის ნაშრომის „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია“ - მიხედვით).....	8
თემა 2. კეინზიანური თეორიის დაცვა და განვითარება.....	25
ლექცია II. („ახალი“ კეინზიანელები, ნეოკლასიკური სინთეზი და პოსტკეინზიანელები).....	25
თემა 3. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიები.....	47
ლექცია III. მ. ფრიდმანის მონეტარული ეკონომიკური თეორია.....	47
ლექცია IV. მ. ფრიდმანის ნაშრომის „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ ანალიზი.....	59
თემა 4. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის „მეორე ტალღა“.....	78
ლექცია V. რაციონალური მოლოდინების თეორია(რთმ).....	78
თემა 5. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის „მესამე ტალღა“.....	94
ლექცია VI. რეალური საქმიანი ციკლების (RBC) თეორია.....	94
ლექცია VII. თანამედროვე კაპიტალიზმის ფინანსური არამდგრადობის თეორია (ჰ.მინსკის თეორიული მემკვიდრეობა).....	106
თემა 6. (ლექცია VIII). დ.კონდრატიევის „ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორია“.....	116
თემა 7. (ლექცია IX) ეკონომიკური თეორიის შვედური(სტოქჰოლმის) სკოლის ფუძემდებელთა შეხედულებები.....	128
თემა 8. იოზეფ ალოის შუმპეტერის ევოლუციონისტური ეკონომიკური თეორია.....	137
თემა 9. თავისუფალი მეწარმეობის ნეოლიბერალური თეორიები.....	156
ლექცია X. ნეოლიბერალიზმის ავსტრიული ანუ „ახალი კლასიკური სკოლა“ (ო.ფ. ჰაიეკისა და ლ.ფ. მიზესის თეორიულ-ეკონომიკური შეხედულებები).....	158
ლექცია XI. გერმანული ანუ „ორდოლიბერალური“ ეკონომიკური თეორია (ვ.იოჰენისა და ლ.ერჰარდის შეხედულებები).....	208
თემა 10. ქართველი თეორეტიკოს-ეკონომისტების ორიგინალური ეკონომიკური შეხედულებები პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში.....	222

ლექცია XII (ნაწილი I) ვლადიმერ პაპავას ნეკროეკონომიკის ზომბირების თეორია.....	222
(ნაწილი II) ვლადიმერ პაპავა და იური ანანიაშვილი, „გადასახადების მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედების ორიგინალური ინტერპრეტაცია ანუ ლაფერ–კეინზიანური სინთეზის“ შესახებ.....	233
თემა 11. ეკონომიკური განვითარების თეორიები.....	242
ლექცია XIII. ეკონომიკური განვითარების კეინზიანური მოდელები.....	242
ლექცია XIV. ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკური და ინსტიტუციონალური მოდელები.....	257
თემა 12. (ლექცია XV) თანამედროვე ინსტიტუციონალური თეორიები.....	280
ლექცია XVI. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია - თანამედროვე „პოლიტიკური ეკონომიკა“.....	302

## შესავალი

წიგნი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, თავისი შინაარსითა და აგებულებით ლექციების კურსს წარმოადგენს. ამ წიგნის დაწერის უშუალო მიზეზი გახდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრასთან, გარკვეული დროით „შესვენების“ შემდეგ, მაგისტრატურაში ამავე სახელწოდებით მოდულის აღდგენა. იმის გათვალისწინებით, რომ მმართველი კადრების თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნით აღჭურვას გადამწყვეტი როლი ენიჭება თანამედროვე რთულ და სწრაფად ცვლებად გარემოში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებასა და ბიზნესის ეფექტიანად წარმართვაში, თეორიული ეკონომიკის სპეციალობით მაგისტრანტთა მომზადების განახლება, ჩვენი აზრით, უაღრესად აქტუალური და დროული საქმეა.

თეორიული ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უკავია სასწავლო დისციპლინას „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, რამაც, ბუნებრივია, მოითხოვა შესაბამისი ლიტერატურის შექმნა.

მკითხველის ყურადღება, პირველ რიგში, გვსურს მივაპყროთ, საგნისა და სალექციო კურსის სათაურში, სიტყვას – „თანამედროვე“. ამ სიტყვას გარკვეულად პირობითი შინაარსი აქვს. საქმე იმაშია, რომ სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული და გამართული თეორიული მოძღვრება საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებს აქტუალურობას და ამ თვალსაზრისით იგი ყოველთვის „თანამედროვეა“. განა ვინმე იტყვის, რომ ა.სმიტის თეორიული ეკონომიკური სისტემა, რომელიც თითქმის ორნახევარი საუკუნის წინ შეიქმნა, „მოძველდა“ და აღარ არის „თანამედროვე“? ამასთანავე, სიტყვა „თანამედროვეს“, ჩვენი აზრით, ზუსტი შინაარსეული განსაზღვრულობაც გააჩნია და იგი ისტორიული დროის კონკრეტულ მონაკვეთს შეესაბამება ცნობილ ტრიადაში – „წარსული, აწყმო, მომავალი“. ჩვენ თანამედროვედ ყველა იმ თეორიულ-ეკონომიკურ მიმართულებას მივიჩნევთ, რომელიც თავდაპირველად ჩამოყალიბდა ჯ. მ. კეინზის მაკროეკონომიკური თეორიის სახით და მის შემდეგ. მათგან ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ მთავარ ანუ ე.წ. „მეინსტრიმულ“ მიმართულებებზე.

წინამდებარე ლექციის კურსი ემყარება ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენს მიერ გამოცემულ ნაშრომს „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“, რომელიც

დაიწერა ეკონომიკის მიმართულების მაგისტრატურის მაკროეკონომიკის მოდულის სტუდენტებისათვის წლების მანძილზე წაკითხული ლექციების სისტემატიზების საფუძველზე. ამასთანავე, ამ ორ ნაშრომს შორის განსხვავებაც არსებობს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

- ამჟამინდელ ნაშრომში გამოტოვებულია თანამედროვე ეკონომიკური თეორიების ისტორიული წანამძღვრების გადმოცემა;
- მოცემულ ნაშრომში მ.ფრიდმანის მონეტარული თეორიის ძირითადი პოსტულატების განხილვასთან ერთად (მესამე ლექცია), ცალკეა გამოყოფილი მ.ფრიდმანის წიგნის „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ ანალიზი, რომელშიც კონცენტრირებულადაა გამოხატული ამ უთვალსაჩინოესი თეორეტიკოსის ეკონომიკური მსოფლმხედველობა ანუ ეკონომიკის ფილოსოფია;
- ახალ სალექციო კურსში გაფართოებულია მეხუთე თემა, კერძოდ, რეალური საქმიანი ციკლების (RBC) თეორიასთან და დინამიურ-სტოქსტური საერთო წონასწორობის (DSGE) მოდელებთან ერთად, მეშვიდე და მერვე ლექციებად გამოყოფილია ჰაიმან მინსკის თეორია „კაპიტალიზმის სისტემური ფინანსური სიმყიფის შესახებ“ და კონდრატიევის „ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორია“. აღნიშნული საკითხებისადმი ასეთი ფართო ყურადღების დათმობა მნიშვნელოვნად განაპირობა გლობალიზაციის ეპოქაში ფინანსური კრიზისების მომრავლებამ, რაც განსაზღვრავს მათი მეცნიერული შესწავლის აუცილებლობას და აღნიშნული თეორიები ამის კარგ შესაძლებლობას იძლევა.
- მოცემულ ნაშრომში, წინასგან განსხვავებით, საფუძვლიანადაა გადმოცემული თავისუფალი მეწარმეობის ნეოლიბერალური თეორიები: კერძოდ, ავსტრიული ანუ „ახალი კლასიკური სკოლა“ და მეწარმეობის გერმანული ანუ „ორდოლიბერალური“ თეორია. აღნიშნულ კონტექსტში დიდი ყურადღება ეთმობა ო.ფონ ჰაიეკის, ლ.ფონ მიზესის, ვ. ოიკენისა და ლ. ერჰარდის თეორიულ-ეკონომიკურ შეხედულებებს.
- გაფართოებულია თემა, რომელიც ეხება პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტების ორიგინალური

შეხედულებების გადმოცემას. კერძოდ, აკად. ვლადიმერ პაპავას ნეკროეკონომიკის ზომბირების თეორიასთან ერთად განხილულია აკად. ვლადიმერ პაპავას და პროფ. იური ანანიაშვილის მიერ შესწავლილი საინტერესო პრობლემა - გადასახადების მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედება ანუ „ლაფერ–კეინზიანური სინთეზის“ შესახებ.

- ცალკე, მეთერთმეტე თემადაა წარმოდგენილი თანამედროვე ინსტიტუციონალური თეორიები, რომლებსაც თეორეტიკოს-ეკონომისტთა სულ უფრო დიდი ნაწილი, ნეოკლასიკური სკოლის მზარდი კრიზისის ფონზე, ახალ მეინსტრიმულ მიმართულებად გადაქცევას უწინასწარმეტყველებს. ჩვენ ასევე ყურადღების გარეშე არ დაგვრჩენია ე.წ. „საზოგადოებრივი არჩევანის თეორია“, რომელიც ახალი ინსტიტუციონალიზმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ლექციების კურსი „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განკუთვნილია ეკონომიკური მიმართულების თეორიული ეკონომიკის მოდულის მაგისტრანტებისათვის, თუმცა მან შეიძლება დააინტერესოს ყველა ის ადამიანი, რომელსაც თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მრავალფეროვანი პრობლემატიკა იზიდავს.

როგორც ყოველთვის, ახლაც მოხარული ვიქნებით, თუკი მკითხველებისგან გარკვეულ რჩევებს, მოსაზრებებს და შეიშვნებს მივიღებთ, რომლებიც ძალიან დაგვეხმარება აღნიშნული კურსის შემდგომი სრულყოფის საქმეში.



### **ელგუჯა მექვაბიშვილი**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი.

## თემა 1. კეინზიანური ეკონომიკური თეორია

**ლექცია I.** ჯონ მეინარდ კეინზი - თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი (ჯ.მ. კეინზის ნაშრომის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ - მიხედვით).

### შესავალი

თემის გადმოცემას ორი შენიშვნით დავიწყებთ: პირველი - კეინზის ძირითადი ნაშრომის გამოქვეყნებამდე ოთხი წლით ადრე, 1932 წელს, გერმანელმა ეკონომისტმა **ვერნერ ზომბარტმა** გამოაქვეყნა ნაშრომი ”კაპიტალიზმის მომავალი”, სადაც ჩამოაყალიბა საკუთარი მოსაზრებები ე.წ. ”ორგანიზებული კაპიტალიზმის” შესახებ. მან გამოჰყო მომავალი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები: შერეული ეკონომიკა, ანუ კერძო, კოლექტიურ და სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა და სახელმწიფოს მიერ სოციალ-ეკონომიკური სფეროს რეგულირება. მიუხედავად ამისა, ჯ. მ. კეინზი უდაოდ აღიარებულა მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიის ფუძემდებლად, რაც მის უდიდეს მეცნიერულ ღვაწლზე მიუთითებს. პ. სამუელსონი კეინზის ”ზოგად თეორიას” გენიოსის ნაშრომს უწოდებს; მეორე - კეინზმა მაკროეკონომიკური ანალიზი “კლასიკოსების” მსგავსად, ფულის რაოდენობრივი თეორიის საფუძველზე დაიწყო (“ტრაქტატი ფულის შესახებ”). იგი დანაზოგებისა და ინვესტიციების წონასწორობაში გადამწყვეტ ფაქტორად საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევდა. ”ტრაქტატისაგან” განსხვავებით, ”ზოგად თეორიაში” კეინზი პრინციპულად ორ ახალ მიდგომას ავითარებს: ა) აქცენტი ფასის ანალიზიდან პროდუქტის რეალური სიდიდის ანალიზზე გადააქვს; ბ) დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობას განსაზღვრავს წარმოების ან შემოსავლის და არა -საპროცენტო განაკვეთის ცვლილების საფუძველზე.



## ზოგიერთი შტრიხი ჯ. მ. კეინზის ბიოგრაფიიდან



ჯონ მაინარდ  
კეინზი

ჯონ მაინარდ კეინზი დაიბადა 1883 წელს, ინგლისის ქალაქ კემბრიჯში. მამამისი კემბრიჯის უნივერსიტეტის ლოგიკისა და ეკონომიკის კათედრის პროფესორი იყო. კეინზი სწავლობდა იტონის კოლეჯსა და კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც ისმენდა ა. მარშალისა და ა. პიგუს ლექციებს. მან თავისი პირველი ნაშრომები ალბათობის თეორიაში დაწერა ("ინდექსური მეთოდი" და "ტრაქტატი ალბათობის შესახებ"); მუშაობდა დიდი ბრიტანეთის

ფინანსთა სამინისტროში, მონაწილეობდა პარიზის (ვერსალის) სამშვიდობო მოლაპარაკებებში და 1922 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი "ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები", რომელმაც პირველი აღიარება მოუტანა მსოფლიოში. იგი იყო პოლიტიკოსი, ფინანსური მრჩეველი, პუბლიცისტი და, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერი. კეინზს "ზოგად თეორიამდე" გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი, რომელთა შორის აღსანიშნავია: "ტრაქტატი ფულადი რეფორმის შესახებ" (1923), "სწრაფი თვალის გადავლება რუსეთზე" (1925), "Laissez Faire"-ს დასასრული" (1929), "ტრაქტატი ფულის შესახებ" (ორტომეული, 1930) და სხვ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ეწეოდა აქტიურ სახელმწიფო საქმიანობას: 1941 წელს დაინიშნა ინგლისის ბანკის ერთ-ერთ დირექტორად და არჩეულ იქნა ლორდთა პალატის წევრად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯ. მ. კეინზის როლი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შექმნაში: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი) კეინზის გეგმის საფუძველზე შეიქმნა. იგი შედიოდა ამ ორგანიზაციების მმართველობაში როგორც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი. არჩეული იყო ინგლისის სამეფო საზოგადოების (დიდი ბრიტანეთის აკადემიის) ნამდვილ წევრად.

კეინზი იყო მრავალმხრივი ნიჭისა და ინტერესების ადამიანი: წიგნებისა და მხატვრული ტილოების ცნობილი კოლექციონერი და, ამავე დროს, ბალეტზე

უზომოდ შეყვარებული. 1925 წელს იგი დაქორწინდა ცნობილ რუს ბალერინაზე, ლიდია ლოპოკოვაზე. კეინზმა 1936 წელს კემბრიჯში დაარსა და დააფინანსა თეატრი.

## **ჯ. მ. კეინზის ნაშრომი “დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია”**

კეინზის ნაშრომი - “დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია” გამოვიდა 1936 წელს და ერთგვარი რეაქცია იყო იმ უმწვავეს ეკონომიკურ კრიზისზე, რომელიც აშშ-ში განვითარდა 1929-33 წლებში ე.წ. “დიდი დეპრესიის” სახით. კრიზისმა ღრმა ეჭვის ქვეშ დააყენა არა მხოლოდ კლასიკოსების რწმენა კაპიტალისტური თვითრეგულირებადი ბაზრის ყოვლისშემძლეობის შესახებ, არამედ თავად კაპიტალისტური სისტემის არსებობაც. აშკარა გახდა, რომ ძველი ტრადიციული მეთოდებით საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება და მეტადრე მისი უმწვავესი კრიზისიდან გამოყვანა შეუძლებელი იყო. კეინზმა დაასაბუთა კრიზისიდან გამოსვლა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გზით. კეინზის მიერ შექმნილ თეორიაზე დაყრდნობით, აშშ-ს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, ფ. დ. რუზველტმა განახორციელა ეკონომიკური პოლიტიკა “ახალი კურსის” სახელწოდებით, რამაც ქვეყანას შეაძლებინა დიდი დეპრესიიდან თავის დაღწევა.

## **“დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორიის”**

### **ძირითადი დებულებები**

#### ***წიგნი პირველი***

აღნიშნული ნაშრომი შედგება 6 წიგნისა და 24 თავისაგან. პირველი წიგნი, სათაურით “შესავალი”, ეძღვნება კლასიკური ეკონომიკური თეორიის პოსტულატების კრიტიკულ ანალიზს. კეინზი “კლასიკოსებს” უწოდებდა ყველა იმ თეორეტიკოს-ეკონომისტს, რომელიც იზიარებდა **ჟ. ბ. სეის** კანონს. ამ კანონის თანახმად, ყოველი წარმოება თვითონ ქმნის საკუთარ მოხმარებას, რის გამოც ეკონომიკა ყოველთვის წონასწორულ მდგომარეობაშია, რაც, თავის მხრივ,

გულისხმობს სრულ დასაქმებას. კეინზი აღნიშნავდა, რომ კლასიკური თეორიის სწავლება "მცდარი" და "დამღუპველი" საქმეა, რომელსაც არასწორ დასკვნებამდე მივყავართ. კეინზი ვრცლად ეხება უმუშევრობის საკითხს და მიუთითებს, რომ კლასიკური თეორია მხოლოდ ორი ტიპის უმუშევრობას აღიარებდა: დროებითს და ნებაყოფლობითს. დროებითი უმუშევრობა, კლასიკოსების აზრით, გამოწვეული იყო შრომის ბაზრის შემთხვევითი დისბალანსით და ამ მდგომარეობიდან ბაზარი სწრაფად ახერხებდა გამოსვლას. ნებაყოფლობითი უმუშევრობის მთავარ მიზეზად კი მუშათა მეტისმეტად მაღალი ხელფასი მიიჩნეოდა. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანები იმიტომ რჩებიან უმუშევრები, რომ უარს აცხადებენ უფრო დაბალი ხელფასის მიღებაზე. კეინზი პრინციპულად არ ეთანხმება ასეთ მოსაზრებებს. იგი თვლის, რომ დასაქმების დონეს და რეალურ ხელფასს არ განსაზღვრავს შრომის ბაზარი. კეინზის მოდელში არსებობს არანებაყოფლობითი ანუ იძულებითი უმუშევრობა, რომლის დასაბუთებისთვის ნაშრომის მეორე თავში შემოჰყავს "ეფექტიანი მოთხოვნის" ცნება. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება მიკრო დონეზე საწარმოების (ფირმების) მხრიდან გადახდისუნარიანი მოთხოვნა, მაკროეკონომიკურ დონეზე კი ეფექტიანი მოთხოვნა იყოფა სამომხმარებლო ხარჯებად და ინვესტიციებად. სავარაუდო მოთხოვნიდან გამომდინარე, საწარმოები განსაზღვრავენ საკუთარი წარმოების მოცულობას და, შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნას. ასე ვიღებთ დასაქმების გარკვეულ დონეს, რომელიც, კეინზის აზრით, "არ არის სავალდებულო იყოს სრული დასაქმების ტოლი". შესავლის ბოლოს, კეინზი პატივს მიაგებს რ. მალთუსის ნააზრევს, რომელიც დ. რიკარდოსა და ჟ. სეისგან განსხვავებით, თავის "პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებში" (1820) არასაკმარისი მოთხოვნით ხსნიდა ეკონომიკური კრიზისების წარმოშობის ფაქტს.

## განსაზღვრებები და კონცეპტები

### წიგნი მეორე

„ეფექტიანი მოთხოვნის“ ფაქტორების განსაზღვრამდე კეინზი ერთგვარ „გადახვევებს“ აკეთებს, რასაც ეძღვნება მეორე წიგნის ოთხი თავი. მე-4 და მე-5 თავები („ერთეულის არჩევა“) მეთოდოლოგიური საკითხების გადმოცემაა. კეინზი იკვლევს წინასწარ განჭვრეტის როლს წარმოებისა და დასაქმების განსაზღვრაში. იგი აქცენტს აკეთებს დროის პერიოდთა იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს პროდუქციის წარმოებასა და წარმოებული პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციას შორის და დასძენს, რომ პროგნოზირება მთავარ როლს ასრულებს ეფექტიანი მოთხოვნის, წარმოების დონისა და დასაქმების განსაზღვრაში. მე-6 და მე-7 თავებში განხილულია დაზოგვისა და ინვესტირების ურთიერთკავშირის ფუნდამენტური პრინციპები. კეინზი ანალიზს იწყებს შემოსავლის ცნების განსაზღვრიდან. მისი განმარტებით, მთელი ეკონომიკის მასშტაბით „შემოსავალი ტოლია მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამის“, ანუ ეფექტიანი მოთხოვნის. დანაზოგი არის „შემოსავლის ნამეტი დანახარჯებზე და მოხმარებაზე“. ეს უკანასკნელი კი მოხმარებელზე მიყიდული პროდუქციის ღირებულებაა, ინვესტიციები არის „მწარმოებლური მოწყობილობის ღირებულებაზე დანამატი“. ზემოაღნიშნული ცნებების ანალიზის საფუძველზე კეინზი აყალიბებს თავის ცნობილ ტოლობას: შემოსავალი = წარმოების ღირებულება = მოხმარება+ინვესტიციები; დანაზოგები = შემოსავლები - მოხმარება; შესაბამისად, დანაზოგები = ინვესტიციები. მაგ.: თუკი ინვესტიციები იზრდება და ჭარბობს დანაზოგებს, მაშინ იზრდება წარმოება და, შესაბამისად, - შემოსავალი. აგრეთვე, იზრდება მოხმარება, რაც სტიმულს აძლევს წარმოების, შემოსავლების, მოხმარებისა და დანაზოგების შემდგომ ზრდას. ამრიგად, ინვესტიციებს მივყავართ შესაბამის დანაზოგებთან. ინვესტიციები და დანაზოგები ყოველთვის მისწრაფვიან ერთნაირი მოცულობისაკენ, წარმოებული საქონელი და მომსახურება კი რეალიზდება.

## მოხმარებისადმი ბუნებრივი მიდრეკილება

### წიგნი მესამე

კეინზი აგრძელებს ეფექტიანი მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევას. იგი გამოჰყოფს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. ობიექტური ფაქტორებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემოსავალზე. სუბიექტური ფაქტორები მოიცავენ ადამიანის ნატურის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, ჩვეულებებსა და სოციალურ ინსტიტუტებს, რომლებიც ურყევი არ არის, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ დროის მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადონ. კეინზი განიხილავს იმ რვა მოტივს, რომლებიც ადამიანს დანახარჯების გაწევისკენ უბიძგებს. ესენია: სიფრთხილე, წინასწარ განჭვრეტა, ანგარიშიანობა, პატივმოყვარეობა, დამოუკიდებლობა, ინიციატივიანობა, სიამაყე და სიმუნწე. ამ ფაქტორებს სახელმწიფოსა და საწარმოსთან მიმართებაში იგი უმატებს: "თვითდაფინანსებას", "ლიკვიდობის მოტივს", "გაუმჯობესების მოტივს" და "ფინანსურ წინდახედულობას" .

როგორც აღვნიშნეთ, კეინზი განსაკუთრებით გამოჰყოფს ობიექტურ ფაქტორებს, კერძოდ - შემოსავალს, რომელზედაც დამოკიდებულია "მოხმარებისადმი ბუნებრივი მიდრეკილება, ( $i$ , ანუ მოთხოვნისადმი "კეთილგანწყობა"). ეს უკანასკნელი გამოხატავს ფუნქციურ დამოკიდებულებას შემოსავალს  $I$  და მოთხოვნას შორის, ე.ი.  $D=i(I)$ . მოხმარებისადმი საშუალო ბუნებრივი მიდრეკილება ტოლია  $D/I$ . მოთხოვნაზე ზემოქმედ სხვა ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს სიმდიდრე, რომელიც იცვლება "დროში დისკონტირებული განფასებით" და "საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებით". საბოლოო ანგარიშით, მოხმარებისადმი ბუნებრივი მიდრეკილება შეიძლება განხილულ იქნას როგორც "შემოსავლის საკმაოდ სტაბილური ფუნქცია". აქ კეინზს ანალიზის პროცესში შემოჰყავს "ფუნდამენტური ფსიქოლოგიური კანონი". კეინზი აღნიშნავს: "საშუალოდ ადამიანები დროის უმეტეს ნაწილს საკუთარი მოხმარების გაზრდას უთმობენ მათი შემოსავლის ზრდასთან ერთად, მაგრამ არა მასზე მეტი მოცულობით. ამასთანავე, შემოსავლის ზრდასთან ერთად, მისი სულ უფრო მეტი ნაწილი მიდის დაგროვებაზე". წარმოებისა და შემოსავლების ზრდის შედეგად

იზრდება მოხმარება, მაგრამ არა ისეთივე ტემპით. საწარმოებს, რომლებიც ქმნიან მოხმარების საგნებს, არ ძალუძთ საკუთარი პროდუქციის მთელი მოცულობის რეალიზაცია. ამ შემთხვევაში ისინი ცდილობენ გადახედონ საკუთარ გეგმებს დასაქმებულთა შემცირების თვალსაზრისით. აქედან წარმოიშობა უმუშევრობა. ამრიგად, "დასაქმება შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ ინვესტიციების ზრდის სიჩქარით". შემდეგ კეინზს (რ. კანის თეორიაზე დაყრდნობით) შემოაქვს "მამრავლის" (მულტიპლიკატორის) ცნება. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: "როცა ინვესტიციების საერთო ზრდა ხდება, საერთო შემოსავალი იზრდება ამ ინვესტიციების  $x$ -ზე ნამრავლით".

ინვესტიციური მამრავლის მეტი ან ნაკლები მნიშვნელობა დამოკიდებულია "მოხმარებისადმი მარგინალურ (მეორეხარისხოვან) ბუნებრივ მიდრეკილებაზე", რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მოხმარების (ან შემოსავლის) ზრდაზე. ეს ფორმულა გვიჩვენებს შემოსავლის ზრდის იმ პროპორციას, რომლის მოხმარებაც ხდება. მაგ.: თუკი საოჯახო მეურნეობა მოიხმარს შემოსავლის ზრდის  $9/10$ , მოხმარებისადმი მარგინალური ბუნებრივი მიდრეკილება იქნება  $0.9$ , ანუ  $90\%$ . მოხმარების ამგვარი ზრდა უზრუნველყოფს სამომხმარებლო საქონლის დამატებითი მოცულობის წარმოებას. მაშასადამე, საერთო შემოსავალი გაიზრდება, რაც გამოიწვევს სამომხმარებლო საქონლის დამატებით წარმოებას. აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ შემოსავლის საწყისმა ზრდამ საერთო შემოსავლის გაცილებით უფრო მეტი ზრდა განაპირობა - რაც უფრო მეტია მოხმარებისადმი მარგინალური ბუნებრივი მიდრეკილება, მით უფრო მეტია  $x$  მამრავლი.

ამრიგად, კეინზი თანმიმდევრულად ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ინვესტიციების ზრდა გამოიწვევს წარმოებისა და დასაქმების გაცილებით უფრო მეტ ზრდას. სწორედ ამ კონტექსტშია განხილული საზოგადოებრივი სამუშაოები, რომელსაც "არაერთხელ შეუძლია იმის მოტანა, რაც ისინი ღირს".

ეს კი იმიტომ ხდება, რომ  $x$  მამრავლს სახელმწიფოს ქმედება აძლიერებს.

### **”მარად თანამედროვე კეინზი”**

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გაძლიერდა კეინზიანური ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა. კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ კეინზმა თითქოსდა ვერ გაითვალისწინა ისეთი სახიფათო ფაქტორები, როგორებიცაა ინფლაცია და გარე დაუბალანსებლობა ღია ეკონომიკის პირობებში. სინამდვილეში, კეინზთან შესაძლებელია მოიძებნოს ბევრი მსჯელობა (ეს განსაკუთრებით შეეხება “ზოგად თეორიას”), რომელიც დაგვანახვებს ამგვარი კრიტიკის გადაჭარბებულ ხასიათს. კერძოდ, კეინზი აღნიშნავს: “თუკი მიღწეული იქნება სრული დასაქმება, ინვესტიციების კიდევ უფრო მეტად გაზრდის ნებისმიერი მცდელობა წარმოშობს ნომინალური ფასების შეუზღუდავი ზრდის ტენდენციას, ანუ მიგვიყვანს ნამდვილი ინფლაციის მდგომარეობამდე”. სხვა ადგილას იგი წერს: “ღია სისტემაში, უცხოეთთან კომერციულ კავშირებში, დამატებითი ინვესტიციების მამრავლი ნაწილობრივ ხელს შეუწყობს სხვა ქვეყნებში დასაქმების ზრდას”.

## ინვესტირებისადმი მიდრეკილება

### *წიგნი მეოთხე*

”ინვესტირებისადმი მიდრეკილების” კატეგორიის ანალიზი მოითხოვს მისი ორი მახასიათებლის განსაზღვრას. ესენია: კაპიტალის მარგინალური ეფექტიანობა, რომელიც გვევლინება რაღაც გარკვეული ინვესტიციებიდან გათვალისწინებულ შემოსავლად, მეორე კი არის საპროცენტო განაკვეთი. ინვესტორების გადაწყვეტილება, კეინზის აზრით, ამ ორი ცვლადის ერთმანეთის შედარებაზეა დამოკიდებული. ინვესტირება მაშინ ხორციელდება, როცა საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია კაპიტალის მარგინალურ ეფექტიანობაზე. ამ უკანასკნელის გაანგარიშება ნაწილობრივ დამოკიდებულია არსებული მოწყობილობის მოცულობაზე და გამოყენებაზე. კეინზი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ ”პროგნოზებზე”, ანუ მომხმარებელთა გემოვნების, გასაღების ბაზრების და ხელფასის განვითარების ცვლილებებზე. ეს პროგნოზები მას გაერთიანებული აქვს ”გრძელვადიანი პროგნოზის” კატეგორიაში, რომელიც განხილული აქვს მე-12 თავში. კეინზი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ”ნდობის მდგომარეობას”, რომელსაც შეუძლია გათვალისწინებული (ნავარაუდები) შემოსავლის, და მათსადამე, ინვესტიციების დონეში მკვეთრი ცვლილების გამოწვევა. კეინზი საუბრობს პირველი მეწარმეების ”მხურვალე ტემპერამენტზე”, რომლებიც ”ბრძოლაში ებმებოდნენ ნავარაუდები მოგების ზუსტი გაანგარიშების გარეშე”.

”ნდობის მდგომარეობას” კეინზი განიხილავს ბირჟების ფუნქციონირებასთან მიმართებაში და აქ ყურადღებას ამახვილებს სპეკულაციაზე, ”რომლის, როგორც საქმიანობის სახეობის არსი, მდგომარეობს ბაზრის ფსიქოლოგიის წინასწარ განჭვრეტაში”. ეს მიდგომა განსხვავებულია მეწარმეობისაგან, რომელიც გულისხმობს საწარმოო ინვესტიციების უკუგების წინასწარ განჭვრეტას. მისი აზრით: ”სპეკულაციის ბატონობის საფრთხე იზრდება ფინანსური ბაზრების ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად... სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ რთულდება, როცა საწარმოო საკაერო ბუმტად იქცევა სპეკულაციის ქარბუქში. როცა კაპიტალის განვითარება რომელიმე ქვეყანაში კაზინოს საქმიანობის



სუბპროდუქტად იქცევა, ამ არანორმალურ პირობებში ამგვარი განვითარების დიდი რისკი არსებობს” – დასძენს მეცნიერი.

## საპროცენტო განაკვეთის ზოგადი თეორია

საპროცენტო განაკვეთის საკითხთან მიმართებაში კეინზი მკვეთრად ემიჯნება კლასიკოსთა მოსაზრებებს. ამ უკანასკნელთა აზრით, საპროცენტო განაკვეთი წონასწორობის ფაქტორია, რომელიც აბალანსებს დანაზოგებზე მოთხოვნასა და დანაზოგების მიწოდებას. კეინზის აზრით, ინდივიდის დონეზე საპროცენტო განაკვეთი არის ”კომპენსაცია დაზოგვისა და თავშეკავებისთვის”. მას შემდეგ, რაც ადამიანის დანაზოგები გარკვეულია (ანუ დანაზოგი წარმოადგენს გამოუყენებელი შემოსავლის ნაწილს), ადამიანმა უნდა შეარჩიოს დანაზოგის შენახვის ფორმა: შეინახოს იგი ნაღდი ფულის ან დაბანდების სახით, ანუ საკითხი შეეხება ადამიანის დამოკიდებულებას რესურსის ლიკვიდობისადმი. საბოლოოდ, მისი არჩევანი დამოკიდებული იქნება საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც სხვა არაფერია ”ლიკვიდობაზე უარის თქმაზე კომპენსაციის” გარდა.

კეინზი ერთმანეთისაგან განასხვავებს ინდივიდის მიერ ლიკვიდობისადმი უპირატესობის მინიჭების სამ მოტივს. *პირველი*, სავაჭრო ოპერაციების მოტივი, ანუ ფულის გამოყენება მიმდინარე გაცვლების ასანაზღაურებლად; *მეორე*, სიფრთხილის მოტივი, ანუ ცხოვრების უკუღმართობიდან თავდაცვის სურვილი; *მესამე*, სპეკულაციის მოტივი, ანუ მომავალში კარგი კომერციული გარიგებიდან დამატებითი სარგებლის მიღების შესაძლებლობა. პირველი ორი მოტივის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფულის მოცულობა დამოკიდებულია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებზე, ხოლო სპეკულაციის მოტივი კი - საპროცენტო განაკვეთზე. ამ თვალსაზრისით საპროცენტო განაკვეთი აქტიურ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ საქმიანობაზე, ვინაიდან იგი განსაზღვრავს ფულზე მოთხოვნის სიდიდეს. ფულის მიწოდების გაზრდის გზით სახელმწიფოს შეუძლია საპროცენტო განაკვეთის შემცირება და ინვესტიციების გაზრდა. ამ დამოკიდებულებით კეინზი საფუძვლიანად უპირისპირდება ფულის ნეიტრალიტეტის შესახებ კლასიკოსთა კონცეფციას.

**საპროცენტო განაკვეთი, დანაზოგები და ინვესტიციები: კეინზი და კლასიკოსები**

კლასიკოსების აზრით, დანაზოგები საპროცენტო განაკვეთის ფუნქციაა, რომელიც, თავის მხრივ, კომპენსაციაა “თავშეკავებაზე”, ანუ მიმდინარე მოხმარებაზე უარის თქმაზე. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება “ნასესხები საშუალებების” ბაზარზე, სადაც მიწოდება (დანაზოგები) უპირისპირდება საწარმოთა მოთხოვნას ინვესტირებისათვის საჭირო სახსრებზე. აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი შეიძლება განხილულ იქნას კაპიტალის ფასის სახით მის ნებისმიერ ფორმაში (ფული და მოწყობილობები). საპროცენტო განაკვეთის საშუალებით დანაზოგები ავტომატურად გადაიქცევა ინვესტიციებად და ნებისმიერი დანაზოგი იხარჯება (უ.პ. სეის კანონი ჭარბწარმოების შეუძლებლობის შესახებ).

კეინზი მიიჩნევს, რომ დანაზოგები შემოსავლების ფუნქციაა, საპროცენტო განაკვეთი კი “წყალგამყოფია” ლიკვიდობას (დაგროვებას) და დაბანდებებს შორის. შესაბამისად, იგი დამოკიდებულია ფულის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაზე და წარმოადგენს საფასურს ლიკვიდობაზე უარის თქმისათვის. საპროცენტო განაკვეთის მერყეობა განაპირობებს უპირატესობის მინიჭების ცვლილებას ფულსა და დაბანდებებს შორის, მაგრამ კლასიკური ანალიზისგან განსხვავებით, მას არ გააჩნია რაიმე გამაწონასწორებელი ეფექტი.

სახელმწიფოს ფინანსურ ძალაუფლებას საკუთარი ზღვარი გააჩნია. მაგალითად, კეინზი თვლის, რომ არ შეიძლება საპროცენტო განაკვეთის 2-2.5%-ზე უფრო დაბლა დაწევა, ვინაიდან ეს შექმნის ე.წ. “ლიკვიდობის ხაფანგს” და ლიკვიდობისადმი უპირატესობის მინიჭება “აბსოლუტურ ხასიათს” შეიძენს - ყველა ნაღდი ფულის შენახვაზე გადავა მისი დაბანდების ნაცვლად, რადგანაც ეს უკანასკნელი დაბალი პროცენტის მომტანი იქნება.

**კეინზიანელებსა და მონეტარისტებს შორის კიდევ ერთი თეორიული უთანხმოება: ფულზე მოთხოვნის არასტაბილურობა თუ სტაბილურობა (მ. ფრიდმანი).**

თანამედროვე მონეტარიზმის ფუძემდებელი მილტონ ფრიდმანი მიიჩნევს, რომ ფულზე მოთხოვნა სტაბილურია, ვინაიდან იგი ძირითადად დამოკიდებულია “მუდმივ შემოსავალზე”. ეს მტკიცება ეწინააღმდეგება კეინზის თეორიას, რომლის თანახმადაც, ფულზე მოთხოვნა ყოველთვის არამყარია. მონეტარისტულ თეორიას მივეყვართ ფულის მიწოდების, ანუ საკრედიტო ფულადი პოლიტიკის პრიორიტეტულობის აღიარებამდე. ამ თეორიაში საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა კონიუნქტურული ფინანსური პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია. ბიუჯეტური პოლიტიკა, რასაც კეინზიანელები ანიჭებენ უპირატესობას, მონეტარისტებთან

*განიხილება გამოდენის ეფექტის კონტექსტში (სესხების აღებით სახელმწიფო თავისუფალ კაპიტალს უმცირებს კერძო აგენტებს). მონეტარისტებთან ფულადი მასა ის ძირითადი სიდიდეა, რომელიც ეროვნული შემოსავლის მოკლევადიან რყევას განსაზღვრავს. ფრიდმანის აზრით, ფულის მასის მუდმივი პროცენტით ზრდა განაპირობებს ეროვნული შემოსავლის სტაბილურ ზრდას, ხოლო ცვალებად საპროცენტო განაკვეთებს, მისი აზრით, ეკონომიკის სერიოზული რყევების გამოწვევა შეუძლია.*

## ნომინალური ხელფასი და ფასები

### წიგნი მეხუთე

კეინზის მიერ კლასიკური თეორიის პოსტულატების კრიტიკა მეხუთე წიგნში მთავრდება, სადაც განხილულია ნომინალური ხელფასი და ფასები. კეინზი აღნიშნავს: "უფრო სასარგებლოა მკაცრი სახელფასო პოლიტიკის წარმართვა, ვიდრე მოქნილი". მისი აზრით, ნომინალური ხელფასის შემცირება, მართალია, კრიზისიდან თავის დაღწევის კარგი საშუალებაა, მაგრამ იგი შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც ხელისუფლებას ძალუმს ხელფასის საყოველთაო და მკვეთრი შემცირება. "ამის გაკეთება შესაძლებელი იყო იტალიაში, გერმანიაში და რუსეთში და არა საფრანგეთში, აშშ-ში ან დიდ ბრიტანეთში" - დაასკვნის კეინზი. ამავე წიგნში კეინზი ამთავრებს ფულის რაოდენობრივი თეორიის კრიტიკას და აღნიშნავს: "ფულადი მასის ზრდა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ფასებზე მანამ, სანამ რჩება უმუშევრობა... ეფექტიანი მოთხოვნის ნებისმიერი გადიდება გამოიხატება დასაქმების მკვეთრად პროპორციულ ზრდაში". მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღწეულია სრული დასაქმება, ფასები იზრდება ფულის რაოდენობის ზრდის პროპორციულად.

## ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა

ნაშრომის ბოლო თავი ეძღვნება "სოციალურ ფილოსოფიას", რომელამდეც მივყავართ ზოგად თეორიას. ამ თავში განიხილება სახელმწიფოსადმი დაკისრებული ამოცანები და ფუნქციები. ეს ანალიზი ავტორის მიერ ჩატარებულია

მისთვის ტრადიციული კატეგორიების (დაზოგვა, ინვესტიციები, საპროცენტო განაკვეთი, დასაქმება და ა.შ.) გამოყენების გზით. კლასიკოსების საპირისპიროდ, რომლებიც თვლიდნენ, რომ დანაზოგთა გაზრდა განაპირობებს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას (დანაზოგთა მიწოდების გაზრდის საფუძველზე) და შესაბამისად, ინვესტიციების გაზრდასაც, კეინზი ამტკიცებს: "რაც უფრო ასკეტურად ვიქცევით და ეკონომიურები ვხდებით, მით უფრო მცირდება ჩვენი შემოსავლები. მოხმარების ნებისმიერი შემცირება იწვევს ინვესტიციების შემცირებას და საბოლოოდ დანაზოგების შემცირებასაც".

კეინზი მოითხოვს შემოსავლებში უთანაბრობის შემცირებასაც, ვინაიდან უფრო მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანთა კატეგორიას უფრო დიდი დანაზოგები გააჩნია. იგი წერს: "შემოსავლების განაწილებას, რომელსაც შესწევს უნარი განავითაროს მოხმარებისადმი ბუნებრივი მიდრეკილება, შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი კაპიტალის ზრდას. სიმდიდრის ზრდა, რომელიც არ არის განპირობებული შეძლებული ფუნების მხრიდან თავშეკავებით და ამგვარი გადანაწილება კაპიტალის ზრდის ხელის შემშლელია". მისი აზრით, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე, რომელიც რაღაც პერიოდის შემდეგ გამოიწვევს "რანტიებისა და უქმი კაპიტალიზმის ევთანაზიას". იგი ასევე მნიშვნელოვნად თვლის საბიუჯეტო პოლიტიკის გამოყენებას მისი საგასავლო ნაწილის კუთხით და აკრიტიკებს კლასიკოსების მიერ ჩამოყალიბებულ საბიუჯეტო ნეიტრალიტეტის პრინციპს.

და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - ნიშნავს თუ არა სახელმწიფოს როლის ზრდა კერძო ინიციატივის სიკვდილს? კეინზი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან უარყოფით პასუხს იძლევა: "არ არსებობს სახელმწიფო სოციალიზმის დასაბუთების რაიმე დამაჯერებელი არგუმენტაცია. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო პასუხს არ აგებდეს წარმოების საშუალებების საკუთრებაზე... გარდა მოხმარებისადმი ბუნებრივ მიდრეკილებასა და ინვესტირებისადმი მოტივაციას შორის წონასწორობის კონტროლისა, ეკონომიკური ცხოვრების სოციალიზაციის სხვა არავითარი საფუძველი არ არსებობს".

ამრიგად, სახელმწიფოს ზრდა, კეინზის აზრით, არ არის საბაზრო ეკონომიკის დასასრული. სახელმწიფოს მაკონტროლებელ-მარეგულირებელი ფუნქცია,

რომელიც ზემოაღნიშნული წონასწორობის დაცვას ემსახურება, ”XIX საუკუნის პუბლიცისტს ან დღევანდელ (იგულისხმება კეინზის თანამედროვე - ე.მ.) ფინანსისტს ინდივიდუალური პრინციპების საშინელ დარღვევად მოეჩვენება, ჩვენ კი სახელმწიფოს ფუნქციის ასეთი გაფართოება იმის ერთადერთ საშუალებად გვეჩვენება, რომ ინდივიდუალური ინიციატივა ნაყოფიერად ხორციელდებოდეს თანამედროვე ეკონომიკური ინსტიტუტების არსებობის პირობებში”.

### **კეინზის ეკონომიკური მოძღვრების ზოგადი შეფასება**

”ზოგადი თეორია” ეკონომიკური აზრის მკვლევართა საერთო შეფასებით წარმოადგენდა ნამდვილ თეორიულ რევოლუციას. ამ წიგნმა ისეთივე ზეგავლენა იქონია ანგლო-საქსურ ქვეყნებში ეკონომიკური აზრის განვითარებაზე, როგორც თავის დროზე ა. სმიტის ”ხალხთა სიმდიდრემ”. წიგნის როლი მხოლოდ თეორიის განვითარებით არ შემოიფარგლება. იგი წარმოადგენს პასუხს გასული საუკუნის 30-იანი წლების ”დიდ დეპრესიაზე” და ეს კიდევ უფრო აძლიერებს აღნიშნული წიგნის აქტუალურობას.

”ზოგადი თეორიის” გარშემო ფართო დისკუსიები მიმდინარეობდა ათწლეულების მანძილზე. ყველაზე ძლიერ კრიტიკოსებად კი ნეოკლასიკოსები გვევლინებოდნენ და ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივი გახდა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან. ამგვარი კრიტიკის საფუძველი, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ხშირად ჯ. მ. კეინზის ნააზრევიდანაც მომდინარეობს. მაგალითად. საკმაოდ წინააღმდეგობრივია მისი დამოკიდებულება კლასიკურ ეკონომიკურ სკოლასთან. იგი წერს: ”კლასიკური სკოლის ჩვენეული კრიტიკა გამოიხატება არა მათ მსჯელობებში ლოგიკური შეცდომების გამოვლენაში, არამედ იმის ჩვენებაში, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ჰიპოთეზების შემოწმება შეუძლებელია ან თითქმის შეუძლებელი. ამგვარად იგი (იგულისხმება კლასიკური ეკონომიკური სკოლა-ე.მ.) უძლურია გადაწყვიტოს კონკრეტული სამყაროს ეკონომიკური პრობლემები. მას შემდეგ, რაც კონტროლის ცენტრალური ორგანოები მოახერხებენ წარმოების საერთო დონის დადგენას შესაბამისი მაქსიმალური დასაქმების უზრუნველყოფის პირობებში, კლასიკური თეორია კვლავ შეიძენს თავისუფლებას”.

კეინზის გარდაცვალების შემდეგ (1946) განვითარდა ორი სკოლა, რომლებიც კეინზის მოძღვრების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ემყარებოდა. პირველი ცდილობდა კეინზიანური და კლასიკური შეხედულებების სინთეზის მოხდენას ("სინთეზის კეინზიანელები": ჰიკსი, ჰანსენი, პატინკინი, სამუელსონი). დროთა მანძილზე წონასწორობა მათი კვლევების ღერძი გახდა, ხოლო კეინზის მოსაზრებები კი საგრძნობლად შერბილდა. მეორე სკოლას უწოდებენ "პოსტ-კეინზიანელებს" - (ჰაროდი, დომარი, რობინსონი, კალდორი). ისინი თავიანთ ნაშრომებში ცდილობდნენ აეღორძინებინათ და განევითარებინათ კეინზის ანტიკლასიკური შეხედულებები. ზოგიერთი მათგანი (მაგ. რობინსონი) მთავარ აქცენტს აკეთებდა შემოსავლის განაწილებაზე და ამით ძალიან უახლოვდებოდა მარქსისტულ პოზიციას.

კეინზიანური რევოლუცია საგრძნობლად შეეხო ასევე ეკონომიკურ პოლიტიკას. კეინზის გავლენა ამ სფეროზე იგრძნობოდა ჯერ კიდევ მისი მთავარი ნაშრომის გამოქვეყნებამდე, თუმცა ეს გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების მთავრობების მიერ ფინანსური და საბიუჯეტო ინსტრუმენტების აქტიური გამოყენება წესად იქცა. ისინი გამოიყენებოდა როგორც უმუშევრობის, ისე ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

"ზოგადი თეორია" იძლევა აგრეთვე სოციალური პოლიტიკის გარკვეულ დასაბუთებას. ეს განსაკუთრებით შეეხება სრული დასაქმების პრობლემას. "ახალი კლასიკოსებისგან" (რუფი, ფონ ჰაიეკი) განსხვავებით, რომლებიც თვლიდნენ, რომ დაცემა და უმუშევრობის ზრდა ის ფასია, რისი გადახდაც აუცილებელია სოციალური და ეკონომიკური პროგრესის თავსებადობის უზრუნველსაყოფად, კეინზი უმუშევრობას მკვეთრად გამოხატულ უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენად განიხილავდა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალფეროვან ღონისძიებებს გვთავაზობდა.

კეინზიანური პოსტულატები ფართოდ იქნა წარმოდგენილი ეკონომიკური ზრდის თეორიებში, რომლებიც განსაკუთრებით განვითარდა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში. აქვე უნდა შევნიშნოთ,

რომ ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული - ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელი - ნეოკლასიკურ პოსტულატებს ემყარებოდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მსოფლიოს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური კონიუნქტურა საგრძნობლად შეიცვალა მისი გაუარესების თვალსაზრისით. სრული დასაქმების შეუძლებლობამ და იმავე დროს - ინფლაციური პროცესების გაძლიერებამ კეინზიანური თეორიის კრიტიკის ახალი ტალღა წარმოშვა. მთავარი კრიტიკოსების როლში გამოვიდნენ ცნობილი თეორეტიკოსი ეკონომისტები - მილტონ ფრიდმანი ("ადაპტაციური პროგნოზების თეორია") და რობერტ ლუკასი ("რაციონალური პროგნოზების თეორია"). კეინზიანური თეორიის წინააღმდეგ იყო მიმართული აგრეთვე ლაფერის "მიწოდების თეორია". რაც შეეხება კეინზიანური თეორიის მხარდამჭერებს, მათ შორის, ყველაზე სოლიდურადაა წარმოდგენილი ე.წ. "ახალი კეინზიანური ეკონომიკა", რომელიც ძირითად აქცენტებს აკეთებს მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკურ დასაბუთებაზე. ეს სკოლა ჩამოყალიბდა "ახალი კლასიკური სკოლის" საწინააღმდეგოდ.

გასული საუკუნის 90-იანი წლები და მიმდინარე საუკუნის დასაწყისი გამოირჩევა კეინზიანური შეხედულებების აღორძინებით. მყარი უმუშევრობა, ფინანსური სფეროს გიგანტური ზრდა, საპროცენტო განაკვეთების მაღალი დონე, "რანტიეტა დაბრუნება", დეფლაციის საფრთხე და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები აჩქარებს და აადვილებს თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებში "კეინზის დაბრუნებას".

#### ლიტერატურა:

**ჯონ კეინსი.** დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995.

**Keynes J.** The Collected Writings of John Maynard Keynes. The General Theory and After: Defence and Development. London, 1973.

**Keynes J.** Economic Possibilities for our Grandchildren. კრებულიში: "Revisiting Keynes: Economic Possibilities for our Grandchildren". L. Pecchi, G. Piga (eds.) Cambridge MA; MIT Press, 2008.

**Minsky H.** John Maynard Keynes. Columbia University Press, 1975.

გ. დელაპლასი. ლექციები ეკონომიკური აზრის ისტორიაში. თავი 2: “ჯონ მეინარდ კეინსის მაკროეკონომიკური თეორია”, თბ. 2003, გვ. 31-55.

ა. სილაგაძე. ეკონომიკური დოქტრინები. თბ., 2010, თავი XIX.

**Ю. Ананишвили В. Пава.** Налоги и макроэкономическое равновесие. Лаффер-Кейнсианский синтез. Стокгоlm, 2010



*თემა 2. (ლექცია II) კეინზიანური თეორიის დაცვა და განვითარება („ახალი“ კეინზიანელები, პოსტკეინზიანელები და “ნეოკლასიკური სინთეზი”)*

**შესავალი**

კეინზიანური მაკროეკონომიკა გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან 60-ანი წლების დასაწყისამდე მეინსტრიმს წარმოადგენდა. მას ემყარებოდა წამყვანი ქვეყნების მთავრობათა ეკონომიკური პოლიტიკა. ამასთანავე, როგორც წინა ლექციაში აღვნიშნეთ, კეინზიანური მაკროეკონომიკა შეიცავდა რიგ წინააღმდეგობებს. მისი ზოგიერთი დებულება აშკარა შეუსაბამობაში აღმოჩნდა 1960-იანი წლების დასაწყისში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში შექმნილ ეკონომიკურ რეალობასთან. აქედან გამომდინარე, დაიწყო კეინზიანური მაკროეკონომიკის აქტიური კრიტიკა. თავდაპირველად კრიტიკოსებად გამოვიდნენ მონეტარიზმის წარმომადგენლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ფრიდმანის “ადაპტაციური პროგნოზების თეორია”. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში კეინზიანური მაკროეკონომიკის კრიტიკა გაგრძელდა ახალი კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების - რ. ლუკასის, თ. სარჯენტის, რ. ბაროს მხრიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რ. ლუკასის “რაციონალური მოლოდინის თეორია”. დისკუსიის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად სწრაფად ხდება ხელფასისა და ფასების კორექტირება. “ახალი კლასიკოსები” აქცენტს აკეთებდნენ ხელფასებისა და ფასების მოქნილობაზე. ისინი თვლიდნენ, რომ ფასები სწრაფად “წმენდენ” ბაზრებს და უზრუნველყოფენ მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას. კეინზიანელები (უფრო ზუსტად ახალი კეინზიანელები) პირიქით - აღიარებდნენ ხელფასებისა და ფასების სიხისტეს. აქედან გამომდინარე, უმუშევრობას ისინი კანონზომიერ მოვლენად თვლიდნენ და ხაზს უსვამდნენ ფულადი პოლიტიკის ძლიერ ზეგავლენას საქმიან აქტიურობაზე. ამ თვალსაზრისით მათ გარკვეული შეხების წერტილები ჰქონდათ მონეტარისტებთან.

ამრიგად, კეინზიანური მაკროეკონომიკური თეორიის მწვავე კრიტიკამ დღის წესრიგში დააყენა მისი დაცვისა და განვითარების აუცილებლობა. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა მაკროეკონომიკური თეორიის სამი მიმართულება: ა) ახალი კეინზიანელობა (“ნეოკეინზიანელობა”); ბ) ტრადიციული კეინზიანური და

ნეოკლასიკური თეორიების სინთეზი; გ) პოსტკეინზიანელობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა სამ ქვემიმართულებად: 1. ამერიკული, ანუ მონეტარული პოსტკეინზიანელობა; 2. კალეკიანელობა (სახელმწოდება წარმოდგება პოლონელი მეცნიერის მ. კალეკის გვარისაგან); 3. ახალი რიკარდოანელობა. მოცემულ თემაში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე მიმართულებას.

### ახალი კეინზიანური თეორიები

ახალი კეინზიანელები ეწოდებათ იმ თეორიტიკოს - ეკონომისტებს, რომლებიც გასული საუკუნის 80-იან წლებში შეეცადნენ კეინზის თეორიის კრიტიკის პასუხად ამ თეორიის ზოგიერთი პოსტულატის კორექტირებას. ახალი კეინზიანელობა ტრადიციული, ანუ ძველი კეინზიანელობისაგან რამდენიმე თვალსაზრისით განსხვავდება. პირველი, ახალი კეინზიანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკური საფუძვლების ანალიზს და მეორე - ისინი აღიარებდნენ ეკონომიკურ პროცესებზე ფასების მნიშვნელოვან გავლენას.



**დევიდ  
რომერი**

განვიხილოთ ახალი კეინზიანური მაკროეკონომიკის ძირითადი დებულებები გრეგორი მენქიუს ანალიზზე დაყრდნობით, რომელიც დევიდ რომერთან ერთად ახალი კეინზიანელების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება. ახალ კეინზიანელთა რიცხვს მიეკუთვნებიან აგრეთვე ჯორჯ აკერლოფი და ბენ ბერნანკე.

### “მენქიუს დანახარჯები” და ერთობლივი მოთხოვნის გარეგანი ეფექტები

ფასების უსწრაფეს ცვლილებას, ახალი კეინზიანელების აზრით, ის უშლის ხელს, რომ იგი “ფული ღირს”. კერძოდ, ეს დაკავშირებულია ფირმების მიერ ახალი კატალოგების გამოშვებასთან და რესტორნებში ახალი მენიუების დაბეჭდვასთან (სწორედ აქედან მომდინარეობს სახელწოდება “მენიუს

დანახარჯები”). ამით აიხსნება ფირმების მხრიდან საკუთარი ფასების კორექტირების მიმართ ნაკლები ენთუზიაზმი. ფართო მასშტაბით ამ მოვლენის არსებობა განაპირობებს ფასების სიმყარეს, რაც მენქიუს აზრით, უარყოფითი მოვლენაა, ვინაიდან საზოგადოებას იგი ძვირი უჯდება. მენქიუს მოყავს შემდეგი მაგალითი: ვთქვათ, “ჯენერალ მოტორსმა” გამოცახადა ფასები საკუთარ პროდუქციაზე, მიმოქცევაში ფულის მასის შემცირების შემთხვევაში იგი დადგება ამ ფასების კორექტირების აუცილებლობის წინაშე. თუკი იგი ფასებს შეამცირებს, მომხმარებლებს გაეზრდებათ რეალური შემოსავალი, ანუ მსყიდველობითი უნარი. შედეგად ისინი მეტს იყიდებიან არა მხოლოდ ამ კომპანიის, არამედ სხვა კომპანიების პროდუქციასაც. თუმცა, სხვა კომპანიების ბედი “ჯენერალ მოტორსს” ნაკლებად აინტერესებს და ხშირად არც კი მიდის მენიუს დანახარჯებზე, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნებოდა, ვინაიდან საერთო დანახარჯებს შეამცირებდა. ეს არის იმის ნათელი მაგალითი, რომ მყარი ფასები, რომელსაც ცალკეული კომპანიებისათვის სარგებელი მოაქვს, წამგებიანი შეიძლება აღმოჩნდეს მთელი ეკონომიკისათვის.

## ფასების დაწესების ასინქრონულობა

ეკონომიკაში მყარი ფასების არსებობას ნეოკეინზიანელები იმითაც ასაბუთებენ, რომ შეუძლებელია ფასების ერთდროულად დაწესება და ეკონომიკაში ადგილი აქვს ფასების კორექტირებაში ასინქრონულობას. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად ართულებს ფირმების მიერ ფასების დაწესებას, ვინაიდან მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სხვა ფირმების მიერ დაწესებული ფასები და მათი ცვლილება. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია ფასების დონის ნელი ცვლილება იმ დროსაც კი, როცა ცალკეული ფირმების მიერ დაწესებული ფასები სწრაფად იცვლება. ფასების ასინქრონულად დაწესების პირობებში ადგილი აქვს ფასის კორექტირების პროცესში შეფერხებებს, ვინაიდან ნებისმიერი ფირმა ერგება საკუთარ პროდუქციაზე ფასების სწრაფ და მნიშველოვან ცვლილებას.

## კოორდინაციის არასრულყოფილება

ახალი კეინზიანელობის ზოგიერთი წარმომადგენელი თვლის, რომ ეკონომიკაში რეცესიის წარმოშობა კოორდინაციის არასრულყოფილების პირდაპირი შედეგია. კოორდინაციის არასრულყოფილება წარმოიშობა ხელფასისა და ფასების დაწესების დროს, რომლის მიზეზი შემდეგია: ხელფასისა და ფასების დაწესებისას ფირმამ უნდა გაითვალისწინოს იმ აგენტების ქცევა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ფასისა და ხელფასის დაწესებაზე, ანუ მათ უნდა ჩამოუყალიბდეთ გარკვეული მოლოდინები. მაგალითად, პროფკავშირები, რომლებიც მოლაპარაკებებს აწარმოებენ ხელფასებთან დაკავშირებით, უნდა ითვალისწინებდნენ სხვა პროფკავშირების მიერ ანალოგიური საკითხის გადაწყვეტისას მიღებულ შედეგებს. ფირმებმა უნდა გაითვალისწინონ სხვა ფირმების მოლოდინი ფასების დაწესებასთან მიმართებაში. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება კოორდინაციის არასრულყოფილებამ წარმოშვას რეცესია, განვიხილოთ შემდეგი პირობითი მაგალითი. ვთქვათ, ეკონომიკა ორი ფირმისაგან შედგება. მიმოქცევაში ფულის მასის შემცირებისას ორივე ფირმამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ფასების შემცირების შესახებ. ორივე ფირმა საკუთარი მოგების მაქსიმიზაციას ცდილობს, თუმცა მიღებული მოგების სიდიდე დამოკიდებულია არა მხოლოდ საკუთარ საფასო გადაწყვეტილებაზე, არამედ სხვა ფირმების ანალოგიურ ქმედებაზეც. თუკი არცერთი ფირმა არ შეამცირებს ფასებს, რეალური ფულის რაოდენობა (ანუ ფულის მოცულობა გაყოფილი ფასების დონეზე) მცირე იქნება და დაიწყება რეცესია. თუკი ორივე ფირმა შეამცირებს ფასებს, რეალური ფულის რაოდენობა და მასთან ერთად ფირმების მოგებაც გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ფირმა ცდილობს რეცესიის თავიდან აცილებას, მხოლოდ ერთი ფირმის ძალისხმევა ამისათვის საკმარისი არ არის. თუკი ერთი ფირმა ფასებს შეამცირებს, მეორე კი – არა, რეცესია მაინც დაიწყება.

ამრიგად, ერთი ფირმის გადაწყვეტილება ყოველთვის ახდენს ზეგავლენას მეორე ფირმის მდგომარეობაზე. თუკი ერთი ფირმა ფასებს ამცირებს, იგი ამით ხელს უწყობს მეორე ფირმას რეცესიის თავიდან აცილებაში. რა მდგომარეობამდე მივყავართ ამ კანონზომიერებას მთელი ეკონომიკის მასშტაბით? *პირველი*, თუკი ერთი ფირმა მეორესაგან მოელის ფასის შემცირებას, ისიც შეამცირებს ფასებს და

ორივესათვის ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნება; მეორე, თუკი ერთი ფირმა მოელის, რომ მეორე ფირმა არ შეცვლის ფასებს, ბუნებრივია ისიც არ შეამცირებს ფასებს საკუთარ პროდუქციაზე და ორივე ფირმის მდგომარეობა გაუარესდება. ამრიგად, ფირმებისათვის უარესი შედეგების დადგომა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კოორდინაციის არასრულყოფილების შედეგი. რეალურ ეკონომიკაში ამგვარი კოორდინაცია გართულებულია, რასაც განაპირობებს ფირმების მრავალრიცხოვნობა. ამ ისტორიის მორალი ის არის, დაასკვნის გრ. მენქიუ, რომ მყარი ფასები არავისთვის სარგებლის მომტანი არ არის. ფასები კი იმიტომ არის მყარი, რომ ადამიანებს ამის მოლოდინი აქვთ.

## ეფექტიანი ხელფასი

ახალი კეინზიანელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმატებაა უმუშევრობის ახალი თეორიის ჩამოყალიბება. ჩვეულებრივ ეკონომისტები თვლიდნენ, რომ შრომის ბაზარზე მუშახელის ჭარბი მიწოდება იწვევს ხელფასის შემცირებას, რაც ზრდის შრომაზე მოთხოვნას და ამცირებს უმუშევრობას. სწორედ ამიტომ კლასიკური თეორიის თანახმად, უმუშევრობა მიიჩნეოდა თვითგადაჭრად პრობლემად. კეინზიანელები აღნიშნავენ, რომ ამგვარ თვითრეგულირებად მექანიზმს არ შეუძლია ბაზრის “გაწმენდა” და აღნიშნული თეზისის დასასაბუთებლად იყენებენ ე.წ. “ეფექტიანი ხელფასის თეორიას” (თავად სახელწოდება ახალ კეინზიანელებს ეკუთვნის). ამ მიმართულების ეკონომისტთა ნაშრომებში მაღალი ხელფასი განისაზღვრება დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ერთ-ერთ ფაქტორად. მათი აზრით, მუშახელის ჭარბი მიწოდებით გამოწვეული ხელფასის შემცირება განაპირობებს ფირმის გაკოტრებას. მართალია, ხელფასის შემცირება იწვევს ფირმების დანახარჯების შემცირებას, მაგრამ იგი იწვევს შრომის მწარმოებლურობის და, მაშასადამე, მოგების შემცირებასაც. ახალი კეინზიანელები განიხილავენ ეფექტიანი ხელფასის მოგებაზე ზეგავლენის რამდენიმე მიმართულებას. *პირველი* – მუშაკთა დენადობის შემცირება: რაც უფრო მეტს უხდის ფირმა საკუთარ მუშაკებს, მით უფრო მეტად არიან ისინი დაინტერესებულნი ამ ფირმაში დარჩენით, იზოგება დრო და ის

ფინანსური რესურსები, რაც საჭიროა ახალი მუშაკების დასაქირავებლად და სამუშაო ადგილზე მათ მოსამზადებლად; მეორე - ეფექტიანი ხელფასის გავლენა სამუშაო ძალის ხარისხზე: თუკი ფირმა ნაკლებს გადაუხდის თავის მუშაკებს, მაღალკვალიფიციური მუშაკები მიატოვებენ ამ ფირმას და დაიწყებენ ახალი სამუშაოს ძიებას. მოცემული ფირმა კი დარჩება უფრო ნაკლებკვალიფიციური მუშაკების ამარა, რაც შეამცირებს ფირმების მოგებას. ამრიგად, წონასწორულზე უფრო მაღალი ხელფასის გადახდით ფირმას შეუძლია კვალიფიციური მუშახელის შენარჩუნება და ამ გზით შრომის მწარმოებლურობის გაზრდა; მესამე, მაღალი (ეფექტიანი) ხელფასის გავლენა მუშაკთა სიბეჯითეზე: მუშაკების სრული გაკონტროლება ფირმის ადმინისტრაციას არ შეუძლია, ამიტომ მაღალი ხელფასის სტიმულია, რომელიც თავად აიძულებს მუშაკებს იშრომონ ინტენსიურად. რაც უფრო მაღალია ხელფასი, მით უფრო მეტ ზარალს მიიღებს მუშაკი, რომელსაც არასაკმარისი სიბეჯითის გამო მოუხდება ფირმაში მაღალანაზღაურებადი სამუშაოს დატოვება. ამ თვალსაზრისითაც ეფექტიანი ხელფასი უფრო მაღალმწარმოებლური შრომის განმაპირობებელი ფაქტორია.

## დასკვნები პოლიტიკისათვის

ტრადიციული კლასიკური თეორიისაგან განსხვავებით, ახალი კეინზიანელები ამტკიცებენ, რომ რეცესია ბაზრების არაეფექტიანობის გამოვლინებაა. აქედან გამომდინარე, ისინი რაციონალურად მიიჩნევენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. კერძოდ, მათ მიერ განიხილება ანტიციკლური ფულადი და ფისკალური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა. სწორედ ეს არის ის პოსტულატი, რომელიც ახალ კეინზიანელებს ტრადიციულ კეინზიანურ თეორიასთან აკავშირებს და რომელიც არაერთხელ გამხდარა ზოგადად კეინზიანურ თეორიაზე და კერძოდ - ახალ კეინზიანელებზე თავდასხმის მიზეზი ნეოკლასიკოსთა მხრიდან.

# ტრადიციული კეინზიანური და ნეოკლასიკური თეორიების სინთეზი

## ზოგადი საფუძვლები



**ჯონ რიჩარდ ჰიქსი**

ტრადიციული კეინზიანური მიმართულების ჩამოყალიბების დასაწყისად მიჩნეულია 1937 წელი, როდესაც ინგლისელმა ეკონომისტმა **ჯონ რიჩარდ ჰიქსმა** გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით “ბატონი კეინზი და “კლასიკოსები”:

ინტერპრეტაციის მცდელობა”. ამ

მიმართულების, ასევე თვალსაჩინო

წარმომადგენლები არიან **ფრანკო მოდილიანი**

ნაშრომით “ლიკვიდობისადმი უპირატესობის მინიჭება და სარგებლისა და ფულის თეორია” (1944) და **დონ პატინკინი**

ნაშრომით - “ფული, სარგებელი და ფასები” (1965).

ტრადიციული



**ფრანკო მოდილიანი**



**დონ პატინკინი**

კეინზიანელების მიერ შემუშავდა **IS-LM** მოდელი, რომელიც შესულია მაკროეკონომიკის ყველა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში. ამ მოდელის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ეკონომიკაში არსებული წონასწორობის შემთხვევაში უმუშევრობა შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე განსაკუთრებული გარემოების დროს. *პირველი*, ე.წ.

“ლიკვიდობის ხაფანგი”, რომელიც დაკავშირებულია

ეკონომიკის დებრესიულ მდგომარეობასთან, როცა სპეკულაციური მოტივიდან გამომდინარე, ფულზე მოთხოვნა სრულიად ელასტიურია საპროცენტო განაკვეთის მიმართ. შესაბამისად, შეუძლებელია საპროცენტო განაკვეთის კიდევ უფრო დაწევა და ამ გზით ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება. თავად კეინზი აღნიშნულ ფენომენს ზედმეტად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, თუმცა კეინზიანელების თეორიაში “ლიკვიდობის ხაფანგი” მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გრაფიკულად **IS-LM** მოდელში ლიკვიდობის ხაფანგი ჰორიზონტალური წრფის ფორმითაა წარმოდგენილი; *მეორე* - ინვესტიციების სრულიად არაელასტიურობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ, რომელმაც მოგვიანებით

“ინვესტიციური ხაფანგის” სახელწოდება მიიღო. ეს მოვლენა ასევე შეესაბამება ეკონომიკის ღრმა დეპრესიისა და დაცემის ფაზებს. ამ დროს მეწარმის მოლოდინი იმდენად პესიმისტურია, რომ საპროცენტო განაკვეთის საგრძნობი დაწევაც კი ვერ ასტიმულირებს ინვესტიციებს და შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას. მოდელში ეს შემთხვევა აისახება IS ვერტიკალური წრფით. აღნიშნულ ორივე შემთხვევაში დარღვეულია კავშირი ფულის ბაზარსა და ინვესტიციებს შორის; *მესამე*- ხელფასის ნომინალური განაკვეთის მოუქნელობა, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია ორი მიზეზით: 1. დაქირავებული მუშაკების ილუზიით, ანუ ნომინალური და რეალური ცვლადების გაიგივებით; 2. პროფკავშირების მიერ აგრესიული პოლიტიკის გატარებით.

საბოლოოდ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ზემოთჩამოთვლილ მხოლოდ სამ შემთხვევაშია შესაძლებელი საბაზრო ეკონომიკის შიდა წონასწორობა არასრული დასაქმების პირობებში.

ტრადიციული კეინზიანელების მთავარი ამოცანა იყო კეინზის თეორიის ნეოკლასიკური მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ კერძო შემთხვევად წარმოდგენა, რომელიც საბაზრო ეკონომიკას აღწერდა დეპრესიულ სიტუაციებში, ანუ ისინი ცდილობდნენ “დეპრესიის მაკროეკონომიკური თეორიის” შექმნას. სწორედ ამ მცდელობამ განსაზღვრა ტრადიციული კეინზიანური და ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიების სინთეზის, როგორც დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური მიმართულების, წარმოშობა. ხაზს ვუსვამთ, რომ ეს არის დამოუკიდებელი ეკონომიკური (მაკროეკონომიკური) თეორია, რომელიც განსხვავდება კლასიკური კეინზიანური მაკროეკონომიკისაგან. ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

- ნეოკლასიკურ სინთეზში ყურადღება გამახვილდა მოუქნელი ხელფასების არსებობაზე, რომლის შედეგადაც თითქოსდა წარმოიშობა იძულებითი უმუშევრობა;
- ნეოკლასიკურ სინთეზში ცვლად სიდიდედ წარმოდგენილია სამეურნეო სუბიექტების ქონება, რასაც ადგილი არ ჰქონდა თავად ჯ. მ. კეინზთან;
- ნეოკლასიკურ სინთეზში მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზში ფართოდაა გამოყენებული ოპტიმიზაციის პრინციპები, რაც ასევე არ იყო დამახასიათებელი



კლასიკური კეინზიანური მაკროეკონომიკისათვის. ოპტიმიზაციის პრინციპი კი აღებული იქნა ნეოკლასიკური თეორიიდან, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა საერთო წონასწორობის მდგომარეობას და ეკონომიკურ სისტემას განიხილავდა სხვადასხვა გაწონასწორებული ბაზრების აგრეგირებული ერთობლიობის სახით. კეინზის თეორიიდან ნეოკლასიკურ სინთეზში გამოყენებული იქნა ისეთი ფუნდამენტური ცნებები, როგორებიცაა: აგრეგირება, მოხმარებისა და ინვესტიციების ფუნქციები, დანაზოგები და ინვესტიციები. თუმცა ეს ცნებები არსებითად გადამუშავდა სამეურნეო სუბიექტების ოპტიმიზირებული ქცევის გათვალისწინებით;

- კიდევ ერთი განსხვავება მდგომარეობს ხელფასთან დამოკიდებულებაში. კერძოდ, კეინზთან ხელფასის მოუქნელობა დადებით კონტექსტში განიხილება, ნეოკლასიკურ სინთეზში კი იგი იძულებითი უმუშევრობის ძირითად მიზეზად არის მიჩნეული. კეინზის ანალიზის რიგი ინსტრუმენტები – ფულადი ეკონომიკის კონცეფცია, ხანგრძლივი მოხმარების აქტივების არჩევის თეორია და ა.შ. ნეოკლასიკურ სინთეზში ღრმა დავიწყებას მიეცა.

განვიხილოთ ნეოკლასიკური სინთეზის ძირითადი შემადგენელი ელემენტები.

## **რეალური საკასო ნაშთის ეფექტი და ქონების თეორიის სხვა ასპექტები**

რეალური საკასო ნაშთის ეფექტის შემოტანა ანალიზში ის უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომელიც ტრადიციული კეინზიანელობის ნეოკლასიკურ სინთეზად ტრანსფორმაციაზე მიგვითითებს. რეალური საკასო ნაშთის ეფექტს ზოგჯერ **პიგუს ეფექტსაც** უწოდებენ. **არტურ სესილ პიგუ** კლასიკური ეკონომიკური სკოლის ტიპური წარმომადგენელია, თუმცა მის



**არტურ სესილ  
პიგუ**

მიერ შემოთავაზებული რეალური საკასო ნაშთის ეფექტის იდეა ნეოკლასიკური სინთეზის უმნიშვნელოვანესი ელემენტი გახდა. ამ იდეის არსი შემდეგში მდგომარეობს: ცალკეული სამეურნეო სუბიექტების მოთხოვნა დამოკიდებულია მათ განკარგულებაში არსებული ფულის მარაგზე, რომელიც კორექტირდება ფასების დონის ცვლილების (ინფლაცია – დეფლაციის) შედეგად, ანუ წარმოადგენს რეალურ საკასო

ნაშთს. ფულის მასის ზრდა, ან ფასების შემცირება იწვევს მოხმარების გაფართოებას და, შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის ზრდას. რეალური საკასო ნაშთის ეფექტს ეკონომიკაში ამორტიზატორის როლი აკისრია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დაქვეითების ფაზაში იგი ხელს უწყობს როგორც “ლიკვიდობის ხაფანგის”, ისე “ინვესტირების ხაფანგის” აღმოფხვრას. რეალური საკასო ნაშთის ეფექტის გათვალისწინებით, კეთდება შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნა: არასრული დასაქმების პირობებში ეკონომიკის წონასწორულ მდგომარეობაში დარჩენის ერთადერთი პირობაა ხელფასის მოუქნელობა. რეალური საკასო ნაშთის ეფექტის იდეასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ნეოკლასიკური სინთეზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა სამეურნეო სუბიექტების ქონების სტაციონარული მდგომარეობის შესახებ, რომელიც ნიშნავს იმას, რომ სამეურნეო სუბიექტების ქონების მოცულობა და სტრუქტურა ოპტიმალურია, რაც წარმოადგენს თითოეული სუბიექტის მიზანს. ქონების მოცულობასა და სტრუქტურაზე ნებისმიერი ზემოქმედება იწვევს მათ შესაბამის კორექტირებას. კერძოდ, ფასების შემცირებისა და ფულადი მასის გადიდების შემთხვევაში რეალური საკასო ნაშთის ეფექტი აჭარბებს მის ოპტიმალურ მოცულობას, რის გამოც სამეურნეო სუბიექტები ცდილობენ მისგან განთავისუფლებას. აღნიშნული მიიღწევა სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შექმნაზე მეტი ფულის დახარჯვით. საბოლოოდ, ეკონომიკაში იზრდება მოხმარება და მატულობს ერთობლივი მოთხოვნა.

## ფილიპსის მრუდი

**ბილ ფილიპსი**



ნეოკლასიკური სინთეზის მნიშვნელოვანი ელემენტია “ფილიპსის მრუდი”, რომლის სახელწოდება დაკავშირებულია ინგლისელი ეკონომისტის, **ბილ ფილიპსის** გვართან. მან ამ მრუდით ასახა ემპირიული თანაფარდობა ხელფასის განაკვეთის დინამიკასა და უმუშევრობის დონეს შორის. ეს კანონზომიერება აღმოჩენილი იქნა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ

სინამდვილეში 1861 წლიდან 1957 წლამდე მიმდინარე პროცესებზე დაკვირვების შედეგად. მოგვიანებით ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის დარგში, **პოლ სამუელსონმა** და ნეოკლასიკური სინთეზის სხვა წარმომადგენლებმა განავითარეს ფილიპსის მრუდის თეორია. ხელფასის ნომინალური განაკვეთის ზრდა წარმოადგენს რეაქციას შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებულ ყველა მოთხოვნაზე, რომელიც, თავის მხრივ, უმუშევრობის სარკისებური ასახვაა.



**პოლ  
სამუელსონი**

შემდგომში ხელფასის განაკვეთის ცვლილების მაჩვენებელი შეიცვალა ინფლაციის ტემპის მაჩვენებლით, ვინაიდან ხელფასის ზრდა წარმოების დანახარჯების გაზრდით ადიდებს ინფლაციას. ნეოკლასიკურ სინთეზში ფილიპსის მრუდი, როგორც ანალიტიკური ელემენტი, მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა. მისი

საშუალებით მთავრობას დროის ყოველ მოცემულ მონაკვეთში შეეძლო გაეკეთებინა არჩევანი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის საზოგადოების წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე.

1970-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ეჭვის ქვეშ დააყენა ფილიპსის მრუდით ასახული კანონზომიერება. ერთდროულად გაიზრდა როგორც ინფლაცია, ისე უმუშევრობა, რაც კეინიზიანური თეორიის მიმართ საერთო იმედგაცრუების ერთ-ერთი მიზეზიც გახდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავად ჯ. მ. კეინსს არ განუხილავს ხელფასის განაკვეთსა და უმუშევრობის დონეს შორის

ურთიერთკავშირი. ამიტომ ეს იდეა არ შეიძლება ჩაითვალოს მაკროეკონომიკის ფუძემდებლის თეორიის შემადგენელ ელემენტად.

## **მულტიპლიკატორ - აქსელერატორის მოდელი, როგორც საქმიანი ციკლის კონცეფცია**

პ. სამუელსონმა და ჯ. ჰიკსმა განახორციელეს ჯ. მ. კეინზის მულტიპლიკატორის იდეა, რომლის შინაარსი, როგორც ცნობილია, მდგომარეობს შემდეგში: ინვესტიციების ზრდა განაპირობებს ეროვნული შემოსავლის მრავალჯერად ზრდას. ამ იდეას მათ დაუმატეს ახალი მოსაზრებაც: ინვეტიციები თავად სტიმულირდება გამოცოცხლებული ეკონომიკური კონიუნქტურით, რასაც ეროვნული შემოსავალი განაპირობებს. შედეგად რეალური შემოსავალი და ინვესტიციები ერთმანეთის ფუნქციებია. აღნიშნული ურთიერთკავშირის და ურთიერთზემოქმედების გათვალისწინების საფუძველზე, ნეოკლასიკური სინთეზის მომხრეთა მიერ აგებულ იქნა საქმიანი აქტიურობის ციკლური რყევების მოდელი. აღნიშნულ მოდელში ციკლის ზედა საზღვრად მიჩნეულია ეროვნული შემოსავლის ის მოცულობა, რომელიც უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას, ანუ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ქვედა საზღვრად კი - ძირითადი ფონდების ამორტიზაციის შესაბამისი ინვესტიციების მოცულობა.

ნეოკლასიკური სინთეზის მომხრეებმა კეინზის მიერ ჩამოყალიბებული ბევრი ურთიერთდამოკიდებულება ალგებრულად ჩაწერეს და საკმაოდ რთული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების ფორმით ჩამოაყალიბეს.

## **სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან დამოკიდებულება**

ეკონომიკური პოლიტიკის დარგში ნეოკლასიკური სინთეზის ყველაზე საყურადღებო ნოვაციად შეიძლება ჩაითვალოს ქონებრივი ფაქტორის შეფასება,

რითაც შეიძლება გაძლიერდეს ამ პოლიტიკის ეფექტიანობა. ფულადი და ფისკალური პოლიტიკა აუცილებლად იწვევს ეკონომიკაში ქონების მოცულობის შეცვლას (როგორც რეალური საკასო ნაშთის ეფექტის, ისე ობლიგაციების რეალური მარაგების ცვლილების სახით). ქონების მარაგების სხვადასხვა კომპონენტები მოხმარებისა და ინვესტირების სხვადასხვა ფუნქციებია, რის გამოც წარმოიშობა ერთობლივ მოთხოვნაზე მაკროეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების კიდევ ერთი არხი, რომელიც ზრდის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობას.

## პოსტკეინზიანური მაკროეკონომიკა

### ზოგადი საფუძვლები



*მიხაილ  
კალეცკი*

ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან მ. კალეცკი, ჰ. მინსკი, პ. დევიდსონი, ვ. ჩიკი, ჯ. რობინსონი, ნ. კალდორი და სხვ. პოსტკეინზიანური მაკროეკონომიკური თეორიის მომხრეებისთვის, ახალი კეინზიანელების მსგავსად, დამახასიათებელია მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკურ ასპექტებზე ყურადღების აქცენტირება.

ზოგიერთი ეკონომისტი თანამედროვე პოსტკეინზიანური მიმართულების ფუძემდებლად მიიჩნევს პოლონელ თეორეტიკოს-ეკონომისტს მიხაილ კალეცკის. კეინზისა და კალეცკის თეორიები რამდენიმე მნიშვნელოვან საერთო ელემენტს შეიცავს. *პირველი* - ორივე მათგანი ერთობლივ მოთხოვნას ეკონომიკური აქტიურობის ცვლილების მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს და უარს ამბობს ფულად ეკონომიკაში სეის კანონის გამოყენების მართებულობაზე. *მეორე* - ორივე მეცნიერი ერთმანეთისაგან განასხვავებს სამომხმარებლო და ინვესტიციურ ხარჯებს და ამ უკანასკნელს განიხილავს მოთხოვნის განმსაზღვრელ აქტიურ და ცვალებად კომპონენტად. *მესამე* - ორივე ეკონომისტის აზრით, ფასების დონე განისაზღვრება მწარმოებელთა მიერ, რომლებიც საკუთარი მოგების მაქსიმიზაციას ცდილობენ.

მწარმოებლები ასევე განსაზღვრავენ ხელფასის დონეს, რომელიც ყალიბდება არა შრომის, არამედ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე.

ზემოაღნიშნულ საერთო შეხედულებებთან ერთად კეინზისა და კალეცკის მოსაზრებები გარკვეულ განსხვავებულ ელემენტებსაც შეიცავს, რამაც შემდგომში განაპირობა პოსტკეინზიანური მიმართულების შიგნით პოზიციათა დიფერენციაცია. საუბარია შემდეგ განსხვავებებზე:

- კეინზი მიიჩნევს, რომ ეკონომიკა წარმოდგენილია უპირატესად ატომისტური კონკურენტული ბაზრების ერთობლიობის სახით, კალეცკი კი ოლიგოპოლიური ბაზრებისაგან შემდგარი ეკონომიკის ანალიზს ანიჭებს უპირატესობას;
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კეინზი ყურადღებას ამახვილებს ფირმის მზარდ ზღვრულ დანახარჯებზე, კალეცკი კი - მუდმივ ზღვრულ დანახარჯებზე;
- განსხვავებულია ავტორთა შეხედულებები საბაზრო ეკონომიკაში ფულის ბუნების თაობაზე. კეინზი თვლის, რომ ფული წარმოიშობა და კონტროლდება ცენტრალური ბანკის მიერ (აქვე შევნიშნავთ, რომ თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში “ტრაქტატი ფულის შესახებ” კეინზი დასაშვებად მიიჩნევდა ფულის შექმნას კერძო ბანკების მიერ). კეინზისაგან განსხვავებით, კალეცკი ფულის ანალიზს შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს და, ამასთანავე, მან წამოაყენა სამუშაო ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ფულს წარმოქმნის კერძო ბანკების სისტემა;
- კეინზი უშვებს ბაზარზე წონასწორობის არსებობას, კალეცკის ანალიზი კი მთლიანად ემყარება ეკონომიკის ციკლური მერყეობის დაშვებას;
- დასახელებულ ავტორებს განასხვავებს მომავლის მოლოდინისა და წინასწარი განჭვრეტისადმი განსხვავებული დამოკიდებულება. თუმცა ორივე ეკონომისტი მოლოდინს განიხილავს იმ ცვლადის სახით, რომლებიც მნიშვნელოვნადაა დეტერმინირებული როგორც წარსული გამოცდილებით, ისე აწმყოში შექმნილი მდგომარეობით. ამასთანავე, კეინზი მომავლის შეცნობის შესაძლებლობას აღიარებს, კალეცკი კი – არა.

განვიხილოთ პოსტკეინზიანური მაკროეკონომიკის ძირითადი კატეგორიები.

## ფული და ფინანსები

პოსტკეინზიანური მაკროეკონომიკა პრინციპულად მიჯნავს ერთმანეთისაგან ფულად და არაფულად ეკონომიკას. აქვე შევნიშნავთ, რომ პოსტკეინზიანელები ფულად ეკონომიკად მიიჩნევენ იმ ტიპის ეკონომიკას, რომელშიაც აქტიურ როლს თამაშობს ფული, როგორც არა მხოლოდ გაცვლის საშუალება, არამედ ფინანსური აქტივებიც, როგორც ფასეულობის შენახვის საშუალება. ვალრასის ზოგადი წონასწორობის ანალიზი არ ითვალისწინებდა ფულის, როგორც სიმდიდრის შენახვის ფუნქციის დახასიათებას. კეინზთან კი ფული განხილულია “ლიკვიდობისადმი უპირატესობის მინიჭების” პრინციპიდან გამომდინარე, რაც ინდივიდს საშუალებას აძლევს დაიცვას თავი მომავალში განვითარებული მოულოდნელობებისაგან. სტატიკურ (წინასწარგანჭვრეტილ) გარემოში (კეინზი) და ზოგადი წონასწორობის სისტემაში (ვალრასი) ლიკვიდობა არ განიხილება ინდივიდისათვის რაიმე სარგებლის მომტანად.

დანაზოგებისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირი რჩება პოსტკეინზიანელების ყურადღების ცენტრში. მათი აზრით, აუცილებელია ის მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს სხვაობას დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის. თავად კეინზის აზრით, ასეთ მექანიზმს წარმოადგენდა საპროცენტო განაკვეთი და მისი ცვლილება. კეინზი თვლიდა, რომ დანაზოგებისა და ინვესტიციების ერთიანობაში წამყვანი ინვესტიციებია, რომელსაც უნდა მოერგოს დანაზოგები. პოსტკეინზიანელი ვ. ჩიკი აღრმავებს ამ ურთიერთკავშირის ანალიზს და შენიშნავს, რომ იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სტადიაზე იმყოფება საბანკო სისტემა, რომელიც, მისი აზრით, განვითარების ხუთ სტადიას გაივლის. პირველ სტადიაზე საბანკო სისტემა ჩანასახობრივ მდგომარეობაშია და მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებს დამზოგველსა და ინვესტორებს შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაზოგვა წინ უნდა უსწრებდეს ინვესტიციებს. შემდეგ იგულისხმება საბანკო სისტემის ევოლუცია და ამ პროცესში მეორე, მესამე და მეოთხე სტადიების გავლა. ბოლოს არის მეხუთე, ანუ თანამედროვე მდგომარეობა, რომელიც ჩიკის აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა. იგი წერს: “მეორე სტადიიდან დაწყებული, ინვესტიციები შეიძლება წინ უსწრებდეს დანაზოგებს. დანაზოგების ზრდა კი ხდება ახალი საბანკო დეპოზიტების წარმოქმნით ახალი

სესხების მიწოდების საფუძველზე.” მეხუთე სტადიაზე ინვესტიციების აქტიური როლი რელიეფურად ვლინდება და მოქმედებს შემდეგი ლოგიკა: ფირმების მიერ ინვესტიციური გეგმების განხორციელების სურვილი გულისხმობს ახალის სესხების მიღების აუცილებლობას, ანუ გაიცემა კრედიტები და იქმნება ფული. ყოველივე ამის შედეგად ხორციელდება ინვესტიციური დანახარჯები, რასაც თან მოსდევს დანაზოგების ზრდა.

საბანკო სისტემის პოსტკეინზიანური ანალიზი დღის წესრიგში აყენებს ფულის ბუნების განხილვის აუცილებლობას. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო დისკუსია საკითხზე - კერძო სექტორთან მიმართებაში რომელი ფაქტორია ფული ო ვეზოგენური თუ ენდოგენური. აღნიშნულ საკითხში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საბანკო და ფულადი სკოლის წარმომადგენლები. საქონლური ფული და საკრედიტო ფული ერთმანეთისაგან განსხვავებული კატეგორიებია. საკრედიტო ფული წარმოიქმნება ბანკის მიერ ინდივიდებზე, ფირმებზე სახელმწიფო დაწესებულებებზე სესხების გაცემით და ნადგურდება ამ უკანასკნელთა მიერ ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებით. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: იმ ეკონომიკაში, სადაც უპირატესად საკრედიტო ფული გამოიყენება, განხვავებით იმ ეკონომიკისაგან, სადაც უპირატესად გამოიყენებულია საქონლური ფული, ფულის მასა არ შეიძლება იმაზე მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე მისი ფლობის სურვილი გააჩნიათ ინდივიდებს. მაშასადამე, ამ ტიპის ეკონომიკაში გამორიცხულია ჭარბი ფულის არსებობა, შესაბამისად ინფლაციაც.

პოსტკეინზიანელი ეკონომისტები მარკოეკონომიკაში განიხილავენ საკრედიტო ფულის მნიშვნელობის რამდენიმე ასპექტს. ისინი შესაძლებლად მიიჩნევენ სიტუაციას, როცა ფულის მასის შეცვლა შეიძლება გამოიწვიოს ბანკების ქცევის ცვლილებამ. თუმცა ფულის მასა, მათი აზრით, უფრო ხშირად იცვლება მოთხოვნის ცვლილების პასუხად. ფულის შექმნა სესხზე მოთხოვნის ცვლილების შედეგია იმის მიუხედავად, ეს ფული მიმოქცევაში რჩება თუ ნადგურდება სესხის გადახდის გზით. ნებისმიერ შემთხვევაში აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური სუბიექტების სურვილი - ფლობდნენ ფულს. პოსტკეინზიანელების მიერ ფულის მასის ზრდა განიხილება, როგორც ინფლაციაზე რეაქცია და არა მისი



მიზეზი. მაგალითად, როცა ხარჯები იზრდება, მწარმოებლებს უხდებათ დაუმთავრებელი წარმოების უფრო მაღალი ღირებულების დაფარვა. ეს კი შეიძლება მოხდეს ბანკში სესხის აღებით, ან საკუთარი ნაღდი ფულის მარაგის შემცირებით. პირველ შემთხვევაში ხდება ფულის მასის გაზრდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, არის წარმოების დანახარჯების გაზრდის მიზეზი და არა მისი შედეგი. პოსტკეინზიანელები კალეცკის კვალდაკვალ, ეჭვის ქვეშ აყენებენ ეკონომიკაში რეალური საკასო ნაშთის პიგუს ეფექტს. საკრედიტო ფული კერძო სექტორისათვის არ წარმოადგენს წმინდა ფასეულობას. რატომ? იმიტომ, რომ საკრედიტო ფული, რომელიც აქტივია მისი მფლობელისათვის, ემიტენტისათვის (ბანკისათვის) არის პასივი. ამ მიზეზის გამო, ფასების საერთო დონის შემცირება არ ახდენს ზეგავლენას საკრედიტო ფულის რეალურ ფასეულობაზე. თუმცა განაპირობებს რეალური სიმდიდრის გადანაწილებას საბანკო სექტორიდან სხვა სექტორებში. პოსტკეინზიანელების აზრით, კერძო ბანკების მიერ საკრედიტო ფულის შექმნა, რასაც საფუძვლად უდევს ფულზე მოთხოვნა კერძო სექტორის მხრიდან, გულისხმობს მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მხრიდან ფულზე კონტროლის საგრძნობ გართულებას. ბანკებს, რომლებსაც მოგების მაქსიმიზაციის მიზანი ამოძრავებთ, ყოველთვის უჩნდებათ ამ კონტროლისაგან თავის დაღწევის სურვილი. ნეოკეინზიანელები თვლიან, რომ ფულის შექმნისა და განადგურების პროცესი უშუალოდაა დაკავშირებული თანამედროვე ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ციკლურ მერყეობასთან და კრედიტების მოთხოვნაზე ბანკების რეაქციას სერიოზული კორექტივების შეტანა შეუძლია საქმიანი აქტიურობის ციკლში.

## შრომის სექტორი

შრომის სექტორის პოსტკეინზიანურ ანალიზს საფუძვლად უდევს ორი იდეა. პირველი - ითვლება, რომ შრომითი მომსახურების გაცვლა და ხელფასის განაკვეთის განსაზღვრა არ ხდება ბაზარზე ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. სწორედ ამიტომ გამოიყენება ტერმინი “შრომის სექტორი” და არა “შრომის ბაზარი”. ხელფასის განაკვეთი, მათი აზრით, უპირატესად დგინდება კოლექტიური მოლაპარაკებების შედეგად. მეორე იდეა პირველთან არის მჭიდროდ

დაკავშირებული და იმაში მდგომარეობს, რომ მოლაპარაკებები დამჭირავებლებსა და სამუშაოს მაძიებელ ინდივიდებს შორის ნებისმიერ შემთხვევაში განსაზღვრავს ხელფასის ფულად (ნომინალურ) და არა რეალურ განაკვეთს. მათი აზრით, დასაქმების დონე, ისე როგორც ზოგადად ეკონომიკური აქტიურობის დონე, განისაზღვრება ერთობლივი მოთხოვნითა და ხელფასის რეალური განაკვეთით. ფულადი (ნომინალური) ხელფასის ნებისმიერი მერყეობა კომპენსირდება ფასების დონის შესაბამისი ცვლილებით, რაც უცვლელად ტოვებს რეალური ხელფასის სიდიდეს.

პოსტკეინზიანური მიდგომა ფულადი ხელფასის განსაზღვრისას მდგომარეობს შემდეგში: შეუძლებელია შრომის სექტორის ანალიზი შრომის ბაზრის ტერმინოლოგიით, რასაც აკეთებს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია. ეს მიდგომა ასევე განსხვავდება ნეოკეინზიანელთა შეხედულებისაგან, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

## ინვესტიციები

ინვესტიციურ დანახარჯებს პოსტკეინზიანურ მაკროეკონომიკურ ანალიზში ცენტრალური ადგილი უკავია. კალეცკის ანალიზში ინვესტიციური ხარჯების მნიშვნელოვანი თვისება ის არის, რომ ისინი ექვემდებარებიან რყევებს და წარმოქმნიან საქმიანი აქტიურობის ციკლს. კალეცკი კვლევას იწყებს ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებისა და ძირითად კაპიტალში ინვესტირების განხორციელების პროცესის ერთმანეთისაგან გამიჯვნით. ინვესტიციურ გადაწყვეტილებებს მომავალში მოყვება ფაქტობრივი ინვესტიციური ხარჯები. ეს ხარჯები საჭიროებენ შიდა ან გარე წყაროებიდან დაფინანსებას. ფირმები, როგორც წესი, შიდა წყაროებს ამჯობინებენ, ვინაიდან ეს მათთვის უფრო იაფია. მოგება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დაფინანსების შესაძლებლობას და ამიტომ იგი შეიძლება განხილულ იქნას ინვესტირების ფაქტორად. გარე დაფინანსებასთან მიმართებაში კალეცკიმ შემოიღო ტერმინი “მზარდი რისკის პრინციპი”, რომლის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ფირმის მიერ ნასესხები სახსრების ზრდა აძლიერებს იმის რისკს, რომ ფირმა ვერ შეძლებს მათ უკან

დაბრუნებას. მხედველობაში იღებენ რა მზარდი რისკის პრინციპს, ფინანსური ინსტიტუტები სესხებზე აწესებენ უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. ფირმების ინვესტიციური დანახარჯები შეზღუდულია ხელმისაწვდომი დანაზოგებითა და ბანკების მიერ სესხების გაცემის როგორც შესაძლებლობით, ისე სურვილით. ფირმები საკუთარ კაპიტალს აფართოებენ მიღებული მოგებისა და დანაზოგების ხარჯზე. ხელმისაწვდომი ფინანსური წყაროების გამოჩენით შესაძლებელია ბევრი ისეთი ინვესტიციის განხორციელება, რაც სამომავლოდ იყო გადადებული. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფირმის სტიმული ახალი მოწყობილობის შექმნა-გამოყენების მიმართ დამოკიდებულია თანაფარდობაზე მოგების მოსალოდნელ ნორმასა და სესხზე საპროცენტო განაკვეთის სიდიდეს შორის (სესხის ქვეშ იგულისხმება ფირმის მიერ ბანკიდან აღებული კაპიტალური მოწყობილობის შესაძენი თანხა). მოგების ნორმა მოგების მასაზეა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი - გამოშვების მოცულობასა და მონოპოლისტურ ძალაუფლებაზე. ამ ფაქტორთა ერთობლიობა, კალეცკის აზრით, ზეგავლენას ახდენს ინვესტიციებზე და განიხილება პოსტკეინზიანელთა მრავალ ეკონომეტრიკულ მოდელში.

პოსტკეინზიანური ანალიზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მოლოდინის მოდელირება და მისი მიმართება ინვესტირების პრობლემისადმი. ფირმის დონეზე ხშირად ძალიან ძნელია გამოყენებული მოწყობილობის გაყიდვა. რაც შეეხება მთელი ეკონომიკის დონეს, გამოყენებული მოწყობილობა აქ ან უნდა ჩამოიწეროს, ან უნდა გაიყიდოს საზღვარგარეთ. ხანგრძლივი გამოყენების მოწყობილობის არსებობის ფაქტით პოსტკეინზიანელებთან ეკონომიკის მომავალი დაკავშირებულია მის აწმყოსთან. მომავლის მოლოდინი აწმყოზე ზეგავლენას ახდენს ხანგრძლივი მოხმარების მოწყობილობაზე მოთხოვნის სიდიდეზე ფასის ზემოქმედების გზით.

## მოლოდინი და პროგნოზირებადობა

პოსტკეინზიანური თეორია ინვესტიციების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მოლოდინის როლზე. ამასთანავე, პოსტკეინზიანელები, როგორც წესი, უარყოფენ რაციონალური მოლოდინის თეორიისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალური მოლოდინების მოდელირების პრინციპს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ თეორიაში მიდგომათა ფართო დიაპაზონს აქვს ადგილი, ადაპტირებული მოლოდინის ჰიპოთეზიდან დაწყებული, ზოგადად მომავლის შეუცნობადობისა და, შესაბამისად, მისი პროგნოზირების შეუძლებლობის მტკიცებით დამთავრებული. ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს უკანასკნელი მოსაზრება გამოთქვა, იყო კეინზი. შემდგომში ეს მოსაზრება გაზიარებული და განვითარებული იქნა პოსტკეინზიანელი ეკონომისტების მიერ, რომლებიც მომავლის განუსაზღვრელობას ადამიანების ინოვაციებისადმი მიდრეკილებას უკავშირებდნენ. პოსტკეინზიანელები ერთმანეთისაგან განასხვავებენ მოკლევადიან და გრძელვადიან მოლოდინებს. მათი აზრით, მოკლევადიანი მოლოდინი, როგორც წესი, ცხადდება, ხოლო გრძელვადიან მოლოდინებთან მიმართებაში ამის ძალიან მცირე შანსი არსებობს. ამიტომ გრძელვადიანი მოლოდინის რეალიზება და მისი პროგნოზირება შეუძლებელია.

## საქმიანი ციკლები



**რობერტ**

**სკოტი**

კეინზიანური მაკროეკონომიკური ანალიზის ჩარჩოებში მერყეობა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის იმანენტურ თვისებადაა მიჩნეული, რომელიც ახსნას საჭიროებს. არსებობს მრავალი მოსაზრება ამ მერყეობის წარმომშობი მიზეზების შესახებ. პოსტკეინზიანელები მონეტარისტულის გარდა გამოყოფენ მიზეზთა ორ ჯგუფს: პირველი დაკავშირებულია ინვესტიციური ხარჯების ცვალებად

ხასიათთან და ეკონომიკური აქტიურობის ცვლილებაზე ინვესტიციების მოცულობის ზემოქმედებასთან. მეორე კი - შემოსავლის განაწილებისას წარმოშობილ კონფლიქტებთან კაპიტალისტებსა და მუშებს შორის. არსებობს საქმიანი ციკლის მრავალი მოდელი, რომელთა შორის გამოყოფენ **რობერტ სკოტის** მოდელს. იგი აერთიანებს ორ ელემენტს: ერთობლივ მოთხოვნას და კლასობრივ ბრძოლას. დანაზოგების შეფარდება შემოსავალთან დაკავშირებულია შემოსავალში მოგების წილთან. ინვესტიციების შეფარდება შემოსავალთან კი დამოკიდებულია კაპიტალუკუგების კოეფიციენტთან და მოგების წილთან. წონასწორობა დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის მყარდება ფასების შესაბამისი კორექტირების გზით. გამოშვების მოცულობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მოგების წილისა და დასაქმების დონის მაჩვენებლების საფუძველზე. მოდელს ასრულებს ორი ტოლობა, რომლებიც აღწერს კაპიტალის ზრდის ტემპსა და დასაქმების დონეს. სკოტის აღნიშნული მოდელის დადებითი მხარე ორ ძირითად გარემოებაში ვლინდება: პირველი, ფასების დონე და მოგების ნორმა მოქნილი სიდიდეებია; მეორე, შრომის ბაზრის პირობები ზეგავლენას არ ახდენს ხელფასზე და შემოსავლის განაწილებაზე.

საქმიანი ციკლის სკოტისა და სხვა პოსტკეინზიანელების მოდელები ახასიათებენ კაპიტალისტური ეკონომიკის ციკლურ ბუნებას, ერთობლივი მოთხოვნისა და შემოსავლის განაწილების როლს ციკლებში.

## ლიტერატურა:

ა. სილაგაძე. ეკონომიკური დოქტრინები. თბ., 2010, თავი XXIII

**M. Kalecki.** Selected Essays on the Dynamics of the Capitalist Economy. Cambridge, Cambridge University Press, 1971

**B. Greenwald., J. Stiglitz.** Examining Alternative Macroeconomic Theories. – Brookings Papers on Economic Activity, 1988, №1 გვ. 234-257

**Gr. N. Mankiw. D. Romer** eds., New Keynesian Economics. 2 ტომად. 1991

**Mankiw G., Romer D., Weil D.** A Contribution to the Empirics of Economic Growth. Quarterly Journal of Economics, 1992, ტ. 105 №2, გვ. 407-437

**Romer D.** Advanced Macroeconomics. Boston, 2001

**N. Gregory Mankiw.** The Macroeconomist as Scientist and Engineer. Journal of Economic Perspectives. 2006, ტ. 20, გვ. 29-46

**П. Девидсон.** Посткейнсианская теория денег и проблема инфляции. – <http://galleryeconomicus.ru>

**Сойер М.** Посткеинсянская макроэкономика. – <http://galleryeconomicus.ru>

**Мински Х.** Экономическая теория Кейнса:Общий взгляд на денги. - <http://galleryeconomicus.ru>

## თემა 3. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიები

### ლექცია III. მ.ფრიდმანის მონეტარისტული ეკონომიკური თეორია

#### შესავალი



ტერმინი “მონეტარიზმი” პირველად გამოიყენა ამერიკელმა ეკონომისტმა კარლ ბრუნერმა 1968 წელს. მონეტარიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან მილტონ ფრიდმანი, კარლ ბრუნერი, ალან მელტცერი და ანა შვარცი.

#### კარლ ბრუნერი

მონეტარიზმი მიჩნეულია ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთ მიმართულებად. იგი აღმოცენდა გასული საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ში და მის ფუძემდებლად ითვლება “ჩიკაგოს სკოლის” დამაარსებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში - მილტონ ფრიდმანი. თავდაპირველად მონეტარიზმი არსებობდა როგორც ფულის მიმოქცევის შემსწავლელი ვიწრო ეკონომიკური მიმართულება. უფრო ზუსტად, იგი შეისწავლიდა ფულზე მოთხოვნის საკითხს. შემდგომში მონეტარისტული ანალიზის სფერო საგრძნობლად გაფართოვდა და XX საუკუნის 70-იანი წლების შუახანებიდან იგი გადაიქცა თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიის “მეინსტრიმად”. მოგვიანებით, ამ მოვლენამ მიიღო “მონეტარისტული კონტრევივოლუციის” სახელწოდება. აქ იგულისხმება “კონტრევივოლუცია” კეინზისა და კეინზიანურ თეორიებთან მიმართებაში. თანამედროვე მონეტარიზმი ემყარება როგორც ნეოკლასიკური სინთეზის ცალკეულ დებულებებს (მაგ., საკუთრების თეორია, ფილიპსის მრუდი და ა.შ.), ისე იგი წარმოადგენს კეინზიანური ფულის რაოდენობრივი კლასიკური თეორიის გაგრძელებას და განვითარებას.

მონეტარიზმის ძირითადი თეზისი მდგომარეობს შემდეგში: ფულის მასის მყარი ზრდა, რომელიც აღემატება პროდუქციის გამოშვების ზრდას, განაპირობებს ინფლაციას. ამასთანავე, ფულის მასის ზრდა ინფლაციის აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა. ამის საილუსტრაციოდ, ა. მელტცერს მოჰყავს მონაცემები აშშ-ს ეკონომიკიდან 1985-1988 წლებში. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ფულის მასა

გაიზარდა 7,2%-ით, ხოლო ინფლაცია შემცირდა 7,3%-დან 3,5%-მდე. მონეტარიზმის მეორე უმნიშვნელოვანესი დასკვნა მდგომარეობს შემდეგში: მაღალი ინფლაციის მოლოდინის პირობებში იზრდება საპროცენტო განაკვეთები ღია ბაზარზე და მცირდება ეროვნული ვალუტის კურსი სხვა შედარებით სტაბილურ ვალუტებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებულია მონეტარიზმის მესამე დასკვნა: მაღალი ინფლაცია ხელს უწყობს ვალუტის გაუფასურებას, დეფლაცია კი ამაღლებს მის ფასეულობას (კურსს). მონეტარიზმის მეოთხე დასკვნაა: ფულის მასის ცვლილება თავდაპირველად ზემოქმედებს პროდუქციის გამოშვების მოცულობაზე, შემდეგ კი ინფლაციის ტემპზე. კერძოდ, ინფლაციის ზრდა თავდაპირველად განაპირობებს გამოშვების დროებით ზრდას, ინფლაციის შემცირება კი ამცირებს გამოშვებას ან მისი ზრდის ტემპს.

მონეტარისტული სკოლისათვის დამახასიათებელია ფულის მასისა და საპროცენტო განაკვეთების მაჩვენებლების ფართო გამოყენება ეკონომიკის რეგულირებაში. ამ მიზნით, ისინი იყენებენ ე.წ. “**ადაპტირებულ მონეტარულ წესს**”, რომელიც გულისხმობს ფულის მასის ზრდის კორექტირებას პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპისა და ბოლო პერიოდში ფულზე მოთხოვნის საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით. ეს წესი, მელტცერის აზრით, საუკეთესო საშუალებაა ეკონომიკური რყევებისა და ინფლაციის თავიდან ასაცილებლად. მონეტარისტების აზრით, ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის კიდევ ერთი გზაა ფულის მიწოდების ზრდის ტემპის შესაბამისობაში მოყვანა პოტენციური რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპთან, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ფასების საერთო სტაბილურობას.

ორიგინალურია მონეტარისტების მიდგომა უმუშევრობის პრობლემის მიმართ. ისინი მიიჩნევენ, რომ **ბუნებრივ დონესთან** შედარებით უმუშევრობის შემცირების პოლიტიკა არაეფექტიანია გრძელვადიან პერიოდში. უმუშევრობის ბუნებრივი დონე მათ მიერ განიხილება ნებაყოფლობითი, ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამის სახით. მონეტარისტები აღნიშნავენ, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას გარკვეული შედეგების მოატანა შეუძლია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში. ფულადი ექსპანსია, როგორც უმუშევრობის შემცირების მექანიზმი, იწვევს მხოლოდ ფასების საერთო დონის



ზრდას, უმუშევრობა კი მის ბუნებრივ დონეზე რჩება. მონეტარისტები არაეფექტიანად მიიჩნევენ ფისკალურ პოლიტიკას და მთავრობებს ურჩევენ მის შეცვლას რეგლამენტირებული, ანუ ისეთი ტიპის პოლიტიკით, რომელიც გარკვეულ წესებს ემყარება. ასეთ პოლიტიკად კი, როგორც აღვნიშნეთ, მიჩნეულია ადაპტირებული მონეტარული წესი. ფისკალური პოლიტიკის არაეფექტიანობას მონეტარისტები უკავშირებენ დიდი “დროითი ბიჯის” არსებობას, რომელმაც საქმიანი აქტიურობის ციკლის მერყეობის შერბილების ნაცვლად შეიძლება მისი გაძლიერება გამოიწვიოს. ამ თვალსაზრისით, მონეტარული პოლიტიკა გაცილებით უფრო ეფექტიანია.

## მოკლედ ავტორის შესახებ



**მილტონ  
ფრიდმანი**

მილტონ ფრიდმანის შესახებ ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ჯ. კ. გელბრეიტმა დაწერა: “იგი იყო და რჩება კლასიკური კონკურენტული ბაზრის მთავარ ამერიკელ დამცველად. მისი აზრით, ამ ბაზარს არასოდეს განუცდია დაცემა იმ შემთხვევების გარდა, როცა მას ზიანი მიადგა არაკომპეტენტური მთავრობის ჩარევის შედეგად”.

მ. ფრიდმანი დაიბადა 1912 წელს ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონში. მისი მშობლები ემიგრირებული იყვნენ ავსტრო-უნგრეთის იმპერიიდან. ფრიდმანი თავდაპირველად მათემატიკით, შემდეგ კი ეკონომიკით იყო გატაცებული. სწავლობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1945 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1948-1974 წლებში ასწავლიდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში. მას მიიჩნევენ ეკონომიკურ თეორიაში “ჩიკაგოს სკოლის” ფუძემდებლად; იყო აშშ-ს რამდენიმე პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში; 1976 წელს მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში “ფულის თეორიისა და ისტორიის სფეროში და სტაბილიზაციის პოლიტიკის შემუშავების დარგში შეტანილი წვლილისათვის”. იყო სტემფორდის უნივერსიტეტთან არსებული ჰუვერის ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი

განყოფილების ხელმძღვანელი და ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა კათედრის საპატიო პროფესორი.

## ნაშრომი “ინფლაცია და ფულადი სისტემები” (1969)

### პირველი ნაწილი “ფულის რაოდენობრივი თეორიის რეაბილიტაციისათვის”

მ. ფრიდმანი მსჯელობს ინფლაციის მიზეზების, შედეგების და მისი დაძლევის გზების შესახებ. იგი აღნიშნავს: “ინფლაციის უშუალო მიზეზი ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა: ფულის რაოდენობის უზომო ზრდა წარმოების მოცულობასთან შედარებით”. ფრიდმანი შენიშნავს, რომ სხვადასხვა ავტორები ინფლაციას უკავშირებდნენ ნავთობის ფასების ზრდას, ან პროფკავშირების ლიდერების ქმედებას, რომელიც შრომის ანაზღაურების გაზრდისკენ არის მიმართული. იგი თვლის, რომ ამგვარი მოსაზრებები არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან აქ მხოლოდ შეიძლება საუბარი იყოს შეფარდებითი ფასების, ანუ ერთი საქონლის ფასის მეორე საქონლის ფასთან შეფარდებით ცვლილებასთან. მისი აზრით, ინფლაცია წარმოიშობა “ვამინგტონში მთავრობის მიზეზით, რომელიც უშვებს ფულის რაოდენობის ზრდის გადაჭარბებას წარმოების მოცულობის ზრდაზე”. ამ თვალსაზრისით, ფრიდმანის აზრით, ინფლაცია არის ბეგარა ნაღდ ფულზე. ფულის ემისია, რომელსაც მიმართავენ მზარდი სახელმწიფო დანახარჯების დასაფინანსებლად, ერთი მხრივ, იწვევს ფასების გაზრდას, და მამასადამე, ნაღდი ფულის გაუფასურებას. მეორე მხრივ, ინფლაციის პირობებში იზრდება ნომინალური შემოსავლები და გადამხდელები იხდიან უფრო მაღალ გადასახადებს. ფრიდმანის აზრით, ინფლაციის მეორე მიზეზია სრული დასაქმებისაკენ სწრაფვა. ყოველთვის, როცა უმუშევრობა იზრდება, მთავრობა საკუთარ მოვალეობად თვლის რაღაც მოიმოქმედოს და იწყებს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების ძიებას. ამასთანავე, ფრიდმანის აზრით, არსებობს უმუშევრობის რაღაც გარდაუვალი (ანუ ბუნებრივი უმუშევრობის) პროცენტი, რომლისკენაც სპონტანურად მიისწრაფვის მთელი ეკონომიკა.

მთავრობის ყველა ძალისხმევა უმუშევრობის უფრო დაბალი დონის მისაღწევად და ამ მიზნით საბიუჯეტო ხარჯების გაზრდა იწვევს ინფლაციის გაძლიერებას. და ბოლოს, ემყარებიან რა მცდარ თეორიას, ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები უშვებენ რიგ შეცდომებს. ისინი ფიქრობენ, რომ უპირატესად გასესხებული თანხების სარგებელზე უნდა ზრუნავდნენ მაშინ, როცა მათი მთავარი ამოცანა მდგომარეობს ფულის რაოდენობის რეგულირებაში - ასეთია ფრიდმანის მოსაზრება. მაშასადამე, მთავრობა ატარებს ინფლაციურ პოლიტიკას, რომელიც იწვევს სესხებზე სარგებლის განაკვეთის გაზრდას.

ფრიდმანის აზრით, ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის წესი საკმაოდ მარტივია: “მთავრობამ ნაკლები უნდა ხარჯოს და ნაკლები ფული გამოუშვას: მთელი პრობლემა კი პოლიტიკური ნების არსებობა-არარსებობაშია. ხშირად ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ: წარმოების ზრდის ტემპი ნელდება, უმუშევრობა იზრდება, ადგილი აქვს ეკონომიკურ დაცემას. თუმცა აუცილებელია ყოველივე ამის გავლა: “საკითხი შეეხება არჩევანს არა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის, არამედ არჩევანს უმუშევრობას ინფლაციის გარეშე და უმუშევრობა ინფლაციით - შორის”. ფრიდმანი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ უმუშევრობის დონის შემცირებამ არაერთხელ გამოიწვია ინფლაციის გამარჯვება.

### **ნაწილი მეორე “ინფლაცია და ეკონომიკური განვითარება”**

ფრიდმანი ამტკიცებს, რომ “ინფლაცია არ წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების გარდაუვალად თანმდევ მოვლენას. ის არ არის დაკავშირებული რეალურ რესურსებზე ზეწოლასთან და უფრო მეტად დამოკიდებულია დაწესებულებებზე და ფინანსურ პოლიტიკაზე”. ვინც ამტკიცებს, რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა იწვევს ინფლაციას, ფრიდმანის აზრით, ერთმანეთთან აიგივებს ფინანსურ და ფიზიკურ სიდიდეებს. ფასების ურთიერთშეფარდება ფიზიკური სიდიდეა და საერთოდ არ მოქმედებს ფასების საერთო დონეზე. მაგალითად, თუკი სახელმწიფო აფინანსებს განვითარებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ან საწარმოები ახორციელებენ

ინვესტიციებს საკუთარი დანაზოგების ხარჯზე, ეს არავითარ გავლენას არ ახდენს ფულზე მოთხოვნაზე. თუკი ფულის ემისია იწყება, მაშინ ადგილი აქვს ინფლაციას. შედარებით მყარი ფასების ჩამოყალიბების შემდეგ, ინფლაციის პირველი ნიშნების გაჩენისას კერძო პირებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ეს დროებითი მოვლენაა, შესაბამისად გაზარდონ თავიანთი სიმდიდრე ფულში და არ გაზარდონ მოთხოვნა საქონელზე. ამ შემთხვევაში ფასების ზრდა ჩამორჩება ფულის მასის ზრდას. მას შემდეგ, რაც ინდივიდები აცნობიერებენ ინფლაციის გაგრძელებას, ისინი ცდილობენ სწრაფად მოიშორონ თავიდან საკუთარი დანაზოგები და ამ შემთხვევაში ფასების ზრდა აჭარბებს ფულის მასის ზრდას.

ინფლაციის ასახსნელად რამდენიმე ფაქტორზე მიუთითებენ. კერძოდ, ინვესტირების გადაჭარბება ეკონომიკისადმი ბუნებრივ მიდრეკილებაზე; ხელფასებზე დანახარჯების ზრდა ან მოგების ზრდა. ფრიდმანის აზრით, ეს ფაქტორები არ იწვევენ ინფლაციას, თუმცა იწვევენ ფულის მასის სწრაფ ზრდას. რა მექანიზმით განაპირობებს ფული ფასების ზრდას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ერთმანეთისაგან განასხვავებს ფულის “ნომინალურ” და “რეალურ” რაოდენობას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დოვლათში (საქონელსა და მომსახურებაში) გამოხატულ ფულს, ანუ გვიჩვენებს ფულის მსყიდველობითუნარიანობას. თუკი დროის რაღაც მომენტში ფულის მასა ფასების მოცემული დონის პირობებში აღემატება ფულის იმ რაოდენობას, რომლის ფლობაც სურს სახელმწიფოს, საზოგადოება ეცდება შეამციროს მის მფლობელობაში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა. ამ მიზნით ინდივიდები ზრდიან მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე. საზოგადოების სურვილი - შეამციროს ნომინალური ნაღდი ფულის რაოდენობა - იწვევს საქონელსა და მომსახურებაზე ფასების გაზრდას.

შეუძლია თუ არა ინფლაციას დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკურ განვითარებაზე? ამ მოსაზრების მხარდასაჭერად ხშირად მოჰყავთ ორი არგუმენტი. პირველი, ინფლაცია იწვევს შემოსავლების გადანაწილებას დაქირავებული მუშაკებიდან მეწარმეებზე, რაც ზრდის ამ უკანასკნელთა ინვესტიციურ შესაძლებლობებს. მეორე, ფულის ემისია სახელმწიფოს აძლევს დამატებით შემოსავალს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური

ზრდის სტიმულირებისათვის. ფრიდმანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მოცემული ნაშრომის რეზიუმეს სახით აკეთებს შემდეგ ოთხ უმნიშვნელოვანეს დასკვნას:

- ინფლაცია ყოველთვის და ყველგან ფულადი ფენომენია;
- ინფლაცია არ არის განვითარების აუცილებლად თანმდევი მოვლენა;
- ნორმალურ პირობებში ინფლაცია ცუდად ეხმარება განვითარებას და თუკი ეხმარება, მხოლოდ დროებითი პანაცეის სახით;
- ნაღდ ფულზე გადასახადის სახით ინფლაცია შეიძლება ნაკლები ბოროტება იყოს, მაგრამ მისი შედეგები ყოველთვის დიდი ზარალის მომტანია.

## **მოთხოვნა ფულზე (ფრაგმენტები 1960 წელს ფილადელფიაში წაკითხული ლექციიდან)**

ფრიდმანი გვთავაზობს ფულის შემდეგ განმარტებას: “ფული არის ყველა ფულადი ქონება, რომელსაც ფლობს საზოგადოება ბანკებს გარეთ, ყველა შენატანი - ვადიანი, ან მოთხოვნაზე, რაც განთავსებულია ბანკებში”. ვინაიდან ფულის მიწოდება მონეტარისტული ხელისუფლების მიერ არის განსაზღვრული, ერთი ინდივიდის განკარგულებაში არსებული ფულის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს მეორის განკარგულებაში არსებული ფულის შემცირების ხარჯზე. ფრიდმანი ხაზს უსვამს, რომ საზოგადოებას არ შეუძლია ფულის ნომინალური რაოდენობის განსაზღვრა, მაგრამ იგი განსაზღვრავს ფულის რეალურ რაოდენობას, რისი საფუძველია მოსალოდნელი რეალური შემოსავლის სტაბილურობა. თუკი გრძელვადიან პერიოდში ფულადი შემოსავალი და რეალური შემოსავალი ერთი მიმართულებით იცვლება, მოკლევადიან პერიოდში ეს ცვლილება საპირისპირო მიმართულებით ხდება. ეკონომიკური ციკლის ზრდის ფაზაზე რეალური შემოსავალი იზრდება იმ დროს, როცა ფულის თანაფარდობა შემოსავალთან მცირდება, დაცემის ფაზაზე კი - პირიქითაა. აღნიშნული წინააღმდეგობის ასახსნელად ფრიდმანი ერთმანეთისაგან განასხვავებს “მიმდინარე შემოსავალს”, ანუ სტატისტიკურად გაზომვად შემოსავალს და - “მუდმივ შემოსავალს”. გრძელვადიან პერიოდში ეს ცვლადები თითქმის იგივეობამდე უახლოვდებიან

ერთმანეთს. ციკლური აღმავლობის პერიოდში კი გაზომვადი შემოსავალი მუდმივ შემოსავალზე უფრო სწრაფად იზრდება. ფულის მასის ზრდა აჭარბებს მუდმივი შემოსავლის ზრდას და ჩამორჩება გაზომვადი შემოსავლის ზრდას. მეორე ფაქტორი დაკავშირებულია საზოგადოების მხრიდან გაკეთებულ პროგნოზებზე. ფრიდმანი შენიშნავს: “თუკი ადამიანები სტაბილურ სიტუაციას მოელიან შემოსავლების, დასაქმების, სარგებლისა და ფასების სფეროში, მათ საკუთარი ქონების ფულად ფორმაში შენახვის ნაკლები სურვილი უჩნდებათ”.

### **ფულადი პოლიტიკის განახლება (მ. ფრიდმანის ნაშრომის “ფულადი კონსტიტუციის ძიებანი” მიხედვით)**

ამ ნაშრომში ფრიდმანი იკვლევს ფინანსური პოლიტიკისა და მისი წარმართველი ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობას. მისი აზრით, არსებობს გადაწყვეტილების შემდეგი სამი ტიპი: პირველი, გადაწყვეტილებები სტანდარტის გამოყენებით. ის წერს: “იმ დროიდან დაწყებული, რაც ინდივიდები თანხმდებიან, რომ ქალაქის ნაგლეჯი წარწერით “ვალდებულებას ვიღებ გადავიხადო სტანდარტის გარკვეული რაოდენობა”, მიიღონ ფულის რანგში, ქალაქის ამ ნაგლეჯს შეუძლია იმავე ფუნქციის შესრულება, რაც ოქროსა და ვერცხლის ნაწილებს”. ამასთანავე, ქალაქის ფულის წარმოება გაცილებით უფრო ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მეორე, გადაწყვეტილება დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის გამოყენებით. ფრიდმანი წერს: “ფინანსურმა სტრუქტურამ - ცენტრალურმა ბანკმა - უნდა იმოქმედოს დამოუკიდებელი სუბიექტის სახით. მან უნდა აკონტროლოს ფინანსური პოლიტიკა და არ დაუშვას სპეკულაციები”. ეს სტრუქტურა ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს უნდა წარმოადგენდეს და თავის საქმიანობას ათანხმებდეს ხელისუფლების სხვა შტოებთან. ფრიდმანი ასევე ხაზს უსვამს საკრედიტო პოლიტიკისა და ზოგადად, ფინანსური პოლიტიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობას და წერს, რომ ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ ფულის შექმნას და ფულის გაფართოებას. სინამდვილეში ეს სრულიად განსხვავებული მოვლენებია. ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია სესხებზე სარგებლის განაკვეთის განმსაზღვრელი ყველა ფაქტორის მართვა, მაგრამ სურვილის შემთხვევაში მას შეუძლია განახორციელოს კონტროლი ფულის მთელ მასაზე.

მესამე, გადაწყვეტილებას საკანონმდებლო გზით რეგლამენტაციის შესახებ. “ეს გადაწყვეტილება მდგომარეობს ფულადი პოლიტიკის გადაცემაში არა ინდივიდების, არამედ კანონების განკარგვაში” - წერს ფრიდმანი. რეალურ სინამდვილეში ეს ნიშნავს ფულადი პოლიტიკის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას პოლიტიკოსებისაგან, რათა ამ უკანასკნელთა ხელში კონცენტრირებულმა ძალაუფლებამ ხელი არ შეუშალოს ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობას. იგი წერს: “კარგი იქნებოდა, თუკი ფედერალური სარეზერვო სისტემა გაითვალისწინებდა ფულის მასის ზრდას მუდმივი X პროცენტით. ამასთანავე, ამ X-ის მნიშვნელობა იქნებოდა 3-5 %-ს შორის”. საერთო წესების მიღება და დაცვა დადებით ზეგავლენას ახდენს ინდივიდების მოლოდინებზე და პირიქით - მათი დაუცველობა აქვეითებს ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობას.

### **ზოგიერთი დასკვნა**

ფრიდმანის ყველა ნაშრომი მიგვანიშნებს მისი ავტორის ლიბერალიზმის იდეების მიმართ ერთგულებაზე. იგი ყოველთვის იცავდა ამ იდეებს კეინზიანური თეორიის დიდების ზენიტში ყოფნის დროსაც და მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი ღრმა კრიზისს განიცდიდა. 1947 წელს მ. ფრიდმანმა იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში და გახდა ჰაიეკის მიერ დაარსებული “ლიბერალური პოლიტეკონომიური საზოგადოების” წევრი. მას დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ფინანსების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლაში. აშშ-ს ფინანსთა სამინისტროში მუშაობის პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობდა ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების მომზადებაში და თანმიმდევრულად უჭერდა მხარს მცურავ გაცვლით კურსს. 1948 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო კანადის ცენტრალური ბანკის ახალი პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც გულისხმობდა ლიბერალურ სავალუტო ბაზარზე და კანადური დოლარის მცოცავ გაცვლით კურსზე გადასვლას. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად კანადამ 1950 წელს შეძლო ინფლაციის მაღალი ტემპის საგრძნობლად შემცირება, ხოლო 1970 წელს კი - ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის პირველმა - კანადამ ოფიციალურად თქვა უარი ვალუტის ფიქსირებული კურსის გამოყენებაზე. 1953

წელს მ. ფრიდმანმა დაწერა თავისი სახელგანთქმული ნაშრომი “არგუმენტები მცურავი სავალუტო კურსების სასარგებლოდ”, სადაც იგი ამ სავალუტო რეჟიმს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საფუძვლად განიხილავს. იგი აქვე შენიშნავს, რომ ფიქსირებული სავალუტო კურსები აბრკოლებენ მაკროეკონომიკური ადაპტაციის პროცესს და უარყოფს ამ ტიპის კურსების ანტიინფლაციურ პოტენციალს. ფრიდმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მცურავი სავალუტო კურსი საშუალებას იძლევა “საკუთარი სახლის სრულფასოვანი მფლობელი გახდეს”, ანუ მთავრობის ფულად პოლიტიკას შეუძლია კონცენტრაცია მოახდინოს საშინაო პრობლემებზე - ფასებსა და დასაქმებაზე. “მოქნილი გაცვლითი კურსები წარმოადგენენ საშინაო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მაქსიმალური დამოუკიდებლობის პირობას” - შენიშნავდა მეცნიერი. ფრიდმანმა 1966 წლის აპრილში, ჩიკაგოში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოთქვა თავისი ცნობილი ლოზუნგი: “ინფლაცია ყოველთვის და ყველგან იყო ფულადი ფენომენი”. ამავე კონფერენციაზე მან ჩამოაყალიბა შემდეგი მნიშვნელოვანი თეზისი: ფიქსირებული კურსები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები იწვევენ ჩახშობილ ინფლაციას, რაც თავის მხრივ, ანგრევს პოლიტიკურ თავისუფლებას, წარმოქმნის კოლექტივისტური ეკონომიკის აღმოცენების შესაძლებლობას. ფასებზე კონტროლის მოხსნის შედეგად ფრიდმანი პროგნოზირებდა ზომიერ ინფლაციას 3-10 %-ის ფარგლებში.

ლიბერალური შეხედულებების ჩარჩოებში ფრიდმანი ავითარებდა მოსაზრებას გაცვლითი კურსის საბაზრო რეგულირების აუცილებლობის შესახებ, რასაც არ იზიარებდა, ასევე ლიბერალურ პლატფორმაზე მდგარი, ბევრი ეკონომისტი. მაგ., **ჟან-ჟაკ რიუეფი** ყოველთვის მხარს უჭერდა სავალუტო კურსების დაწესებაში ოქროს სტანდარტის გამოყენებას. სხვა ცნობილი ფრანგი ეკონომისტი **მორის ალე** სავალუტო კურსების დაწესების ფრიდმანისეულ წესში სპეკულაციის გამლიერების საფრთხეს ხედავდა. ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორი **ჯ. მიდი** მცურავი გაცვლითი კურსის ფრიდმანისეულ კონცეფციას საინტერესო თეორიულ (აკადემიურ) კონსტრუქციად მიიჩნევდა, მაგრამ არ სჯეროდა ამ სისტემის პრაქტიკული მნიშვნელობა.



ფულთან და ფულად პოლიტიკასთან მიმართებაში ფრიდმანი რაოდენობრივი თეორიის მხარდამჭერია, თუმცა გვთავაზობს ამ თეორიის მოდიფიცირებულ ვარიანტს. იგი მიიჩნევს, რომ ფულადი ცვლადების ზემოქმედებას გააჩნია მოკლევადიანი შედეგები, რითაც ემიჯნება კლასიკური დიქტომიის მომხრეებს, რომელთა აზრით ბუნებაში არაფერია ფულზე ნაკლებად მნიშვნელოვანი. ფულად პოლიტიკასთან მიმართებაში ფრიდმანი ხაზს უსვამდა მის ეფექტიანობას მოკლევადიან პერიოდში და არაეფექტიანობას გრძელვადიანში. აქედან გამომდინარეობს მისი უმნიშვნელოვანესი თეზისი ფულის რაოდენობის მუდმივი პროცენტით ზრდის აუცილებლობის შესახებ. ფრიდმანი დაუშვებლად მიიჩნევდა ფულად პოლიტიკაში “თავისუფალ ვარიაციებს”, რომლებიც, მისი აზრით, ანგრევენ ადამიანთა მოლოდინებს. სწორედ ამ კონტექსტში აკრიტიკებს ის სრული დასაქმების კეინზიანურ თეორიას და ფილიპსის მრუდის პოსტკეინზიანურ ინტერპრეტაციას. მისი აზრით, უმუშევრობასა და ინფლაციას შორის არჩევანის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში. არსებობს “უმუშევრობის ბუნებრივი პროცენტი”, ანუ მინიმალური დონე, რომლის შემცირებაც შეუძლებელია და ამ დონისაკენ მიისწრაფვის საბაზრო ძალების თამაშის წესს დაქვემდებარებული საბაზრო სისტემა. ამ პროცენტზე დაბლა უმუშევრობის შემცირების ნებისმიერი მცდელობა, ფრიდმანის აზრით, აიძულებს მთავრობას გაზარდოს ფულის რაოდენობა მიმოქცევაში, რის შედეგადაც იზრდება როგორც უმუშევრობა, ასევე ინფლაცია.

ფრიდმანის თეორიულმა შეხედულებებმა არსებითი ზეგავლენა იქონია გასული საუკუნის 80-იანი წლების ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავებაზე. კერძოდ, ისინი გამოყენებულ იქნა აშშ-ში ე.წ. “რეიგანეკონომიკის” პოლიტიკაში, რომელიც გულისხმობდა გადასახადების შემცირების გზით ეკონომიკური დინამიზმის გაძლიერებას. ფრიდმანის ზოგიერთი მიმდევარის ნაშრომებში შეიმჩნეოდა მისი იდეების რადიკალიზაციის მცდელობა. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ახალი კლასიკური სკოლის მიმდევართა თეზისი, რომ “ფულადი პოლიტიკა არაეფექტიანია მოკლევადიანი პერიოდის ჩარჩოებშიაც კი”.

1966 წელს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა კეინზიანელმა, რობერტ სოლოუმ პრინსტონის უნივერსიტეტში შეკრიბა მონეტარიზმის ყველაზე სერიოზული

მოწინააღმდეგენი და მათ წინაშე განაცხადა: “ინფლაციის ახსნა მხოლოდ მონეტარისტული მიზეზებით პრიმიტიულია და არ იმსახურებს მეცნიერულ ანალიზს”. აღნიშნულის მიუხედავად, მილტონ ფრიდმანი სამართლიანად ითვლება ნოვატორული ეკონომიკური იდეების ავტორად და მათ უბადლო პოპულარიზატორად.

## ლექცია IV . მფრიდმანის ნაშრომის „კაპიტალიზმი და თავისუფლება“

### ანალიზი

წიგნის პირველი გამოცემა 1962 წლითაა დათარიღებული და გვაცნობს XX საუკუნის ეკონომიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის - მილტონ ფრიდმანის მსოფლმხედველობას, ანუ ეკონომიკურ ფილოსოფიას.

წიგნის მეორედ გამოცემა განხორციელდა 1982 წელს, ხოლო ქართულ ენაზე ითარგმნა 2002 წელს.

ძალიან საინტერესო და აქტუალურია, წიგნის ავტორის მიმართვა ქართველი მკითხველისადმი: „ბერლინის კედლის მოშლამ და საბჭოთა კავშირის დარღვევამ საქართველოს მისცა უნიკალური შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვროს საკუთარი მომავალი, კოლექტივიზმიდან თავისუფლებისაკენ იმოდროს, გადავიდეს საბაზრო ეკონომიკაზე.“

„... აქ გადმოცემული მსოფლმხედველობა გვიჩვენებს, რომ შეჯიბრებაზე დამყარებული კაპიტალიზმი აუცილებელი, თუმცადა, არასაკმარისი პირობაა ადამიანური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის, ხოლო ეკონომიკური თავისუფლება ადამიანის თავისუფლების მნიშვნელოვანი შემადგებელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დაიწერა და ბევრ, ამ ქვეყნისთვის სპეციფიკურ დეტალს შეიცავს, მასში მოცემული ფუნდამენტალური პრინციპები ბევრად უფრო ფართოდ არის გამოსადეგი, როგორც შეერთებული შტატებისთვის, ისე საქართველოსთვისაც.“

დასასრულს, მ.ფრიდმანი წარმატებას უსურვებს ქართველ ხალხს ეკონომიკური და ადამიანური თავისუფლებისაკენ მოძრაობაში და აღნიშნავს, რომ ბედნიერი იქნება, თუკი ამ წიგნის ქართული თარგმანი აღნიშნული მიზნის მიღწევაში თავის წვლილს შეიტანს. წიგნს საფუძვლად დაედო ლექციების კურსი, რომელსაც მ.ფრიდმანი წლების მანძილზე კითხულობდა სხვადასხვა აუდიტორიაში. როდესაც წიგნი პირველად გამოიცა, გამეფებული იყო ე.წ. კეთილდღეობის სახელმწიფოსა და კეინზიანური იდეები, რის გამოც ავტორის აზრით, „ნაშრომს არავინ მიიჩნევდა მნიშვნელოვან ეროვნულ პუბლიკაციად.“

წიგნი შედგება შესავლის, თორმეტი თავისა და დასკვნისაგან.

შესავალში - ფრიდმანი საუბრობს თავისუფალი ადამიანისა და მთავრობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. იგი მთავრობას საშუალებად, ინსტრუმენტად განიხილავს და მიუთითებს, რომ თავისუფალი ადამიანი მთავრობას ბრმად არ ეთაყვანება, არ მსახურებს, მთავრობა კი – „არ ცნობს სხვა ეროვნულ მიზანს, გარდა იმ მიზნებისა, რომლებიც ცალკეულ მოქალაქეთა ინდივიდუალური მიზნების შეკრებიდან გამომდინარეობს“.

უმთავრესი შეკითხვა, რომელიც საზოგადოების წევრთა წინაშე დგას შემდეგში მდგომარეობს: „როგორ მოვახერხოთ, რომ მთავრობა, რომელიც ჩვენვე შევქმენით, ფრანკენშტეინის ურჩხულად არ გადაიქცეს და ის თავისუფლება, რომლის დასაცავადაც იგი დავაარსეთ, თვითონვე არ გადათელოს?“ მეცნიერის აზრით, რასაც ისტორიაც გვიდასტურებს, თავისუფლებას ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია უქმნის. „მთავრობა აუცილებელია ჩვენი თავისუფლების დასაცავად. იგი იარაღია, რომლითაც ჩვენ საკუთარ თავისუფლებას უზრუნველვყოფთ. თუკი ერთ ხელში პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია ხდება, მაშინ თავისუფლებას მოსპობა ემუქრება. მაშინაც კი, როდესაც ადამიანები, რომელთა ხელშიც ეს ძალაუფლება ძევს, მის გამოყენებას კეთილი სურვილით ცდილობენ და ძალაუფლებისადმი ლტოლვით არ არიან კორუფცირებული, მაშინაც კი იზიდავს ძალაუფლება ადამიანს და სულ სხვა დაღს ასვამს მას.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივად იბადება კითხვა – „როგორ მოვახერხოთ მთავრობის მხრიდან თავისუფლებისთვის საფრთხის თავიდან აცილება და ამავე დროს, მის მიერ იმ ამოცანათა გადაწყვეტა, რომელსაც მას ვანდობთ“? ამის გაკეთება მ.ფრიდმანის აზრით, შესაძლებელია კონსტიტუციაში ასახული ორი პრინციპის უპირობო დაცვით.

პირველი ის არის, რომ მთავრობის სამოქმედო ასპარეზი შეზღუდული უნდა იყოს. მისი უმთავრესი ამოცანაა გარეგანი და შინაგანი საფრთხეებიდან ჩვენი თავისუფლების დაცვა. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს კანონისა და წესრიგის დაცვა, ხელი შეუწყოს კერძო ხელშეკრულებათა დაცვასა და აღსრულებას, კონკურენციული ბაზრის წინსვლას. „გარდა ამ მთავარი ფუნქციებისა, მთავრობამ უნდა მიხედოს იმგვარ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც ყველას გვსურს, მაგრამ ცალ-ცალკე არ ძალგვიძს“. ფრიდმანი მთავრობისადმი გარკვეული საკითხების გადაბარებაში ერთგვარ საფრთხეს ხედავს და ამიტომაც მიუთითებს, რომ ყოველ

ცალკეულ შემთხვევაში „კარგად უნდა ავწონ–დავწონოთ თუ რა სარგებელს და რა ზიანს მოგვიტანს მოცემულ საკითხში მთავრობის ჩაბმა“. მთავარი ის კი არ არის, რომ ეკონომიკურ და სხვა სფეროებშიც, უპირველესად, ნებაყოფლობით თანამშრომლობასა და კერძო მეწარმეობას უნდა დავეყრდნოთ, კერძო სექტორი სამთავრობო სექტორის მიერ ძალაუფლების გამოყენების შემმოწმებლად უნდა გადავაქციოთ, სიტყვის, რელიგიის, აზრის თავისუფლება უნდა დავიცვათ.

მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპია მთავრობის ძალაუფლების გადანაწილება, გაფანტვა. აქვე მეცნიერი მიუთითებს იმ სირთულეებზე, რომლებიც მთავრობის საქმიანობის შეზღუდვასთანაა დაკავშირებული. ძალაუფლების კონცენტრაციის მომხრეებს სწამთ, რომ ამგვარი კონცენტრაცია შესაძლებლობას იძლევა უფრო ეფექტიანად განხორციელდეს ის სამთავრობო პროგრამები, რომლებიც საჯარო ინტერესებს ემსახურება. იგი ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას, თუმცა იქვე შენიშნავს: „ამ ჯოხს მეორე ბოლოც აქვს. კეთილი საქმის კეთების უფლება ბოროტი საქმის კეთების უფლებაც არის. ის ადამიანები, ვისაც ძალაუფლება დღეს უპყრიათ ხელთ, ხვალ შეიძლება აღარ იყვნენ და რაც მთავარია, ის, რასაც ერთი სიკეთედ მიიჩნევს სხვისთვის შეიძლება ბოროტება აღმოჩნდეს“.

საბოლოოდ ფრიდმანი ასკვნის, რომ „მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვისა და გადანაწილების გარდაუვალობა თავისუფლების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს“.

შესავლის ბოლოს, ავტორი განსაზღვრავს მოცემული წიგნის ძირითად ამოცანას (თემას), რომელიც მდგომარეობს კონკურენციული, შეჯიბრებაზე დაფუძნებული კაპიტალიზმის როლის განსაზღვრაში. ეს არის ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომელშიც მთავარია თავისუფალ ბაზარზე მოქმედი საწარმოები და ფირმები. სწორედ ისინი უზრუნველყოფენ ეკონომიკურ თავისუფლების და მასთან ერთად პოლიტიკური თავისუფლების პირობების შექმნას. მეორე უმნიშვნელოვანესი თემაა მთავრობის როლი იმ საზოგადოებაში, რომელიც „თავისუფლებას ეთაყვანება და ეკონომიკურ საქმიანობაში უმთავრესად საბაზრო პრინციპებს ეყრდნობა“. თავისუფლების გაფართოება სწორედ ის საუკეთესო გზაა, რომლითაც საზოგადოებაში კეთილდღეობა და თანასწორობა მიიღწევა.

## თავი პირველი–ეკონომიკურ თავისუფლებისა და პოლიტიკური თავისუფლების ურთიერთმიმართება

პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სფეროებია. ეკონომიკური წყობა ორმაგ როლს ასრულებს თავისუფალი საზოგადოების განმტკიცებაში. ერთი მხრივ, ეკონომიკური თავისუფლება არის საერთოდ, თავისუფლების, როგორც ზოგადი ცნების კომპონენტი და ამ სახით მას თავისთავადი ფასეულობა (ღირებულება) გააჩნია, იგი თვით არის მიზანი. მეორე მხრივ, ეკონომიკური თავისუფლება პოლიტიკური თავისუფლების მიღწევის აუცილებელი საშუალებაა.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ პოლიტიკური თავისუფლება თავისუფალ ბაზართან და კაპიტალისტური ინსტიტუტების შექმნასთან ერთად გაჩნდა, რაც იმაზე მიმანიშნებელია, რომ კაპიტალიზმი პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი პირობაა, თუმცა თავისუფლების საკმარის პირობას არ წარმოადგენს. პირიქით, ისტორიაში ბევრია მაგალითი, როცა თანაარსებობდა კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა და არათავისუფალი პოლიტიკური სისტემა.

როდესაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის ურთიერთკავშირზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბაზრის როლი, რომელიც არის თავისუფლების უშუალო შემადგენელი ნაწილი. იგი უზრუნველყოფს მრავალი ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციას და საზოგადოებაში არსებული რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

საერთოდ, მილიონობით ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციის მხოლოდ ორი გზა არსებობს. ერთია ცენტრალური მართვა, რომელიც იძულების გამოყენებას გულისხმობს. მეორეა ინდივიდების ნებაყოფლობითი თანამშრომლობა ანუ ბაზრისათვის დამახასიათებელი ტექნიკა.

ნებაყოფლობითი თანამშრომლობის მეშვეობით კოორდინაციის განხორციელების შესაძლებლობა ეფუძნება მარტივ წანამძღვარს, რომლის თანახმადაც ეკონომიკური გარიგების ორივე მხარე სარგებელს ხედავს ამგვარი გარიგებისგან, თუკი იგი ორმხრივად ნებაყოფლობითია და ორივე მხარე სრულადაა ინფორმირებული.

ამგვარად, ასეთი ურთიერთგაცვლის შედეგი არის კოორდინაცია ყოველგვარი იძულების გარეშე. „ნებაყოფლობითი გაცვლის პრინციპზე აწყობილი საზოგადოების მუშა მოდელი თავისუფალ გაცვლაზე დაფუძნებული კერძო წარმოების ეკონომიკაა, ანუ ის, რასაც კონკურენციაზე დაფუძნებულ კაპიტალიზმს ვუწოდებთ“.

კაპიტალისტური წარმოება (მეურნეობა), რომელიც კერძო საკუთრებას ეფუძნება ატომისტური აგებულებისაა. იგი შედგება დამოუკიდებელი მეურნეობებისაგან. თითოეული მათგანი თავისუფლად იყენებს მის განკარგულებაში მყოფ რესურსებს საქონლის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად, რათა ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გარიგების მემვეობით გაცვალოს ისინი სხვა მეურნეობის მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაში. რა თქმა უნდა, სანამ მეურნეობა იმას აწარმოებს, რაც უშუალოდ საკუთარი მოხმარებისათვის ჭირდება, იგი არ დგას გარიგებაში მონაწილეობის აუცილებლობის წინაშე. ეს არის წამოების ორგანიზაციის ფორმა, რომელსაც ეკონომიკურ ლიტერატურაში ნატურალური მეურნეობა ეწოდება. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ადრეულ საფეხურზე ერთი პროდუქტი უშუალოდ იცვლებოდა მეორეზე, ანუ ადგილი ჰქონდა ბარტერს. შემდგომში გაცვლის პროცესის გასაადვილებლად შემოდის ფული, რომელიც ყიდვა–გაყიდვის აქტს ორ ნაწილად – ყიდვად და გაყიდვად ყოფს.

იმ მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, რომელსაც ჩვენს ეკონომიკაში მეწარმეობა და ფული ასრულებს, საბაზრო ტექნიკის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც კოორდინაციას უზრუნველყოფს, სრულად ვლინდება გაცვლის მარტივ ეკონომიკაში, სადაც არც მეწარმეობა არსებობს და არც ფული. როგორც ამ მარტივ მოდელში, ისე მეწარმეობისა და ფულის შემცველ რთულ ეკონომიკაშიც, თანამშრომლობა სრულიად ინდივიდუალური და ნებაყოფლობითია, თუ

1. მეწარმეობა კერძოა, რის გამოც გარიგების მხარეები ინდივიდები არიან,
2. ინდივიდები ფაქტობრივად თავისუფალნი არიან მიიღონ ან არ მიიღონ მონაწილეობა კონკრეტულ გაცვლაში, რის გამოც ყველა გარიგება სრულიად ნებაყოფლობითია.

გაცვლის რეალური თავისუფლების უზრუნვეყოფით ბაზარი გამორიცხავს ერთი პიროვნების ჩარევას მეორე პიროვნების საქმიანობის უმეტეს ნაწილში. „მომხმარებელი დაცულია მიმწოდებლის ძალადობისაგან, სხვა მიმწოდებლის არსებობით, რომელთანაც მას ასევე შეუძლია საქმის დაჭერა. გამყიდველი დაცულია

მომხმარებლის ძალადობისაგან, სხვა მომხმარებელთა არსებობით, რომლებსაც შეიძლება მიყიდოს საქონელი. დასაქმებული დაცულია დამსაქმებლის ძალადობისაგან, სხვა დამსაქმებელთა არსებობით, რომელთათვისაც მას შეუძლია იმუშაოს და ასე შემდეგ, თანაც ყოველივე ამას ბაზარი უპიროვნოდ და ცენტრალური მართვის გარეშე აკეთებს“. ყოველივე აღნიშნული, რა თქმა უნდა, მთავრობის აუცილებლობას არ უარყოფს, რომელიც ორ ძირითად საკითხს წყვეტს: იგი ადგენს „თამაშის წესებს“ და იცავს მათ. ბაზარს მინიმუმამდე დაჰყავს პოლიტიკურად გადასაწყვეტი საკითხების რაოდენობა და შესაბამისად, ეკონომიკურ პროცესებში მთავრობის უშუალო მონაწილეობა. ბაზრის ასევე საუკეთესო თვისებაა განსხვავებათა ფართო დიაპაზონის გათვალისწინების შესაძლებლობა, რაც იმას ჰგავს, რომ „ნებისმიერ ადმიანს შეუძლია აირჩიოს ჰალსტუხის ის ფერი, რომელიც მას მოსწონს და არ მიაქციოს ყურადღება იმას, თუ რა ფერის ჰალსტუხი მოსწონს უმრავლესობას, ხოლო თუკი თვითონ უმცირესობაში მოხვდება, უმცირესობაშივე შეძლოს დარჩენა“.

პირველი თავის ბოლოს, ავტორი კვლავ უბრუნდება ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების ურთერთმიმართების, ამ კონტექსტში ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციის საკითხებს და აღნიშნავს: „თუკი ეკონომიკური ძალაუფლება პოლიტიკურს უერთდება, კონცენტრაცია გარდაუვალი ხდება“. „თუკი ეკონომიკური ძალაუფლება პოლიტიკურისაგან განსხვავებულ ხელში იმყოფება, იგი პოლიტიკური ძალაუფლების გამაკონტროლებლად და გამზომად გვევლინება“.

## **თავი მეორე – სახელმწიფოს როლი თავისუფალ საზოგადოებაში**

წიგნის ავტორი ამ თავში მსჯელობს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებზე, რომელთა მართვაც ბაზარს საერთოდ არ ძალუძს, ან ძალუძს, თუმცა იმდენად ძვირია, რომ უმჯობესია პოლიტიკური არხების გამოყენება. კერძოდ, ეს არის სახელმწიფო, როგორც წესების დამდგენი და მსაჯული. ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობა გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული, რასაც წესები განსაზღვრავს, ეს უკანასკნელი კი საზოგადოების წევრთა თანხმობის შედეგს წარმოადგენს და ხშირად გამომდინარეობს დამკვიდრებული ტრადიციებიდან. ამასთანავე, „წესების ინტერპრეტაციასა და



დაცვაში ჩვენ არ შეგვიძლია დავეყრდნოთ მხოლოდ ტრადიციას, ან მხოლოდ ერთსულოვნებას, ჩვენ მსაჯი გვჭირდება. აი ეს არის მთავრობის ძირითადი როლი თავისუფალ საზოგადოებაში: წესების შეცვლის საშუალებათა შექმნა, ჩვენს შორის ამ წესების შესახებ, წარმოქმნილ განსხვავებათა გაწონასწორება და წესების დაცვის უზრუნველყოფა“.

მთავრობის აუცილებლობას ის გარემოებაც განსაზღვრავს, რომ აბსოლუტური თავისუფლება შეუძლებელია. ანარქია, როგორც საზოგადოებრივი მოწყობის ფილოსოფიური მოდელი, პრაქტიკულად განუხორციელებელია. ერთის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იგი საფრთხეს უქმნის მეორის თავისუფლებას, „როგორც ერთხელ განაცხადა უზენაესმა სასამართლომ: ჩემი მუშტის მოძრაობის თავისუფლება შეზღუდული უნდა იყოს მანძილით შენს ნიკაპამდე“. ამ თვალსაზრისით, ზოგადად, მთავრობის უმთავრესი მიზანი არის ცალკეულ ინდივიდთა თავისუფლებებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტთა გადაწყვეტა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში მარტივია. რთულია ის პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს წინააღმდეგობიდან თანამშრომლობის თავისუფლებასა და შეჯიბრების თავისუფლებას შორის. რა მნიშვნელობას იძენს სიტყვა „თავისუფალი“, როცა მას ვუკავშირებთ სიტყვას „საწარმო“? – კითხულობს ფრიდმენი და იქვე პასუხობს თავის შეკითხვას. შეერთებულ შტატებში „თავისუფალი“ ესმით, როგორც საწარმოს დაარსებაში თავისუფლება და ის, რომ ეს უკანასკნელი კონკურენციას ვერ აიცილებს თავიდან. მეორე მხრივ, ამ სიტყვის მნიშვნელობა ის არის, რომ საწარმოები თავისუფალი არიან აკეთონ რაც უნდათ მტკიცე ფასების დაწესების, ბაზრების განაწილებისა და სხვა მექანიზმების გამოყენების ჩათვლით, რაც მათ კონკურენციას ააშორებს თავიდან.

ასევე მეტად რთული და მნიშვნელოვანია, ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, საკუთრების უფლებათა განსაზღვრა, რომელიც სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

კიდევ ერთი ეკონომიკური სფერო, რომელშიაც განსაკუთრებული რთული პრობლემა წარმოიშობა, არის მონეტარული სისტემა, რომლის მიმართაც მთავრობის პასუხისმგებლობა დიდი ხანია ცნობილია და „არ არსებობს ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფერო, რომელშიც მთავრობის ჩარევა ასე ერთხმად მიიღებოდეს“.

## **მთავრობის საქმიანობა, რომელიც ტექნიკური მონოპოლიიდან**

## და სამეზობლო გავლენიდან მომდინარეობს

მ.ფრიდმანი წერს გაცვლის შესახებ და აღნიშნავს, რომ იგი მაშინაა ჭეშმარიტად თავისუფალი, როდესაც არსებობს მიახლოებითი ექვივალენტები. მონოპოლია გულისხმობს ალტერნატივების უქონლობას და ამით იგი ზღუდავს გაცვლის თავისუფლებას. ფრიდმანის აზრით, მონოპოლიები პრაქტიკულად ყოველთვის წარმოიშობა მთავრობის მხარდაჭერით ან „ინდივიდთა პირის შეკვრით“. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თავიდან ავიცილოთ მთავრობის მიერ მონოპოლიის გამოზრდა ან ეფექტიანად შევუწყოთ ხელი ანტიტრესტული კანონების განხორციელებას. მონოპოლია ასევე შეიძლება წარმოიშვას იმის გამო, რომ ტექნიკურად უფრო მომგებიანი იყოს ერთი მწარმოებლის ან ერთი საწარმოს არსებობა. ამგვარი ტიპის მონოპოლიას ფრიდმანი „ტექნიკურ მონოპოლიად“ მოიხსენიებს.

თუკი ტექნიკური პირობებიდან გამომდინარე, საბაზრო ძალების მოქმედებით ბუნებრივად წარმოიშობა მონოპოლია, შეიძლება არსებობდეს სამი ალტერნატივა: კერძო მონოპოლია, საზოგადოებრივი მონოპოლია და საზოგადოებრივი რეგულირება. ფრიდმანის აზრით „სამივე ცუდია და ჩვენ არჩევანი გასაკეთებელი გვაქვს ამ სამ ბოროტებას შორის“.

სხვადასხვა ავტორთა კვლევების მოშველიებით ფრიდმანი აკეთებს დასკვნას: „თუკი საერთოდ, რომელიმე მათგანი მოსათმენია ან ასატანი, მაშინ კერძო მონოპოლია იქნებოდა ყველაზე მცირე“. ამასთანავე, არჩევანი სამ ბოროტებას – კერძო მონოპოლიას, საზოგადოებრივ მონოპოლიასა და საზოგადოებრივ რეგულირებას შორის, არ შეიძლება გაკეთდეს ერთხელ და სამუდამოდ, რეალური გარემოებებისაგან დამოუკიდებლად. „თუკი ტექნიკური მონოპოლია მომსახურების სფეროს, რომელიც მნიშვნელოვნად მიიჩნევა და მონოპოლიაც მძლავრი იქნებოდა, უამრავი კერძო მონოპოლია თვით მოკლე ვადაშიც დაუშვებელ ზარალს მოიტანდა, თუმცა არც საზოგადოებრივი რეგულირება და არც უშუალო მფლობელობა იქნებოდა ნაკლები ბოროტება“ – აღნიშნავს მეცნიერი.

რა თქმა უნდა, ცალკეულ შემთხვევაში ტექნიკურ მონოპოლიას შეუძლია გაამართლოს de facto საზოგადოებრივი მონოპოლიის არსებობა, თუმცა ფრიდმანი ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს საზოგადოებრივი მონოპოლიისათვის კონკურენციის

აკრძალვას. ტექნიკური მონოპოლიის მაგალითად ავტორს მოჰყავს საფოსტო მომსახურებაზე მონოპოლია.

მეორე დიდი სფერო, სადაც მიუღწეველია გაცვლის სრული თავისუფლება არის შემთხვევა, როდესაც ინდივიდთა ერთი ნაწილის ქმედების გავლენა სხვა ინდივიდებზე გამოუსწორებელი ან არაკონპენსირებადია, ეს არის „სამეზობლო გავლენის“ პრობლემა. ამ გავლენის კარგი მაგალითია წყაროს დაბინძურება. ის ვინც წყაროს აბინძურებს აიძულებს სხვას სუფთა წყალი დაბინძურებულში გაცვალოს. ეს სხვა, შესაძლოა მზადაც იყოს ამ გაცვლისათვის ფასის დასადებად, მაგრამ ვერ ახერხებს ვერც გაცვლის თავიდან აცილებას და ვერც საჭირო კომპენსაციის მიღებას თუკი ის ცალკე იმოქმედებს. მსგავს მაგალითებად მ.ფრიდმანს ასევე მოყვანილი ჰყავს ავტოსტრადების ექსპლოატაცია და პარკების გამოყენება.

ზემოაღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში მთავრობის ჩარევის ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია არ არსებობს. როგორც მეცნიერი მიუთითებს „ყოველი მოსალოდნელი ჩარევის წინ უნდა შევადგინოთ ბალანსი და ავწონ–დავწონოთ შესაძლო დადებითი და უარყოფითი შედეგები. ჩვენი პრინციპები მიგვითითებენ, თუ რა შეიძლება ამ ბალანსში ცალ მხარეს აღმოჩნდეს და რა მეორე მხარეს. ისინი საფუძველს გვიქმნიან ცალკეული პოზიციების მნიშვნელობის განსაზღვრისათვის“.

მესამე მიმართულება არის მთავრობის საქმიანობა პატერნალიზმის საფუძველზე. ფრიდმანის აზრით „თავისუფლება მხოლოდ პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდთა ხვედრია“, რაც გარდაუვალად ხდის პატერნალიზმის ანუ მფარველობის (პატრონობის) აუცილებლობას იმათ მიმართ ვისაც ვერ მივიჩნევთ პასუხისმგებლობის მატარებლებად. ამ უკანასკნელ კატეგორიაში ავტორი განიხილავს სულით ავადმყოფებს და ბავშვებს. მათ მიმართ იგი აუცილებლად მიიჩნევს გარკვეული პატერნალისტური ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც გარკვეული აზრით პიროვნული თავისუფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვის გარეშე შეუძლებელია.

დასასრულ, მ.ფრიდმანი აკეთებს მნიშვნელოვან შეჯამებას საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ფუნქციებთან დაკავშირებით და აღნიშნავს: „მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს კანონისა და წესრიგის დაცვას, განსაზღვრავს საკუთრების უფლებებს, გამოდის შუამავლის

როლში, როდესაც გვინდა შევცვალოთ საკუთრების უფლებები ან ეკონომიკური თამაშის სხვა წესები; წყვეტს დაპირისპირებას წესების ინტერპრეტაციის თაობაზე, ხელს უწყობს ხელშეკრულებებს, წახალისებს კონკურენციას, ქმნის მონეტარულ ჩარჩოებს, მონაწილეობას იღებს ტექნიკური მონოპოლიისათვის ადგილის მიჩენაში, ეხმარება კერძო ქველმოქმედებას და ოჯახებს მათ დაცვაში, ვისაც არ ძალუძს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, გიჟი იქნება ეს თუ ბავშვი – ასეთ მთავრობას ნამდვილად ექნება შესასრულებელი მნიშვნელოვანი ფუნქციები. ბოლოს და ბოლოს ნაღდი ლიბერალი ანარქისტი არ არის“.

ნაშრომის მესამე თავს – „კონტროლი ფულზე“ ფრიდმანი იწყებს ეკონომიკურ თეორიასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების კრიტიკით, რომლის თანახმადაც „სრული დასაქმება“ და „ეკონომიკური ზრდა“ განიხილება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ძირითად გამამართლებელ არგუმენტად. ამ შეხედულებით, თავისუფალ კერძო წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკა არსშივე არასტაბილურია. თუკი იგი საკუთარ ნებას იქნება მინდობილი, იგი აღმავალი და დაღმავალი ციკლებით იმოქმედებს. ამიტომაც აუცილებელი ხდება მასში მთავრობის ჩარევა, რომ სტაბილური დონე იქნას შენარჩუნებული. ეს არგუმენტები ძალაში იყო 1930–იანი წლების „დიდი დეპრესიის“ განმავლობაში და მის შემდგომ. მოგვიანებით დღის წესრიგში დადგა „ეკონომიკური ზრდის“ ლოზუნგი. „ირწმუნებოდნენ, მთავრობამ ეკონომიკურ ზრდას უნდა მიხედოს, რომ ყველას დაუმტკიცოს – დემოკრატია უფრო სწრაფად შეუძლია ზრდა, ვიდრე კომუნისტურ სახელმწიფოს“.

ფრიდმანი მიიჩნევს, რომ ყოველი ამგვარი მტკიცება მცდარია და საფუძველსაა მოკლებული. მისი აზრით, დიდი დეპრესია და ნაწილობრივი უმუშევრობის სხვა პერიოდები თვით მთავრობის მიერ განხორციელებული არასწორი მართვის შედეგია და არა კერძო ეკონომიკის შინაგანი არასტაბილურობის. ნათქვამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ფედერალური სარეზერვო სისტემის (ე.წ. Fed ანუ FRS) მაგალითი, რომელსაც თავის დროზე მთლიანად გადაეცა პასუხისმგებლობა მონეტარულ პოლიტიკაზე და რომელმაც 1930 და 1931 წლებში იმდენი „მოახერხა“, რომ „ის, რაც სხვა შემთხვევაში ეკონომიკის უმნიშვნელო შეკვეცა იქნებოდა, უზარმაზარ კატასტროფად გადააქცია“. შესაბამისად, მ.ფრიდმანი მიიჩნევს, რომ „ის, რაც სასწრაფოდ გვჭირდება ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდისათვის, არის

მთავრობის ჩარევის შემცირება და არა გაზრდა“. თუმცა, „ამგვარი შემცირება მაინც დაუტოვებდა სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს ამ ასპარეზზე. სასურველია, რომ გამოვიყენოთ მთავრობა ეკონომიკისათვის სტაბილური მონეტარული ჩარჩოს შესაქმნელად“. ამასთან ერთად, სამთავრობო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, ფრიდმანის აზრით, ფისკალური ანუ საბიუჯეტო პოლიტიკაა.

მონეტარული პოლიტიკის სფეროში ამოცანა იმგვარი ინსტიტუციონალური ღონისძიებების გატარება, „რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, მთავრობისთვის გადაგვეცა პასუხისმგებლობა ფულზე“, მაგრამ, ამავე დროს, შეგვეზღუდა მთავრობის ძალაუფლება, რათა ამით „თავიდან აგვეცილებინა მისი გამოყენების საშიშროება თავისუფალი საზოგადოების დასასუსტებლად და არა გასაძლიერებლად“.

ნაშრომის ამ ნაწილში დიდი ყურადღება ეთმობა აშშ-ს ცენტრალური ბანკის საქმიანობის ანალიზს და შეფასებას. ამ ინსტიტუტის მიმართ მ.ფრიდმანის დამოკიდებულება ქვეთავის სათაურშივეა დაფიქსირებული. კერძოდ, აშშ-ს ცენტრალური ბანკს იგი უწოდებს „თავნება მონეტარულ დაწესებულებას“. ფრიდმანი განიხილავს ისტორიულ პროცესებს ამერიკის სამოქალაქო ომის დასასრულიდან 1914 წლამდე და მიუთითებს, რომ მისი დაარსება ნაკარნახევი იყო მონეტარული სფეროს სტაბილურობის აუცილებლობით, თუმცა, მისი აზრით, ფედმა ვერ შეძლო ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული 1929–1933 წლების „დიდ დეპრესიაზე“, რომელიც მეცნიერის აზრით, ნათელი დადასტურებაა იმისა „თუ რამხელა ზიანი შეიძლება მიაყენოს, რამდენიმე კაცის ხელში კონცენტრირებულმა შეუზღუდავმა ძალაუფლებამ ქვეყნის მონეტარულ სისტემას, როდესაც ეს ადამიანები შეცდომებს უშვებენ“. აქვე მ.ფრიდმანი პერეფრაზირებას უკეთებს ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის ჯორჯ კლემენსოს სიტყვებს – „ომი იმდენად სერიოზული საქმეა, რომ მისი ჩაგდება ჯარისკაცის ხელში არ იქნება“ და აღნიშნავს: „ფული ძალზე სერიოზული საქმეა იმისათვის, რომ მისი მართვა ცენტრალური ბანკის ბანკირებს ეპყრათ ხელთ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იზადება ბუნებრივი შეკითხვა – „როგორღა შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სტაბილური მონეტარული სისტემა, რომელიც ამავე დროს დაცული იქნებოდა მთავრობის თვითნებობიდან?, სისტემა, რომელიც

უზრუნველყოფდა თავისუფალ წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკის მონეტარულ ჩარჩოებს და ამავე დროს, გამორიცხავდა ძალაუფლების გამოყენების საფრთხეს ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების წინააღმდეგ“? ამ კითხვაზე მ.ფრიდმანს ნათელი პასუხი გააჩნია. კერძოდ, აუცილებელია იმგვარი წესების შემოღება, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემდა პოლიტიკური ინსტიტუტების მეშვეობით ეკონტროლებინა მონეტარული პოლიტიკა და ამავე დროს, დაიცავდა მონეტარულ პოლიტიკას პოლიტიკური ორგანოების ხელში ყოველდღიურ სათამაშოდ გადაქცევისგან.

ნაშრომის მეოთხე თავში საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო ურთიერთობანი – განხილულია სხვადასხვა ეროვნულ ვალუტებს შორის მიმართების პრობლემები და ეს თავი შედგება რამდენიმე პარაგრაფისგან. პირველი პარაგრაფის სათაურია – „საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა ეკონომიკური თავისუფლებისათვის“. მ.ფრიდმანის კატეგორიული მოსაზრებით, „საბაზრო ეკონომიკის ავტორიტარულ ეკონომიკად გადაქცევის საუკეთესო გზა იწყება საერთაშორისო გაცვლაზე კონტროლის შემოღებით. ამ პირველ ნაბიჯს განუხრელად მივყავართ მეორემდე: იმპორტის შეზღუდვამდე, რათა გაკონტროლებულ იქნას ქვეყნის შიდა მეწარმე, რომელსაც იმპორტული საქონელი შემოაქვს, ან მეწარმე, რომელიც ანალოგიურ სამამულო ნაწარმს უშვებს და ა.შ. – უსასრულობამდე“.

ამ პარაგრაფში მეცნიერი საფუძვლიანად აკრიტიკებს ფიქსირებულ გაცვლით კურსს და ასაბუთებს მცურავი გაცვლითი კურსის შემოღებას. აქვე მითითებულია იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მცურავ გაცვლით კურსს ახასიათებს. კერძოდ, მას „ხშირად უკავშირებენ ფინანსურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას, ისევე როგორც რიგ შემთხვევაში ჰიპერინფლაციას ან ჩვეულებრივ ინფლაციას ... ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრისთვის ადვილი ხდება დასკვნის გაკეთება, რომ მცურავი („მოტივტივე“) გაცვლის კურსი არასტაბილურობას იწვევს“.

მ.ფრიდმანი არ ეთანხმება ამგვარ მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ მცურავი გაცვლის კურსის შემოღების სურვილი არ ნიშნავს არასტაბილური გაცვლის კურსის სიყვრულს. „როცა ჩვენ თავისუფლად მოძრავი ფასების სისტემას ვუჭერთ მხარს ჩვენს ქვეყანაში – აღნიშნავს მეცნიერი, ეს არ ნიშნავს, რომ ფასების ზემოთ-ქვემოთ დიდი მერყეობა მოგვწონს. ჩვენ იმგვარი სისტემის მომხრენი ვართ, სადაც ფასები

თავისუფალი იქნება, მაგრამ მათი მარეგულირებელი მექანიზმები იმდენადაა სტაბილური, რომ უზრუნველყოფილ იქნას ფასების მოძრაობის ძალზედ ვიწრო დიაპაზონი. იგივე შეიძლება ითქვას მოტივტივე გაცვლის კურსის შესახებაც. საბოლოო მიზანი ისეთი გაცვლის კურსი უნდა იყოს, რომელსაც თავისუფლად შეუძლია იმოძრაოს, მაგრამ უაღრესად სტაბილური დარჩეს ეკონომიკური პოლიტიკისა და სხვა წანამდღვრების სტაბილურობის გამო. გაცვლის კურსის აარასტაბილურობა ეკონომიკური სტრუქტურის არამდგრადობის ნიშანია. ამ სიმპტომის გამორიცხვა გაცვლის კურსის ადმინისტრაციული გაყინვით არცერთ პრობლემას არ შევლის და მხოლოდ ართულებს მათ გადაწყვეტას“.

ნაშრომის მეხუთე თავში განხილულია ფისკალური პოლიტიკის საკითხები. აქაც მ.ფრიდმანი, როგორც ჭეშმარიტი ლიბერალი კატეგორიულად ილაშქრებს იმ ეკონომისტების (უმეტესწილად კეინზიანელების) წინააღმდეგ, რომლებიც კრიზისიდან გამოსვლისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პირობად სამთავრობო ხარჯების გაზრდას მიიჩნევდნენ. მ.ფრიდმანის აზრით, მასტაბილიზებელ და დამბალანსებელ ინსტრუმენტად ფედერალური ბიუჯეტის განხილვისას მხედველობაში არ მიიღება ის გარემოება, რომ ომის შემდგომ პერიოდში (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი – ე.მ.) „ეროვნულ შემოსავალთა ყველაზე არასტაბილური კომპონენტი იყო ფედერალური ხარჯები... ფედერალური ბიუჯეტი შორს არის იმისგან, რომ დამბალანსებელ ინსტრუმენტად გადაიქცეს, რომელიც შეძლებდა მერყეობის გამომწვევი ძალების დათრგუნვას და თვითონვე გვევლინება არეულობისა და არასტაბილურობის მთავარ მიზეზად“. აქედან გამომდინარე, მ.ფრიდმანი კვლავ გვთავაზობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკას, მათ შორის, ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენებითაც და ხატოვანი შედარება მოჰყავს: „ის რაც სხვაგან მონეტარულ პოლიტიკაზე ვთქვი ფისკალურ პოლიტიკასაც ეხება: „ჩვენ გვჭირდება არა ეკონომიკური მანქანის პროფესიონალი მძღოლი, რომელიც საჭეს გზაზე შემხვედრ მოსახვევებისას ატრიალებს, არამედ იმგვარი გამყოლი, რომელიც უკანა სავარძელზე მჯდომ მგზავრს დააკავებს, როდესაც ამ უკანასკნელს საჭისათვის ხელის წავლება მოუხდება, რითაც მანქანას გზიდან გადავარდნის საფრთხე შეიძლება დაემუქროს“.

მ.ფრიდმანის ნაშრომის ბოლო სამი თავი ძირითადად ეხება სოციალური და ეთიკური ხასიათის საკითხების გადმოცემას. მეათე თავში – შემოსავლის განაწილება

– განხილულია განაწილების ეთიკა. მ.ფრიდმანი აღნიშნავს, რომ თავისუფალ საბაზრო საზოგადოებაში შემოსავლის განაწილებას საფუძვლად უდევს პრინციპი: „ყველას მიუზღოს იმის მიხედვით, რამდენსაც იგი და მის მფლობელობაში მყოფი საწარმო საშუალებები აწარმოებენ“. ამ პრინციპების რეალურად განხორციელება სახელმწიფოს ქმედებაზეა დამოკიდებული. რა მიმართება არსებობს აღნიშნულ პრინციპსა და ადამიანთა შორის თანასწორობის პრინციპს შორის? მ.ფრიდმანი მიიჩნევს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, ემხრობა თუ არა ადამიანი საზოგადოების კაპიტალისტურ მოწყობას, საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ამ პრინციპს ერთ – უმთავრეს ფასეულობად მიიჩნევს. თვით კაპიტალიზმის ყველაზე მწვავე შიდა კრიტიკოსთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ადამიანის მიერ შეტანილი მისთვის მიზღვა ეთიკურად სწორია.

### შიდა განაწილების ფაქტობრივი მხარე

კაპიტალისტური სისტემა, რომელიც ნაწარმის მიხედვით განაწილების პრინციპს ემყარება, წარმოქმნის უზარმაზარ განსხვავებას შემოსავლებსა და ქონებაში. ზოგჯერ ეს იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ კაპიტალიზმი და თავისუფალი ბაზარი უფრო დიდ უთანასწორობას წარმოშობს, ვიდრე სხვა საზოგადოებრივი სისტემები და კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მატულობს. მ.ფრიდმანის აზრით, მსგავსი შეხედულებები არასწორია. მისივე აზრით, „კაპიტალიზმის უდიდესი დამსახურებაა არა ქონების დაგროვება, არამედ ადამიანებისათვის, ქალებისა და კაცებისათვის შესაძლებლობათა შექმნა, რომ მათ სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. კაპიტალიზმის მტრები ხშირად ლანძღავენ კაპიტალიზმს მისი მატერიალიზმისათვის, ხოლო მომხრენი კი აქებენ მატერიალისტურობას, როგორც პროგრესის აუცილებელ პირობას“.

მ.ფრიდმანი ასევე არ ეთანხმება გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კაპიტალიზმის დროს უთანასწორობა უფრო დიდია, ვიდრე ალტერნატიულ საზოგადოებრივ სისტემებში. ამის საპირისპიროდ იგი ამტკიცებს, რომ რაც უფრო მეტადაა განვითარებული კაპიტალიზმი ქვეყანაში, მით უფრო ნაკლებია იქ უთანასწორობა.



რაც შეეხება დროში ცვლილებებს, მ.ფრიდმანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლას თან ახლდა უთანასწორობის მკვეთრი შემცირება.

კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივი სისტემის, უმთავრეს დამსახურებად მ.ფრიდმანს მიაჩნია ის, რომ მან ხელმისაწვდომი გახადა ფართო მასებისათვის საქონელი და მომსახურება, რომლის მოხმარებაც ადრე საზოგადოების მხოლოდ მაღალი კლასის პრივილეგია იყო. „მას, ამავე დროს, მდიდართათვის იმდენად არ გაუზრდია საქონლისა და მომსახურების არჩევანი“. მ.ფრიდმანი საუბრობს განაწილების პრობლემის სხვადასხვა ინტერპრეტაციაზე და ამ საკითხში მთავარ პრობლემას იმაში ხედავს, რომ ხშირად ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ უთანასწორობის ისეთ ასპექტს, როგორცაა შემოსავლების მიხედვით მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. იმ საზოგადოებაში, რომელშიც მაღალი დინამიზმია ოჯახების შემოსავლები სწრაფად იცვლება ხან აღმავალი, ხან კი დაღმავალი მიმართულებით. პირიქითაა მოუქნელ საზოგადოებაში, რომელშიც ოჯახის შემოსავლები ნაკლებად იცვლება. ეს მეორე საზოგადოება, მეცნიერის აზრით, უფრო უთანასწოროა ვინაიდან პირველ საზოგადოებაში უთანასწორობის დამღვევის მეტი შანსი არსებობს, მეორეში კი უთანასწორობა სტატუსის მქონე საზოგადოებასთანაა დაკავშირებული. მ.ფრიდმანის აზრით, „არაკაპიტალისტურ საზოგადოებაში უთანასწორობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე კაპიტალისტურში“ და უფრო მეტიც – „არაკაპიტალისტურ საზოგადოებაში უფრო იხრება პერმანენტულობისაკენ, მაშინ როცა კაპიტალისტურში სტატიკური მდგომარეობა ქრება და მის ადგილს სოციალური მობილურობა იკავებს“.

ზემოაღნიშნული სოციალური და ეთიკური საკითხების განხილვის შემდეგ მ.ფრიდმანი მიმოიხილავს შემოსავლის განაწილების შეცვლაზე მიმართულ ღონისძიებებს და მიუთითებს, რომ ამ სფეროში მთავარი ინსტრუმენტი არის შემოსავლისა და ნაანდერევი ქონების დაბეგვრა. იგი პრინციპულად ეწინააღმდეგება შემოსავლების გადანაწილების მიზნით მაღალი საგადასახადო განაკვეთის შემოღებას და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი „ცხადად წარმოადგენს საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ ძალადობის გამოყენების ფაქტს მეორე ნაწილის მიმართ, რომ ერთს წაერთვას და მეორეს მიეცეს. ამგვარი რამ უშუალოდ ეწინააღმდეგება ადამიანის თავისუფლებას“.

მ.ფრიდმანი გადასახადის საუკეთესო საშუალებად პროპორციულ განაკვეთიანი სისტემის არსებობას მიიჩნევს. მისი აზრით, „პროპორციული, ერთგვაროვან განაკვეთიანი გადასახადი, რეალურად რაოდენობრივად მეტ თანხას შემოიტანდა მაღალი შემოსავლების მქონე პირებისაგან მთავრობის იმ საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც საზოგადოებისათვის აუცილებელია გარკვეულ მიზეზთა გამო. ამავე დროს, ეს თავიდან აგვაცილებდა სიტუაციას, როდესაც ადამიანთა ერთი ნაწილი ადამიანთა მეორე ნაწილს მაღალ გადასახადს უწესებს, მაგრამ საკუთარი საგადასახადო ტვირთის შემცირებას ვერ აწევს“.

ნაშრომის ამ თავის ბოლოს მ.ფრიდმანი არ ღალატობს, რა საკუთარ ლიბერალურ შეხედულებებს, მკვეთრად აკრიტიკებს შემოსავლების განაწილებაში სახელმწიფოს მონაწილეობას და წერს „შემოსავლის განაწილება ჯერაც იმ სფეროს წარმოადგენს, რომელშიც მთავრობამ მის მიერ ჩატარებული ღონისძიებებით საზიანო მეტი გააკეთა, ვიდრე სასარგებლო“. ეს ყველაფერი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მთავრობის ჩარევა და მის მიერ კერძო წარმოების სისტემისათვის მიყენებული ზარალი, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, რასაც მთავრობის ბოხოლები თავის გასამართლებლად იყენებენ, მხოლოდ მათ მიერ შექმნილი პრობლემები არის, დიდი იქნება ეს პრობლემა თუ მცირე.

ნაშრომის მეთერთმეტე თავში გრძელდება სოციალური სამართლიანობის ანალიზი. კერძოდ, აქ განხილულია სოციალური კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტი. მ.ფრიდმანი წერს, რომ ჰუმანიტარულმა და ეგალიტარულმა წარმოდგენამ, რომელიც ემსახურება ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფის „კეთილდღეობას“, არაპროპორციული დაბეგვრის პრაქტიკასთან ერთად გამოიწვია ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა სახელმწიფოს მიერ კომუნალური ბინათმშენებლობა, მინიმალური ხელფასის კანონმდებლობის შემოღება, გლეხების დახმარება, ცალკეული ჯგუფის სამედიცინო უზრუნველყოფა, სპეციალური დახმარების პროგრამების ამოქომედება და ა.შ. მ.ფრიდმანი მიიჩნევს, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა ბაზრის მეშვეობითაა არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ უფრო ეფექტიანიც, ვინაიდან სწორედ იგი „ამლევს საშუალებას მომხმარებელს და არა მწარმოებელს, იპოვოს გზა თუ როგორი მომსახურება სჭირდება კლიენტს“.

კერძო საკუთრებაზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური პარამეტრების ანალიზის პროცესში მ.ფრიდმანი არ უვლის გვერდს სიდატაკის

პრობლემას. იგი აღნიშნავს, რომ „გასული ორი საუკუნის მანძილზე დასავლეთის ქვეყნების სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ და თავისუფალი წარმოების მიღწევათა განაწილების გაფართოებამ უზომოდ შეამცირა სილატაკის დონე დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამასთან ერთად, სილატაკე შეფარდებითი ცნებაა და თვით ამ ქვეყნებშიც კი უამრავი ადამიანი ცხოვრობს იმ დონის ქვემოთ, რომელსაც ჩვენ სილატაკის ზღვარს ვუწოდებთ“. შესაბამისად, აქტუალურია ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. ერთ–ერთ ასეთ გზად მ.ფრიდმანს მიაჩნია კერძო პირთა ქველმოქმედება. იგი წერს: „აღსანიშნავია, რომ შეუზღუდავი თავისუფალი ბაზრის (laisser faire) ზენიტში XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში, კერძო საქველმოქმედო და მოწყალეების გამღები ორგანიზაციების ბუმი იყო. სამთავრობო საქმიანობის გაფართოებამ უზრუნველყოფის სფეროში კერძო ქველმოქმედების სფერო შეამცირა“.

ამასთანავე, მ.ფრიდმანს, როგორც ზედმიწევნით განსწავლულ პიროვნებას, კარგად ესმის რომ მხოლოდ კერძო ქველმოქმედებით სილატაკის პრობლემა ვერ გადაიჭრება და ამიტომ იგი აყენებს სილატაკის შემცირების მიზნობრივი პროგრამების შემუშავების აუცილებლობის საკითხს. მისი აზრით მთავარია, რომ „ამგვარმა პროგრამებმა საბაზრო პირობებში იმოქმედოს და არ შეუშალოს ხელი თვით ბაზრის ფუნქციონირებას“. მსგავსი პროგრამების განხორციელების მექანიზმად მ.ფრიდმანი მიიჩნევს ე.წ. უარყოფითი საშემოსავლო გადასახადის შემოღებას. ამ უკანასკნელის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ვთქვათ, 600 დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან. თუკი მისი შემოსავალი 600 დოლარზე ნაკლებია მას უარყოფითი გადასახადი უნდა შეეწეროს, ანუ იქით უნდა მიიღოს სუბსიდია, რომელსაც შეიძლება საფეხურიანი ხასიათი ჰქონდეს. ამ მოდელის მთავარ ღირსებად მეცნიერი იმას მიიჩნევს, რომ „იგი უშუალოდ სილატაკის პრობლემაზე არის მიმართული და ადამიანებს მათთვის ყველაზე სასურველი სახის დახმარებას, სახელდობრ, ნაღდ ფულს აძლევს“.

ამ სისტემას ამასთანავე, ნაკლოვანებაც ახასიათებს, რომელიც „მისი პოლიტიკური მხარე არის“. კერძოდ, ეს არის სისტემა რომელშიც ადამიანთა ერთ ნაწილს ეკისრება გადასახადი, რომელიც შემდეგ სხვას გადაეცემა სუბსიდიის სახით. ამ სხვებს საარჩევნო ხმა აქვთ. ეს ყოველთვის წარმოშობს საქმის გაუკუღმართების საფრთხეს:

იმის მაგივრად, რომ უმრავლესობამ საკუთარ თავს დაუწესოს გადასახადი, რომლითაც ღარიბ უმრავლესობას ეხმარება, პირიქით შეიძლება მოხდეს და უმრავლესობამ თავის სასარგებლოდ „დაუწესოს გადასახადი მისთვის საქულველ უმცირესობას“.

ნაშრომის ბოლოს ერთგვარი შეჯამების სახით მ.ფრიდმანი მკითხველს სთავაზობს ლიბერალიზმისა და ეგალიტარიზმის, როგორც ორი ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ფილოსოფიის დედაარსს. ლიბერალიზმის ქვაკუთხედია პიროვნების თავისუფლება, იმის შესაძლებლობა რომ განახორციელოს საკუთარი უნარები საკუთარი შეხედულებისამებრ და მხოლოდ ერთი რამით იყოს შეზღუდული: სხვა ადამიანების თავისუფლებით და არ შეიჭრას ამ სხვათა თავისუფლების სფეროში. ეს მიდგომა გულისხმობს ადამიანთა თანასწორობას, ერთი გაგებით და უთანასწორობას მეორით. ყოველ ადამიანს აქვს თანასწორი უფლება იყოს თავისუფალი. ამასთანავე, ადამიანები განსხვავებულნი არიან და ამიტომ განსხვავებულად იყენებენ ამ უფლებას. „სწორედ ამიტომ ასხვავებს ლიბერალი თანასწორობას უფლებებსა და შესაძლებლობებში თანასწორობისგან, მატერიალურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგში“. ამიტომ მიესალმება იგი ყველა ღონისძიებას, რომელიც თავისუფლებისა და თანასწორობის დამკვიდრებისკენ არის მიმართული: მონოპოლიის წინააღმდეგ და თავისუფალი ბაზრის სასარგებლოდ გატარებულ ზომებს; კერძო ქველმოქმედებას; ეთანხმება სილატაკის აღმოფხვრაზე მიმართულ სახელმწიფო საქმიანობას, როგორც ეფექტიან საშუალებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების წევრთა უმრავლესობის საერთო მიზანს. ამასთანავე, „ლიბერალი ამას სინანულით სჩადის, რადგანაც ამ შემთხვევაში თავისუფალ ქმედებას ხშირად ცვლის იძულება“.

რაც შეეხება ეგალიტარიზმის მომხრეებს, ისინი მხარს უჭერენ ერთისათვის ჩამორთმევას და მეორისათვის მიცემას, რასაც ისინი ამართლებენ „სამართლიანობის აღდგენის“ სურვილით. ამ შემთხვევაში მ.ფრიდმანის აზრით, თანასწორობა წინააღმდეგობაში მოდის თავისუფლებასთან: აუცილებელი ხდება არჩევანი, რადგანაც „შეუძლებელია ერთდროულად ეგალიტარიზმსაც იზიარებდე და ლიბერალიზმსაც“.

ამრიგად, მ.ფრიდმანის წიგნის „კაპიტალიზმი დ თავისუფლება“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს სამცნიერო ნაშრომთან, რომელშიც სისტემურადაა გადმოცემული XX საუკუნის ერთ–ერთი ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერის, ეკონომიკური

ლიბერალიზმის თავგამოდებული დამცველის(ფ.ა. ფონ ჰაიეკთან ერთად) კონცეპტუალური შეხედულებები თავისუფლების, როგორც უპირველესი და უმთავრესი ფასეულობის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მასში სახელმწიფოს მონაწილეობის ზომის (ხარისხის), თავისუფლებისა და თანასწორობის და სხვა საკითხების შესახებ. ეს შეხედულებები საფუძვლად დაედო ეკონომიკური თეორიის ნეოკლასიკურ სკოლას, რომელიც 1970–იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული მეინსტრიმულ მიმართულებას წარმოადგენდა და მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად დღესაც ასეთად რჩება.

## თემა 4. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის “მეორე ტალღა”

### ლექცია V - რაციონალური მოლოდინების თეორია



რობერტ ლუკასი

რაციონალური მოლოდინის თეორია (რმთ) მონეტარიზმთან ერთად წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის ახალი (ნეო) კლასიკური სკოლის ერთ-ერთ მიმართულებას. ახალი ეკონომიკური სკოლა წარმოიშვა XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ხოლო 80-იანი წლების დასაწყისში გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ

წამყვან მიმართულებად. რმთ, მონეტარიზმის შემდეგ, მეორე მიმართულება იყო, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა კეინზიანურ ეკონომიკურ შეხედულებებს. მონეტარიზმი და რმთ ემყარება საერთო მეთოდოლოგიურ საფუძველს - ფულის რაოდენობრივ თეორიას. მათ საერთო აქვთ ისიც, რომ ორივე თეორიის თანახმად, ფასებსა და ხელფასებს ახასიათებს მაღალი მოქნილობა, საქონლის მომსახურებისა და რესურსების ბაზრებს კი - მაღალი კონკურენტუნარიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე



თომას

სარჯენტი

ეკონომიკური აზრის ისტორიაში არსებობს ორი შეხედულება: პირველის თანახმად, რმთ მონეტარიზმის ერთ-ერთი განშტოებაა, ხოლო მეორის თანახმად, რმთ წარმოადგენს ახალი ეკონომიკური სკოლის “მეორე ტალღას”. რმთ-ს მთავარი წარმომადგენლები არიან რობერტ ლუკასი (რომლის ძირითადი ნაშრომია “გამოკვლევები საქმიანი ციკლების თეორიის დარგში”, 1981), თომას სარჯენტი (ნაშრომით



რობერტ ბარო

“რაციონალური მოლოდინები და ინფლაცია”, 1986), რობერტ ბარო და ედუარდ პრესკოტი. რმთ-სა და მონეტარიზმის იდეურ სიახლოვეზე ისიც მეტყველებს, რომ რმთ-ს მთავარი წარმომადგენლები - რ. ლუკასი და თ. სარჯენტი იმავე ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან არიან, სადაც მრავალი წელი მოღვაწეობდა

თანამედროვე მონეტარიზმის ფუძემდებელი მილტონ ფრიდმანი.

## რაციონალური მოლოდინის თეორიის ზოგადი დახასიათება

რით რამდენიმე პოსტულატს ემყარება. კერძოდ, ითვლება, რომ სამეურნეო სუბიექტები (ეკონომიკური აგენტები) საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების ოპტიმიზაციას ახორციელებენ რეალური ცვლადების გამოყენების საფუძველზე. რეალური ცვლადების ქვეშ, პირველ რიგში, იგულისხმება შეფარდებითი ფასები. ითვლება, რომ ყოველი მეურნე სუბიექტი ფლობს მხოლოდ შეზღუდულ ინფორმაციას და რაც უფრო ნაკლები ინფორმაცია ეხება მის უშუალო საქმიანობას, მით უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს იგი ამ ინფორმაციას. ასევე ითვლება, რომ ყველა იმ შეფარდებითი ფასიდან, რომელიც მეურნე სუბიექტის საქმიანობაზე ზემოქმედებს, იგი ირჩევს მისთვის ყველაზე უფრო სასურველ ფასს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეურნე სუბიექტი საუკეთესო პროგნოზს აკეთებს. გაითვალისწინება ისიც, რომ ინფორმაციის არასრულყოფილება ხშირად განაპირობებს შეცდომების დაშვებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს განსაკუთრებით შეეხება შეფარდებითი ფასების შეფასებას. კეთდება დასკვნა, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი შემთხვევით ხასიათს ატარებს, რის გამოც იგი დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. ეკონომიკურ ცვლადებს ნორმალური განაწილება (დისპერსია) გააჩნია და ეს უკანასკნელი (რისკის ხარისხი) - მუდმივია დროში. იცვლება მხოლოდ განაწილების ცენტრი. ამრიგად, ეკონომიკური ცვლადების მოსალოდნელი მნიშვნელობა ემთხვევა მათ მათემატიკურ მოლოდინს. რით-ს ეკონომიკური მოდელის მნიშვნელოვანი ელემენტია მოლოდინის ჩამოყალიბების მექანიზმი, რომელსაც ამ თეორიის მიმდევრები ხსნიან რაციონალური მოლოდინის ჰიპოთეზით. პირველად საზოგადოებას ეს ჰიპოთეზა შესთავაზა ჯონ მუტმა 1959 წელს. ჰიპოთეზის თანახმად, მეურნე სუბიექტების მოლოდინები წარმოადგენს პროგნოზებს მომავალში განვითარებული მოვლენების

მიმართ და ემყარება გარკვეულ ინფორმაციას. ეს ჰიპოთეზები ძირითადად ემთხვევა შესაბამისი ეკონომიკური თეორიის ბაზაზე შემუშავებულ პროგნოზებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი მეურნე სუბიექტის თავში ყალიბდება გარკვეული ეკონომიკური მოდელი, რომელიც მოიცავს ამ ინდივიდის მიერ გადაწყვეტილების პროცესში მიღებულ ცვლადებს. ასეთი ცვლადის ერთ-ერთი მაგალითია შეფარდებითი ფასები მეურნე სუბიექტის მიერ გაყიდულ პროდუქციაზე. ინდივიდი, ანალიზებს რა მისთვის ხელმისაწვდომ ყოველგვარ ინფორმაციას, ამის საფუძველზე აგებს სამომავლო მოქმედების გეგმას. მის განკარგულებაში არსებული ინფორმაცია შედგება ტრენდული (მუდმივი) და შემთხვევითი ელემენტებისაგან. შემთხვევით ელემენტს გააჩნია ნორმალური განაწილება ცენტრით კოორდინატთა საწყის წერტილში. მაშასადამე, შემთხვევითი გადახრის მნიშვნელობა აქ ნულის ტოლია. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ საკუთარი მოლოდინების ჩამოყალიბების პროცესში შეუძლებელია ადამიანის მხრიდან სისტემატური შეცდომების დაშვება, რომელთა არსებობა არ გამოირიცხებოდა ადაპტირებული მოლოდინების ჰიპოთეზის ჩარჩოებში (მონეტარიზმი). რმთ-ს მომხრე ახალი კლასიკოსების აზრით, ნებისმიერი შეცდომის დაშვების შესაძლებლობა შეუთავსებელია მეურნე სუბიექტის ოპტიმიზაციური ქცევისათვის, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ წარსულის გამოცდილებას, არამედ მის განკარგულებაში არსებულ მთელ ინფორმაციას. ამრიგად, რმთ-ს მომხრეებისათვის დამახასიათებელია ოპტიმიზაციის პრინციპის საყოველთაო გამოყენება, რომლის საფუძველზეც ისინი აყალიბებენ ბაზრების მყისიერი განტვირთვის (“გასუფთავების”) იდეას. აქედან გამომდინარე, ბაზრები რმთ-ს მომხრეთა მოდელებში, იმყოფებიან მუდმივი წონასწორობის მდგომარეობაში. რმთ-ში ჩვენ ვხედავთ ლეონ ვალრასის საერთო წონასწორობის ახლებურ ინტერპრეტაციას ქცევის ოპტიმიზაციის საფუძველზე დაყრდნობით. რმთ-ს მომხრე ახალი კლასიკოსების აზრით, ბაზრების უწონასწორობის დაშვება შეუთავსებელია მეურნე სუბიექტების ოპტიმიზირებულ ქცევასთან.



## საქმიანი ციკლის თეორია

### არასრული ინფორმაციის საფუძველზე

საქმიანი, ანუ ეკონომიკური ციკლის ქვეშ იგულისხმება რეალური ეროვნული პროდუქტის ცვლილება საკუთარი ტრენდული მნიშვნელობის გარშემო. რმთ-ს ჩარჩოებში ამ პრობლემის კვლევას საფუძველი ჩაუყარა რ. ლუკასმა 1969 წელს. იგი მიიჩნევდა, რომ ციკლური მერყეობა არ წარმოადგენს კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკისათვის იმანენტურად დამახასიათებელ მოვლენას. რმთ-ს მომხრე ახალი კლასიკოსების აზრით, საქმიანი ციკლის მოდელი არის წონასწორობითი კონსტრუქცია, სადაც რეალური ცვლადების (დასაქმების დონე, მოხმარება და ინვესტიციები) რყევა წარმოადგენს ფასების ცვლილებაზე სამეურნეო სუბიექტების ოპტიმიზირებული ქცევის შედეგს. ესწრაფვიან რა საკუთარი მდგომარეობის ოპტიმიზაციას, სამეურნეო სუბიექტები გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და სხვა რეალური სიდიდეების ცვლილებებით რეაგირებენ ფასების ცვლილებაზე.

განვიხილოთ წარმოსახვითი ეკონომიკა, რომელშიც მოქმედებს ე.წ. “წარმომადგენლობითი” (რეპრეზენტატიული) მეურნე სუბიექტი. ეს უკანასკნელი ერთდროულად მუშაობს და სამუშაოს მიმცემიც. მაშასადამე, მისი არსებობის ფორმა დაკავშირებულია შრომით საქმიანობასთან. ეკონომიკა შედგება მრავალრიცხოვანი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ბაზრებისაგან. თითოეულ მათგანში მოქმედებს თავისუფალი კონკურენცია, ანუ ფასები ყალიბდება მყიდველებისა და გამყიდველებისაგან დამოუკიდებლად. ამასთანავე, ითვლება, რომ ფასების საერთო დონე ასეთ ეკონომიკაში არ განიცდის რყევებს იმ დროს, როცა ცალკეულ ბაზრებზე ფასები მუდმივად მერყეობს. აღნიშნულ წარმოსახვით ეკონომიკაში დაშვებულია ფულის არსებობაც, რომელიც ასრულებს მიმოქცევის საშუალებისა და ფასეულობის გაზომვის ფუნქციებს. ინდივიდი ამოდის საკუთარ პროდუქციაზე დამყარებული ფასიდან და განსაზღვრავს საკუთარი სამუშაო საათების დღიურ ნორმას. იგი აწარმოებს და ყიდის პროდუქციის გარკვეულ რაოდენობას, მიღებული შემოსავლიდან ყიდულობს საარსებო დოვლათს და სახლში მიდის დასასვენებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცალკეულ ბაზრებზე

ფასები მუდმივად იცვლება, თუმცა ამ ცვლილებების ანალიზი მოცემული მოდელის მიღმა რჩება. ჩვენ მხოლოდ გვანტერესებს რეპრეზენტატიული ინდივიდის რეაქცია ფასების ცვლილებებზე. ამ ცვლილების უშუალო განხილვამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფასების ცვლილებას შეიძლება ჰქონდეს მუდმივი ან ცვალებადი ხასიათი, რაზედაც დამოკიდებულია ინდივიდის ქცევის რეაქცია. კერძოდ:

- I. ფასის მუდმივ ცვლილებაზე ინდივიდის ქცევა ისეთია, რომ იგი ნაკლებად ზრდის საკუთარ მცდელობას, ანუ პროდუქციის გამოშვებას. უფრო სავარაუდო ის არის, რომ მოხდება გამოშვების მოცულობის შემცირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძელვადიან პერიოდში შრომის მიწოდების ელასტიურობა ნულის ტოლია;
- II. ფასის დროებით ცვლილებაზე შრომის დანახარჯების ელასტიურობა მაღალია. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ინდივიდი მზადაა დახარჯოს არაპროპორციულად მეტი შრომა, რათა მეტი შემოსავალი მიიღოს, მეტი სამომხმარებლო საქონელი შეიძინოს და მომავალში მეტი დასვენების შესაძლებლობა შეიქმნას. ფასების დროებით შემცირებისას კი იგი არაპროპორციულად ნაკლებ შრომას ხარჯავს.

ახლა დავუშვათ, რომ რეპრეზენტატიული ინდივიდი მთელ პროდუქციას კი არ ყიდის, არამედ მის ნაწილს ინახავს მომავალში ფასების მომატების მოლოდინში. ამ შემთხვევაში გამოშვების ელასტიურობა ფასის მიხედვით მცირდება, ხოლო გაყიდვების მოცულობის ელასტიურობა ფასების მიხედვით იზრდება.

შემდეგი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ რეპრეზენტატიული ინდივიდი საკუთარი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ მთელ ამონაგებს იყენებს მანქანების შესაძენად, რაც ზრდის მის შრომის მწარმოებლურობას. ჩვენ აქ ვაწყდებით გარკვეულ წინააღმდეგობას: ინვესტიციები, რომლებიც განაპირობებს შრომის მწარმოებლურობის გაზრდას, შეიძლება გამოსყიდულ იქნას მხოლოდ ფასების მუდმივი ზრდის შემთხვევაში. ასეთ პირობებში ახალი მოწყობილობა ვერ გამოისყიდის საკუთარ თავს, ვინაიდან მომდევნო პერიოდში ფასები შეიძლება კვლავ დაეცეს და ამონაგები არ აღმოჩნდეს საკმარისი გაწეული ხარჯების დასაფარავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინვესტიციებისა და დასაქმების

მუდმივი რყევის ასახსნელად უნდა დავუშვათ, რომ ფასის ცვლილება შედგება მუდმივი და დროებითი ელემენტებისაგან, თუმცა იმის თქმა, ფასის რომელი ნაწილი რომელ კატეგორიას მიეკუთვნება შეუძლებელია. ერთადერთი, რასაც ინდივიდი შეიძლება დაეყრდნოს, არის ვარაუდი, რომელიც არასრულყოფილი ინფორმაციის პირობებში შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ეს კი განაპირობებს ფასების ცვლილებაზე ინდივიდის არასწორი რეაგირების შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფასის ყოველ მოულოდნელ მომატებაზე ინდივიდის რეაქცია გამოიხატება შრომის დანახარჯების მნიშვნელოვან ზრდაში, მზა პროდუქციის მარაგების შემცირებაში და კაპიტალური მარაგების გადიდებაში. ფასის მოულოდნელ შემცირებაზე კი საწინააღმდეგო პროცესებთან გვექნება საქმე.

განსხვავებულია მდგომარეობა, როდესაც ადგილი აქვს ცალკეული ფასების რყევას, რომელიც ერთმანეთთან არ არის შეთანხმებული. ამ დროს ერთ დარგში ფასების ზრდისაგან გამოწვეულ პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმების ზრდასთან ახლავს მეორე დარგში (სადაც ფასები შემცირდა) დასაქმებისა და გამოშვების შემცირება. შედეგად ვიღებთ სიტუაციას, როცა ეკონომიკის ერთობლივი რეალური მოცულობა და დასაქმების დონე არ იცვლება, ცვლილებას განიცდის მხოლოდ ეკონომიკის სტრუქტურა. ახლა დავუშვათ, რომ რყევას განიცდის ფასების საერთო დონეც. ეს ნიშნავს ყველა, ან თითქმის ყველა ფასის ერთი მიმართულებით შეცვლის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში ფასები უცვლელი დარჩება და რაციონალური ინდივიდი, სიტუაციის სწორი გაგების შემთხვევაში, არავითარ რეაგირებას არ მოახდენს ამ ცვლილებაზე. თუკი რეაგირება მაინც ხდება, მხოლოდ იმის გამო, რომ ინდივიდებს არ შეუძლიათ განასხვავონ შეფარდებითი ფასების ცვლილება (რყევა) ფასების საერთო დონის რყევისაგან. ამ შემთხვევაში ფასების საერთო დონის მომატებამ ინდივიდს შეუძლია უბიძგოს დასაქმებისა და ინვესტიციების გაზრდისაკენ, რასაც ისინი აკეთებენ საკუთარ პროდუქციაზე შეფარდებითი ფასების გაზრდის შემთხვევაში. ამ დროს დასაქმება და ინვესტიციები გაიზრდება მთელი ეკონომიკის მასშტაბითაც.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა სწორია იმ შემთხვევაში, როცა ფასების საერთო დონის ცვლილება (ზრდა) მოულოდნელი ხასიათისაა. თუკი მსგავსი რამ ადრეც ხდებოდა, რაციონალური მეურნე სუბიექტი საკუთარი გამოცდილების

საფუძველზე თავის მოლოდინში ჩართავს ფასების ცვლილების (ზრდის) ინფლაციურ კომპონენტს და უკვე აღარ რეაგირებს ფასების ზრდაზე გამოშვებისა და დასაქმების გადიდებით.

ინვესტიციები კიდევ უფრო აძლიერებს გამოშვებისა და დასაქმების რყევას. მწარმოებლები ფასების საერთო დონის ზრდას შეცდომით აიგივებენ საკუთარ პროდუქციაზე შეფარდებითი ფასების ზრდასთან. რეაქციის სახით ისინი ზრდიან დასაქმებას და ახორციელებენ ახალ ინვესტიციებს, რაც თავის მხრივ, იწვევს საწარმოო სიმძლავრეების გაზრდას და აბრკოლებს ფასების საერთო დონის ზრდას. შექმნილი მდგომარეობის გაცნობიერება მეურნე-სუბიექტების მხრიდან დროში იწელება, რის გამოც გარკვეული პერიოდის მანძილზე ისინი რჩებიან მცდარი მოლოდინების ტყვეობაში. მხოლოდ შედარებით ხანგრძლივი დროის შემდეგ შეიძლება მიხვდნენ ისინი საკუთარ შეცდომას, მაგრამ ამ დროს საწარმოო სიმძლავრეების წარმადობა უკვე საგრძნობლად აჭარბებს მათ რაციონალურ დონეს. მაშასადამე, ინვესტიციების მოცულობა რაციონალურ დონეზე დაბლა უნდა განხორციელდეს, რათა ეკონომიკის “გადახურება” კიდევ უფრო არ გაძლიერდეს. ამრიგად, ინვესტიციების გაფართოება საკუთარ თავში მოიცავს ეკონომიკის შემდგომი დაქვეითების შესაძლებლობას.

ფასების საერთო დონის ცვლილებას საფუძველად უდევს ფულის მასის ცვლილება (რყევა). მონეტარისტული მიდგომის მომხრეთა მსგავსად, რმთ-ს მომხრეები ამტკიცებენ, რომ ფულის მიწოდების გაზრდა ან შემცირება გარკვეული ლაგით იწვევს ფასების დონის გაზრდას ან შემცირებას. ორივე მიმართულების მომხრეთა აზრით, ფასების გაუთვალისწინებელი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია გაუთვალისწინებელი ცვლილებებით ფულად პოლიტიკაში, წარმოადგენს საქმიანი ციკლის რყევის მთავარ მიზეზს.

# თეოდორ სარჯენტის ნაშრომი “რაციონალური მოლოდინები და ინფლაცია”

## (Rational Expectations and Inflation, 1986)

რაციონალური მოლოდინების თეორია (სარჯენტის მიხედვით) აღწერს ისეთ ეკონომიკურ სიტუაციებს, როდესაც ინდივიდთა საქმიანობის შედეგები ნაწილობრივ დამოკიდებულია მათ მოლოდინებზე. მაგ., ფულის გაუფასურება და ამ გაუფასურების ტემპი ხშირად განპირობებულია გაუფასურების შესაძლებლობისა და მისი ტემპების მიმართ მოლოდინებთან. აღნიშნულის მიზეზი კი ის არის, რომ ადამიანები ცდილობენ ფულის თავიდან მოშორებას. ამიტომ ფულის მიწოდება ბაზარზე იზრდება და ფული რეალურად უფასურდება. იგივე შეიძლება ითქვას ფასიანი ქაღალდების, აქციებისა და ობლიგაციების შესახებაც.

მოლოდინის გამოყენებას ეკონომიკურ თეორიაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. კერძოდ, მას იყენებდნენ ა. პიგუ, ჯ. მ. კეინზი და ჯ. რ. ჰიკსი. კეინზი მოლოდინს განიხილავდა როგორც “ოპტიმიზმისა და პესიმიზმის ტალღებს”, რომელიც, მისი აზრით, განსაზღვრავდა საქმიანი აქტივობის დონეს. რმთ ამ კატეგორიას განიხილავს საკუთარი ანალიზის ამოსავალ წერტილად.

მოლოდინებსა და რეალურ შედეგებს შორის ურთიერთკავშირს ორადი ხასიათი გააჩნია. მოლოდინის წარმოშობისას ადამიანები იმის პროგნოზირებას ცდილობენ, რაც მომავალში ნამდვილად მოხდება. სწორი პროგნოზის გაკეთებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მასზეა დამოკიდებული მეურნე სუბიექტის მიერ მოგების ან სარგებლის მიღება.

რაციონალური მოლოდინის თეორიის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა აქციებზე ფასწარმოქმნის თეორია, რომელიც ემყარება ეფექტიანი ბაზრების არსებობას. ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში ინვესტორები იღებენ შემდეგ გადაწყვეტილებას: ისინი ყიდულობენ ისეთ აქციებს, რომლისგანაც მოელიან საშუალოზე უფრო მაღალი შემოსავლის მიღებას და ყიდიან იმ აქციებს, რომლებზედაც ნაკლები მოგების იმედი აქვთ. ამის შედეგად ყალიბდება ფასები აქციებზე, რომელთა ცვლილებასაც რისკის ხარისხი განსაზღვრავს. ეს ცვლილება გრძელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება ყველა აქციისაგან მოსალოდნელი

შემოსავლის გათანაბრება. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ ინვესტორთა პროგნოზები “ჩაშენებულია” აქციების ფასებში და წარმოადგენს ამ ფასების ასახვას.

კიდევ ერთი დასკვნა ის არის, რომ მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის ფაქტორებს შეუძლიათ აქციების ფასების შეცვლა და ეს ცვლილება აღინიშნება როგორც “შემთხვევითი ხეტიალი”. მსგავსი სიტუაციის არსებობა დასაბუთებულია მრავალი ემპირიული გამოკვლევით.

## **პერმანენტულ შემოსავალზე დამყარებული მოხმარების თეორია**

კეინზიანური სამომხმარებლო ფუნქცია გულისხმობს მოხმარებასა და შემოსავალს შორის დადებით ურთიერთკავშირს. 1940-იანი და 1950-იანი წლების ემპირიულმა გამოკვლევებმა დაადასტურა ზოგიერთი გადახრა ამ თეორიიდან, რომელიც მ.ფრიდმანმა ახსნა **პერმანენტული შემოსავლის თეორიაზე** დაყრდნობით. ფრიდმანი თავის ანალიზში ეყრდნობოდა ირვ. ფიშერის იდეას იმის შესახებ, რომ მოხმარება დამოკიდებული უნდა იყოს არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ მომავალში მოსალოდნელ შემოსავალზეც. აქედან გამომდინარე, მ.ფრიდმანმა ჩამოაყალიბა **ადამიანების საკუთარი პერმანენტული შემოსავლის საფუძველზე მოხმარების პოსტულატი**. მართალია, ფრიდმანს არ გამოუყენებია ტერმინი “რაციონალური მოლოდინები”, მაგრამ მისი მსჯელობის ლოგიკა ნათლად გულისხმობდა ამ ფენომენის არსებობას. ჯ. ფ. მუტმა და რ. ე. ჰოლმა სტემფორდის უნივერსიტეტიდან ეს ლოგიკა დაასრულეს იმით, რომ ფრიდმანის მოდელში პრაქტიკულად ჩართეს რაციონალური მოლოდინები და ამ გზით მეტად საინტერესო შედეგები მიიღეს. კერძოდ, ჰოლმა დაასკვნა, რომ მოხმარების დინამიკას გააჩნია “შემთხვევითი ხეტიალის” ხასიათი, ანუ მომავალი მოხმარების შესახებ საუკეთესო პროგნოზის საფუძველია მიმდინარე მოხმარების დონე. ეს დასკვნა ავსებს ფრიდმანის პერმანენტული შემოსავლის მოდელს და ასახავს ადამიანის უნარს: ა) შეაფასოს საკუთარი სიმდიდრე და ბ) გაანაწილოს იგი დროში. თუკი მოთხოვნა დროში ყოველ მონაკვეთში შეესაბამება სიმდიდრის უცვლელ დონეს, ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნა და სიმდიდრე ტოლია წინა პერიოდის

მსგავს სიდიდეებს დამატებული არაპროგნოზირებადი, ანუ გაუთვალისწინებელი შოკი (პროგნოზში დაშვებული შეცდომა).

რით-ზე დამყარებულმა პერმანენტული შემოსავლების ჰიპოთეზამ არსებითად შეცვალა ეკონომისტთა წარმოდგენა მოკლევადიან სტაბილიზაციურ პოლიტიკაზე, კერძოდ, შემოსავლების დროებით შემცირებაზე. კეინზიანელები თავის დროზე მიიჩნევდნენ, რომ გადასახადების შემცირება **განკარგვადი შემოსავლის** გადიდების გზით ზრდის მოხმარებას. პერმანენტული შემოსავლის ჰიპოთეზის მიხედვით, გადასახადების დროებით შემცირების მოხმარებაზე ზემოქმედების ეფექტი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ კეინზიანელები. მიზეზი კი ის არის, რომ ადამიანები სამომხმარებლო გადაწყვეტილებებს იღებენ არა საკუთარი განკარგვადი შემოსავლიდან, არამედ საკუთარი სიმდიდრიდან გამომდინარე. გადასახადების შემცირება, რით-ს მომხრეთა აზრით, საერთოდ არ ზემოქმედებს, ან ძალიან მცირე ზომით



**რობერტ კინგი**

ზემოქმედებს სიმდიდრეზე და, შესაბამისად, მოხმარებაზეც. რით-ს წარმომადგენელი, **რობერტ კინგი** აღნიშნავს, რომ გადასახადების შემცირებისას სახელმწიფო იძულებულია მეტი ისესხოს, რის გამოც მას მოუხდება მომავალში გადასახადების გაზრდა. მსგავსმა მოლოდინმა კი, შესაძლებელია, გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის შემცირება. აღნიშნული მოსაზრება ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია **ბარო-რიკარდოს** თეორემის სახელწოდებით.



**ჩარლზ პლოსერი**

1980-90-იან წლებში მეცნიერების **ჯონ ლონგისა და ჩარლზ პლოსერის** მიერ შემუშავებული იქნა ციკლების ახალი კონცეფცია, რომელშიაც საქმიანი აქტივობის ციკლური მერყეობა ახსნილია მიწოდების სფეროს შოკების საფუძველზე (აღნიშნულ საკითხს ჩვენ ვრცლად შევეხებით მერვე თემაში).



**ჯონ ლონგი**

მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფცია შეტანილია მაკროეკონომიკის თითქმის ყველა გაღრმავებულ (advanced) სახელმძღვანელოში, აკადემიურ წრეებში მან დღემდე ვერ მოიპოვა დიდი მხარდაჭერა. ამჟამად მიმდინარეობს პერმანენტული შემოსავლის თეორიის გამდიდრება მასში რიგი ახალი ფაქტორების ჩართვით, თუმცა მთავარი იდეა კვლავ უცვლელი რჩება.

## მცდარ მოლოდინზე დამყარებული საქმიანი ციკლის მოდელები

საქმიანი ციკლის ტრადიციულ თეორიაში ითვლება, რომ პროგნოზირებისას დაშვებული შეცდომები წარმოადგენს საქმიანი აქტივობის რყევის მთავარ მიზეზს. რ. ჰოლი ასე აფასებს მოცემული თეორიის მომხრეთა შეხედულებებს: ”ინფლაციიდან მიღებული სარგებელი მომდინარეობს ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამოყენებიდან. ცდომილება განსაზღვრავს ეკონომიკური აგენტების ქცევას და სასარგებლოა საზოგადოებისათვის, მაგრამ საზიანოა თავად ამ აგენტებისათვის. აქტიურ და მოსალოდნელ ინფლაციას შორის განსხვავება არის ამ ცდომილების საზომი. ოპტიმალური პოლიტიკა თითქმის აღარ არის ექსპანსიონისტური (ინფლაციური), როდესაც ადგილი აქვს ეკონომიკური აგენტების მოლოდინების კორექტირებას და ინფლაციური პოლიტიკის ეფექტის დიდი ნაწილი იკარგება საზოგადოებისათვის ძვირადღირებული ინფლაციის მოლოდინში”.

რით შეიცავს იდეას არასწორი მოლოდინების ჩამოყალიბების გზით ეკონომიკური პოლიტიკის შემოქმედთა მხრიდან ეკონომიკის მუდმივი მანიპულირების შესახებ. რ.ლუკასმა აჩვენა, რომ თუკი მოლოდინები რაციონალურია, მათი მანიპულირება შეუძლებელი ხდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ რაციონალური პროგნოზის მკეთებელთა მიერ დაშვებული შეცდომები განუჭვრეტელია. ლუკასის კვლევამ მიგვიყვანა შედეგამდე, რასაც “არაეფექტიანი პოლიტიკის თეორემას” უწოდებენ. კერძოდ, თუკი ადამიანებს გააჩნიათ რაციონალური მოლოდინები, მცდარი მოლოდინების გაჩენით ეკონომიკის მანიპულირების პოლიტიკას შეუძლია ეკონომიკაში “ხმაურის” გამოწვევა და არა მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდა. თ. სარჯენტის ზემოაღნიშნული



მსჯელობებიდან ჩვენ შეგვიძლია ლოგიკურად გადავიდეთ რაციონალური მოლოდინის თეორიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხების გადმოცემაზე.

## **რაციონალური მოლოდინის თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

რმთ-ს ერთ-ერთი წარმომადგენლის, რობერტ კინგის აზრით, მოთხოვნა და მიწოდება წარმოადგენს ინდივიდების, ფირმების და საოჯახო მეურნეობების რაციონალური ეკონომიკური მოქმედების შედეგს. მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი კი არის ეკონომიკაში არსებული ბაზრების საერთო წონასწორობის შედეგი. ვინაიდან საბაზრო გადაწყვეტილებები მიიღება რაციონალური აგენტების მიერ, ითვლება, რომ ეს გადაწყვეტილებები ყოველთვის ეფექტიანია მათი მიმღებებისათვის. მაშასადამე, ინდივიდუალურ საბაზრო რაციონალურობას მივყავართ სოციალურად სასურველ შედეგებამდე. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა, კინგის აზრით, შეიძლება დასაბუთდეს მხოლოდ ორი არგუმენტით: “ბაზრის ჩავარდნის” გამოსწორების სურვილით და სახელმწიფო პოლიტიკის მიერ სოციალურად სასურველი გარდაქმნების განხორციელების შესაძლებლობით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რმთ-ს სხვა მომხრეები, რომლებიც დღეისათვის უმრავლესობას წარმოადგენენ, ნაკლებად იზიარებენ რ. კინგის მსგავს ოპტიმიზმს. ისინი აღნიშნავენ, რომ რაციონალური მოლოდინებიდან გამომდინარე, მოსახლეობის რეაქცია საკუთარ მოლოდინებზე არაეფექტიანს ხდის მასტაბილიზირებელ ეკონომიკურ პოლიტიკას. ავიღოთ, მაგალითად, საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა. დავუშვათ, რომ მონეტარულმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა წარმოების რეალური მოცულობისა და მასთან ერთად დასაქმების დონის გადიდება და ამ მიზნით გადაწყვიტა იაფი ფულის პოლიტიკის გატარება. საკუთარი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მოსახლეობა მოელის, რომ ამგვარი პოლიტიკა გააძლიერებს ინფლაციურ პროცესებს და იწყებს თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას: მუშები მოითხოვენ ხელფასის ფულადი

(ნომინალური) განაკვეთების გაზრდას, საწარმოები ზრდიან ფასებს საკუთარ პროდუქციაზე, კრედიტორები ამალეებენ სარგებლის განაკვეთებს. აქედან გამომდინარე, იზრდება როგორც ხელფასის, ისე ფასების დონე და იაფი ფულის პოლიტიკის გატარების შედეგად ერთობლივი დანახარჯების ზრდით მიღებული ეფექტი მთლიანად შთაინთქმება ხელფასისა და ფასების ზრდით, წარმოების რეალური მოცულობა და დასაქმების დონე კი არ იცვლება. მსგავსი დასკვნა ნიშანდობლივია მონეტარიზმისთვისაც. კერძოდ, მონეტარისტული ტოლობის ტერმინოლოგიით იაფი ფულის პოლიტიკა ზრდის რა **M**-ს, ადიდებს (აფართოებს) **MV** ერთობლივ დანახარჯებს. თუმცა მოსახლეობაში ინფლაციური მოლოდინის ზრდა გამოიწვევს **P** ცვლადის ზრდას, რაც **MV**-ს გაფართოების ტოლია. ამრიგად, **V**-ს გაფართოების მიუხედავად, წარმოების რეალური მოცულობა **Q** და დასაქმების დონე არ იზრდება.

რით ამოდის შემდეგი თეორიული წანამძღვრებიდან: ა) ყველა ბაზარი მაღალკონკურენტულია და ბ) ფასების და ხელფასების განაკვეთები მოქნილია გადიდების თუ შემცირების მიმართულებით. სწორედ ამიტომ, ახალი ინფორმაცია სწრაფად, ზოგიერთ შემთხვევაში კი მყისვე აისახება მსგავსი ბაზრების მოთხოვნა-მიწოდების მრუდებზე. წარმოების წონასწორული ფასები და წონასწორული მოცულობები სწრაფად ეგუება შეცვლილ სიტუაციას, საბაზრო რყევას ან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს რით-ს მომხრეთა აზრი, რომ სახელმწიფოს მხრიდან აქტიური პოლიტიკის გატარებამ შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკის არასტაბილურობა. ისინი განსაკუთრებით ილაშქრებენ დისკრეციული პოლიტიკის წინააღმდეგ. ვთქვათ, ეკონომიკა მიექანება დაქვეითებისაკენ, რაზედაც სახელმწიფო რეაგირებს გადასახადების შემცირებით. კერძოდ, იგი საწარმოებს საგადასახადო შეღავათებს ანიჭებს კაპიტალდაბანდებებზე. ბუნებრივია, ეს ღონისძიება საწარმოებს აძლევს სტიმულს გაზარდონ ინვესტიციური ხარჯები და, შესაბამისად, გაიზრდება ერთობლივი მოთხოვნაც. თუკი მსგავსი ქმედება (საგადასახადო შეღავათების დაწესება) რამდენჯერმე განმეორდება, მეწარმეები გააკეთებენ დასკვნას, რომ ეკონომიკის დაქვეითებაზე პოლიტიკოსები რეაგირებენ კაპიტალდაბანდებებზე საგადასახადო შეღავათების გაცემით და ახალი შეღავათების მოლოდინში

გადაავადებენ კაპიტალდაზანდებების განხორციელებას. ეს, თავის მხრივ, გააძლიერებს ეკონომიკურ დაქვეითებას. როცა გადასახადები რეალურად შემცირდება, ინვესტიციის ნაკადი უჩვეულოდ გაძლიერდება. ამრიგად, საგადასახადო პოლიტიკამ გააძლიერა ინვესტიციების, და მასთან ერთად - საქმიანი ციკლის რყევა. საბოლოო დასკვნა კი ასეთია: რაციონალური მოლოდინის თეორიის თანახმად, დისკრეციული პოლიტიკა კი არ არბილებს, არამედ აძლიერებს ეკონომიკის ციკლურ რყევებს. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, თუ საერთოდ უარს ვიტყოდით ამ პოლიტიკაზე და უპირატესობას მივანიჭებდით წესებზე დამყარებულ პოლიტიკას.

ცხადია, რომ ამ თეზისით რმთ ძალიან ემსგავსება მონეტარიზმს, თუმცა წესებზე დამყარებული პოლიტიკის დასაბუთება რმთ-ს მომხრეთა მიერ განსხვავებულია. მათი აზრით, პოლიტიკის არაეფექტიანობა განპირობებულია არა მის განხორციელებაში დაშვებული შეცდომებით, ან კიდევ ადეკვატური ღონისძიებების გატარების დაყოვნებით, არამედ ამ გადაწყვეტილებებზე ეკონომიკური აგენტების რეაქციით. ადამიანები საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებულები როგორც მასტაბილიზირებელი პოლიტიკის, ისე მისი მოსალოდნელი შედეგების თაობაზე, რის გამოც ამ პოლიტიკის ეფექტიანობა ნულს უტოლდება. მაშასადამე, მონეტარიზმი ემყარება არასაკმარისი, რმთ კი ჭარბი ინფორმირებულობის პრინციპს.

რმთ-სა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის ურთიერთკავშირი მოიცავს რ. ლუკასის “არაეფექტიანი პოლიტიკის თეორემის” ასპექტსაც, რომელიც დაკავშირებულია პროგნოზირებაში დაშვებული შეცდომის სტიმულირებიდან გამომდინარე ეფექტთან. სხვა ტიპის სტიმულებთან მიმართებაში, ეს თეორემა არ მუშაობს და სწორედ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი რმთ-ს ყველაზე წარმატებული გამოყენება ფულადი და ფისკალური პროცესების შესწავლაში.

რმთ ერთგვარი სამუშაო ჰიპოთეზაა იმ თანამედროვე გამოკვლევებში, რომელთა მიზანია ფულადი და ფისკალური ორგანოების მიერ “კარგი რეპუტაციის” შექმნის ან დაკარგვის მიზეზთა ანალიზი. რ. ბაროსა და ნ. სტოკის “რეპუტაციული წონასწორობის” მაკროეკონომიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ როგორც მოქალაქეების, ისე პოლიტიკის შემოქმედთა მხრიდან უპირატესობის

მინიჭების პრინციპი ან ტექნოლოგიებისა და სავაჭრო შესაძლებლობების ანალიზი არ არის საკმარისი იმის გასარკვევად, თუ რა სახის პოლიტიკა უნდა გაატაროს სახელმწიფომ, რაზე აიღოს ორიენტაცია მაღალ თუ დაბალ ინფლაციაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, რმთ-ს ჩარჩოებში რეპუტაცია პოლიტიკის განსაზღვრის დამოუკიდებელ ფაქტორად რჩება.

**არგუმენტები რაციონალური მოლოდინის თეორიის წინააღმდეგ**

*რმთ წამყვანი თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიაა, თუმცა არსებობს მისი საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლებიც ემყარებიან სამ არგუმენტს.*

**პირველი** – ზოგიერთი ეკონომისტი გამოთქვამს ეჭვს, რომ სინამდვილეში ეკონომიკური აგენტები იმდენად კარგად არ არიან ინფორმირებულნი ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ, როგორც ამას ამტკიცებენ რმთ-ს მომხრეები. უფრო მეტიც, პროგნოზების შემუშავებით დაკავებული ეკონომისტები ხშირად სწორად ვერ განჭვრეტენ წარმოების მოცულობის, დასაქმებისა და ფასების ცვლილების მიმართულებას, რომ არაფერი ვთქვათ ამ მაჩვენებელთა ცვლილების სიდიდეზე. აქედან გამომდინარე, მათი აზრით, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტების ქცევა რაციონალური შეიძლება იყოს.

**მეორე** – რმთ-ს კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ფასები ბაზრებზე მოუქნელია, ხოლო ბაზრები (ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა) არ არის სრულყოფილად კონკურენტული. შესაბამისად, არ ხდება მათი სწრაფი და, მითუმეტეს, მყისიერი შეგუება შეცვლილ პირობებთან. კრიტიკოსები ხშირად კითხულობენ – თუკი ბაზრები ასე სწრაფად ეგუებიან ცვლილებებს, მაშინ რით შეიძლება აიხსნას აშშ-ში სერიოზული უმუშევრობის ათწლეული გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ან უმუშევრობის მყარი დონე 1981-84 წლებში?

**მესამე** – არსებობს საკმარისი არგუმენტები რეალურ ერთობლივ პროდუქტზე ეკონომიკური პოლიტიკის ძლიერი ზემოქმედების შესახებ. კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა სახელმწიფო აქტიურად ატარებდა ეკონომიკის მასტაბილიზირებელ პოლიტიკას, შეინიშნებოდა წარმოების რეალური მოცულობის ნაკლები რყევა წინა პერიოდთან შედარებით. ეს ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტაბილურობის მიღწევაში.

**ლიტერატურა:**

ა. სილაგამე. ეკონომიკური დოქტრინები. თბ., 2010, თავი 27;

**Muth J. A.** Rational Expectations and the Theory of Orice Movements. *Econometrica*. t. 29,

N6, (1961), gv. 315-335;

**Lucas R. Sargent T.** After Keynesian Macroeconomics. Boston, 1978;

**Fisher S.** (ed) Rational Expectations and Economic Policy. 1980;

**Sargent T. J.** Rational Expectations and Inflation. NY, 1986;

**Томас Дж. Сарджент.** Рациональные ожидания. <http://gallery.economicus.ru/>

## თემა 5. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის „მესამე ტალღა“

### ლექცია VI. რეალური საქმიანი ციკლების (RBC)

#### ფინ კიუდლანდისა და ედვარდ პრესკოტის თეორია

ეკონომიკური ციკლის თეორია თანამედროვე მაკროეკონომიკის ყველაზე სადისკუსიო განყოფილებაა. როგორია ეს ციკლი - დეტერმინირებული თუ სტოქასტური? ციკლური რყევები გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის შედეგია თუ გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის? ჩამოთვლილ და რიგ სხვა კითხვებზე ამომწურავი პასუხები ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ამასთანავე, XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე განვითარებული რეგიონული და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები ეკონომიკური ციკლის თეორიას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს. ათწლეულების მანძილზე ციკლური ცვლილებების (მერყეობის) მიზეზებსა და ხასიათზე ეკონომისტთა შეხედულებები სისტემატურად და კარდინალურად იცვლებოდა. კეინზიანური თეორია ეკონომიკური ციკლის მთავარ მიზეზად მიიჩნევდა ერთობლივ გამოშვებასა და ერთობლივ მოთხოვნაში განხორციელებულ ძვრებს. კეინზის აზრით, ინვესტიციებისათვის ნიშანდობლივი არასტაბილურობა განაპირობებს ძვრებს ერთობლივ მოთხოვნაში და შესაბამისად - ერთობლივ მიწოდებაშიც. აღნიშნულ პრინციპებზე აგებული მოდელები ფართოდ გამოიყენებოდა როგორც ეკონომიკური განვითარების პროგნოზების შემუშავებაში, ისე ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დასაბუთებისათვის.

1970-იანი წლების დასაწყისში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ში წარმოქმნილმა ახალმა მოვლენებმა თვალსაჩინო გახადა ეკონომიკური ციკლის კეინზიანური ანალიზის ხარვეზები. კერძოდ, მოთხოვნის სტიმულირების კლასიკურმა კეინზიანურმა მეთოდებმა არ იმუშავა და მაღალი ინფლაცია წარმოშვა, რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისში კიდევ უფრო გაძლიერდა საერთო ეკონომიკური სტაგნაციის ფონზე და სტაგფლაციაში გადაიზარდა. სტაგფლაციამ, თავის მხრივ, უარყო კეინზიანური თეორიის ჩარჩოებში მოქცეული ფილიპსის მრუდის კონცეფცია, რომელიც ასახავდა მყარ უარყოფით ურთიერთკავშირს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. ასევე ეჭვის ქვეშ დადგა ტრადიციული კეინზიანური მტკიცება, რომ ეკონომიკაში ციკლური

რყევები ძირითადად გამოწვეულია მოხმარებაში განხორციელებული ცვლილებებით. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის ციკლურ მერყეობას ძირითადად განაპირობებდა ნავთობზე მსოფლიო ფასების მკვეთრი ზრდა, ასევე შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი და საყოველთაო შემცირება. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, კეინზიანური “მოთხოვნის ეკონომიკა” ნეოკლასიკური “მიწოდების ეკონომიკით” (**Supply-Side Economics**) შეიცვალა.

1976 წელს რობერტ ლუკასმა ჩამოაყალიბა ახალი მაკროეკონომიკური თეორია, რომელიც ემყარებოდა რაციონალური მოლოდინების კონტექსტში ცალკეული ფირმებისა და მომხარებლების ქცევების ანალიზს. კეინზიანური მიდგომისაგან, ანუ აგრეგირებული მაჩვენებლების ოპერირებისაგან განსხვავებით, ლუკასის მიდგომა ემყარებოდა მიკროეკონომიკური მაჩვენებლების (მომხმარებელთა მხრიდან უპირატესობის მინიჭება, ფირმების მიერ ტექნოლოგიების გამოყენება, ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთობები სხვადასხვა ბაზრებზე და ა.შ.) დაწვრილებით ანალიზს. ლუკასის აზრით, სწორედ ეს მაჩვენებლები განსაზღვრავდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და საერთო წონასწორობის ჩამოყალიბების პირობებს. ამასთანავე, ლუკასის თეორია შეიცავდა რიგ წინააღმდეგობებს, რომელიც, პირველ რიგში, შეეხებოდა კვლევის ემპირიული



**ჯინ  
კიუდლანდი**

დასაბუთების სირთულეებს. კერძოდ, ძალიან რთული აღმოჩნდა მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ დონეებს შორის კავშირების პრაქტიკული ინტერპრეტაცია. სწორედ აღნიშნული სირთულეების დაძლევის ისახავდა მიზნად **ჯინ კიუდლანდისა და ედვარდ პრესკოტის** რეალური საქმიანი ციკლის თეორია, რომელიც ემყარებოდა რაციონალური მოლოდინებისა და ამ პირობებში ეკონომიკური აგენტების ოპტიმალური ქცევის პარადიგმას.

1982 წელს მათ გამოაქვეყნეს ერთობლივი სტატია სათაურით “დროა აიგოს და აგრეგირდეს რყევები”, რომელშიც პირველად ჩამოაყალიბეს რეალური საქმიანი ციკლის მოდელი - **Real Business Cycle Model – RBC** მოდელი) და ზოგადად საფუძველი ჩაუყარეს მაკროეკონომიკის ისეთ უახლეს თანამდროვე მიმართულებას, როგორცაა რეალური საქმიანი ციკლის თეორია. ეკონომიკურ

მეცნიერებაში შეტანილი ამ წვლილისათვის კიუდლანდი და პრესკოტი 2004 წელს დაჯილდოვდნენ ნობელის პრემიით ეკონომიკის დარგში. რეალური საქმიანი ციკლის თეორია წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკის ციკლური ბუნების კვლევისადმი ახლებურ მიდგომას, კერძოდ:

- მათ დაასაბუთეს, რომ ციკლების შესწავლა შესაძლებელია ზოგადი წონასწორობის დინამიური მოდელების საშუალებით. ამ მოდელების შემადგენელი ელემენტებია რაციონალური მოლოდინების მქონე ატომისტური აგენტები და სრულყოფილი კონკურენციული ბაზრები;
- მეცნიერებმა აჩვენეს, რომ რეალური საქმიანი ციკლის მოდელები მთლიანობაში კორექტულად აღწერს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებებს, რამაც საქმიანი ციკლებისა და ეკონომიკური ზრდის თეორიების გაერთიანების საფუძველი შექმნა;
- კიუდლანდმა და პრესკოტმა ჩამოაყალიბეს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ტრენდების პარამეტრები და ისინი შეუფარდეს ფაქტობრივ მონაცემებს, რასაც 1982 წლამდე არ აკეთებდნენ მაკროეკონომისტები;

რეალური საქმიანი ციკლის თეორიის სხვადასხვა მიმართულებები ემყარება ერთიან თეორიულ საფუძველს- **დინამიკური სტოქასტური საერთო წონასწორობის კონცეფციას (Dynamic Stochastic General Equilibrium DSGE)**. ამ კონცეფციის თანახმად, საერთო წონასწორობა მიიღწევა როგორც ეკონომიკაში შექმნილ სიტუაციაზე, ისე უსასრულო ჰორიზონტზე მყოფ შესაძლებლობებსა და მომავალ შოკებზე რაციონალური რეპრეზენტატიული აგენტების ოპტიმალური რეაქციით. მაშასადამე, კიუდლანდი და პრესკოტი შეეცადნენ ეკონომიკის ყველა რყევის, როგორც წონასწორობის ხასიათის მქონე მოვლენის ახსნას, რის გამოც მათ “ახალ კლასიკოსთა” ჯგუფს მიაკუთვნებენ. მათი ერთ-ერთი მთავარი დასკვნა ის არის, რომ განვითარებულ ქვეყნებში მშპ-ს დიდი ნაწილი ჩამჯდარია წონასწორობის მოდელებში და არ არის საჭირო ამ მოდელებში საბაზრო წონასწორობიდან გადახრის პარამეტრების შეტანა, რასაც თავის დროზე კეინზი აკეთებდა. შესაბამისად, მათი აზრით არ არის საჭირო სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სტაბილიზაციური პოლიტიკის განხორციელება.





*ედვარდ პრესკოტი*

კიუდლანდისა და პრესკოტის რეალური საქმიანი ციკლის მოდელებისათვის (**RBC**) დამახასიათებელია მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ორგანული ურთიერთკავშირის არსებობა. მათ მიერ შემოთავაზებული მოდელი ემყარება ორ მარტივ დაშვებას: *პირველი*, ისინი ვარაუდობენ, რომ ფირმები გადაწყვეტილებებს საკუთარი მოგების მაქსიმიზირებისა და ინვესტიციების განხორციელების შესახებ იღებენ მათ საქონელზე

მომავალი მოთხოვნისა და ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით; *მეორე*, მოდელში ნავარაუდევია, რომ საოჯახო მეურნეობების ქცევა ოპტიმალურია, ანუ მათი მოხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოგების მიღებას ვარაუდობენ მომავალში. მთელ შემოსავალს ისინი არ დახარჯავენ მიმდინარე წელს, თუკი არ ელიან იმავე შემოსავლის მიღებას მომავალ წელს. თუკი ასეთი მოლოდინი არსებობს, მაშინ მათ შეუძლიათ მოიხმარონ მიმდინარე შემოსავალზე მეტი, ე. ი. იცხოვრონ ალღებული ვალით. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმები მოქმედებენ **მოსალოდნელი შემოსავლის ჰიპოტეზის** შესაბამისად. ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელიც მანამადე აღწერილი იყო მ. ფრიდმანის, ფ. მოდილიანისა და რ. ბრუმბერგის კლასიკურ ნაშრომებში.

კიუდლანდისა და პრესკოტის რეალური საქმიანი ციკლის მოდელებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **რეალური შოკების** ანალიზს, რომლებიც მათ მიერ ეკონომიკური რყევების განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად განიხილება. კერძოდ, შესწავლილია ტექნოლოგიური, მონეტარული, ფისკალური და სანავთობე შოკების ზეგავლენა. პრესკოტის აზრით, “ტექნოლოგიურ შოკებზე მოდის ომის შემდგომი პერიოდის რყევების თითქმის 75%”. ეგზოგენური ტექნოლოგიური შოკების გასაზომად მან 1986 წელს გაიანგარიშა წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის მაჩვენებელი (**Total Factor Productivity – TFP**). ტექნოლოგიური შოკების ანალიზს ბევრი სხვა ავტორის ნაშრომიც ეძღვნება, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯულიან გალის წიგნი “ტექნოლოგია, დასაქმება და ბიზნეს-ციკლი: შეუძლია თუ არა ტექნოლოგიურ შოკებს აგრეგატების რყევის ახსნა?”. არსებობს ისეთი ნაშრომებიც, სადაც **RBC** მოდელებში ტექნოლოგიურ

შოკებს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ხოლო სხვა ტიპის შოკები (მაგალითად, სანავთობე) წინა პლანზეა გადმოტანილი.

**ფისკალური შოკები.** **RBC** მოდელში ფისკალური შოკების, ანუ საგადასახადო განაკვეთისა და სახელმწიფო ხარჯების ცვლილებით გამოწვეული შოკების ჩართვით შესაძლებელია დანახარჯების შესახებ უფრო ზუსტი მონაცემების მიღება. ამასთანავე, ეს ცვლილებები ისე სწრაფად არ ხდება, რომ საქმიანი აქტივობის მთავარ წყაროდ გადაიქცეს.

**მონეტარული შოკები.** ბევრ **RBC** მოდელში განიხილება მონეტარული შოკების ზემოქმედება საქმიანი აქტივობის რყევაზე. ზოგიერთი ეკონომისტი მონეტარული შოკების ძირითად მიზეზად განიხილავს ბანკთაშორისი დაკრედიტების პოლიტიკის ცვლილებას (მაგალითად, ბ. ბერნანკე, მ. გერტლერი). მონეტარული **RBC** მოდელი შეიცავს როგორც რეალურ, (მაგალითად, მონოპოლისტური კონკურენცია) ისე ნომინალურ (მაგალითად, მყარი ფასები და ხელფასი) კომპონენტებს. ბაზისურ **RBC** მოდელებში ფირმები და მუშაკები, როგორც ფასის მიმღებები, მოქმედებენ სრულიად კონკურენციულ ბაზარზე, ანუ ისინი ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენენ ფასებზე. მონოპოლისტური კონკურენციის შესახებ წანამძღვრების მოდელში შეყვანით, ფირმებსა და მუშაკებს შეუძლიათ ფასებისა და ხელფასების დამოუკიდებლად განსაზღვრა. ამ შემთხვევაში ფირმებმა და მუშაკებმა იციან, თუ რა მოხდება მომავალში, ანუ მათ იციან, რომ შეძლებენ ფასებისა და ხელფასების შეცვლას, ან ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება. ახალი თაობის **RBC** მოდელებში მონეტარული შოკები ხშირად განიხილება ტექნოლოგიურ შოკებთან ერთად. იმისათვის, რომ მოკლევადიან პერიოდში ტექნოლოგიურმა შოკებმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, აუცილებელია შესაბამისი ფულად საკრედიტო პოლიტიკის არსებობა.

**ენდოგენური საქმიანი ციკლები.** საქმიანი ციკლების რყევა შეიძლება გამოიწვიოს როგორც ეგზოგენურმა, ისე ენდოგენურმა ფაქტორებმაც. ეს უკანასკნელი ნიშნავს საკუთრივ მოდელის შიგნით წარმოშობილ რყევებს რთული დეტერმინირებული დინამიკის საფუძველზე. ენდოგენური საქმიანი ციკლის მოდელების უმეტესობას საფუძველად უდევს ეკონომიკური ზრდისადმი ნეოკლასიკური მიდგომა, რის გამოც მათ იგივე სტრუქტურა გააჩნია, როგორც

ორდინალურ **RBC** მოდელებს. ენდოგენური შოკების კვლევისას წარმოიშვება ორი პრობლემა. კერძოდ, არ არის შესაძლებელი მომავლის სრულყოფილი განჭვრეტა, რაც ბევრ ორდინალურ **RBC** მოდელში გამარტივების მიზნით გამოიყენება. ამასთანავე, რამდენიმე წონასწორობის არსებობისას ციკლები რეაგირებენ აგენტთა მოლოდინის მკვეთრ ცვლილებაზე.

## ციკლური რყევების მიზეზთა ანალიზის სხვა მიმართულებები

საქმიანი ციკლის რყევების დამატებით წყაროდ ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს ახალი ამბებით გამოწვეულ შოკებს. (**News Shocks**). ვთქვათ, აგენტებმა ინფორმაცია მიიღეს ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიის შესახებ, რომელიც მომავალში ზეგავლენას იქონიებს წარმოების ფაქტორთა მწარმოებლურობაზე. გაიზრდება თუ არა ამ შემთხვევაში მიმდინარე მწარმოებლურობა? წარმოიშობა თუ არა რეაქცია იმ შემთხვევაში, თუკი ახალი ტექნოლოგიიდან მიღებული ეფექტი მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდება? როდესაც აგენტები იღებენ ინფორმაციას, მოხმარებისა და ინვესტიციების დინამიკა სხვადასხვა მიმართულებით იცვლება. მოდელში ორი დადებითი ეფექტი წარმოიშვება  $\lambda$  ინვესტიციებიდან და მოხმარების ზრდიდან რეალური უკუგება. თუკი მეორეს პირველთან შედარებით უფრო გამოხატული ხასიათი აქვს, მოხმარება და თავისუფალი დრო იზრდება, გამოშვება და სამუშაო დრო კი მცირდება, რის გამოც ეცემა რეალური ინვესტიციები. თუკი დომინირებს ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება, მაშინ იზრდება ინვესტიციები და სამუშაო დრო. ამასთანავე, ინვესტირება აჭარბებს გამოშვებას და წონასწორობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მოხმარების შემცირება.

ზემოთმოყვანილ მოდელს გააჩნია ერთი არსებითი ხარვეზი. კერძოდ, კაპიტალი არ განიხილება წარმოების ფაქტორად და არ ჩაირთვება ინვესტიციური საქონლის წარმოებაში. ასევე აღსანიშნავია საგარეო კონიუნქტურის შოკები, რომლებიც **RBC** მოდელებში შეიტანება საგარეო ფასების შოკების სახით და იგულისხმება სათბობისა და ნედლეულის ფასების ცვლილება ან მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი ცვლილებები.

ამრიგად, ფინ კიუდლანდმა და ედვარდ პრესკოტმა შექმნეს რეალური ეკონომიკური ციკლის (RBC თეორიის) დამოუკიდებელი მიმართულება და საფუძველი ჩაუყარეს მაკროეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადისკუსიო პრობლემის სისტემურ შესწავლას. კერძოდ:

- მათ შეიმუშავეს ზოგადი სქემა (მოდელი), რომელმაც რ. ლუკასის თეორიული მოდელის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა შექმნა;
- მათ მიერ შემუშავებული ციკლის მოდელი შეიცავს ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელის სტოქასტურ ვერსიას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მისი მაკროეკონომიკური მოდელირების საფუძველად გამოყენება;
- მეცნიერებმა აჩვენეს, რომ ტექნოლოგიური შოკები გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელია წარმოადგენდეს ერთობლივი რყევების მიზეზს. შესაბამისად, თანამედროვე მაკროეკონომიკურ მოდელებში ინტენსიურად დაიწყო მოთხოვნის შოკებთან ერთად მიწოდების შოკების ანალიზი;
- მოდელების მონაცემთა გაანგარიშებაში ისინი იყენებდნენ კომპიუტერულ ტექნიკას, რაც იმ დროს ახალი სიტყვა იყო ეკონომიკურ ანალიზში;
- კიუდლანდმა და პრესკოტმა პირველად გამოიყენეს ე.წ. “კალიბრირების მეთოდი”, რომელიც გულისხმობდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისობას ემპირიული მიკროეკონომიკური კვლევების საფუძველზე მიღებულ მაჩვენებლებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ კიდევ უფრო წინ წაწიეს თანამედროვე მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკური საფუძვლების ანალიზი;
- კიუდლანდმა და პრესკოტმა კეინზისა და კეინზიანელებისგან განსხვავებით (რომლებიც არ აღიარებდნენ ბაზრის როლს მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის უზრუნველყოფაში), ისეთი სტანდარტული მიკროეკონომიკური პარამეტრების გამოყენებით, როგორებიცაა წარმოების ფაქტორთა ფასები, ხელფასები და საპროცენტო განაკვეთები, დაასაბუთეს, რომ ბაზარს გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეუძლია დაკარგული წონასწორობის აღდგენა;

- აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ გამოშვების ზრდის ტემპების დროებითი შემცირება არის არა ბაზრების უუნარობის შედეგი, არამედ მას განაპირობებს ტექნოლოგიური განვითარების ტემპების დროებითი დაქვეითება;
- კიულანდმა და პრესკოტმა ასევე აჩვენეს, რომ საქმიანი ციკლის დინამიკა შეიძლება აიხსნას ტექნოლოგიური შოკებით და ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული როგორც მოკლევადიანი რეალური რყევების, ისე გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ანალიზში;
- კიულანდისა და პრესკოტის მოდელში პირველად იქნა გამოყენებული დინამიკური სტოქასტური საერთო წონასწორობის კონცეფცია, რომლიდან გამომდინარე საქმიანი ციკლის მაკროეკონომიკურ რყევებს საფუძვლად დაედო მიკროეკონომიკურ დონეზე მომხმარებლებისა და ფირმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

## რეალური საქმიანი ციკლის თეორიის განვითარების

### პერსპექტივები

დინამიკურ სტოქასტურ საერთო წონასწორობის (DSGE) კონცეფციაზე დამყარებული რეალური საქმიანი ციკლის (RBC) მოდელები ბოლო 20-25 წლის მანძილზე კრიზისების თეორიის მეინსტრიმს წარმოადგენდა. აღნიშნულმა თეორიამ რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველ ეტაპზე (1980-იანი წლების ბოლო და 1990-იანი წლების დასაწყისი) აშშ-ს ეკონომიკაში მიმდინარე ციკლების მთავარ მიზეზად მიიჩნეოდა ტექნოლოგიური შოკები, რომელთა საშუალებითაც კარგად აღიწერებოდა ერთობლივი მიწოდების მოულოდნელი ცვლილებები. დროთა განმავლობაში მოდელში შეტანილი შოკების რაოდენობა იზრდებოდა, რაც განაპირობებდა მთლიანად თეორიული კონსტრუქციის გართულებას. შემდგომ ეტაპზე (1990-იანი წლების ბოლო და 2000-იანი წლების დასაწყისი) აგებული იქნა ეკონომიკური ციკლის უფრო რეალისტური მოდელები. კიულანდისა და პრესკოტის საბაზისო მოდელებისაგან განსხვავებით, რომლებიც ემყარებოდნენ სრულყოფილი ბაზრის კონკურენციის შემთხვევას, გვიანდელ მოდელებში

გაითვალისწინებოდა ბაზრის სხვა ტიპებიც და მიწოდების შოკებთან ერთად განიხილებოდა მოთხოვნის შოკებიც. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიის განვითარებას განსაზღვრავს ე.წ. “ახალი ნეოკლასიკური სინთეზი”, რომელიც გულისხმობს კეინზიანელების, ახალი კლასიკოსებისა და რეალური საქმიანი ციკლის თეორიის მომხრეთა ფუნდამენტური შეხედულებების ურთიერთდაახლოებას. არსებობს ამგვარი დაახლოების რამდენიმე მიმართულება. კერძოდ, *პირველი* - სხვადასხვა მიმართულების ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ მაკროეკონომიკურ ანალიზში ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს დარგთაშორის საერთო წონასწორობაზე დამყარებული მოდელები. ამის საფუძველზე შესაძლებელია ერთობლივად იქნეს განხილული მოკლევადიანი ფლუქტუაციები და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, ანუ ერთმანეთს უნდა შეუთანხმდეს საქმიანი ციკლისა და ეკონომიკური ზრდის მოდელები. აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური ანალიზი არ უნდა ემყარებოდეს ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებულ პრინციპებს. შესაბამისად, ცალკეული ფორმების საოჯახო მეურნეობებისა და ბაზრების ქცევა განიხილება აგრეგირებულ (მაკროეკონომიკურ) მოდელებთან მჭიდრო კავშირში. აღნიშნულთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მოკლევადიანი აგრეგირებული დინამიკის სტრუქტურული მოდელის კეინზიანური იდეა არ მომკვდარა. პირიქით, იგი ლოგიკურად ჩართული აღმოჩნდა **DSGE** მოდელებში, რომლებიც ამჟამად ფართოდ გამოიყენება როგორც სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტის ანალიზისას, ასევე გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პრობლემატიკის შესწავლაში. მეორე მხრივ, ახალი კეინზიანელები ხშირად იყენებენ კიუდლანდისა და პრესკოტის მიერ შემუშავებულ **DSGE** მოდელებს, რომლებსაც ამდიდრებენ ბაზრების არასრულყოფილების ისეთი ელემენტებით, როგორებიცაა ფასების ნელი ცვლილება, არასრულყოფილი ინფორმაცია და ა.შ. კიუდლანდისა და პრესკოტის მომხრეები ახალ კეინზიანელებს ეთანხმებიან მათი მოდელების ზედმეტად მარტივი ხასიათის კონსტატირებაში, რის გამოც ამ მოდელების საშუალებით შეუძლებელი ხდება პროცესთა მთელი სირთულის აღწერა. თუმცა, ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ მიმდინარეობს ამ მოდელების გართულება, რაც ამაღლებს რეალურ სინამდვილესთან მათი ადეკვატურობის ხარისხს. რეალური საქმიანი

ციკლის მოდელის წარმომადგენლები, ახალი კეინზიანელების მსგავსად, ეძებენ მოკლევადიან პერიოდში წონასწორული მდგომარეობიდან ეკონომიკის გადახრის მიზეზებს, მაგრამ არ ეთანხმებიან კეინზიანელებს ამ გადახრის ძირითად წყაროდ ფასების ნელი ცვლილების მიჩნევაში, რაც ახალი კეინზიანელების მთავარ პოსტულატს წარმოადგენს. ასე, რომ აღნიშნული ორი პოზიციის დაახლოება ეკონომიკის რყევების მიზეზებთან მიმართებაში, მომავლის ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს; *მეორე*, ეკონომისტთა უმრავლესობა დღეს თანხმდება იმაში, რომ რეალური მერყეობა ეკონომიკური ციკლების მთავარი წყაროა. მონეტარული პოლიტიკის შემთხვევითი ეგზოგენური ცვლილებებით რეალური საქმიანი ციკლის რყევების ახსნის ჰიპოთეზა ამჟამად ვეღარ პოულობს მეცნიერთა მხრიდან მხარდაჭერას, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს ანალიზიდან მონეტარული ფაქტორის მთლიანად გამორიცხვას. გასული საუკუნის 90-იან წლებში აშშ-სა და რიგ სხვა ქვეყნებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური წარმატებები პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკის სფეროში მიღწეულ წარმატებებთან, როგორც ეს



*ბენ ბერნანკე*

არაერთხელ აქვს აღნიშნული თავის ნაშრომებში ცნობილ ამერიკელ მაკროეკონომისტს, ფედერალური სარეზერვო სისტემის ამჟამინდელ თავმჯდომარეს, *ბენ ბერნანკეს*; *მესამე*, - საყოველთაოდ არის აღიარებული მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა, განსაკუთრებით ინფლაციის პრობლემასთან მიმართებაში. 1980-90-ანი წლების წარმატებული ანტიინფლაციური პოლიტიკის ფონზე დღეს

არავინ არ დაობს იმაზე, რომ ცენტრალურ ბანკებს, მათი მხრიდან სათანადო დაინტერესების შემთხვევაში, შეუძლიათ ინფლაციის ეფექტიანი გაკონტროლება და დასაშვებ საზღვრებში მისი შენარჩუნება (ე.წ. "თარგეტირება"). ამ თვალსაზრისით, მონეტარისტებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ომისშემდგომი პერიოდის კეინზიანელებზე, თუმცა ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ რეალური საქმიანი ციკლების რყევები, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენება და სხვა რეალური ფაქტორების ცვლილება ამჟამად არ განიხილება ფასებზე უშუალო ზემოქმედების მნიშვნელოვან მიზეზად. ფილიპსის მრუდი ორგანულადაა

ჩართული თანამედროვე **DSGE** მოდელებში, ხოლო მონეტარული პოლიტიკა ფართო ასპექტით განიხილება და არ დაიყვანება მხოლოდ ფულის მიწოდების სხვადასხვა პარამეტრთა კონტროლზე.



**ოლეგი  
ბლანშარი**

ციკლის თანამედროვე თეორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდ ნაკლოვანებად ზოგიერთი ეკონომისტი, მაგალითად, **ოლეგი ბლანშარი**, მიიჩნევს ციკლის გენერირების მოდელში ფინანსური სექტორის როლის არასაკმარისად გათვალისწინებას. მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებულმა უკანასკნელმა მოვლენებმა მთლიანად დაადასტურა აღნიშნული შენიშვნის სისწორე.

კერძოდ, ნათელი გახდა, რომ ფინანსური მექანიზმების როლის ანალიზის გარეშე შეუძლებელია კრიზისების წარმოშობისა და განვითარების ლოგიკის სრულფასოვანი გაგება. მართალია, ფინანსური სექტორი დამოკიდებულია რეალურ ბიზნესზე, მაგრამ ამასთანავე იგი დანაზოგებისა და რისკების გადანაწილების გზით გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობაზე. თანამედროვე პირობებში ფინანსური შუამავლობა, განსაკუთრებით მისი უზარმაზარი მასშტაბებიდან გამომდინარე, არსებითად ცვლის ციკლურ პროცესებს მათი ვოლატურობის გაძლიერების თვალსაზრისით. ამასთანავე, სწორი არ იქნებოდა შოკების წარმოქმნის ერთადერთ მიზეზად ფინანსური სექტორის ჩათვლა. ასე მაგალითად: 2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი პროვოცირდა ამერიკის შეერთებული შტატების იპოთეკურ ბაზარზე განვითარებული მოვლენებით, მაგრამ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოადგენდა ამ ქვეყნის მოსახლეობის სამომხმარებლო ქცევის ხანგრძლივი და სისტემატური სახიფათო ცვლილების კანონზომიერ შედეგს. მოცემულ შემთხვევაში ფინანსურმა ბაზრებმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა მხოლოდ გააძლიერეს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კრიზისური მერყეობა, თუმცა ისინი არ წარმოადგენდნენ კრიზისების წარმოშობის პირველად მიზეზს.

ამრიგად, თანამედროვე კრიზისი კარგი საბაზია ციკლის თეორიის დასაზუსტებლად. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში ჩვენი მომდევნო ლექცია შეეხება ზოგადად კაპიტალიზმის ფინანსური არასტაბილურობის და კერძოდ, ფინანსური კაპიტალიზმის სიმყიფის ჰაიმან მინსკის თეორიას



## ლიტერატურა:

- ა. სილაგაძე. ეკონომიკური დოქტრინები. თბ; 2010. თავი 29.
- ჯ. ელბაქიძე. ახალი ეკონომიკური მოდელი ციკლის გარეშე. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი” 2010, №1. გვ. 35-66.
- მ. ჩიქობავა. თანამედროვე გლობალურ-ეკონომიკური კრიზისი: მიზეზები, შედეგები, პერსპექტივები, ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი” 2010, №2. გვ. 73-86.
- Kydland. F; Prescott E.** Time to Build and Aggregate Flunctuations. – *Econometrica*, 1982. ტ. 50, ნომბერი, გვ. 1345-1370.
- Prescott E.** Theory Ahead of Business-Cycle. Measurement. – *Rochester Series on Public Policy*. 1986. ტ. 25, შემოდგომა, გვ. 11-44.
- Kydland F; Prescott E.** Business Cycles: Real Facts and Montary Myth. – *Quarterly Review*. ტ. 14. №2. გვ 371-407.
- Long J; Prolsser C.** Real Business Cycles. *Journal of Political Economy*. 1993 .
- Cooley T.; Prescott E.** Economic Growth and Business Cycle. In: Cooley T. (ed) *Frontiers of Business cycle Research*. Princeton University Press. Princeton, 1995.
- Kydland. F; Prescott E.** (ed.) Rules Rather than Discretion. The Inconsistency of Optimal Plans. – *Journal of Political Economy*, 1997 ტ. 87. გვ. 473-492.
- Bernanke B., Gertler M., Gilchrust M.** The Financial Accelerator in a Quantitive Business Cycle. Framework. *Handbook of Macroeconomics*. 2003.

## ლექცია VII - თანამედროვე კაპიტალიზმის ფინანსური არამდგრადობის თეორია (ჰ. მინსკის თეორიული მემკვიდრეობა).



ჰაიმან მინსკი

მაღალი პოლიტიკურ-ეკონომიკური განუსაზღვრელობისა და გლობალური სიმციფის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინსტიტუციონალური ცვლილებებისა და კაპიტალიზმის ფინანსური სისტემის ევოლუციას შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხების კვლევა. კაპიტალიზმის ფინანსური არასტაბილურობის ანალიზში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა მეცნიერმა

ჰაიმან მინსკიმ (1919-1996) და მისმა თანამოაზრეებმა. მათ შეხედულებებზე დაყრდნობით შესაძლებელია თანამედროვე გლობალური კრიზისებისა და ზოგადად, ფინანსური კაპიტალიზმის ვოლატურობის ფენომენის მეცნიერული გამოკვლევა.

### ჰაიმან მინსკის ჰიპოტეზა ფინანსური სიმციფის შესახებ და მონეტარული ორთოდოქსია



ჩარლზ კინდელბერგერი

ნეოკლასიკური თეორია აქცენტს აკეთებს ეკონომიკური აგენტების ქცევისა და რესურსების განაწილების რაციონალურობაზე. ბაზრის “ჩავარდნები” მათ მიერ გამოწვევის მოვლენადაა მიჩნეული, ხოლო ფინანსური კრიზისების მთავარ მიზეზად ბაზრის მექანიზმის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა და ინსტიტუციონალური ხასიათის სისუსტეები სახელდება. მთელი რიგი თანამედროვე კვლევების მიუხედავად, ამჟამინდელი მეინსტრიმის მიერ ფინანსური სფეროს პრობლემები ეკონომიკის სხვა სფეროებიდან იზოლირებულად განიხილება. ორთოდოქსალური მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე არაგუმენტირებული კრიტიკა მოცემულია ჩარლზ კინდელბერგერის ნაშრომებში. კერძოდ, ნაშრომში “მანიები, პანიკები და კრახები” მეცნიერმა ჩამოაყალიბა ფინანსური კრიზისების თეორია და აჩვენა, რომ ფინანსურ ბაზრებზე “ბუმტები” მოულოდნელად წარმოიქმნება, როგორც წესი, კარგი ახალი ამბების

შემდეგ. ინვესტორები ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან საკუთარი სახსრების მომგებიანად დაბანდების შესაძლებლობა და ხშირად ზედმეტიც მოსდით. როცა აღმოჩნდება, რომ ინვესტორთა მოლოდინები მეტისმეტად ოპტიმისტური ყოფილა, ფინანსური სისტემა სტრესულ მდგომარეობაში ვარდება და ძალიან ადვილი შესაძლებელია პანიკის დაწყება. მართალია, მეინსტრიმის წარმომადგენლები ეჭვის თვალით შესცქეროდნენ კინდელბერგერის ამ მოსაზრებებს, მაგრამ 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან განვითარებულმა მოვლენებმა - 1987 წლის აშშ-ს საფონდო ბაზრის კრახმა, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის 1997-98 წლების ფინანსურმა კრისისმა, 2001 წლის ე.წ. “დოტ-კომების”, ანუ მაღალტექნოლოგიური ფირმების ფასიანი ქაღალდების ბაზრის კრიზისმა და განსაკუთრებით - 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ნათლად დაამტკიცა კინდელბერგერის შეხედულებათა სისწორე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩ. კინდელბერგერის ბევრი თეორიული დებულება ემყარება ორთოდოქსიის ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსის, ჰაიმან მინსკის მიერ შემუშავებულ მოდელს. მინსკი საკუთარ თავს პოსტკეინზიანურ მიმართულებას აკუთვნებდა. იგი კაპიტალისტური ფინანსური სისტემის არასტაბილურობის მთავარ მიზეზად საკრედიტო სფეროს მიიჩნევდა და ამით აგრძელებდა ისეთი ეკონომისტების თეორიულ მემკვიდრეობას, როგორებიც იყვნენ ჯ. ს. მილი, ა. მარშალი, კ. ვიქსელი, ი. ფიშერი და ჯ. მ. კეინზი. ჰ. მინსკი კეინზის მსგავსად, ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევდა ენდოგენური საკრედიტო ექსპანსიის ყველა არხზე კონტროლის უზრუნველყოფას. კეინზის მსგავსად, მინსკიც ფიქრობდა, რომ მოცემული ფინანსური სისტემისათვის დროის ნებისმიერ პერიოდში ფულადი საგადასახდელი სახსრების მოცულობა შეიძლება გაიზარდოს არა მხოლოდ მოქმედი ბანკების ჩარჩოებში, არამედ ახალი ფინანსური დაწესებულებების, ახალი საკრედიტო ინსტრუმენტების და ბანკების გარეთ არსებული პერსონალური დაკრედიტების გავრცელების გზითაც. ირვ. ფიშერის მსგავსად, ჰ. მინსკიც იკვლევდა ვალის გაუფასურების საკითხს, თუმცა მას აქცენტი გადაჰქონდა სპეკულაციური ოპერაციების მიზნით განხორციელებული ვალის დაგროვებაზე. აღნიშნული და რიგი სხვა კანონზომიერებების შესწავლის შედეგად მინსკი მივიდა საკმაოდ პესიმისტურ დასკვნამდე: ფინანსურ კაპიტალიზმს ფუნდამენტური ნაკლოვანება ახასიათებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ კრიზისის შეზღუდვის ნებისმიერი მცდელობა ზრდის ახალი უფრო მწვავე კრიზისის წარმოშობის რისკებს. ეს ნაკლოვანება, თავის მხრივ, განპირობებულია ეკონომიკის ფინანსური მდგენელის გართულებით და კაპიტალისტური აქტივების გაფართოების მყარი ტენდენციით.

ჰ. მინსკი დიდ ყურადღებას უთმობდა ინვესტორთა ფსიქოლოგიის შესწავლას. იგი მიიჩნევდა, რომ ფინანსური კრიზისის წანამდღვრები საინვესტიციო ბუმის პერიოდში წარმოიქმნება. მან შექმნა **სისტემური სიმყიფის თეორია**. ფინანსური სიმყიფე კაპიტალისტური ფინანსური სისტემის განუყოფელი მხარეა.

იგი ნიშნავს, რომ მყიფე ფინანსური სტრუქტურა წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების შედეგს. ფინანსური სისტემის ზოგადი სიმყიფე (ან სიმყარე) განისაზღვრება არსებული ფინანსური მექანიზმების ერთობლიობით.

თეორიულ ასპექტში მეცნიერმა გამოჰყო საინვესტიციო დაფინანსების 3 შესაძლებელი ფორმა. *პირველი* - ჰეჯირებული, ანუ უზრუნველყოფილი დაფინანსება. ამ შემთხვევაში ჰეჯერის მოსალოდნელი მთლიანი შემოსავალი უნდა აღემატებოდეს სავალო ვალდებულებას მომავალი დროის ნებისმიერი მონაკვეთისათვის; *მეორე* - სპეკულაციური ფინანსირება, რომლის დროსაც სავალო ვალდებულება დროის რაღაც პერიოდში აჭარბებს მოსალოდნელ მთლიან შემოსავალს; *მესამე* - პონცი დაფინანსება, რომელიც ასევე წარმოადგენს სპეკულაციური ფინანსირების ნაირსახეობას. ამ შემთხვევაში დაუფარავ ვალზე პროცენტის გადასახდელად აუცილებელი ხდება ახალი ვალის აღება, ანუ ვალი იმ შემთხვევაშიაც იზრდება, თუკი არ ხდება შემოსავლის მომტანი ახალი აქტივების შექმნა. ეკონომიკის სტაბილურობა დამოკიდებულია დაფინანსების ზემოაღნიშნულ სამ ფორმას შორის თანაფარდობაზე. ხელსაყრელ პირობებში კერძო ბიზნესის დაფინანსებაში მოკლევადიანი ვალის ხვედრითი წილი ჩვეულებრივ იზრდება, ხოლო ნაღდი ფულისა კი მცირდება. შესაბამისად, ბაზარზე ოპტიმისტური მოლოდინისას სპეკულაციური დაფინანსებისა და პონცი დაფინანსების ხვედრითი წილი იზრდება. ფინანსური კრიზისი იწყება მაშინ, როცა კომპანიებს უფრო მეტი ნაღდი ფული სჭირდებათ, ვიდრე მათი მიღება შეუძლიათ ჩვეულებრივი წყაროებიდან. ამ შემთხვევაში ისინი იწყებენ დაფინანსების სხვა წყაროების ძიებას, მაგალითად - ახდენენ საბაზრო პოზიციების ლიკვიდაციას. ფინანსურ ბაზარზე ყოველი ლიკვიდირებული პოზიცია რეალური სექტორის საწარმოებას უხშობს ინვესტიციური სახრების მიღების არხებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წარმოების სერიოზული დაცემა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა.

3. მინსკიმ აგრეთვე განსაზღვრა ფინანსური კრიზისების წარმოშობის სისტემური და კონიუნქტურული პირობები. პირველ ჯგუფს მან მიაკუთვნა როგორც ეკონომიკაში დავალიანების მაღალი დონე, ისე სპეკულაციური და პონცი დაფინანსების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი. კონიუნქტურულ პირობებად

მინსკი მიიჩნევს ფინანსურ ინოვაციებს. კვლავ წარმოქნილი ფინანსური ინსტიტუტები არღვევენ ეკონომიკის საერთო სტაბილურობას. ეკონომიკაში ვალი ფინანსურ შუამავალთა ხელშია, რის გამოც ნებისმიერ დარგში სერიოზული დარღვევა ფინანსური სექტორის გზით შესაძლოა გადაეცეს სხვა სექტორებს და ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს მთლიანად ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. მინსკის თეორიის თანახმად, სპეკულაციური “ბუშტის” ფაზა ხასიათდება ირაციონალურობით, ეიფორიით და წინ უსწრებს ფინანსურ კრიზისს. შესაბამისად, ფინანსური “ტრამპების” სიმრავლე არარეგულირებადი კაპიტალისტური სისტემის აუცილებელი შედეგია.

მინსკის თეორიულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისათვის. იგი მთლიანად ემხრობოდა ამ საკითხში კეინზს და აღნიშნავდა, რომ ტრადიციული ფულადი საკრედიტო პოლიტიკით შეუძლებელია კრიზისიდან გამოსვლა. ასევე არაეფექტიანია ენდოგენური საბაზრო პროცესები კრიზისისა და დეფლაციის პირობებში. კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემას მკაცრი ფინანსური სტრუქტურა, ძლიერი ინსტიტუტები და პოლიტიკა ესაჭიროება ფინანსური სფეროს ევოლუციის ეფექტიანი წარმართვისათვის. ცენტრალური ბანკი, ამ შემთხვევაში, უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლში უნდა გამოდიოდეს და ეკონომიკას უნდა მოაშოროს “ცუდი” ვალები, რითაც შეძლებს ფინანსური კრიზისის პრევენციას.

შინაგანი ლოგიკური სიმწყობრის მიუხედავად, რომელიც ახასიათებს კაპიტალიზმის სისტემური სიმციფის თეორიას, ჰ. მინსკის მოსაზრებები ხშირად გამხდარა სხვადასხვა მხრიდან კრიტიკის ობიექტი. კერძოდ:

- ორთოდოქსალური მიმართულების ეკონომისტები მას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ არ ჩამოუყალიბებია ფინანსური კრიზისის კონკრეტული დეფინიცია, რაზედაც მინსკის ხშირად მოჰყავდა კინდელბერგერის შემდეგი სიტყვები: “ფინანსური კრიზისი იმ ლამაზ გოგონას გვაგონებს, რომლის განმარტებაც ძალიან რთულია, მაგრამ დანახვისთანავე მაშინვე იცნობ”;
- ზოგიერთი კრიტიკოსი მიუთითებდა, რომ მინსკის მოდელი მართებულია კრიზისის ფულადი მექანიზმების და არა მისი ფინანსური ასპექტების აღსაწერად. ეს არგუმენტი არ არის სწორი, რადგანაც მინსკი აქცენტს აკეთებდა სწორედ

ფინანსური ინოვაციებისა და საკრედიტო ექსპანსიის ენდოგენური არხების, როგორც ფინანსური კრიზისების უმნიშვნელოვანესი სტიმულატორების ანალიზზე;

- 1980-იანი წლების დასაწყისში გამოითქვა მოსაზრება, რომ მინსკის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები შეზღუდულია გლობალურ ბაზრებზე განხორციელებული ცვლილებების გამო. რ. გოლდსმიტი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: “ფინანსური კრიზისი კაპიტალიზმის “საყმაწვილო სენია” და არა მოხუცებულობის დაავადება. ეს კი საკმარისი არგუმენტია იმისათვის, რომ ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა უსაფუძვლოდ ჩაითავლოს“. აშკარაა, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე განვითარებული მოვლენების ფონზე გოლდსმიტის ეს მოსაზრება ზედმეტად ოპტიმისტურად გამოიყურება.

## **ფინანსური ლიბერალიზაცია და გლობალური ფინანსური სიმყიფე**

თანამედროვე პირობებში, რომლისთვისაც ნიშანდობლივია არასაბანკო ფინანსური ინსტიტუციებისა და ფინანსური ინოვაციების უსწრაფესი ზრდა, ჰ. მინსკის მიერ შემუშავებული მოდელის მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. ამ მეცნიერის ნაშრომებიდან ორი უმნიშვნელოვანესი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. პირველი ეხება ეკონომიკურ სიტუაციაზე ფინანსური ინოვაციებისა და დაკრედიტების ახალი არხების დემასტაბილიზებელ ზემოქმედებას. მნიშვნელოვანია მინსკის მოსაზრება ვალის როლის შეფასებასთან დაკავშირებით ფინანსური სტრუქტურების სიმყიფესთან მიმართებაში. ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაციის შინაგანი მექანიზმები წარმოშობენ ფინანსურ ურთიერთობებს, რომლებიც განსაკუთრებით აძლიერებენ ეკონომიკის არასტაბილურობას. აქტივების ფასებსა და ღირებულებას შორის ურთიერთკავშირის არსებული ფორმა, რომელიც მყიფე ფინანსური სტრუქტურების მქონე ეკონომიკაში ფინანსური კრიზისის მიზეზია, ნორმალური ეკონომიკისთვისაცაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე ჰ.

მინსკი აკეთებს შემდეგ უმნიშვნელოვანეს დასკვნას: “მანამ, ვიდრე რჩება კაპიტალისტური ეკონომიკა, ფინანსური არასტაბილურობა გარდაუვალია”.

ლიბერალიზაციისა და ფინანსური ბაზრების გლობალიზაციის ეპოქაში ფინანსურ არასტაბილურობასთან და სისტემურ რისკებთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით მწვავედება. გლობალური კაპიტალიზმის ფუნქციონირება სულ უფრო მეტად ემსგავსება გიგანტურ პონცი-სქემას. ბაზარზე გაბატონებული განწყობები და მოკლევადიან პერიოდში მაქსიმალური მოგების მიღების სურვილი გასაზღვრავს როგორც ეროვნული სახელმწიფოების, ისე ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკურ სტრატეგიებს. ფინანსური და სადაზღვევო სექტორები ძალიან სწრაფად ვითარდება და სულ უფრო მეტად წყდება ეკონომიკის სექტორს. სპეკულაციური “ბუმტების” წარმოქმნა ეროვნული ბაზრებიდან საერთაშორისო ბაზრებზე გადადის და მიმდინარეობს ფინანსური კრიზისების წარმომშობი მიზეზების ინტერნაციონალიზაცია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების, მექსიკის, რუსეთის, ბრაზილიის, არგენტინის კრიზისებმა გვიჩვენეს, რომ მათი უმთავრესი გამომწვევი მიზეზი იყო მთავრობების, საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების ჭარბი დავალიანება. ასეთივე დიდი დავალიანება გააჩნია აშშ-სა და იაპონიას, თუმცა მათი ვალები მთლიანად ნომინირებულია ეროვნულ ვალუტებში, რის გამოც ფიქრობდნენ, რომ კრიზისები ამ ქვეყნებში არ იქნებოდა ძალიან მწვავე. 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა ამ მოსაზრებების მცდარობა. შესაბამისად, კინდელბერგერისა და მინსკის იდეების გამოყენებით შესაძლებელია თანამედროვე ფინანსური კრიზისების ბევრი ასპექტის მეცნიერული ახსნა.

3. მინსკი თავის ნაშრომებში არაერთხელ ეხება 1929 წლის “დიდ რეცესიას” და აღნიშნავს, რომ მისი მთავარი მიზეზი იყო ფასების ორდონიანი სისტემის ნაკლოვანება. კერძოდ, არსებობდა მიმდინარე წარმოების ფასები და აქტივებზე ფასები. ეს უკანასკნელი კი უპირატესად წარმოადგენდა აქციებსა და ვალებზე საბაზრო ფასის ინდექსს. როდესაც ინვესტიციების მოცულობა უფრო მეტადაა დამოკიდებული აქტივების ღირებულებაზე, ვიდრე საინვესტიციო პროდუქციის მიწოდების ფასზე, ზღვარგადასული დავალიანება მნიშვნელოვნად ამცირებს სესხების დაბრუნების შესაძლებლობას და იწვევს ფირმების კაპიტალური

აქტივების შემცირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსური ოპერაციების მაქსიმალური მოგების მიღებაზე ორიენტირებულობა და განვითარების სტრატეგიის საკითხების უკანა პლანზე გადაწევა განაპირობებს ფინანსური კრიზისებისა და ეკონომიკური რეცესიის წარმოშობას.

ამჟამად მსოფლიო ეკონომიკა კვლავ ჩავარდა 1929 წლის მსგავს მდგომარეობაში. იმ განსხვავებით, რომ წინააღმდეგობამ ორდონიანი ფასების სისტემის შიგნით, მისგან გამომდინარე ფინანსურ და რეალურ ფაქტორებს შორის დიქტომიით, უმწვავესი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი განაპირობა ახლა უკვე გლობალური მასშტაბით.

ნათელია, რომ თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის ენდოგენური სიმყიფის ანალიზი საკმაოდ რთულია, თუმცა ისიც ცხადია, რომ მისი



**ლუის მ. ბინსვანგერი**

ფესვები ღრმადაა გადგმული თანამედროვე ფინანსური სისტემის ხასიათსა და იმ ავტონომიურობაში, რომლითაც ეს უკანასკნელი ხასიათდება რეალურ სექტორთან მიმართებაში. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსურ პროცესებში სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპიც. ჰ. მინკის ერთ-ერთმა თანამოაზრემ - **ლუის მ. ბინსვანგერმა** სისტემურად ჩამოაყალიბა ფინანსური სექტორის რეალურ სექტორზე უარყოფითი ზემოქმედების შემდეგი მიმართულებები:

- “გამოდევნის ჰიპოტეზა”. ფინანსური რესურსები შესაძლებელია ინვესტირდეს რეალურ ან ფინანსურ აქტივებში. როდესაც ფინანსური სფერო უზრუნველყოფს შემოსავლიანობას, ბუნებრივია ფინანსურ კაპიტალში ინვესტირდება მეტი ფული, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს რეალურ სექტორზე;
- “ფინანსური დომინირების ჰიპოტეზა”. ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადებზე, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო კურსები, მზარდ ზეგავლენას ახდენს სპეკულაციური ოპერაციები, რომლებიც არ ასახავს ეკონომიკაში არსებულ რეალურ მდგომარეობას. შესაბამისად, ფინანსური სექტორი დომინირებს რეალურ სექტორზე იმ თვალსაზრისითაც,



რომ ფინანსური სფერო განსაზღვრავს ეკონომიკის რეალურ სექტორში საქმიანობის სტანდარტებს;

- “კაზინოს ჰიპოთეზა”. სპეკულაციური “ბუმტების” არსებობისას საფონდო ბაზრების ფასები ზუსტად არ ასახავს ფუნდამენტურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ფინანსურ ბაზრებზე ხშირად ყალიბდება საკუთარი სპეკულაციური დინამიკა, რომელსაც მეტწილად განსაზღვრავს ინვესტორთა ირაციონალური ქცევა. ამგვარი სიტუაცია ზიანს აყენებს ეკონომიკის რეალურ სექტორს, ვინაიდან იქმნება მისი “კაზინოს გვერდით პროდუქტად” გადაქცევის რეალური საფრთხე;
- “მოკლევადიანობის ჰიპოთეზა”. ფინანსური ბაზრები ხშირად მოკლევადიან ოპერაციებზე ორიენტირებულ სპეკულიანტებს იზიდავს. ფასები სწრაფად რეაგირებს ბაზრის მონაწილეთა მოლოდინის ჩამომყალიბებელ ინფორმაციაზე. მენეჯერებიც გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადად ფინანსურ ბაზრებზე განვითარებულ მოკლევადიან ტენდენციებს ითვალისწინებენ. მაშასადამე, ადგილი აქვს მათი მხრიდან კორპორაციების გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანების არასათანადო შეფასებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მენეჯერთა საქმიანობის შეფასების თანამედროვე წესი, რომელიც მათ ანაზღაურებას განსაზღვრავს კომპანიის მიერ მიღწეული ფინანსური მაჩვენებლებიდან გამომდინარე;
- “ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა”. ჰ. მინსკის მიხედვით, ფინანსური არასტაბილურობის ძირითად წყაროდ გამოდის არაადეკვატური თანაფარდობა მოგების მიღების რეალურ შესაძლებლობებსა და სავალო ვალდებულებებს შორის. ეკონომიკური ბუმების პერიოდებში კრედიტები სულ უფრო მეტად გამოიყენება სპეკულაციური და კომპენსაციური ვაჭრობისათვის და არა რეალური სექტორის პროექტებში ინვესტირებისათვის. ფინანსური სტრუქტურა სულ უფრო მეტად მყიფე ხდება და ბიზნეს ციკლი მთავრდება ვალის გაუფასურებით, რომელიც ეკონომიკის შემდგომ დაცემას განაპირობებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჰიპოთეზა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და განსაზღვრავს უარყოფით კორელაციას ფინანსური სექტორის განვითარებასა და რეალური სექტორის ზრდას შორის. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი

კავშირი მუდმივად იარსებებს. მეტწილად აღნიშნული ჰიპოტეზები განეკუთვნება კაპიტალიზმის ევოლუციის იმ პერიოდებს, როცა ფინანსური სექტორი იზრდებოდა რეალური სექტორის ხარჯზე. “ნორმალურ” ეკონომიკურ პირობებში, მაგალითად, როგორც შეინიშნებოდა 1950-იან და 1960-იან წლებში, ადგილი ქონდა დადებით კორელაციას ამ ორ სექტორს შორის. თუმცა მოგვიანებით იგი დაჩრდილა ბრეტონ ვუდსის სისტემის დაშლით გამოწვეულმა ნეგატიურმა შედეგებმა.

ამრიგად, 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ორთოდოქსალურ თეორიებს არ ძალუძს კრიზისების პროგნოზირება და მათი პრევენცია. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ალტერნატიული თეორიების შემუშავება. ხშირად გაისმის მოწოდებები, რომ დროა დავუბრუნდეთ კეინზის მიერ ჩამოყალიბებულ და მინსკის, კინდელბერგერისა და მათ თანამოაზრეთა მიერ განვითარებულ ორიგინალურ თეორიებს. პრობლემის აქტუალობას ბევრი ის ანალოგიაც განაპირობებს, რომელიც არსებობს 30-იანი წლების დეპრესიასა და თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისებს შორის. მინსკის, კინდელბერგერისა და მათი მიმდევრების თეორიების აქტუალობა თანამედროვე პირობებში იმაზედაც მიუთითებს, რომ სწორი გამოყენების შემთხვევაში ეკონომიკური თეორია განვითარების უზარმაზარ პოტენციალს შეიცავს.

#### **ლიტერატურა:**

ე. მექვაბიშვილი. კ. მარქსი და ჰ. მინსკი ფინანსური კაპიტალიზმის კრიზისული ბუნების შესახებ. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი” 2011, №2. გვ. 19-30.

**Minsky H.** Can It Happen Again? M.E. Sharpe. 1982.

**Minsky H.** Financial Crises: Systemic or Idiosyncratic. Jerom Lewy Economics Institute, Bard College, Working Paper №51, აპრილი, 1991.

**Minsky H.** Finance and Stability. The Limit of Capitalism. Jerom Lewy Economics Institute. Working Paper №93, 1993 .

**Kindelberger C.** Manias, Panics and Crashes. Macmillan. 1996.

**Allen R.** Financial Crises and Recession in the Global Economy. Edward Elgar, 1999.

**Kovzanadze I.** Systemic and Borderline Banking Crises: Lessons Learned for Future Prevention. iUniverse Inc. 2010.

**Papava V.** The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis. ICBSS, 2010.

## თემა 6. (ლექცია VIII) კონდრატიევის ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორია

### შესავალი

(კონდრატიევისა და მისი ნაშრომების შესახებ)



ნიკოლაი  
კონდრატიევი

ნიკოლაი დიმიტრის ძე კონდრატიევი (1892-1938) მსოფლიო დონის რუსი მეცნიერი ეკონომისტია, რომელსაც ტრაგიკული ბედი ხვდა წილად. იგი რეპრესირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში მოხდა მისი რეაბილიტირება.

ნ. კონდრატიევმა ჩამოაყალიბა უაღრესად ორიგინალური, ღრმა და საინტერესო მოძღვრება-კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორიის სახით, რომელსაც ი.შუმპეტერმა „კონდრატიევის ციკლები“ უწოდა. ამ თეორიის პირველი საფუძვლები გადმოცემულია მის მიერ 1922 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „მსოფლიო ეკონომიკა და მისი კონიუნქტურები ომის დროს და ომის შემდეგ“. 1925 წელს გამოქვეყნდა „კონიუნქტურის დიდი ციკლების საკითხისათვის“, 1928 წელს კი „ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლები“. კონდრატიევის ამ ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევდა ციკლების თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ამერიკელი მეცნიერი უ.მიტჩელი, რომელიც წერდა, რომ „კონდრატიევის გამოკვლევები კარგ პერსპექტვას ქმნის მომავალი მუშაობისათვის“. ამის მიუხედავად, ათწლეულების მანძილზე მეცნიერის ნაშრომები ტაბუდადებული იყო და სპეციალისტთა უაღრესად ვიწრო ჯგუფს შეეძლო მათი გაცნობა „სპეციალურ საცავებში“. მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში გახდა შესაძლებელი ნ.კონდრატიევის ნაშრომების მკითხველთა ფართო წრისთვის გაცნობა.



*პიტერიმ სოროკინ*

1999 წელს შეიქმნა პიტერიმ სოროკინ - ნიკოლაი კონდრატიევის საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც ემსახურება ამ მეცნიერების იდეების მთელ მსოფლიოში გავრცელებასა და პროპაგანდას.

2000-იანი წლების დასაწყისში ნ.კონდრატიევის ნაშრომები ითარგმნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკვე პატიმრობაში მყოფი მეცნიერი 1930 წელს არჩეული იქნა საერთაშორისო ეკონომეტრიკული საზოგადოების წევრად ი.შუმპეტერთან, ჯ.მ. კეინზთან, ვ.ლენტიევთან და მსოფლიო სახელის მქონე ზოგიერთ სხვა ეკონომისტთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერი საკუთარი შემოქმედებითი ძალებისა და უნარის გაფურჩქვნის პერიოდში დაიღუპა, მისმა იდეებმა მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ მის თანამედროვეობას. დღეს კონდრატიევის თეორია წარმოადგენს საზოგადოებათმცოდნეობის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემის განვითარების ციკლური რყევების შემეცნება-ახსნის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს და იგი უეჭველად კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მომავლის ინტეგრირებული სოციალური მეცნიერების ჩამოყალიბებაში.

## **ნ. კონდრატიევის მიერ ეკონომიკური ციკლების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები**

მეცნიერმა მიზნად დაისახა უაღრესად რთული თეორიული ამოცანის გადაწყვეტა. კერძოდ, სოციალური თეორიის, როგორც მეტი შინაარსის მქონე ერთიანი სისტემის შექმნა, რომელსაც დაემყარებოდა მოძღვრება სოციალურ-ეკონომიკური დინამიკის შესახებ და მისი შემადგენელი ელემენტი ციკლების, მათ შორის დიდი ციკლების თეორია.

თავის პირველივე ნაშრომში კონდრატიევმა ჩამოაყალიბა საკუთარი მეთოდოლოგიური მიდგომის საწყისი კონტურები. იგი წერს მეურნეობის, როგორც მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის დინამიკურ და სტატკურ ასპექტებში შესწავლის აუცილებლობის შესახებ. ამასთანავე, მეცნიერი ფაქტობრივად აიგივებს კონიუნქტურის თეორიას ციკლის

თეორიასთან და ორივე მათგანს დინამიკური თეორიის შემადგენელ ნაწილებად წარმოგვიდგენს. ნ.კონდრატიევი მკითხველს სთავაზობს დინამიკური თეორიის შემდეგ დეფინიციას: ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში მყოფი სამეურნეო ცხოვრების ელემენტების ცვლილების კანონზომიერებათა შემსწავლელი მეცნიერება.

კონდრატიევი მიიჩნევდა, რომ იმ დროს არსებული არც ერთი ეკონომიკური მიმართულება თუ სკოლა ან არ, ან ვერ იკვლევდა ეკონომიკური დინამიკის კანონზომიერებებს. ნეოკლასიკა, საკუთარი მეთოდოლოგიური წანამძღვრებიდან გამომდინარე, წარმოადგენდა სტატიკური ხასიათის მოძღვრებას, ისტორიული სკოლა კი საფუძველშივე გამორიცხავდა თეორიულ კვლევას და ისტორიული ფაქტების აღწერით შემოიფარგლებოდა.

ნ.კონდრატიევის სოციალურ თეორიასთან ყველაზე ახლოს დგას შუმპეტერისეული ევოლუციონისტური თეორია და ამერიკული ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლის უ.მიტჩელის შეხედულებები, რომელიც კონდრატიევის მსგავსად ციკლების პრობლემის კვლევაში ორგანულად აერთიანებდა „ეკონომიკურ ისტორიას, თეორიას და სტატისტიკას“.

სტატიკისა და დინამიკის ურთიერთმიმართების პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული წონასწორობის თეორიასთან. სტატიკის მიმართ დამოკიდებულება ამ თვალსაზრისით თავიდანვე აშკარა იყო. უფრო რთულად იდგა საკითხი ეკონომიკურ დინამიკასთან მიმართებაში. გარკვეული თეორიული კვლევების საფუძველზე კეთდებოდა დასკვნა, რომ არსებული ზოგადი თეორიის ჩარჩოებში პრინციპულად შეუძლებელია ეკონომიკური დინამიკის თეორიის შექმნა. აღნიშნულის მიუხედავად ი.შუმპეტერი ენერგიულად ცდილობდა იმის დასაბუთებას, რომ ეკონომიკური სუბიექტის ქცევის მოდელის შეცვლის გზით შესაძლებელია დინამიკის თეორიის ჩამოყალიბება. შუმპეტერისგან განსხვავებით კონდრატიევი მიიჩნევდა, რომ ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა არა ინდივიდუალური ქცევის მოდელის, არამედ ანალიზის ინსტრუმენტარის შეცვლა და სტატისტიკურ-ალბათური მიდგომის გამოყენება. იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ დინამიკური თეორია „პრინციპში შესაძლებელია“, ხოლო ამ თეორიის მეცნიერული სიზუსტე და პრაქტიკული ვარგისიანობა შეიძლება შემოწმდეს მის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზის ხარისხის გათვალისწინებით.

ეკონომიკური დინამიკის ჩარჩოებში ეკონომიკური ციკლების კვლევის კიდევ ერთი რთული მეთოდოლოგიური პრობლემა მდგომარეობს ემპირიული და თეორიული მიდგომების ურთიერთდაპირისპირებაში. ემპირიული მიდგომის მომხრეთა აზრით, აბსტრაქტული თეორია უპირველეს ყოვლისა, წონასწორობის თეორიაა, ხოლო ციკლური რყევები ამ წონასწორობიდან გადახრას, რის გამოც შეუძლებელია ამ მოვლენის, ე.ი. ციკლური რყევების ზუსტი აღწერა. აღნიშნული კრიტიკის პასუხად შემპეტერმა თავის დროზე უარი თქვა წონასწორულ მოდელზე და ევოლუციონისტური თეორიის შემუშავებას მიჰყო ხელი. სხვა გზით წავიდნენ აბსტრაქტული თეორიის თანამედროვე მიმდევრები - ახალი კლასიკოსები. მათ თვითონ ციკლი აღიარეს წონასწორულ ფენომენად, რითაც მათი აზრით, მოიხსნა წინააღმდეგობა საკვლევ მოვლენასა და კვლევის ინსტრუმენტარს შორის. კიდევ ერთი მეთოდოლოგიური პრობლემა უკავშირდებოდა წინააღმდეგობას ინდივიდუალური ქცევის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული აბსტრაქტული თეორიის დასკვნებსა და აგრეგირებული სტატისტიკური მაჩვენებლების შესწავლის შესაძლებლობას შორის. რელობაში კი სწორედ ეს მაჩვენებლები განსაზღვრავს კონიუნქტურას. მაშასადამე, აქაც სახეზე იყო მწვავე მეთოდოლოგიური წინააღმდეგობა შესასწავლ მოვლენასა და შესწავლის ინსტრუმენტარს შორის.

თეორიული მიდგომის მომხრეები პირიქით მიიჩნევდნენ, რომ ციკლური რყევების ბუნების გაგება შეუძლებელია მხოლოდ მათემატიკური და სტატისტიკური ანალიზის გზით. მათი აზრით, პრობლემის შესწავლის საფუძველს წარმოადგენდა მხოლოდ თეორიული კვლევის საფუძველზე მიღებული ცოდნა, ემპირიული მიდგომა კი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო თეორიული კვლევის შედეგების საილუსტრაციოდ.

ეკონომიკური ციკლების კვლევის მეთოდოლოგიაში კონტრასტივის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან მოახერხა თეორიული და ემპირიული მიდგომების ინტეგრირება და ძალიან ფართო მოცულობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა დიდი ციკლების კონცეფცია. თუმცა ეს უკანასკნელი არ შეიძლება „წმინდა“ თეორიად ჩაითვალოს ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. უფრო მეტად იგი შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტების (მონაცემების) ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამუშაო ჰიპოთეზად.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი კონტრაქტივის კვლევის მეთოდოლოგიაში სტატისტიკის გამოყენებას, რასაც შემდეგი გარემოება განაპირობებს: დინამიკის თეორიის მთავარი შინაარსი, როგორც აღვნიშნეთ, მდგომარეობს რეალურ დროში ცვლილებებს დაქვემდებარებული ეკონომიკური სისტემის ელემენტებს შორის კავშირურთიერთობათა დადგენაში. სისტემის შემადგენელი ელემენტები, თავის მხრივ, ხასიათდება რაოდენობრივი პარამეტრებით და მათ შორის ურთიერთკავშირი ვლინდება სტატისტიკური დამოკიდებულების სახით (აქ უპრიანია გავიხსენოთ სტატისტიკის მეცნიერების საგნის კლასიკური განმარტება: სტატისტიკა შეისწავლის მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს მათ თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში).

ნ. კონტრაქტივის მთავარი მეთოდოლოგიური პრინციპი - მეცნიერებას შეიძლება საქმე ჰქონდეს მხოლოდ რეგულარულად განმეორებად მოვლენებთან, გულისხმობს ერთი მხრივ, ციკლების პრობლემის წინა პლანზე წამოწევას და მეორე მხრივ, განვითარების ციკლური ხასიათით ნაკარნახევი სტატისტიკური დამოკიდებულებების შესწავლის აუცილებლობას. კონტრაქტივი მთავარ მეთოდოლოგიურ ცნებად მიიჩნევს ერთობლიობას, რომელიც სტატისტიკური ფენომენია და ნიშნავს ელემენტთა ისეთ დიდ რაოდენობას, რომლის დროსაც მოქმედებს დიდ რიცხვთა კანონი. ეს უკანასკნელი ერთობლიობას ახასიათებს არა როგორც ელემენტთა მარტივ მექანიკურ ჯამს, არამედ სპეციფიკურ მოვლენათა წარმომშობ ურთიერთკავშირთა სისტემას. ერთობლიობის ცნებას კონტრაქტივი იყენებს ჯერ საზოგადოების, შემდეგ კი ეკონომიკის ანალიზში. ეკონომიკა არის სისტემა, რომელიც ემყარება შეზღუდული რესურსების გამოყენებით ინდივიდთა მიერ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზანს. ამ დეფინიციიდან გამომდინარე ცხადია, რომ მეურნეობის (მეურნეობრიობის) ამოსავალი წერტილია ადამიანი (ინდივიდი), რომლის საზოგადოებრივი ბუნების განმსაზღვრელია ის გარემოება, რომ მეურნეობა ერთობლიობას წარმოადგენს. ეს ნიშნავს შემდეგს: საკუთარ მიზნებს გამოდევნებული ადამიანები აკეთებენ არჩევანს, ურთიერთობაში შედიან სხვა ადამიანებთან, მათზე ზემოქმედებენ და თავადაც განიცდიან ზეგავლენას სხვათა მხრიდან. შესაბამისად, ადამიანთა ერთობლივი მოქმედების შედეგები ყოველთვის განსხვავებულია მათ წარმოდგენაში არსებული „სურათ-ხატებისაგან“.



ამრიგად, სტატისტიკური მიდგომა მეცნიერს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ინდივიდი მეურნეობის (მეურნეობრიობის) ამოსავალ ელემენტად და ამავე დროს, კონცენტრირდეს მეურნეობის როგორც სოციალური მოვლენის ანალიზზე. ამასთანავე, „სოციალური“ ამ შემთხვევაში არა კლასობრივი, კულტურული ან ეთნიკური დატვირთვის მატარებელი ცნებაა, არამედ დიდი რაოდენობის სუბიექტთა ურთიერთზემოქმედების კანონზომიერი შედეგია.

სტატისტიკური მიდგომა მეცნიერისთვის არა მხოლოდ ანალიზის ტექნიკური ინსტრუმენტი, არამედ ობიექტური რეალობის შემეცნების წესიცაა. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ კონდრატიევს, როგორც მკვლევარს, ახასიათებდა სტატისტიკურ-ალბათური მსოფლმხედველობა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სტატისტიკა და მისი მეთოდების გამოყენება შესაძლებელია როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური მოვლენების შესწავლის პროცესში.

მოცემული პარაგრაფის ბოლოს თეზისურად ჩამოვყალიბებთ ნ.კონდრატიევის დამსახურებას ეკონომიკური თეორიის განვითარებაში:

- თეორიული და ემპირიული კვლევის შეხამება;
- ჰოლიზმისა და ინდივიდუალიზმის - თანამედროვე ენაზე მაკროეკონომიკასა და მიკროეკონომიკას შორის კავშირის დადგენა;
- სტატისტიკური და დინამიკური თვალსაზრისების „შერიგება“;
- ეკონომიკურ მეცნიერებაში დროის პრობლემის ანალიზი, მისგან გამომდინარე, ეკონომიკური დინამიკის კანონზომიერებათა განსაზღვრა ციკლებისა და გრძელვადიანი ტრენდების ჩათვლით;
- მოვლენებისა და პროცესების განვითარების პროგნოზირების თეორიის საფუძვლების ჩამოყალიბება და პერსპექტიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ევოლუციონისტური თეორიის მეთოდოლოგიური საფუძვლის გაძლიერება. კერძოდ, კონდრატიევის მიერ შემუშავებული ეკონომიკური დინამიკის თეორიის გამოყენებით შუმპეტერმა და მისმა მიმდევრებმა - რ.ნელსონმა, ს.უინტერმა და სხვ. შეიმუშავეს მიდგომა, რომელიც ეკონომიკურ წესრიგს განიხილავს არა როგორც „მდგომარეობას“ (being), არამედ „ჩამოყალიბების“ (becoming) პროცესს.

## კონდრატიევის დიდი ტექნოლოგიურ-ინსტიტუციური ციკლი

პრობლემის ანალიზს მეცნიერი იწყებს „კონიუნქტურის“ ცნებიდან, რომელიც მისი განმარტებით განსაზღვრავს „სამეურნეო ცხოვრების ერთობლივი ელემენტების წინა პერიოდთან შედარებით ცვლილების მიმართულებას და ხარისხს“.

ნაშრომში „კონიუნქტურის დიდი ციკლები“ კონდრატიევი აღნიშნავს, რომ „თანამედროვე ეკონომიკური თეორია იცნობს მხოლოდ 7–11 წლიანი ხანგრძლივობის ციკლებს. სინამდვილეში ამ ციკლებთან ერთად, როგორც ჩანს, არსებობს ეკონომიკური დინამიკის სხვა ციკლები – 48–55 წლიანი ხანგრძლივობით. ჩვენ მას ვუწოდებთ დიდ ეკონომიკურ ციკლებს“. იგივე მოსაზრებაა გამოთქმული მეცნიერის სხვა ნაშრომში - „მსოფლიო ეკონომიკა და მისი კონიუნქტურები ომის დროს და ომის შემდეგ“, რომელშიაც ავტორი წერს: „ეკონომიკური კონიუნქტურების დინამიკა რიტმულია. მაღალი კონიუნქტურის პერიოდები მისი მეტად ან ნაკლებად დაქვეითების პერიოდებით იცვლება. ამგვარი მერყეობების ორი მთავარი ციკლი შეიძლება გამოვყოთ: დიდი ციკლები, რომლებიც დაახლოებით 50 წელს მოიცავს და სამრეწველო-კაპიტალისტური ციკლები დაახლოებით 8–11 წლის ხანგრძლივობით“ აქვე აღნიშნულია, რომ ორივე სახეობის ციკლი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. 1928 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლები“ კონდრატიევი მოჰყავს ამ ურთიერთკავშირის დამადასტურებელი ვრცელი სტატისტიკური მასალა. ციკლების ღრმა და დეტალური ანალიზის საფუძველზე მეცნიერი დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნამდე მივიდა. კერძოდ, მან აჩვენა, რომ:

- დიდი ეკონომიკური ციკლების აღმავალ ტალღაზე მოკლე და საშუალო (სამრეწველო) კაპიტალისტური ციკლები ხასიათდება დეპრესიის მოკლევადიანობით და აღმავლობის ინტენსიურობით. დიდი ციკლების დაღმავალ ფაზაზე კი საპირისპირო სურათთან გვაქვს საქმე. „პატარა ციკლების აღმავლობა დიდი ციკლის დაღმავალ ტალღაზე მოკლებული იქნება იმ ინტენსიურობას, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო დიდი ციკლის აღმავალ ფაზაზე. პირიქით, კრიზისები ამ დროს უფრო მკვეთრი, ხოლო პატარა ციკლების დეპრესიები კი უფრო ხანგრძლივი იქნება“ - წერს ნ.კონდრატიევი.

ნ.კონდრატიევმა დაასაბუთა, რომ კონიუნქტურის დიდი ციკლების მატერიალური საფუძველია კაპიტალური დოვლათის მასობრივი განახლება, რომელიც მოითხოვს ინვესტირების მაღალ ტემპებსა და კაპიტალის კონცენტრაციას. იგი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, თუმცა იქვე შენიშნავდა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონებები უსარგებლოა მანამ, ვიდრე არ აღმოცენდება მათი გამოყენებისთვის აუცილებელი პირობები, „ტექნიკის განვითარება კი ჩართულია ციკლების განვითარების რიტმიულ პროცესში“. აღნიშნული პროცესების შესახებ მეცნიერი შემდეგ მოსაზრებებს ავითარებს: „დიდი ციკლების მატერიალური საფუძველია ძირითადი კაპიტალური დოვლათის ცვეთა, შეცვლა და გაფართოება, რომელიც ხანგრძლივ დროსა და უზარმაზარ დანახარჯებს მოითხოვს“. ამასთანავე, ძირითადი კაპიტალური დოვლათის შეცვლა და განვითარება მიმდინარეობს არა მდორედ, არამედ ბიძგებით, რომლის გამოვლინებაც კონიუნქტურის დიდი ტალღები: „დიდი ციკლის აღმავალი ფაზა დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალური სიმდიდრის განახლებასა და გაფართოებასთან, საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალების რადიკალურ ცვლილებასა და გარდაქმნასთან.“

კონიუნქტურის დიდ ციკლებს კონდრატიევი იკვლევდა უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ რეალობასთან კავშირში და აანალიზებდა ისეთი მაჩვენებლების მერყეობას, როგორცაა „საქონელზე ფასები, რენტა, სარგებლის განაკვეთი, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, ლითონისა და თუჯის წარმოება, ქვანახშირის მოპოვება, მინერალურ სათბობზე მოთხოვნა და ა.შ.“. იგი ყოველთვის საუბრობდა მხოლოდ ტენდენციებზე. მიიჩნევდა რომ ეკონომიკურ და სოციალურ დინამიკაში ერთმნიშვნელოვანი კანონზომიერებისა და მათემატიკურ ფორმულებში „ჩამჯდარი“ ზუსტი რიტმების ძიება აზრს მოკლებულია. ეს დინამიკა მრავალგანზომილებიანი, მრავალწახნაგიანი, მრავალფაქტორიანია და აღსავსეა შემთხვევითი ფლუქტუაციებით.<sup>1</sup>

ამასთან ერთად, ტალღისებურ განვითარებას კონდრატიევი განიხილავდა, როგორც უნივერსალურ პროცესს, რომელიც მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება და

---

<sup>1</sup> ფლუქტუაცია ნიშნავს მერყეობას, რაიმე სიდიდის შემთხვევით გადახრას მისი საშუალო მნიშვნელობიდან.

განაპირობებს სიღრმისეულ სოციალურ ძვრებს ომების, რევოლუციების, ტერიტორიული ექსპანსიის სახით: „ომებიც და სოციალური რყევებიც ერთვება დიდი ციკლების რიტმულ პროცესებში და წარმოადგენს არა ამ განვითარების ამოსავალ ძალებს, არამედ მათი გამოვლინების ფორმას. თუმცა წარმოშობისთანავე ისინი ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური დინამიზმის ტემპსა და მიმართულებაზე“ – წერს მეცნიერი.

## **კონდრატიევის დიდი ტალღების თეორია, თანამედროვეობა და პერსპექტივა**

კონდრატიევის თეორია ძირითადად მორგებული იყო მეცნიერის თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაზე. ამჟამად მსოფლიო იმყოფება განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე და საყოველთაო გლობალიზაციის ეპოქაში. შესაბამისად იბადება კითხვა თუ რამდენად პასუხობს ეს თეორია ამჟამინდელ რეალობას? მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების (ტენდენციების) ანალიზი გვიდასტურებს ნ.კონდრატიევის თეორიის უნივერსალურ ხასიათს, ხოლო გლობალიზაციის ეპოქაში მომრავლებური ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისები აძლიერებს მის აქტუალურობას.

კონდრატიევის დიდი ციკლი(ტალღა) პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: კონდრატიევის ტექნოლოგიური ციკლი და კონდრატიევის ინსტიტუციური ციკლი.

დღეს ჩვენ საქმე გვაქვს კონდრატიევის დიდი ციკლის დადმავალ ფაზასთან, რომელიც დროში დაემთხვა დაწინაურებულ (პოსტინდუსტრიულ) ქვეყნებში საზოგადოების მეხუთე ტექნოლოგიური წყობიდან მეექვსე წყობაზე გადასვლის პროცესს, რომელიც ერთგვარად გაჭიანურდა. ეს არის მდგომარეობა, რომელიც ამთავრებს განვითარების ერთ მონაკვეთს და ამზადებს საფუძველს ახლის დასაწყებად. გარკვეული აზრით, შესაძლებელია ვისაუბროთ გლობალურ ტრანსფორმაციაზე, რომელიც ხასიათდება კრიზისული მოვლენების გაძლიერებით მსოფლიო ეკონომიკაში. სავარაუდოდ, გადასვლის ინტენსიფიცირება მსოფლიოს ავანგარდულ ქვეყნებში მოსალოდნელია 2020–იანი წლებიდან და იგი დასრულდება 2040–იანი – 2050–იანი წლების მიჯნაზე. ეს უკანასკნელი დაემთხვევა კონდრატიევის დიდი ტალღის აღმავალ ფაზას, სადაც ტექნოლოგიური და ეკონომიკური დინამიკა

ორგანულად იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული. კონდრატიევის მეექვსე ტალდა, რომელიც შეწყვილდება პოსტინდუსტრიული საზოგადოების მეექვსე ტექნოლოგიურ წყობასთან, ძირითადად ორიენტირებული იქნება მედიცინის უახლეს მიღწევებზე, ბიოგენურ და ნანო ტექნოლოგიებზე, კომპიუტერის ფუნქციონირების ახალ (კვანტურ) პრინციპებზე, ახალ კომპოზიციურ მასალებზე. კონდრატიევის აღმავალი ტალღის ინსტიტუციური ფაზა მოასწავებს ადამიანის შემოქმედებითი უნარის გაფურჩქნას, მის სრულად რეალიზებას, ეკოლოგიურ-დამზოგავი ეკონომიკისა და ზოგადად არაეკონომიკური ფასეულობების პრიმატს. ქვეყანა, რომელიც არ იქნება ორიენტირებული ამ პრიორიტეტებზე, დგება ციკლის ამ ფაზის გამოტოვების, ან უკეთეს შემთხვევაში დამწევი განვითარების სიტუაციაში.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიაში, ჩვენი აზრით, აუცილებელია გამოიყოს რამდენიმე პრიორიტეტი, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კერძოდ:

- ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა;
- მეცნიერების წინგამსწრები ტემპით განვითარება;
- თანამედროვე უნივერსიტეტებისა და ტექნოლოგიური ცენტრების ფუნქციონირება;
- ცოდნისა და ინფორმატიკის ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარება;
- მაღალტექნოლოგიური ბირთვის მქონე მოდერნიზებული ეკონომიკის ჩამოყალიბება;
- ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების სწრაფი გავრცელება;
- ეკონომიკის ახალი რეინდუსტრიალიზაციის შერწყმა თანამედროვე ბიო და საინფორმაციო მაღალი ტექნოლოგიების მოთხოვნებთან და მიღწევებთან;
- აღმშენებლობასა და შემოქმედებაზე ორიენტირებული ეკონომიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფორმირება.

ქვეყნების შიგნით ზემოაღნიშნული პრიორიტეტების წინა პლანზე წამოწევა ორგანულად იქნება შერწყმული გლობალიზაციის პროცესით ნაკარნახევ ეროვნული ეკონომიკების სინქრონულ განვითარებასთან.

სავარაუდოა, რომ XXI საუკუნეში შენარჩუნდება ეკონომიკური რყევებისა და კრიზისების ციკლი, რაზედაც 2007–2008 წლის გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მიანიშნებს.

საბოლოოდ კონდრატიევის დიდი ტალღების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია შემდეგი პროგნოზის გაკეთება. 2020 წლამდე მოსალოდნელია სერიოზული ეკონომიკური რყევების განმეორება, 2020-იანი წლების დასაწყისიდან უნდა ველოდოთ აღმავალ ფაზას, რომელიც პიკს 2040 წლის გარშემო მიაღწევს. ამას შემდეგ მოჰყვება დაღმავალი ფაზა შესაბამისი ეკონომიკური პროცესებით და ა.შ. მაშასადამე, მომავალში კონდრატიევის ციკლები მსოფლიო ეკონომიკაში შენარჩუნდება, თუმცა მას უფრო სინქრონული ხასიათი და გლობალური მასშტაბები ექნება.

#### ლიტერატურა:

მ. ფრიდმანი. კაპიტალიზმი და თავისუფლება. თბ., 2002.

ა. სილაგაძე. ეკონომიკური დოქტრინები. თბ., 2010. თავი XXII (3).

მ. გოგობია. თანამედროვე მონეტარისტული თეორია და პრაქტიკა. ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა”, 2001, №3, გვ. 79-84.

ა. ჯიბუტი. მილტონ ფრიდმენი (90 წელი დაბადებიდან) ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა”, 2003, გვ. 174-177.

მ. გოგობია. მონეტარისტული თეორია და პოლიტიკა. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2008, №4, გვ. 55-65.

ა. ჯიბუტი. თანამედროვე მონეტარიზმი. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2008, №5, გვ. 65-73.

მ. ჩიქობავა. მ. ფრიდმანის მონეტარისტული წესის შესახებ. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2010, №6, გვ. 41-50.

**Friedman M., Schwartz A.** Monetary History of the United States. 1867-1960, Princeton, Princeton University Press, 1963.

**Andersen L., Jordan J.** Monetary and Fiscal Actions: A Test Their Relative Importance in Economic Stabilization. Federal Reserve Bank of St. Louis Reviw, 1968, #5, გვ. 11-24.

**Andersen L., Carlson K.** A Monetarist Model for Economic Stabilization. Federal Reserve Bank of St. Louis Review, 1970, N52, pp. 7-28.

**Ирвинг Фишер.** Покупательная сила денег. М; 2001.

**С. Моисеев.** Взлёт и падение монетаризма. Журн. "Вопросы экономики", 2002, N9, pp. 63-77.

**С. Моисеев.** Неизвестный Фридмен: вклад великого монетариста в развал Бреттон-Вудса. Журн. "Вопросы экономики", 2005, N3, pp. 83-98.

## თემა 7. (ლექცია IX) ეკონომიკური თეორიის შვედური(სტოკჰოლმის) სკოლის ფუძემდებელთა შეხედულებები

კნუტ ვიკსელის ნაშრომი „სარგებელი და ფასები“(1898)

გუნარ მიურდალის ნაშრომი „ფულადი წონასწორობა“(1933)



კნუტ ვიკსელი (1851-1926) დაიბადა სტოკჰოლმში. ის ჯერ მათემატიკას სწავლობდა, ეკონომიკით კი 35 წლის ასაკში დაინტერესდა. 1895 წელს მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი, 1893 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი სერიოზული ნაშრომი “ღირებულება, კაპიტალი და რენტა”. ვიკსელი ითვლება ე.წ. “სტოკჰოლმის სკოლის”

კნუტ ვიკსელი დამაარსებლად. ი. შუმპეტერი აღნიშნავდა ვიკსელის შესახებ: “ყველა შვედი და ნორვეგიელი ეკონომისტი, რომელთაც გარკვეული რეპუტაცია გააჩნიათ, ასე თუ ისე, ვიკსელის მოწაფედ ითვლება”. ვიკსელი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით სოციალ-დემოკრატებს უთანაგრძნობდა.

ნაშრომი “სარგებელი და ფასები” იწყება ფულის თეორიების ანალიზით. ეს საკითხი განხილულია თავდაპირველად ფასების ზრდის, ხოლო 1873-1895 წლებში ფასების საერთო დონის შემცირების ფაქტებთან მიმართებაში. ვიკსელი მიიჩნევდა, რომ ფულის არსებული თეორიები გარკვეული ხარვეზებით ხასიათდებოდა. აღნიშნული თეორიები ფასების საერთო დონის ცვლილების საფუძვლად მიიჩნევდა ორ ფაქტორს: წარმოების ღირებულებას და ფულის რაოდენობას. ორივე მათგანი, ვიკსელის აზრით, ნეიტრალური იყო ფულისა და ღირებულების საკითხის მიმართ და ორივე ფულს განიხილავდა საქონლის, ანუ რეალური ეკონომიკის სფეროდან გამომდინარე. წარმოების ღირებულების თეორიის ერთ-ერთი შემქმნელია ინგლისელი ეკონომისტი უილიამ ნასაუ სენიორი, რომლის აზრითაც ფასების საერთო დონეს განსაზღვრავს საქონლის წარმოების დანახარჯები. მოგვიანებით ეს თეორია განავითარა კ. მარქსმა, რომელმაც მის საფუძველზე ჩამოაყალიბა ზედმეტი ღირებულების კლასობრივი თეორია. ვიკსელი პრინციპულად არ ეთანხმებოდა ნასაუსა და მარქსის მოსაზრებებს. ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებელია ინგლისელი ფილოსოფოსი დ. იუმი. ვიკსელი მთლიანობაში ეთანხმება ამ თეორიას, მაგრამ ხაზს უსვამს მისი დაზუსტების აუცილებლობას. კერძოდ: ფასების დონეზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა, არამედ ფულის ბრუნვის სიჩქარე და სარგებლის განაკვეთი, რომლებიც არ გაითვალისწინებოდა ფულის რაოდენობრივ კლასიკურ თეორიაში. ვიკსელი აღნიშნავს, რომ ფასების ზრდას თან სდევს სარგებლის განაკვეთის ზრდა, რასაც თანამედროვე ლიტერატურაში “გიბსონის პარადოქსი” ეწოდება. ფულის



რაოდენობრივი თეორიის თანახმად - ფინანსების სიჭარბე იწვევს ფასების ზრდას, ეს უკანასკნელი კი ამცირებს სარგებლის განაკვეთს. კლასიკური მიდგომის თანახმად, არსებობს ე.წ. “ნორმალური სარგებლის” განაკვეთი, რომელიც ფულის ბაზარზე მყარდება და უზრუნველყოფს ფასების მყარ წონასწორობას. ვიკსელი მიიჩნევს, რომ ეს არის ზედმეტად გამარტივებული შეხედულება. იგი ართულებს ამ ანალიზს და განიხილავს ფულის, როგორც გადახდის საშუალებასთან დაკავშირებულ სამ თეორიულ მოდელს. პირველი, “ნაღდი ანგარიშსწორების ეკონომიკური მოდელი”, რომელშიაც ყველა გადახდა მიმდინარეობს ნაღდი ფულის საშუალებით. ამ შემთხვევაში ფულის რაოდენობრივი თეორია სრულიად გამოუყენებადია. მეორე არის “მარტივი კრედიტის ეკონომიკა”, რომელშიაც მსესხებელი და გამსესხებელი პირდაპირ უკავშირდება ერთმანეთს, არსებობს კერძო კრედიტი და არა - საბანკო კრედიტი. ამ მოდელის შემთხვევაში, შესაძლებელია ფულის რაოდენობრივი თეორიის ნაწილობრივი გამოყენება. მესამე არის “ორგანიზებული კრედიტის ეკონომიკა”, რომელშიაც ფუნქციონირებს განვითარებული საბანკო სისტემა და მიმდინარეობს უნაღდო ანგარიშსწორება. ფულის რაოდენობრივი თეორიის გამოყენება ამ მოდელში უკვე არასაკმარისია.

#### 4. IV. 1. ბუნებრივი სარგებლის განაკვეთი

ვიკსელი ერთმანეთისაგან განასხვავებს “ბუნებრივი სარგებლის განაკვეთს” და “ფულადი სარგებლის განაკვეთს”, რომელიც გამომდინარეობს “ლიკვიდურ კაპიტალსა და “რეალურ კაპიტალს” შორის განსხვავებიდან. ლიკვიდური კაპიტალი არის კაპიტალისტების განკარგულებაში არსებული დანაზოგები, რომელსაც მათგან იღებენ მეწარმეები და იხდიან ფულად სარგებელს. რეალური კაპიტალია მანქანები და ინსტრუმენტები, არხები, რკინიგზა, შენობები, რომელთა ხანგრძლივადიანი გამოყენება ხდება და მიიღება შემოსავალი რენტის სახით. რეალური კაპიტალი იძლევა ნამეტ პროდუქტს, რომელიც შეესაბამება კაპიტალის ზღვრულ მწარმოებლურობას. ეს ნამეტი პროდუქტი კი ბუნებრივი სარგებლის ტოლია. მაშასადამე, ბუნებრივი სარგებლის განაკვეთი არ ითვალისწინებს ფულის არსებობას. ბუნებრივი სარგებლის ნორმა მუდმივად მერყეობს და “საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული”. ვიკსელის აზრით, ლიკვიდური კაპიტალის ნებისმიერი ზრდა განაპირობებს ბუნებრივი სარგებლის განაკვეთის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, მეწარმეებს საშუალებას აძლევს გაზარდონ ინვესტიციები და გააფართოონ საკუთარი წარმოება. ამ გზით იზრდება საკუთრივ ლიკვიდური კაპიტალის მოცულობაც. აღნიშნული დამოკიდებულება ბუნებრივი სარგებლის განაკვეთსა და ფულადი სარგებლის განაკვეთს შორის სულ უფრო რთულდება საკრედიტო ფულად ეკონომიკაში. ვიკსელის აზრით, წონასწორობა სასაქონლო და ფულად ბაზრებზე მოითხოვს წონასწორობას ბუნებრივი და ფულადი სარგებლის

განაკვეთებს შორის. საბანკო სისტემის განვითარებასთან ერთად ამ წონასწორობის მიღწევა უფრო და უფრო რთული და ძნელად მისაღწევი ხდება.

#### 4. IV. 2. ფულადი სარგებლის განაკვეთი

ფულადი სარგებლის განაკვეთს ვიკსელის თეორიაში განსაზღვრავს დროის მოცემულ მონაკვეთში დანაზოგებზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა. იგი მიიჩნევს, რომ საინტერესოა არა თავისთავად ფულადი სარგებლის განაკვეთი, არამედ მისი თანაფარდობა ბუნებრივი სარგებლის განაკვეთთან. მათ შორის კავშირის ნებისმიერი გაწყვეტა იწვევს ფასების დონის ცვლილებას გადიდების ან შემცირების მიმართულებით. თუკი მეწარმისათვის ხელსაყრელია სხვაობა კაპიტალისტებისათვის გადახდილ ბუნებრივ განაკვეთსა და ბანკებისათვის გადახდილ საკონტრაქტო განაკვეთს შორის, წარმოება მათთვის ხელსაყრელია გრძელვადიან პერიოდში და უცვლელი ფასის პირობებში მეწარმეები იღებენ “მოულოდნელ” მოგებას. კაპიტალისტების ინტერესი კი ასეთ შემთხვევაში ილახება. ამ დროს ძლიერდება მეწარმეთა აქტიურობა, რაც აძლიერებს ლიკვიდური კაპიტალის რეალურ კაპიტალად გადაქცევის ტენდენციას. თუკი აღნიშნული სხვაობა მეწარმეთათვის სასარგებლო არ არის, მაშინ ვითარდება საწინააღმდეგო ტენდენცია. ამრიგად, ვიკსელის აზრით, ფასების ცვლილება დაკავშირებულია ბუნებრივი სარგებლის განაკვეთსა და ფულადი სარგებლის განაკვეთს შორის დისბალანსთან. ფასების ცვლილება კი განაპირობებს როგორც შემოსავლების ცვლილებას, ასევე ცვლილებას მათ განაწილებაში მეწარმეებსა და კაპიტალისტებს შორის. ბანკების განვითარება აძლიერებს მათ საკრედიტო ექსპანსიას და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელს ხდის განსხვავება ორ განაკვეთს შორის შენარჩუნდეს ხანგრძლივი დროის მანძილზე.

მოგვიანებით, კერძოდ, გასული საუკუნის 80-იან წლებში ზოგიერთმა ეკონომისტმა ვიკსელის მონეტარისტული შეხედულებები უმუშევრობის პრობლემას დაუკავშირა. მათი აზრით, არსებობდა არა მხოლოდ კლასიკური უმუშევრობა და კეინზიანური უმუშევრობა, არამედ უმუშევრობა ვიკსელის მიხედვითაც. ეს უკანასკნელი უკავშირდებოდა რეალურ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც მეტი იყო წონასწორულ საპროცენტო განაკვეთზე.

#### 4.IV. 3. ვიკსელის ფულადი თეორია საერთაშორისო მასშტაბით

ფულისა და საქონლის ბაზარზე ფასების წონასწორობის ანალიზი ვიკსელმა გაავრცელა ქვეყნებს შორის ფულად ურთიერთობებზე. ქვეყნის შიგნით ფასების ზრდა იმ დროს, როცა ქვეყნის გარეთ ფასები სტაბილურია, ადიდებს იმპორტს და ამცირებს ექსპორტს. დარღვეული წონასწორობის აღდგენა, ვიკსელის აზრით, შესაძლებელია

ეროვნულ ფასებზე ზეწოლით უცხოური საქონლის შემოტანის გაზრდის ან ექსპორტის შემცირების გზით. საბანკო სისტემის აქტივობის შემცირებაც შესაძლებელია ამ მიზანს ემსახურებოდეს. იმპორტის მზარდი ნაკადები ეროვნული ფასების გაზრდის შედეგად შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ქვეყანაში ლიკვიდური კაპიტალის გაზრდა და სარგებლის ბუნებრივი განაკვეთის შემცირება. თუ ეს განაკვეთი ნაკლები იქნება “საანგარიშო”, ანუ ფულად განაკვეთზე, ეს გამოიწვევს ფასების შემცირებას.

#### 4, IV. 4. ზოგიერთი დასკვნა

კლასიკური ეკონომიკური თეორია მიიჩნევდა, რომ ეკონომიკას ფულის გარეშე შეუძლია ნორმალური ფუნქციონირება. ფულის კატეგორია მათ ანალიზში შემოდიოდა მხოლოდ მეორე ნაბიჯის სახით, რომელიც არაფერს ცვლიდა მოდელში. ვიკსელი კრიტიკულად მიუდგა ფულის რაოდენობრივ თეორიას, დეტალურად შეაფასა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თავდაპირველად იგი რჩება რეალური წარმოების სფეროში, სადაც არ არსებობს ფული. მისი გამოგონილი ბუნებრივი განაკვეთი წარმოების ციკლის ბოლოს არ ცვლის ფასების საერთო დონეს. შემდგომში ვიკსელს ანალიზში შემოაქვს ფული და ამ მომენტიდან მისი შეხედულებები არსებითად განსხვავდება წინამორბედების შეხედულებებისაგან. კერძოდ, ბუნებრივი სარგებლის განაკვეთსა და ფულად სარგებლის განაკვეთს შორის არსებობს დისბალანსი, რასაც განსაზღვრავს შემდეგი გარემოება: ბუნებრივ განაკვეთს ახასიათებს ვოლატიური არასტაბილურობა, ფულად განაკვეთს კი ახასიათებს მაღალი ინერციულობა. აქედან გამომდინარე, ფულის, განსაკუთრებით საკრედიტო ფულის გამოყენება განაპირობებს მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსის წარმოშობას და ფასების საერთო დონის ცვლილებას. ეს პროცესები ეკონომიკაში იწვევს რყევებს იმ მომენტამდე, ვიდრე ბანკები არ დაარეგულირებენ საპროცენტო განაკვეთებს ეკონომიკაში შექმნილი რეალური პირობების გათვალისწინებით. ვიკსელის აზრით, ბანკების მმართველები შეფარდებით დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ და, აქედან გამომდინარე, მსგავსი დარეგულირება ეფექტს იძლევა მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც გრძელვადიან პერიოდში წონასწორობაში მოიყვანდა ბუნებრივ და ფულად (ნომინალურ) განაკვეთებს. შემდგომში ვიკსელს არაერთი ეკონომისტი აკრიტიკებდა მისი თეორიული კონსტრუქციის ზედმეტი ხელოვნურობის გამო, რასაც თავად ვიკსელიც ეთანხმებოდა: “ბუნებრივი და ნომინალური განაკვეთები უმეტესწილად აბსტრაქტული კონცეფციებია და მათი ზუსტი განსაზღვრა, თეორიული თვალსაზრისით, მეტად რთულია” – აღნიშნავდა იგი. მიუხედავად ამისა, ვიკსელი სამართლიანად ითვლება ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში დანაზოგებისა და ინვესტიციების მაკროეკონომიკური თეორიის წინამორბედად.

#### 4, IV. 5. გუნარ მიურდალის ნაშრომი “ფულადი წონასწორობა” (1933)



გუნარ მიურდალი

გუნარ მიურდალი (1898-1987) დაიბადა შვედეთში, სწავლობდა სტოკჰოლმის უნივერსიტეტში, სადაც ისმენდა ვიკსელის, ჰეკშერის, კასელის ლექციებს. ამავე უნივერსიტეტში მუშაობდა მასწავლებლად. 1932 წლიდან იყო შვედეთის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ეკონომიკური კონსულტანტი და მონაწილეობდა ანტიციკლური საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებაში. მოგვიანებით აირჩიეს შვედეთის პარლამენტში სოციალ-დემოკრატიული გუნარ მიურდალი პარტიიდან. იყო შვედეთის ცენტრალური ბანკის დირექტორი, საგემო კომისიის თავმჯდომარე, ვაჭრობის მინისტრი. 1947 წლიდან ეკავა გაეროს ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივნის პოსტი ევროპაში. ინტენსიურად მუშაობდა აზიის ქვეყნების ეკონომიკურ პრობლემებზე და გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი “აზიის დრამა”.

1974 წელს მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში ავგუსტ ფონ ჰაიეკთან ერთად. ეს იყო პარადოქსული მოვლენა, როდესაც ნობელის პრემია ერთდროულად გაიცა სოციალ-დემოკრატიული და ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეების დამცველ ეკონომისტებზე.

ნაშრომის- “ფულადი წონასწორობა” - შესავალში მიურდალი ვრცლად და კრიტიკულად მიმოიხილავს ფულის რაოდენობრივ თეორიას. იგი განსაკუთრებით გამოჰყოფს ვიკსელის როლს აღნიშნული თეორიის კრიტიკაში და სინანულით შენიშნავს, რომ ეს ფაქტი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ანგლო-საქსურ სამყაროში. ნაშრომის პირველი და მეორე თავები ეძღვნება ვიკსელის მიერ ფულის თეორიის ინტერპრეტაციას. მიურდალი აღნიშნავს, რომ ვიკსელმა სწორად შენიშნა ფულის მასისა და ფასების დონის რაღაც სხვა, მესამე ფაქტორით განსაზღვრულობა. მიურდალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კრედიტის როლზე, რომელიც “თანამედროვე ეკონომიკაში არის “ანაზღაურების მნიშვნელოვანი საშუალება”. კრედიტი, მისი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ფასების საერთო დონის, არამედ ფარდობითი ფასების ასახსნელადაც. კრედიტის მნიშვნელოვანი როლისა და ეკონომიკის ფინანსური და რეალური სექტორების ინტეგრაციის გათვალისწინების გარეშე, ავტორის აზრით, იძულებულნი ვიქნებით დავეთანხმოთ სეის კანონს, რომლის თანახმადაც კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში შეუძლებელია ჭარბწარმოების არსებობა. მიურდალი კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს, რომ სეისა და კლასიკოსებისაგან განსხვავებით ვიკსელის ეკონომიკური მოძღვრების ქვაკუთხედი კაპიტალისტური ეკონომიკის შინაგანი წონასწორობის შეუძლებლობის დასაბუთება.

მიურდალი დიდ ყურადღებას უთმობს სარგებლის განაკვეთის კვლევას და აღნიშნავს, რომ ფულზე სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება კრედიტის ბაზარზე. ფულზე სარგებლის განაკვეთი განსხვავდება ბუნებრივი სარგებლის განაკვეთისაგან

და ამ შემთხვევაში ირთვება ე.წ. “კუმულატიური პროცესები”. ვთქვათ, თავდაპირველად ეს ორი განაკვეთი თანაბარია. მოგვიანებით ბუნებრივი განაკვეთი იწყებს ზრდას, რომლის შედეგია არსებული რეალური კაპიტალის გაზრდა. ამასთანავე, ფულადი განაკვეთი, რომელიც ჰიპოთეტიურად ნაკლებია ბუნებრივ განაკვეთზე, მეწარმეებს კიდევ უფრო დაბალი ეჩვენებათ. ეს მათ საფუძველს აძლევს გააკეთონ პროგნოზი მომავალში ფასების მომატების შესახებ, რაც მათ ინვესტირებისაკენ უბიძგებს. მწარმოებლურ საქონელზე (კაპიტალზე) მოთხოვნის ზრდა იწვევს მასზე ფასების ზრდას. წარმოებული პროდუქტის სტრუქტურა იზრდება ამავე საქონლის სასარგებლოდ, რასაც სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდამდე მიყვარათ. ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს ვიკსელის კუმულატიურ პროცესთან, რომელიც მანამ გრძელდება, ვიდრე ფულადი განაკვეთი ნაკლებია ბუნებრივ განაკვეთზე. თუკი პირიქით ხდება, მაშინ მიმდინარეობს “შევიწროების” კუმულატიური პროცესი.

ნაშრომის მესამე თავში ჩამოყალიბებულია მიურდალის ფულადი წონასწორობის კონცეპტი. ვიკსელი თვლიდა, რომ კუმულატიური პროცესი წარმოადგენს “ფულადი წონასწორობიდან დინამიურ გადახრას ერთ ან მეორე მხარეს”. როცა ფულადი განაკვეთი ბუნებრივ განაკვეთზე ნაკლებია, დანაზოგები ჩამორჩება ინვესტიციებს და ფასები ორიენტირებულია ზრდაზე. საწინააღმდეგო შემთხვევაში დანაზოგები მეტია ინვესტიციებზე და ფასები ორიენტირებულია შემცირებაზე. ეს პროცესი წყდება მაშინ, როცა საბანკო სისტემა ასტიმულირებს ფულად განაკვეთს და აახლოებს მას ბუნებრივ განაკვეთთან. მიურდალის აზრით, ვიკსელის ეს ანალიზი საფუძველს უყრის ეკონომიკური ციკლის შესწავლისადმი ახლებურ მიდგომას. ამასთანავე, მიურდალი ვიკსელის თეორიული მემკვიდრეობის მიმართ იყენებს მიდგომას, რომელსაც იგი უწოდებს “იმანენტურ კრიტიკას”. ეს უკანასკნელი გულისხმობს წინამორბედის ანალიზის გამდიდრებას, კერძოდ, ეკონომიკის ორ სფეროს შორის კავშირების უფრო სიღრმისეულ შესწავლას. მიურდალს ფულის ანალიზში შემოჰყავს ახალი ცნებები “რისკი” და “განჭვრეტა”. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ წონასწორობა ფულის ბაზარზე, რასაც დროებითი ხასიათი აქვს, არ უნდა გავაიგივოთ ვალრასის ზოგად წონასწორობასთან, რომელიც გულისხმობს თვითრეგულირების მექანიზმის საშუალებით დარღვეული საბაზრო წონასწორობის ავტომატურ რეჟიმში აღდგენას და ეკონომიკის მუდმივი წონასწორობის მდგომარეობაში ყოფნას. მიურდალი მიიჩნევს, რომ ფულადი წონასწორობა არამყარია, თავის თავში მოიცავს კუმულატიურ პროცესს და თვითრეგულირების გზით მისი აღდგენა არ ხდება. მიურდალის უმნიშვნელოვანეს თეორიულ ღვაწლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ფულადი წონასწორობის ანალიზის პროცესში მან გამოიყენა დინამიკური მიდგომა, რომელიც ემყარება ეკონომიკური აგენტების პროგნოზებს.

ნაშრომის მეოთხე თავი ეძღვნება ფულადი წონასწორობის პირობების ანალიზს. მიურდალი მიიჩნევს, რომ ფულადი წონასწორობა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა მოგების მარჟა განსაზღვრავს ინვესტიციებს და ეს უკანასკნელი დანაზოგების ტოლია. ფულადი წონასწორობის მეორე პირობად მიურდალი სწორედ დანაზოგებისა და

ინვესტიციების ტოლობას განიხილავს. იგი აყალიბებს თავისუფალი კაპიტალის განთავსების კონცეპტს (**Waiting**), აღინიშნება ასო **W**-თი. იგი ტოლია შემოსავალს მინუს საბოლოო მოხმარება (**S**). ასო **D**-თი აღინიშნება არსებული რეალური კაპიტალის ღირებულების პროგნოზირებული გაუფასურება. მაშასადამე,  $W=S+D$ . ვიკსელის წონასწორობის მეორე პირობით, წონასწორობა არსებობს მაშინ, როცა პროცენტული განაკვეთი ნორმალურია, ანუ “მთლიანი რეალური ინვესტიციები” ტოლია “თავისუფალი კაპიტალის” განთავსების, ანუ  $R2=W=S+D$ . აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა: **მეწარმეთა ოპტიმისტური პროგნოზების შემთხვევაში ინვესტიციები შეიძლება გაიზარდოს თავისუფალი კაპიტალის უცვლელიობის, ან მისი შემცირების პირობებშიაც კი**. შესაბამისად, ეს სიტუაცია მოიცავს გაფართოების კუმულატიურ პროცესს (ვიკსელი). მზარდი დანაზოგები და თავისუფალი კაპიტალის განთავსება სხვა პარამეტრების უცვლელიობის პირობებში განაპირობებს სამომხმარებელი ფასების, მოგების მარჟისა და ინვესტიციების შემცირებას. მიუხედავად აზრით, თუკი ჩვენ გამოვალთ იქიდან, რომ ფულის შექმნა ბანკების მიერ საკმარისად შეზღუდულია, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დანაზოგები არის კრედიტის ერთადერთი წყარო, და, მაშასადამე, დამატებითი დანაზოგები არის ეკონომიკის დეპრესიიდან გამოყვანის ხელშემწყობი ფაქტორი. რეალურ სიტუაციაში კი დანაზოგთა სიჭარბე ამცირებს რა საქონელზე მოთხოვნას, აღრმავებს დეპრესიას, ბანკებს აღარ გააჩნიათ კრედიტების გაზრდისა და ფასების შემცირების სტიმული. ფულადი წონასწორობის მესამე პირობას მიუხედავად უკავშირებს ფასების დონეს. კერძოდ: ფულადი წონასწორობა არსებობს მაშინ, როცა ფულად-საპროცენტო განაკვეთს მიყვავართ ფასების საერთო დონემდე. იგი იქვე შენიშნავს, რომ ეს პირობა, რომელიც ვიკსელისაგან აიღო, არასწორია. თუ წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობა გაიზარდება, ფასების საერთო დონე უნდა შემცირდეს, რამაც უნდა შეინარჩუნოს ფულადი წონასწორობა. აქ შეფარდებითი ფასები უცვლელია, აბსოლუტური ფასების ნებისმიერი ცვლილება კი “ხელშეუხებელად ტოვებს ფულად წონასწორობას”. მიუხედავად მიიჩნევს, რომ როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ფასების ყველა ცვლილება განსხვავებულად ზემოქმედებს მეწარმეთა გათვლებზე, განსაკუთრებით ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრასთან მიმართებაში. ყველა ამ ცვლილების გათვალისწინებით, მიუხედავად გვთავაზობს ვიკსელის ფულადი წონასწორობის მესამე პირობის კორექტირებულ ვარიანტს: “ფულადი წონასწორობა მოითხოვს ფასების სტაბილური დონის მაჩვენებელს, რომელიც გაწონასწორებულია ფასების მოუქნელობითა და ინვესტირებისათვის ფასების სტაბილური დონის მნიშვნელობით”.

ნაშრომის მეხუთე თავი ეძღვნება ფულადი წონასწორობის ე.წ. **“ნეიტრალური ზონის”** ანალიზს. მიუხედავად მიუთითებს, რომ პროცენტულ განაკვეთს იგი იყენებს სინთეზური მაჩვენებლის სახით, თუმცა სინამდვილეში რამდენიმე საპროცენტო განაკვეთი არსებობს. ზოგიერთი მათგანის ცვლილება არ არღვევს ფულად წონასწორობას, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს ფულადი წონასწორობის ე.წ. **“ნეიტრალური ზონა”**. ნებისმიერი ფინანსური პოლიტიკა, რომლის ეფექტი

ვრცელდება ნეიტრალური ზონის შიგნით, უცვლელად ტოვებს ფულადი წონასწორობის პირობებს. ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა კონფიგურაციები თავსებადია ფულად წონასწორობასთან. ამ კონფიგურაციებს განსაზღვრავს სოციალური და ინსტიტუციური ფაქტორები, რომლებიც იმავე დროს ზემოქმედებს ფინანსური პოლიტიკის ინსტრუმენტებზე. მიუხედავად შენიშნავს, რომ თანამედროვე ეკონომიკა ხასიათდება ხელფასის განაკვეთის მოუქნელობით და მოხმარების ინერციულობით. ამასთანავე, სახელმწიფოს როლის გაძლიერება ხელს უწყობს სამომხმარებლო მოთხოვნის სტაბილიზაციას და სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდის გამო მოგების მიმართ ინვესტიციების მგრძობელობის შემცირებას. ყოველივე ეს განაპირობებს საპროცენტო განაკვეთის რეცესიული ზეგავლენის შემცირებას და, შესაბამისად, საკრედიტო ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობის შემცირებასაც. იგივე შედეგთან გვაქვს საქმე, როცა მთავრობა უმუშევრობას ებრძვის უმუშევართა სუბსიდირების გზით. ამ შემთხვევაშიაც საპროცენტო განაკვეთის ეფექტიანობა მცირდება. ფულადი წონასწორობის ნეიტრალურ ზონასთან ერთად მიუხედავად განიხილავს ფულად წონასწორობას, როგორც ნორმას. მიუხედავად მკითხველს შეახსენებს, რომ ფულადი წონასწორობა (მათ შორის ვიკსელის წონასწორობაც) ხშირად განიხილებოდა ეკონომიკური აქტივობის ციკლური ხასიათის აღმოფხვრის ან შერბილების პირობად. მისი აზრით, ამ წონასწორობის მხოლოდ შენარჩუნება არ არის საკმარისი ეკონომიკის ციკლური რყევების აღმოსაფხვრელად. წონასწორობის არსებობის დროსაც იბადება კითხვა – რა სახის ფინანსური პოლიტიკა უნდა გამოიყენებოდეს ამ შემთხვევაში? ეს კითხვა სათანადოდ არ არის პასუხგაცემული არც ვიკსელთან და არც მიუხედავადთან. აღნიშნულთან ერთად თუკი გავითვალისწინებთ საკრედიტო პოლიტიკის “ნეიტრალურ ზონასაც”, უნდა ჩავთვალოთ, რომ ფულადი წონასწორობა, ფინანსურ პოლიტიკასთან ერთად, დამოკიდებულია სოციალურ პოლიტიკაზე. ციკლის შერბილება შესაძლებელია მხოლოდ სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტების კომბინირებით, რაც განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე. მიუხედავად აღნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკიდან იზოლირებულად განხილულ ფინანსურ პოლიტიკას, მართალია, შეუძლია ფულადი წონასწორობის მიღწევა, მაგრამ შემოსავლების განაწილებაზე ან უმუშევრობაზე აღნიშნული პოლიტიკის უარყოფითი ზემოქმედების დიდი ალბათობა არსებობს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ფულადი წონასწორობის ნორმაზე უარის თქმა. მიუხედავად გვთავაზობს ფინანსური პოლიტიკის ისეთ ნორმას, რომელიც გამომდინარეობს ფულადი წონასწორობიდან. მონეტარული ხელისუფლება უნდა ესწრაფვოდეს ბუნებრივი და ფულადი განაკვეთების ისეთი წონასწორობის უზრუნველყოფას, რომელიც განხორციელდება ფასების მეტი სტაბილურობისა და რეალური ინვესტიციების რენტაბელობის პირობებში.

*ლიტერატურა:*

Wiecksell K., Interest and Prices. L., 1936 (2007).

Wiecksell K., Lectures on Political Economy, 2 vols, L., 1934-35 (2007).

Wiecksell K., Value, Capital and Rent.L., 1954

Блауг М. Экономическ в ретроспективе. М.: Дело Лтд 1994. с. 599-606.

ასილაგაძე, მ. ჭიბრიშვილი. მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე. თბ., 2005. გვ.79-85.

ნობელისტი ეკონომისტები. თბ., 2004. გვ.42-45.

Myrdal G. Money Equilibrium. L., 1933.

Myrdal G. Asian Dream: An Inquiry into the Poverty of Nations. Vol. 1-3, NY, 1968.

Мюрдаль Г. Современные проблемы “третьего мира“. М., 1972.



## თემა 8. იოზეფ ალოის შუმპეტერის ევოლუციონისტური ეკონომიკური თეორია

### შესავალი

ევოლუციონისტურ თეორიაში წამყვან როლს თამაშობს ზოგადსისტემური პრინციპები. ეს ის პრინციპებია, რომლებიც გამოიყენება არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სხვა მეცნიერებებშიც - ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიაში, ბიოლოგიაში და ა.შ. ევოლუციონისტური თეორია განსხვავდება ორთოდოქსიისგან (მაგალითად, ნეოკლასიკური თეორიისაგან), სადაც აქცენტი კეთდება “გაყინულ მრავალფეროვნებაზე”. - აგენტების ერთგვაროვნებაზე, წონასწორობაზე, სიმყარეზე, დეტერმინიზმზე და ა.შ. თუმცა, თანამედროვე ევოლუციონისტური თეორია კი არ ცდილობს ორთოდოქსიისგან მკვეთრად გამიჯვნას, არამედ ესწრაფვის მასთან სინთეზირებას. ევოლუციონისტური თეორიის ორთოდოქსიისგან ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ მისთვის მთავარია **განვითარება**, ნაცვლად ორთოდოქსული **წონასწორობისა**. აქედან გამომდინარე, პერსპექტიული განვითარების კანონზომიერებათა ანალიზი ევოლუციონისტების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. **ინოვაციები** წარმოადგენს ასეთი გრძელვადიანი განვითარების მთავარ ფაქტორს. შესაბამისად, ევოლუციონისტური თეორია ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სტატიკურ და მოკლევადიან ამოცანებს. ითვლება, რომ ეს უკანასკნელი ორთოდოქსიის კვლევის სფეროა, რომელშიაც ევოლუციონისტური თეორია არ უნდა შეიჭრას. აღნიშნულთან ერთად, ევოლუციონისტური თეორიის ობიექტად მიჩნეულია უპირატესად მიკროეკონომიკის სფერო, მაკროეკონომიკის პრობლემატიკა კი მიკროეკონომიკურ საწყისებთან ორგანულ კავშირში განიხილება. ამ თვალსაზრისით იგი ახლოს დგას იმ თანამედროვე მაკროეკონომიკურ თეორიებთან (მაგალითად, ახალი კეინზიანელობა, რაციონალური არჩევანის თეორია), რომლებიც მთავარ აქცენტებს აკეთებენ მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკური საფუძვლების შესწავლაზე. ამასთანავე, ევოლუციონისტური თეორიის მიმდევართა აზრით, ეკონომიკურ ევოლუციას გააჩნია მაკროეკონომიკური განზომილება. კერძოდ, ეკონომიკაში არსებობს ე.წ. **მაკროგენერაციები**. ამ შემთხვევაში მაკროეკონომიკა განიხილება არა როგორც

სხვადასხვა მიკროერთეულთა უბრალო აგრეგატი, არამედ როგორც მიკროკავშირთა რთული ქსელი, რომელიც ინოვაციური პროცესების რეალიზაციასთან დაკავშირებით წარმოიშობა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიკის რიგ სფეროებში და საბოლოო ჯამში ეკონომიკურ ზრდამდე მივყავართ.

ზემოაღნიშნული ქსელები მიკროდონის მაჩვენებელთა აგრეგირების გზით კი არ არის მიღებული, არამედ ბუნებრივი წესით აღმოცენებული მაკროეკონომიკური ქვესისტემებია, რომლებსაც მაკროგენერაციებს უწოდებენ. ეკონომიკის, როგორც მაკროგენერაციათა სისტემის მოდელირების პირველი ცდა ეკუთვნის რუს ეკონომისტ ვ. მაევსკისა და ამერიკელ მ. კაჟდანს. აღნიშნული მოდელი მათ შეიმუშავეს აშშ-ს ეკონომიკასთან მიმართებაში.

## ი. შუმპეტერის ბიოგრაფიის ზოგიერთი შტრიხი და წვლილი ეკონომიკური თეორიის განვითარებაში

*იოზეფ შუმპეტერი*



იოზეფ შუმპეტერი (1883-1950) დაიბადა ტრიეშტში (მორავია). სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში. მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი ავსტრიელი ეკონომისტები ვიზერი და ბემ-ბავერკი. ურთიერთობდა იმდროინდელ სტუდენტებთან, შემდგომში კი ცნობილ ეკონომისტებთან მიზესთან, ბაუერთან და ჰილფერდინგთან. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ასწავლიდა ჯერ ჩერნოვიცეს, შემდეგ კი გრაცის

უნივერსიტეტებში. 1912 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი “ეკონომიკური ევოლუციის თეორია”, რომელმაც მას დიდი სახელი მოუტანა. სწორედ ამ ნაშრომით დაიწყო მისი ხანგრძლივი თეორიული დისკუსია ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებთან.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შუმპეტერმა პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო. რვა თვის მანძილზე იგი იყო ფინანსთა მინისტრი ავსტრიის სოციალისტურ მთავრობაში, აგრეთვე ვენის ერთ-ერთი ბანკის დირექტორი.

მოგვიანებით მან თავი დაანება პრაქტიკულ საქმიანობას და განაგრძო სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა ბონში. ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ემიგრირდა აშშ-ში და ასწავლიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც მისი სტუდენტი იყო პოლ სამუელსონი. შუმპეტერი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამეცნიერო ეკონომიკურ წრეებში. არჩეული იყო ეკონომეტრიკული საზოგადოების თავჯდომარედ, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც თვითონ იყო, ასევე ეკონომიკური მეცნიერების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტად. შუმპეტერი იყო ენციკლოპედიური განათლების მქონე პიროვნება, რომელიც შეეცადა აღეწერა ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ხანგრძლივი პროცესი და დაიწყო მონოგრაფიის წერა სათაურით “ეკონომიკური ანალიზის ისტორია”, რომლის დასრულებაც ვერ მოასწრო. ეს დაუსრულებელი ნაშრომი შუმპეტერის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ გამოსცა 1954 წელს.

ეკონომიკური თეორიის განვითარებაში შუმპეტერის ღვაწლი გამოიხატება შემდეგში - იგი იყო: ა) ეკონომიკური თეორიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი; ბ) ეკონომიკის ევოლუციის (ევოლუციონისტური ეკონომიკური თეორიის) ფუძემდებელი; გ) საზოგადოებრივი და ინსტიტუციონალური ცვლილებების თეორიის აქტიური დამცველი და განმავითარებელი.

შუმპეტერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული მიღწევაა ეკონომიკური განვითარების თეორიის ისტორიული ფაქტებით დასაბუთება. ამ თვალსაზრისით სრულიად ლოგიკურია მის მიერ გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომების ფართო გამოყენება. იგი წერდა: “მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ კვლევაში მკაცრი ისტორიული დასაბუთების არმქონე თეორიული აპარატის გამოყენება გაცილებით უარესია, ვიდრე თეორიის საერთოდ არქონა”.

შუმპეტერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იდეების დისციპლინათაშორისი გაცვლის პრობლემას და აღნიშნავდა, რომ ამგვარ მიდგომას, ზოგადად სოციალური მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით, დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური თეორიის განვითარებაში იმით, რომ საკუთარ კვლევებში ფართოდ გამოიყენა მისი თანამედროვე სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის მოწინავე მიღწევები. ამ

თვალსაზრისით შუმპეტერის თვალთახედვა ენათესავება მკვებერის მიერ შექმნილ ეკონომიკური თეორიისადმი სოციალურ-ეკონომიკურ მიდგომას.

შუმპეტერის ევოლუციონისტური თეორია (“კლასიკოსების” სტატიკური თეორიის საპირისპიროდ) არის დინამიკური თეორია. მეცნიერის აზრით, ცვლილებების მიზეზი თვით სისტემის შიგნით ჩნდება “მისი საკუთარი ინიციატივით”. მეწარმე ამ პროცესის ცენტრალური სუბიექტია. იგი სიახლეებს ნერგავს სიმშვიდისა და წონასწორობის პერიოდებში, რასაც ამ წონასწორობის დარღვევამდე მივყავართ. ეს უკანასკნელი კი უწყვეტი განვითარების აუცილებელი პირობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შუმპეტერის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორიაა **ინოვაციები**, რომელსაც ავტორი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ძირითად დამაჩქარებელ ფაქტორად მიიჩნევს.

### **შუმპეტერისეული ევოლუციონისტური მაკროეკონომიკა**

ევოლუციონისტური მაკროეკონომიკა ეკონომიკური პოლიტიკის ტრადიციული დიქტომიის - “ექსპანსია-რესტრიქცია”, “დეფიციტი-პროფიციტი”, “ინვესტიციები-დაზოგვა”, “ზრდა-რეცესია” ნაცვლად გვთავაზობს შუმპეტერისეულ პარადიგმაზე დამყარებულ საკუთარ დიქტომიას “ნოვატორები-კონსერვატორები”. ევოლუციური პროცესი განიხილება “ნოვატორთა” არენაზე გამოსვლის, “კონსერვატორთა” შევიწროების, ბაზრიდან მათი თანდათანობით გამოდევნის და გამოთავისუფლებული ნიშების დაკავების სახით. ამასთანავე, დროთა განმავლობაში, ახალი რეალობისადმი ადაპტაციისა და მიჩვევის უწყვეტი პროცესის გამო მიმდინარეობს “ნოვატორების” “კონსერვატორებად” უკუგარდაქმნის პროცესი, რითაც საფუძველი ეყრება განვითარების ახალ ფაზას. ეკონომიკური ევოლუციის ამ ეტაპზე დიდ მნიშვნელობას იძენს შემდეგი კითხვა როგორ ზეგავლენას ახდენს აგენტი ნოვატორების წინა თაობის (“ძველი ნოვატორების”) მიერ შექმნილი ინსტიტუტების სისტემა “ახალი ნოვატორების” წარმოჩენაზე? აღნიშნულ შეკითხვაზე არსებობს ორი სავარაუდო პასუხი - შესაძლებელია ახალი ნოვატორების რაოდენობის ზრდა ან შემცირება. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დამოკიდებულია საწყის მდგომარეობაში “ნოვატორთა” სიჭარბეზე ან დეფიციტზე და იმაზე, თუ რამდენად შეუძლიათ მომდევნო ეტაპის ნოვატორებს მოახდინონ

წინა ეტაპზე შექმნილი ინსტიტუტების მოდიფიცირება. მეტად მნიშვნელოვანი თეორიული ამოცანაა “ნოვატორებსა” და “კონსერვატორებს” შორის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა და შენარჩუნება ეკონომიკური სისტემის მუდმივი ცვლილების პროცესში. თუკი ეკონომიკურ სისტემაში ჭარბობს “კონსერვატორთა” რაოდენობა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ინოვაციების დანერგვას, ეს ეკონომიკურ სისტემას “მძინარე” მდგომარეობაში ამყოფებს. თუკი პირიქით, ადგილი აქვს “ნოვატორთა” სიჭარბეს, ეს იწვევს რესურსებზე ჭარბ მოთხოვნას, რაც შეიძლება დამთავრდეს კრიზისით და განვითარების პოზიტიური მოლოდინის გაქრობით, ანუ ფსიქოლოგიური შოკით.

შუმპეტერის ევოლუციონისტურ თეორიაში “ნოვატორები” ჩნდებიან ბიზნეს-ციკლის დაცემის ფაზაში. ისინი უზრუნველყოფენ კრიზისის დაძლევას და ეკონომიკური ზრდის გაგრძელებას. ამდენად, “ნოვატორები” არიან “შემოქმედებითი ნგრევის” მთავარი მონაწილეები, რომლებიც რესურსებზე მოთხოვნის ზრდით ამაღლებენ ამ რესურსებზე ფასებს და ამით ხელს უწყობენ სამურნეო პროცესებიდან “კონსერვატორების” გამოდევნას. თუმცა შუმპეტერის მსჯელობაში ნათლად არ ჩანს როგორ და რის საფუძველზე ხდება კრიზისის ფაზაზე “ნოვატორთა” გაჩენა და რა წყაროებით ახერხებენ ისინი ეკონომიკის აღმავლობის მიღწევას. მითუმეტეს, რომ შემოქმედებითი ნგრევის კონცეფციის თანახმად, ციკლის ფაზაზე ადგილი აქვს “კონსერვატორთა” სამეურნეო აქტივობის დაქვეითებას.

ევოლუციონისტური თეორიიდან გამომდინარე, ეკონომიკურმა პოლიტიკამ ეკონომიკური განვითარების წარმართვისას უნდა გაითვალისწინოს მრავალრიცხოვანი ინსტრუმენტების გამოყენება. კერძოდ: წაახალისოს ინოვაციური საქმიანობა, ხელი შეუწყოს კონსერვატორთა ტრანსფორმაციას ნოვატორებად, არეგულიროს ამ ორი ჯგუფის წარმომადგენელთა თანაფარდობა. ევოლუციონისტური თეორიის თანამედროვე წარმომადგენლები შუმპეტერისაგან განსხვავებით მიიჩნევენ, რომ “ნოვატორებთან” ერთად “კონსერვატორებიც” პოზიტიურ ფუნქციას ასრულებენ. კერძოდ, “კონსერვატორთა” არსებობა ხელს უწყობს ნოვაციის იდენტიფიცირებას. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მონეტარული მომსახურება, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

ინსტრუმენტი, უნდა შეეხებოდეს როგორც “ნოვატორებს”, ისე “კონსერვატორებს”. ამასთანავე, თუკი ჩვენ ამოვალთ იმ პირობიდან, რომ დიქტომიაში “ნოვატორი – კონსერვატორი” პრიორიტეტი “ნოვატორთა” მხარეზეა (სწორედ ისინი გვევლინებიან ეკონომიკური პროგრესის გენერატორად), მაშინ აუცილებელია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ “ნოვატორების” გამოჩენას, არამედ შექმნის ინოვაციების სტიმულს და ყოველმხრივ წახალისებს ქცევის აღნიშნულ მოდელს, ანუ “ნოვატორულ ქცევას”. განვიხილოთ ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს აგენტთა ქცევის სხვადასხვა მოდელებს ეკონომიკურ ევოლუციაში (ცხრ. 1):

<i>პარამეტრები</i>	<i>“ნოვატორები”</i>	<i>“კონსერვატორები”</i>
მიზანი	ახალი იდეების, ტექნოლოგიების, პროდუქტების რეალიზება	ძველი პოზიციების შენარჩუნება იდეების, ტექნოლოგიების, პროდუქტების სფეროებში
ძალისხმევის გამოყენების სფეროები	საქმიანობის ახალი მიმართულებები	ძველი ფორმების, მეთოდების, საქმიანობის სფეროების ექსპლოატაცია
ფუნქციონალური დატვირთვა	მნიშვნელოვანი და ახალი ფუნქციების ხარჯზე მუდმივად ზრდადი	სტაბილური ან შემცირებადი, “ნოვატორებთან” კონკურენციის გამო
ფუნქციონირების ინტერვალი	1.“კონსერვატორად” გადაქცევამდე; 2.მოულოდნელ გაკოტრებამდე	1.სამეურნეო ველიდან გასვლამდე და საქმიანობის სახეობის შეცვლამდე (გაკოტრების შემდეგ) 2.”ნოვატორად” გადაქცევამდე
ქცევის მოდელის დანახარჯები	დაბალი – გამართული ფულად-საკრედიტო მექანიზმის შემთხვევაში	მნიშვნელოვანი ან მუდმივად მზარდი

სიმყარე ცვლილებების მიმართ	მაღალი – რეალიზებადი პროექტების სიახლის ხარჯზე	დაბალი – დანახარჯების ზრდის ხარჯზე
----------------------------	--	------------------------------------


ეკონომიკური აგენტების ქცევას ეკონომიკაში არეგულირებს ინსტიტუციურ სტრუქტურაში განხორციელებული ძვრები და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, საინტერესოა ეკონომიკის დაქვეითების პირობებში აგენტი-ნოვატორის ქცევის შედარება მის ქცევასთან ეკონომიკის ზრდის პირობებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, “ნოვატორების” წარმოქმნისათვის საუკეთესო პირობები არსებობს ეკონომიკის დაქვეითების ფაზაზე. თუმცა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ამ ფაზაზე შეინიშნება “ნოვატორებისა” და “ნოვაციების” საგრძნობი შემცირება, შემდეგ კი შესაძლებელია მათი რაოდენობის გაზრდა.

ევოლუციონისტ თეორეტიკოს-ეკონომისტებს ანალიზში შემოჰყავთ ეკონომიკური აგენტების ქცევის “მონეტარული დიაპაზონის” ცნება და თვლიან, რომ იგი შემოფარგლულია კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის ფულადი უზრუნველყოფის ზედა და ქვედა საზღვრებით. “კონსერვატორის” მოდელი აღნიშნული დიაპაზონის ქვედა, ხოლო “ნოვატორისა” კი - ზედა ნაწილშია მოქცეული. გრძელვადიან პერიოდში თითოეული აგენტის ქცევის დიაპაზონის საზღვრები დინამიურად ცვლად პარამეტრებად წარმოგვიდგება. “ნოვატორის” ქცევის მოდელი მეტ ფულად უზრუნველყოფას საჭიროებს “კონსერვატორის” ადაპტაციური ქცევის მოდელთან შედარებით. “ნოვატორისათვის” ეს უზრუნველყოფა მოიცავს დანახარჯებს: ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებაზე, კონტრაქტების გაფორმებაზე, ახალი იდეების შემუშავებასა და ახალი ბაზრების ათვისებაზე, ახალი პროდუქტების დანერგვასა და ბაზრებისათვის მათ მიწოდებაზე. “კონსერვატორის” დანახარჯები მოიცავს: პროდუქციის წარმოებას, საკუთარი საბაზრო ნიშის დაცვას, რეკლამას, სასამართლოში საქმის წარმოებას და სხვ. “კონსერვატორი” მოძრაობს რენტაბელობის შემცირებისაკენ, რასაც განაპირობებს მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შემცირება და რესურსებზე ფასების წინგამსწრები ზრდა “კონსერვატორის” მიერ გამოშვებული

სტერეოტიპული პროდუქციის ფასებთან შედარებით. “ნოვატორი” კი, როგორც წესი, წამგებიანია საქმიანობის დასაწყისში, მაგრამ შემდეგ იგი გაყიდვების მოცულობის გადიდებისა და საბაზრო ნიშების გაფართოების გზით მუდმივად მოძრაობს რენტაბელობის დონის ამაღლებისაკენ.

“კონსერვატორი” ორი პერსპექტივის წინაშე დგას - გარდაიქმნას “ნოვატორად”, ან შეინარჩუნოს საკუთარი “კონსერვატიული” მოდელი (დაკავებული საბაზრო ნიშა). სრულიად სხვა ამოცანები დგას “ნოვატორის” წინაშე: გადაიქცეს “კონსერვატორად”, რაც შესაძლებელს ხდის მიიღოს სასურველი დასვენება ძნელი და მომქანცველი ნოვატორული ძიებების შემდეგ, ან გააგრძელოს ნოვატორული საქმიანობა სხვა რომელიმე მომიჯნავე სფეროში. “ნოვატორ-კონსერვატორის” სისტემის მონეტარული დიაპაზონი სქემატურად ასე გამოიყურება (სქემა 1):



ერთი და იმავე სამეურნეო სუბიექტისათვის, რომელიც ცვლის თავის ქცევას “კონსერვატორული” მოდელიდან “ნოვატორულამდე” და პირიქით, მონეტარული დიაპაზონის ქვედა საზღვარია  $m_0$ , ზედა კი -  $m_2$ .  $X$  არეალი არის ის ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება “ნოვატორად” და “კონსერვატორად” გადაქცევას.

მიკროდონეზე “ნოვატორი-კონსერვატორის” სისტემის ევოლუცია დაიყვანება ერთი ეკონომიკური ორგანიზაციის, ფირმის ჩარჩოებში აგენტების აღნიშნული ორი ჯგუფის თანაარსებობის უზრუნველყოფაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმა აწარმოებს როგორც ძველ პროდუქტებს, ასევე იწყებს ახალი პროდუქტების წარმოებასაც. ორივე ამ პროცესის ერთდროული განხორციელება ფირმის სიმყარის აუცილებელი პირობაა.



მაკროდონეზე საკითხი შეეხება “ნოვატორებსა” და “კონსერვატორებს” შორის მაქსიმალურად შესაძლებელი ოპტიმალური თანაფარდობის მოძიებას. ზოგადად, “კონსერვატორი” არ ესწრაფვის მოგების მაქსიმიზაციას. მისი ამოცანაა დარჩეს  $m_0 < m_k\text{-ზე} < m_1$  – დიაპაზონში. “ნოვატორის” მიზანია უზრუნველყოს  $m_n > m_2$  – ზე მაშინ, როცა  $m_n > m_1$  – ზე. აქედან გამომდინარეობს, რომ დიქტომია “ნოვატორი-კონსერვატორი” იყოფა  $n$  ეკონომიკური აგენტის არსებობის სამ მდგომარეობა-მოდულად:

- $m(t) < m_0$  – “უმუშევარი”;
- $m_0 < m(t) < (m_1 - X)$  – “კონსერვატორი”;
- $(m_1 + X) < m(t) < m_2$  – “ნოვატორი”.

ამრიგად, “უმუშევარს”, რომელიც სამეურნეო სამართლის პოზიციიდან უმოქმედო აგენტია, არ შესწევს “კონსერვატორის” და, მით უმეტეს, “ნოვატორის” მოდელის რეალიზაციის ძალა. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი იარსებებს ფულადი სახსრები ახალი ცოდნის შესაძენად, საქმიანი აქტიურობის გასაძლიერებლად, სასტარტო კაპიტალის დასაგროვებლად, თუნდაც უკვე ცნობილ ბაზრებზე გასასვლელად და ა.შ. ეკონომიკური აგენტების ქცევის მოდელის ამგვარი სტრუქტურითაა არსებითად ცვლის მაკროეკონომიკურ თეორიასთან დაკავშირებული ევოლუციონისტური მიდგომის დასკვნებს. ეს ცვლილება შეეხება იმას, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ყურადღების ობიექტად განიხილება არა მხოლოდ “ნოვატორთა” საქმიანი აქტიურობის სტიმულირება. ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების არეალი ფართოვდება “უმუშევრის” მოდელიდან “კონსერვატორის” მოდელზე ან “ნოვატორის” მოდელიდან “კონსერვატორის” მოდელზე გადასვლის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური სისტემის მაკროდონე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც სამი სექტორის - “უმუშევრების”, “კონსერვატორების”, “ნოვატორების” ერთობლიობა და მათ შორის ურთიერთგაცვლის პროცესი.

ამრიგად, ევოლუციონისტური ეკონომიკური თეორიის ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს “ნოვატორების” სტიმულირებაში, რომელიც, ამასთანავე, განიხილება ეკონომიკური (მაკროეკონომიკური) პოლიტიკის მთავარ ამოცანად. “ნოვატორები” ეკონომიკურ სტრუქტურაში პოტენციურად შეიძლება

წარმოიქმნას “უმუშევრებისაგან”, “კონსერვატორებისაგან” და “ძველი ნოვატორებისაგან”. მეორე და მესამე გარდაქმნა გაცილებით ეფექტიანია, ვინაიდან ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ევოლუციონისტული თეორიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა მარტო “ნოვატორების” პოზიციების განმტკიცებისაკენ, არამედ ქცევის “კონსერვატორული” მოდელის მხარდაჭერისკენაც, ვინაიდან ამ მოდელის სწრაფად დანგრევას შეუძლია გამოიწვიოს უმუშევრობის გაზრდა მისგან გამომდინარე მრავალი უარყოფითი შედეგით, მათ შორის მას შეუძლია ხელი შეუშალოს მომავალში “ნოვატორების” წარმოშობასაც. მაშასადამე, ეკონომიკის მაკროდონეზე რეგულირების ახალი პარადიგმა, ევოლუციონისტური ეკონომიკური თეორიის თანახმად, უნდა მდგომარეობდეს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ფუნქციონირების რეგულირებისადმი არა მარტო დიფერენცირებულ, არამედ კომპლექსურ მიდგომაშიაც.

## იოზეფ ალოის შუმპეტერის ნაშრომი “კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია” (1942)

### წიგნის ძირითადი იდეები

წიგნი ხუთი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი კ. მარქსის ეკონომიკური დოქტრინის კრიტიკულ ანალიზს ეძღვნება. კარლ მარქსის მოძღვრებას შუმპეტერი ოთხი განსხვავებული თვალსაზრისით განიხილავს: წინასწარმეტყველური, სოციოლოგიური, ეკონომიკური და სინთეტიკური. მეცნიერი აღიარებს როგორც მარქსის თეორიის ძლიერ მხარეებს, ასევე მის ნაკლოვანებებს. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ შუმპეტერი არ არის მარქსისტი. წიგნის მეორე ნაწილი ეძღვნება პრობლემას, შეუძლია თუ არა კაპიტალიზმს გადარჩეს. შუმპეტერი კაპიტალიზმს პროგრესის წყაროდ მიიჩნევს და უარყოფს მისი რევოლუციური შეცვლის აუცილებლობას. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ “კაპიტალიზმის ევოლუცია - ეს არის სოციალიზმის დედა”. მესამე ნაწილში განხილულია პრობლემა - შეუძლია თუ არა სოციალიზმს ფუნქციონირება.

ხანგრძლივი და ღრმა ანალიზის საფუძველზე შუმპეტერი ასკვნის, რომ “უეჭველად, ამ სისტემას შეუძლია ფუნქციონირება”. ამასთანავე, მეცნიერის აზრით, სოციალიზმი არ წარმოადგენს “მზარდი ინდივიდუალური თავისუფლების სინონიმს”. სწორედ ეს არის განხილული ნაშრომის მეოთხე ნაწილში, რომელშიც ძირითადად პოლიტიკური ანალიზია მოცემული.

## **მარქსი - წინასწარმეტყველი და სოციოლოგი**

მარქსიზმი, შუმპეტერის აზრით, რელიგიას წარმოადგენს, ვინაიდან მასში არის მიზნები, რომლებიც “ცხოვრების აზრს განსაზღვრავს”. როგორც ყველა “წინასწარმეტყველს”, მარქსსაც მხოლოდ ერთი მიდრეკილება ჰქონდა - “ჩამოეყალიბებინა ისტორიის დიალექტიკური პროცესი”, მაგრამ შუმპეტერი თვლის, რომ მუშათა უმეტესი ნაწილი არ იზიარებდა ისტორიის ასეთ ხედვას. სინამდვილეში მუშას სურდა “გამხდარიყო წვრილი ბურჟუა” და ამ მიზნის მიღწევაში “დახმარებოდა საზოგადოებრივი ძალაუფლება”. შუმპეტერი აღიარებს მარქსის ეკონომიკურ დეტერმინიზმს, თუმცა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ სტრუქტურებსაც და დასძენს, რომ მარქსის აზრით, სოციალური დიფერენციაციის საფუძველია საკუთრება და არა წარმოების საშუალებები. ორი ძირითადი კლასი - კაპიტალისტები და პროლეტარები ანტაგონისტები არიან. კლასთა ბრძოლაში კაპიტალისტები ერთმანეთს ანადგურებენ, რის გამოც სისტემა განწირულია. საზოგადოებრივი კლასების მარქსისტული თეორიის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლოვანებად შუმპეტერი მიიჩნევდა სოციალური კონფლიქტების გაზვიადებულ შეფასებას.

## **მარქსი - ეკონომისტი და მასწავლებელი**

შუმპეტერი აღიარებს მარქსის, როგორც ეკონომიკური დარგის თეორეტიკოსის ერუდიციას. თუმცა შენიშნავს, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი კატეგორიები - ექსპლოატაცია, დაგროვება, მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია, კონცენტრაცია, პაუპერიზაცია და ა.შ. კ.მარქსს აღებული აქვს სხვა ეკონომისტებისაგან. შუმპეტერი წერს, რომ “დინამიკური პროცესის

ფუძემდებლური კონცეფცია მარქსმა ფრანსუა კენესაგან აიღო”. შუმპეტერი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ მარქსის თეორიაში ყველა ეკონომიკურ კანონსა და კატეგორიას საკუთარი სოციალური განსაზღვრულობა ახასიათებს, რის გამოც მარქსის დოქტრინა სინთეტიკური ხასიათისაა: “მარქსი პირველი ეკონომისტი იყო, რომელმაც სისტემურად დაამტკიცა, რომ ეკონომიკური თეორია შეიძლება გადაიქცეს ისტორიულ ანალიზად”. ამასთანავე, ეს ისტორია შესაძლებელია შესაბამისი ეკონომიკური ანალიზით დასაბუთდეს. “ყველა პოლიტიკური მოვლენა: ომები, რევოლუციები, მთავრობის სტრუქტურის ცვლილებები, რასაც არამარქსისტი ეკონომისტები განიხილავდნენ როგორც გარეგან ძვრებს, ახლა თავის ადგილს პოულობს ეკონომიკურ ანალიზში და ერთიან განმარტებით სქემაში ჯდება” – დასძენს შუმპეტერი.

### შეუძლია თუ არა კაპიტალიზმს გადარჩენა?

შუმპეტერის აზრით, კაპიტალიზმი კერძო საწარმოს დაარსებით “კონკრეტიზირდება” და უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. იგი წერს: “სამრეწველო რევოლუციები პერიოდულად გარდაქმნიან წარმოების არსებულ სტრუქტურებს”. ეს უკანასკნელი გამოიხატება “სამომხმარებლო პროდუქტთა ნიაღვარში”, რაც აფართოებს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს. მასობრივი წარმოება, შუმპეტერის აზრით, არის წარმოება მასებისათვის: “კაპიტალიზმის სრულყოფილება მდგომარეობს არა იმაში, რომ დედოფლებს მეტი რაოდენობით აბრეშუმის წინდები მოუქსოვოს, არამედ იმაში, რომ ეს წინდები ქარხნის მუშებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს, რომლებიც მათ საკუთარი შრომის სულ უფრო შემცირებულ რაოდენობაში გაცვლიან”. მუდმივი სწრაფვა სიახლისაკენ კაპიტალიზმს განუწყვეტელი განვითარების პროცესში ამყოფებს. შუმპეტერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სიახლეებს, ანუ ნოვაციებს და გამოყოფს მათ ორ ჯგუფს. პირველი არის ის სიახლეები, რომლებიც ზემოქმედებენ წარმოების პროცესზე, მეორე კი ზემოქმედებენ პროდუქციაზე. ეს სიახლეები გაერთიანებულია შემდეგ ხუთ ჯგუფში:

1. ახალი მოხმარების საგნების შემოღება;
2. წარმოებისა და ტრანსპორტირების ახალი მეთოდები;

3. ახალი კომერციული შესაძლებლობები, ანუ ახალი ბაზრების ათვისება;
4. ნედლეულის ახალი სახეობების ექსპლოატაცია;
5. ახალი სამრეწველო ორგანიზაცია (მაგალითად, რომელიმე დარგის რეორგანიზაცია).

შუმპეტერი უდიდეს როლს ანიჭებს კონკურენციას და მას უწოდებს “ეფექტიანობის იდეალურ მოდელს”. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს იდეალურ კონკურენციას, რომელიც “განუხორციელებელია” და არასრულყოფილ, ანუ მონოპოლისტურ კონკურენციას, რომელიც, მისი აზრით, “ზუნებრივ ტენდენციას” წარმოადგენს. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ნებისმიერ მცირე მეწარმეს საკუთარი ბაზარი უნდა გააჩნდეს, რომლის შენარჩუნებასაც იგი მუდმივად უნდა ცდილობდეს ფასებისა და ხარისხის სტრატეგიის და აგრეთვე რეკლამის გამოყენების გზით. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი **წონასწორობის** ანალიზს. წონასწორობა განმარტებულია, როგორც ცოცხალი ორგანიზმის გარკვეული მდგომარეობა, რომლისკენაც ნებისმიერი დროებითი მოცემულობა მისწრაფვის. წონასწორობა, მისი აზრით, გაურკვეველია მაშინაც კი, როცა იგი მიღწეულია. “წონასწორობა ვერ უზრუნველყოფს ვერც სრულ დასაქმებას და ვერც მაქსიმალურ წარმოებას იდეალური კონკურენციის თვალსაზრისით”. შუმპეტერი მიიჩნევს, რომ “დამანგრეველი კონკურენცია, გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა კი არ აფერხებს, არამედ ასტიმულირებს კაპიტალიზმის გაფართოების გრძელვადიან პროცესს”. კაპიტალისტური წარმოება კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენს ზოგადად ეკონომიკურ პროცესზე, “მეწარმის როლი კი მდგომარეობს გამოგონებათა გამოყენების გზით მოძველებული წარმოების რეფორმირებასა და განვითარებაში” - დაასკვნის მეცნიერი.

შუმპეტერის აზრით, მეწარმეთა გაიგივება კაპიტალისტებთან (საწარმოთა მესაკუთრეებთან) დაუშვებელია, თუმცა მეწარმეები არ ქმნიან ცალკე კლასს. ბურჟუაზია, როგორც კლასი, ყოველთვის საჭიროებს მეწარმეებს, “იგი განწირულია იცოცხლოს და მოკვდეს მათთან ერთად”. ამასთანავე, შუმპეტერი მიიჩნევს, რომ კაპიტალისტური განვითარება “უკანა პლანზე წევს ყველა ინსტიტუტს, რომლებიც პასუხობს ნამდვილად კერძო ეკონომიკური საქმიანობის განვითარების ინტერესებს”. ერთი მხრივ, წარმოების კონცენტრაცია და მსხვილი საწარმოების

განვითარება ანგრევს კაპიტალიზმის იმ “დამცავ კედელს”, რასაც წარმოქმნის მცირე და საშუალო საწარმოები, ხელოსნები, საოჯახო ფირმები. მეორე მხრივ, კი მსხვილ საწარმოებში საკუთრება უფრო მეტადაა სოციალიზებული. ამ საწარმოთა მმართველები ცდილობენ “მოსამსახურის მენტალიტეტის” შექმნას. მსხვილი აქციონერები ისე არ რეაგირებენ წარმოების პროცესებზე, როგორც ამას გააკეთებდა “უშუალოდ მესაკუთრე”. მცირე აქციონერებისათვის კი დივიდენდები წარმოადგენს მათი შემოსავლების უმნიშვნელო ნაწილს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერდება კაპიტალიზმის ბიუროკრატიზაციის ტენდენცია. “კაპიტალისტური სისტემის მიმართ მოსამართლეებს უკვე გამოტანილი აქვთ სასიკვდილო განაჩენი” - ასეთ მძიმე დასკვნას აკეთებს შუმპეტერი.

### შეუძლია თუ არა სოციალიზმს ფუნქციონირება?

შუმპეტერი წერს: “სოციალიზმი არის ინსტიტუციონალური სისტემა, რომელშიაც ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს წარმოების საშუალებებს და თვით წარმოებას... ეკონომიკური საქმიანობა კი, როგორც წესი, ხორციელდება საზოგადოებრივ სექტორში და არა კერძოში”. სოციალისტურ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები წარმართავს ეკონომიკურ პროცესებს. შუმპეტერის აზრით, სოციალიზმი ისეთი სისტემაა, რომელსაც შეუძლია წარმოებულ საქონელზე ფასების სწორი დაწესება, რაც უზრუნველყოფს ინვესტიციების დაფინანსებას და ტექნიკის გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, კი კეთდება დასკვნა, რომ სოციალისტური სისტემა შეესაბამება ეფექტიანობისა და რაციონალურობის უმაღლეს საფეხურს. (ამ საკითხში შუმპეტერი აქტიურად ებმება ავსტრიული სკოლისა და ლოზანის სკოლის წარმომადგენლებთან დისკუსიაში. კერძოდ ავსტრიული სკოლის წარმომადგენელი **ლუდვიგ ფონ მიზესი** ამტკიცებდა, რომ სოციალიზმი არის “ეკონომიკური რაციონალურობის მოსპობა”. მისი აზრით, რაციონალურობას მხოლოდ ბაზრებზე შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რისი არსებობაც სოციალიზმის პირობებში წარმოუდგენელია. **ფრიდრიხ ფონ ვიზერი** კი თვლიდა, რომ ეკონომიკურ სისტემას მხოლოდ მაშინ შეუძლია არსებობა, როცა ფასები თავისუფალია, ხოლო რესურსების განაწილება კი რაციონალური. ლოზანის

სკოლის წარმომადგენელი ბარონე მიიჩნევდა, რომ რესურსების ეფექტიანი განაწილება სრულყოფილ კონკურენციას მოითხოვს, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის კერძო საკუთრების იდენტური. ფასების სისტემა არც კაპიტალისტურია, არც სოციალისტური და ორივე ეკონომიკურ სისტემაში ის ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს). შუმპეტერი მიიჩნევდა, რომ “კოლექტივისტური წარმოების მინისტრის მიერ ბაზრის თეორიული მოდელის აგება შესაძლებელია”, თუმცა აქვე მიუთითებდა, რომ საქონლისა და სამუშაო ძალის მიწოდების განტოლებათა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ზემოაღნიშნული ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტა აბსოლუტურად შეუძლებელია. საბაზრო სოციალიზმის აღნიშნული ვერსია გაზიარებული იქნა ისეთი ეკონომისტების მიერ, როგორებიც იყვნენ რობინსი და ჰაიეკი.

## სოციალიზმი და დემოკრატია

შუმპეტერის აზრით, დემოკრატიის როგორც ხალხის მმართველობის განსაზღვრა, არასწორია. იგი თვლის, რომ ხალხს არასოდეს შეუძლია არც ეფექტიანი ძალაუფლების განხორციელება და არც ეფექტიანი მართვა. შუმპეტერი გვთავაზობს დემოკრატიის საკუთარ განმარტებას: “დემოკრატია არის ინსტიტუციონალური სისტემა, სადაც ინდივიდებს ეძლევათ საკუთარი შეხედულებების გამოთქმის შესაძლებლობა მათი ხმებისათვის კონკურენტულ ბრძოლაში წარმოშობილი გადაწყვეტილებების მიმართ”. შუმპეტერი გამოყოფს დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის შემდეგ ოთხ აუცილებელ პირობას:

- პოლიტიკურ მოღვაწეთა შერჩევის პროცესი მკაცრი უნდა იყოს, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის მაღალ ხარისხს;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების სფერო უნდა იყოს შეზღუდული;
- სახელმწიფო მოხელეები, რომელთა საქმიანობას ეყრდნობიან პოლიტიკური მოღვაწეები, უნდა იყვნენ კარგად გაწვრთნილები, კვალიფიკაციურები და არაკორუმპირებულები;
- ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე უნდა ხორციელდებოდეს “დემოკრატიული კონტროლი”.

შუმპეტერის აზრით, არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ სოციალიზმის დროს პოლიტიკოსთა ქცევა უკეთესი იქნება და დემოკრატიის სირთულეები კვლავაც დარჩება. მეცნიერი შეშფოთებას გამოთქვამს ეკონომიკურ სფეროზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების ზემოქმედების გაძლიერების საფრთხესთან დაკავშირებით: “საამქროს კოლექტივში შეკრებილი ადამიანები, რა თქმა უნდა, თავისუფლები იქნებიან არჩევნების დღეს, მაგრამ მთავრობას მათი დისციპლინირებულობის გამოყენება შეეძლება მათივე სუვერენიტეტის შესაზღუდავად. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკურ დემოკრატიას სოციალიზმის დროს შეუძლია უფრო მეტად ყალბი სახის მიღება, ვიდრე ეს კაპიტალიზმის დროს იყო”. ნათელია, რომ აღნიშნულ საკითხში შუმპეტერის დასკვნა არაოპტიმისტურია: “ნებისმიერ შემთხვევაში ეს დემოკრატია არ იქნება გაზრდილი პიროვნული თავისუფლების სინონიმი”.

### *წიგნის საერთო შეფასება*

ისტორიული კონტექსტი: 30-იანი წლების დიდი დეპრესია, ფაშიზმი, მსოფლიო ომი და ყოველივე აქედან გამომდინარე კაპიტალისტური სისტემის განვითარების პესიმისტური ხედვა, ყოველივე ეს იყო ის კონტექსტი, რომელშიაც შუმპეტერის აღნიშნული ნაშრომის იდეები ყალიბდებოდა. თუმცა, შუმპეტერი არ იყო უიმედო პესიმისტი და წერდა: “შეტყობინება, რომ ხომალდი იძირება, არ უნდა იყოს დამარცხების სინონიმი... ეკიპაჟს შეუძლია არაფერი გააკეთოს ამ დროს, მაგრამ ისიც შეუძლია, რომ წყალსატუმბებს ეცეს”. მთლიანობაში შუმპეტერი არ არის კაპიტალიზმის მოწინააღმდეგე და აღიარებს მის თავსებადობას ეკონომიკური ეფექტიანობისა და პიროვნების თავისუფლების პრინციპებთან. მან შეიმუშავა თეორია, თუ როგორ შეიძლება კაპიტალიზმი თავად განთავისუფლდეს მოძველებული ელემენტებისაგან და განაახლოს ეკონომიკური სტრუქტურები. შუმპეტერის ეკონომიკური ანალიზის ცენტრალური რგოლია “შემოქმედებითი ნგრევა”. მისი აზრით, “კაპიტალისტური ეკონომიკა მუდმივი არ არის და არც შეიძლება იყოს”. იგი ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან მეცნიერთა შორის, რომელმაც სიახლე (ინოვაცია) საკუთარი თეორიის ფუნდამენტად აქცია და დაუქვემდებარა ეკონომიკური განვითარების პროცესს. ერთი მხრივ, სიახლე



მოგების მიღების წყაროა (მიკროეკონომიკური ასპექტი), მეორე მხრივ კი იგი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე (მაკროეკონომიკური ასპექტი). კაპიტალისტური სისტემის მერყეობას შუმპეტერი ხსნიდა ინსტიტუციონალური და არა ეკონომიკური მიზეზებით. მისი აზრით, კაპიტალიზმს ასუსტებს არა ინვესტიციური წყაროების შემცირება, არამედ გონიერ ადამიანთა მხრიდან მისი კრიტიკა, მეწარმე ნოვატორის როლის შესუსტება და იმ ფენის გაქრობა, რომელსაც ამ სისტემის დამცავი ძალის ფუნქცია აკისრია. ეკონომიკური და სოციოლოგიური ანალიზის სინთეზი შუმპეტერს აახლოვებს ამერიკულ ინსტიტუციონალურ სკოლასთან, მეწარმის როლის შუმპეტერისეულ გააზრებას კი ბევრი საერთო გააჩნია



*ჯონ კენეტ გელბრეიტი*

**ჯონ კენეტ გელბრეიტის** ტექნოსტრუქტურის თეორიასთან. ზოგიერთი ეკონომისტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შუმპეტერის მიერ გადაჭარბებულადაა შეფასებული მეწარმის როლი ეკონომიკურ პროგრესში. კერძოდ, ფრანსუა პერო თავის დროზე წერდა: “არა მხოლოდ კერძო მეწარმეებმა შექმნეს ეკონომიკური ისტორია. უფრო მეტიც, შესაძლებელია ისინი ამ პროცესის სათავეშიაც კი არ ყოფილან. პოლიტიკურმა ძალებმა,

რომლებისთვისაც ვიწრო აზრით, შესაძლებელია უცხო და მიუღებელიც კი ყოფილიყო სიახლეები, ბევრი რამ გააკეთეს ამ სიახლეების წარმოებაში გამოყენებისათვის.”

შუმპეტერის იდეებმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, რაც დაუკავშირდა კაპიტალისტურ სამყაროში ეკონომიკური სირთულეების გაღრმავებას. მაშინ, როცა მონეტარისტები, ნეოკლასიკოსები და კეინზიანელები ამ სირთულეებს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის არასრულყოფილებას უკავშირებდნენ, შუმპეტერიანელები ამტკიცებდნენ, რომ ყოველივე ეს წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკური ციკლის აყვავების ფაზის ლოგიკურ შედეგს. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას ანიჭებს შუმპეტერის

ეკოლუციონისტურ თეორიას. დღეს უკვე აშკარაა, რომ ამ კრიზისების შინაარსის მეცნიერული ახსნა ძალიან რთულია და ალბათ შეუძლებელიც კი შუმპეტერის თეორიული ეკონომიკური მემკვიდრეობის შესწავლისა და შემოქმედებითი განვითარების გარეშე.

#### ლიტერატურა:

- J. Schumpeter.** The Theory of Economic Development. Harward University Press (1911) 1934.
- J. Schumpeter.** Business Cycles: A Theoretical, Historical amd Statistical Analysis of the Capitalist Process. New York, McGrew-Hill, 1939.
- J. Schumpeter.** Capitalism, Socialism and Democracy. London Unwin Paperbacks, (1942) 1987.
- J. Schumpeter.** Ten Great Economist: from Marx to Keynes. London, 1952
- J. Schumpeter.** History of Economic Analysis. London, Allen and Unwin, 1954.
- H. Giersh.** The Age of Schumpeter. – American Economic Rewiw, 1984, ტ. 2, გვ. 103-121
- R. Sweberg.** Schumpeter: His Life and Work. Cambridge, Polity Press, 1991.
- R. Sweberg.** (ed.). **Josseph A. Schumpeter:** The Economics and Sociology of Capitalism. Princeton University Press, 1991.
- G. Hodson.** The Evolutionary and Non-Darvinian Economics of Joseoh Schumpeter. – Journal of Evolutionary Economics, 1997, №7, გვ. 131-146
- J. Metcalfe.** Evolutionary Economics and Creative Destruction. London, Routledge, 1998.
- J. Foster.** Competitive Selection, Self-Organisation and Joseph a. Schumpeter - Journal of Evolutionary Economics, 2000, №3. გვ. 311-328
- J. Matews.** Resource-based View of Schumpeterian Economic. 2002. ტ.12. გვ. 30-45
- M. Fogerberg.** J. Schumpeter and the Revival of Evolutionary Economics: An Appraisal of the Literature. – Journal of Evolutionary Economics. 2003, ტ. 13. გვ. 151-165
- V. Mayevsky, M. Kazhdan.** The Evolution of Macrogenations - Journal of Evolutionary Economics, 1998, ტ.8. გვ. 407-422
- В. Маевский.** Эволюционная теория и макроэкономика. Вопросы экономики, 1997, №3, гв. 16-34.
- В. Маевский.** О взаимоотношении эволюционной теории и ортодоксии. Вопросы экономики, 2003. №11, гв. 4-14



## თემა 9. თავისუფალი მეწარმეობის ნეოლიბერალური თეორიები

თანამედროვე ეკონომიკური ლიბერალიზმის (ნეოლიბერალიზმის) უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს წარმოადგენს ავსტრიული ე.წ. „ახალი კლასიკური სკოლა“, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰაიეკი, ლუდვიგ ფონ მიზესი და გერმანული ნეოლიბერალიზმი ანუ ორდოლიბერალიზმი, რომლის მთავარი თეორეტიკოსია ვალტერ ოიკენი და მის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ლ. ერჰარდს.

მოცემული თემა ჩვენს მიერ განხილულია სწორედ აღნიშნული ავტორების ნაშრომებზე დაყრდნობით. კერძოდ, წარმოდგენილია ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰაიეკის სამი ნაშრომი: „ფასი და წარმოება“ (1931) „გზა მონობისაკენ“ (1944) და „დამლუპველი თვითდაჯერებულობა“ (1978). პირველი ნაშრომი წმინდა თეორიული ხასიათისაა, მეორე კი უპირატესად პუბლიცისტურია, თუმცაღა ამ ნაშრომში უაღრესად ცხადად და რელიეფურად არის ჩამოყალიბებული ავტორის ლიბერალური, პილიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები. რაც შეეხება მესამე ნაშრომს, მასში ერთგვარად შეჯერებულია მეცნიერის ხანგრძლივი კვლევის შედეგები.

განხილულია აგრეთვე ლუდვიგ ფონ მიზესის ნაშრომი „ადამიანური მოქმედება“, (1949) რომელიც წარმოადგენს ფსიქოლოგიური კანონების გამოყენების საფუძველზე ეკონომიკური პროცესების ანალიზის წარმატებულ მაგალითს. ასევე პოლიტიკურ–ეკონომიკური ხასიათის სტატია „პოპულისტური პოლიტიკა – გზა სოციალიზმისაკენ“, სადაც მოცემულია სოციალიზმის საფუძვლიანი კრიტიკა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნეოლიბერალიზმმა ფართო გავრცელება ჰპოვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. გერმანული ნეოლიბერალიზმი ლიტერატურაში ცნობილია ორდოლიბერალიზმის სახელწოდებით. სიტყვა ორდო ლათინურად (ordo) – ნიშნავს წესრიგს.

სწორედ „სამეურნეო წესრიგის“ თეორია უდევს საფუძვლად გერმანულ ნეოლიბერალურ დოქტრინას, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ახალ მოდელს. ეს მოდელი მიმართულია ეკონომიკურად მაღალეფექტიანი და სოციალურად სამართლიანი განვითარების უზრუნველყოფისაკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანული ნეოლიბერალეები გვთავაზობენ „თავისუფალი მეწარმეობის“ მოდიფიცირებულ ვარიანტს „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის“ ანუ „მესამე გზის“ სახით.

გერმანული ნეოლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: რიოპკე, ერჰარდი, რიუსტოვი, მიულერ-არმაკი და სხვ. მიმართულების ფუძემდებელი კი, როგორც აღვნიშნეთ, არის ოიკენი. ჩვენ აქ განვიხილავთ ვ.ოიკენის ნაშრომს „სახელმწიფოს სტრუქტურული ცვლილებები და კაპიტალიზმის კრიზისი“, რომელიც პირველად გამოიცა 1932 წელს, ხოლო მეორედ – 1997წელს ქალაქ შტუდგარტში.

## ლექცია X. ნეოლიბერალიზმის ავსტრიული ანუ „ახალი კლასიკური სკოლა“

(ფ. ჰაიეკისა და ლ.მიზესის თეორიულ-ეკონომიკური შეხედულებები)  
ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი (1899–1992) – „ფასი და წარმოება“ (1931)

ეს ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ ლონდონის ეკონომიკის სკოლაში 1931 წელს წაკითხული ოთხი ლექციის კრებულს. ცალკე წიგნად გამოიცა 1975 წელს. ეს მნიშვნელოვანი პერიოდია იმ თვალსაზრისით, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში 1974 წელს გაჩაღებულმა მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა განაპირობა ერთი მხრივ, უნდობლობა კეინზიანური თეორიის მიმართ, მეორე მხრივ კი ინტერესის გაღვივება ჰაიეკის ეკონომიკური ნააზრევისადმი.

პირველი ლექცია ეხება ფულის თეორიის მიმოხილვას;

მეორე ლექცია – შეიცავს წარმოების ანალიზს, რომელიც ემყარება კაპიტალის ავსტრიულ თეორიას;

მესამე ლექციაში – გაანალიზებულია ეკონომიკური კრიზისების ბუნება და ფულისა და ფასების როლი კრიზისში;

მეოთხე ლექციაში – მოცემულია ფულადი და გაცვლითი ეკონომიკების შედარებითი ანალიზი.

წიგნის მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: ფული არ არის ნეიტრალური ეკონომიკის მიმართ, იგი გარსს კი არ წარმოადგენს, არამედ დგას ეკონომიკური მოვლენების (წარმოება, შეფარდებითი ფასები, კრიზისები...) ცენტრში.

### *მოკლედ ავტორის შესახებ*

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი დაიბადა ვენაში და აქვე სწავლობდა. 1921 წელს ვენის უნივერსიტეტში მიიღო იურიდიული მეცნიერების დარგში დოქტორის ხარისხი. იგი სისტემატურად ესწრებოდა ფრიდრიხ ფონ ვიზერის (ავსტრიული მარგინალური სკოლის ერთ–ერთი ფუძემდებელი) სალექციო კურსებს და დაინტერესებული იყო ფსიქოლოგიით. ავსტრიის ოკუპაციის შემდეგ ჰაიეკი გადავიდა აშშ–ში, სადაც ღრმად შეისწავლა ფულის თეორია და პოლიტიკა და ფონ მიზესთან ერთად დაარსა კვლევების ავსტრიული ინსტიტუტი, რომლის მთავარი ამოცანა იყო კრიზისებისა და

ეკონომიკური რყევების შესწავლა. 1950 წელს ჰაიეკი ნიუ-იორკიდან ჩიკაგოში გადავიდა და მუშაობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, რომელიც საყოვეთაოდ ცნობილია ლიბერალური იდეების დაცვითა და პროპაგანდით.

1962 წლიდან ჰაიეკი პროფესორად მუშაობდა გერმანიის ფრაიბურგის უნივერსიტეტში. 1974 წელს ჰაიეკმა გუნარ მიურდალთან ერთად მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში.

## ფასი და წარმოება

### (პირველი საჯარო ლექცია)

ჰაიეკი ფულის დარგში ეკონომიკური აზრის განვითარების ოთხ ეტაპს გამოჰყოფს.

- პირველ ეტაპზე გაბატონებული იყო რაოდენობრივი თეორიის ყველაზე მექანიკური ვერსია, რომელიც ჰაიეკის აზრით, შექმნა ლოკმა და აალორძინა ირ.ფიშერმა. მისი აზრით, ეს თეორია სამ თეორიულ შეცდომასთანაა დაკავშირებული:

**პირველი,** შედარებითი ფასები და წარმოება არასდროს ექვემდებარება ფულის ზეგავლენას თუკი ფასების საერთო დონე სტაბილური რჩება;

**მეორე,** არსებობს დადებითი კორელაცია (თანაფარდობა) ფასების საერთო დონესა და წარმოების დონეს შორის;

**მესამე,** ფულის თეორია წარმოადგენს მხოლოდ ფულის ღირებულების განსაზღვრის თეორიას.

- მეორე ეტაპი, მისი სიტყვებით „წარმოიშვა პირველი ეტაპის მიმართ დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გამო“. ამ ეტაპზე იგი ცდილობს იმ მექანიზმების დეტალურად აღწერას, რომელთა საშუალებითაც ფულის რაოდენობის ცვლილება ზემოქმედებას ახდენს ფასების საერთო დონეზე.

ამასთანავე, ჰაიეკი ხედავს აღნიშნულ საკითხებში წარმოშობილ სირთულეებს. კერძოდ იმას, რომ ფულის რაოდენობის ცვლილების შედეგები განსხვავებულია დამატებითი ფულის მიმოქცევაში შეტანის წესიდან გამომდინარე (მაგალითად, მომხმარებლისათვის ან მწარმოებლებისთვის სესხების მიცემა).

- მესამე ეტაპი ხასიათდება საპროცენტო განაკვეთის ანალიზში ჩართვით. ეს უკანასკნელი განიხილება ფულისა და წარმოების ურთიერთკავშირის კონტექსტში. ჰაიეკი დეტალურად განიხილავს იმ ეკონომისტთა მოსაზრებებს, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს სწავლობდნენ და განსაკუთრებით გამოჰყოფს ვისკელის

წვლილს, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ფულადი მოვლენები რომ არ ვლინდებოდეს, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრებოდა დაზოგვითი მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობით“.

მიმდინარე ანუ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი განსხვავდება იმ საპროცენტო განაკვეთისგან, რასაც ვიკსელი უწოდებდა ბუნებრივ განაკვეთს, ჰაიეკი კი – წონასწორობის განაკვეთს. ვიდრე საპროცენტო განაკვეთო ტოლია ბუნებრივი ანუ წონასწორობის განაკვეთის, იგი ნეიტრალურია ანუ არ ზემოქმედებს საქონელთა ფასებზე. და პირიქით, თუკი ბანკები ფულის გამოშვებით იწვევენ მიმდინარე განაკვეთის ბუნებრივი განაკვეთის დონეზე დაბლა შემცირებას, ეს განაპირობებს ინფლაციას.

ამასთანავე, ჰაიეკი კვლავ გამოთქვამს ეჭვს საპროცენტო განაკვეთისა და ფასების საერთო დონის ცვლილებებს შორის მყარი ურთიერთკავშირის არსებობის თაობაზე.

- მეოთხე ეტაპი – მოიცავს ფონ მიზეხისა და თავად ფონ ჰაიეკის გამოკვლევებს. ამ გამოკვლევებში ჰაიეკი, ერთი მხრივ, ემხრობა და მეორე მხრივ აკრიტიკებს ვიკსელის შეხედულებებს. კრიტიკა მდგომარეობს შემდეგში: მიმდინარე განაკვეთი დამოკიდებული რომ არ იყოს ბანკების ქცევაზე და დაემთხვეს წონასწორობის განაკვეთს, ბანკები სესხებს უნდა იძლეოდნენ მათ მიერ გაკეთებული დანაზოგების ფარგლებში. ეს კი იმას გამოიწვევს, რომ ფულის რაოდენობა არ შეიცვლება. მეორე მხრივ, თუკი ჩვენ გვინდა, რომ ფასების საერთო დონე არ შეიცვალოს, აუცილებელია ფულის რაოდენობა შეიცვალოს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების პროპორციულად. ჰაიეკის აზრით, ეს ორი მიზეზი ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რაც იძლევა საპროცენტო განაკვეთსა და ფასების საერთო დონეს შორის მყარი კავშირის არსებობაში დაეჭვების საფუძველს. საბოლოო ანგარიშით ჰაიეკი მიიჩნევს, რომ „ფული“ არის ნეიტრალური წარმოების მიმართ. მისი აზრით, თეორიის ამოცანას წარმოადგენს იმის გარკვევა რატომ არის ფული ნეიტრალური და რა პირობებშია შესაძლებელი მისი ნეიტრალიზება.



## სამომხმარებლო საქონლის წარმოებას და მწარმოებლური საქონლის წარმოებას შორის წონასწორობის პირობები (მეორე საჯარო ლექცია)

პრობლემა ეხება წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებების ასპექტებს. პრობლემის კვლევაში იგი ემყარება კაპიტალის ავსტრიულ თეორიას და განასხვავებს „ამოსავალ წარმოების საშუალებებს“ (მიწას და შრომას) საბოლოო მოხმარების პროდუქტებისგან. მწარმოებლურს იგი მიაკუთვნებს ყველა იმ საქონელს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გამოიყენება სამომხმარებლო საქონლის საწარმოებლად. იმ მწარმოებლურ საქონელს, რომელიც მისი ტერმინოლოგიით არ წარმოადგენს „ამოსავალ წარმოების საშუალებებს“, ჰაიეკი უწოდებს „შუალედურ პროდუქტებს“, რომელიც ერთდროულად შედგება ტექნიკური კაპიტალისგანაც (დაზგები, ინსტრუმენტები, ნაგებობები...) და შუალედური მოხმარებისგანაც (ენერჯია, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები...).

საწარმოო ფაქტორები შედგება ამოსავალი წარმოების საშუალებებისგან და კაპიტალისგან. შესაბამისად, წარმოების ფაქტორებს შეესაბამება შემოსავლები, რომელთა ფორმებია რენტა (მიწა), ხელფასი (შრომა) და პროცენტი (კაპიტალი). რაც უფრო გრძელია „საწარმოო ჯაჭვი“ ამოსავალ წარმოების საშუალებებსა და საბოლოო მოხმარების საქონელს შორის, ჰაიეკის აზრით, მით უფრო „კაპიტალისტური ხასიათისაა“ წარმოება. უფრო „ნაკლებად“ კაპიტალისტური წარმოებიდან უფრო „მეტად“ კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლა ყოველთვის გულისხმობს წარმოების სტრუქტურის შეცვლას. კერძოდ: ამოსავალი წარმოების საშუალებათა სულ უფრო მეტი ნაწილი გამოიყენება „შუალედური პროდუქტების“ საწარმოებლად სამომხმარებლო პროდუქტთა წარმოების შემცირების ხარჯზე. ამგვარი ცვლილება შესაძლებელია ორ შემთხვევაში.

პირველი, როცა ეკონომიკური აგენტები უფრო ნაკლებს მოიხმარენ და მეტს ზოგავენ. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მოხმარებელთა მხრიდან მომავალში მოხმარებული საქონლისთვის უპირატესობის მინიჭებას მიმდინარე პერიოდში საქონელთან შედარებით.

მეორე, როცა აგენტები არ ცვლიან თავიანთ ქცევას, საწარმოო ციკლის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ფულის ემისიის გზით.

ბანკირები სარგებლობენ საკუთარი უფლებამოსილებით და მიმოქცევაში უშვებენ ფულის რაღაც დამატებით რაოდენობას. მეწარმეები კი, რომლებიც იღებენ სარგებელს ამ დამატებითი ფინანსური სახსრებიდან, აგრძელებენ წარმოების პროცესს. ამასთანავე, წარმოების ახალი სტრუქტურა ნაკლებად შეესაბამება მომხმარებელთა მოთხოვნებს. ეს არის წარმოების ციკლის ხელოვნური გაგრძელება, რომელსაც საბოლოოდ მივყავართ საწარმოო ჯაჭვის შემოკლებამდე (აკორდეონის ეფექტი). აღწერილი პროცესების განხორციელება დაკავშირებულია ფულის რაოდენობისა და შეფარდებითი ფასების ცვლილებასთან, რომლის ანალიზსაც ეძღვნება მესამე საჯარო ლექცია.

## **ფასების მექანიზმის ფუნქციონირება ციკლის მანძილზე**

**(მესამე საჯარო ლექცია)**

ამ ლექციას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ფონ მიზესის შემდეგი მსჯელობა: „მწარმოებლური აქტიურობის იმ საბანკო პოლიტიკის საშუალებით წახალისებას, რომელიც გულისხმობს ბუნებრივ განაკვეთზე უფრო დაბალი განაკვეთით სესხების გაცემას, აუცილებლად მოსდევს მწარმოებლურ საქონელზე ფასების უფრო სწრაფი ზრდა სამომხმარებლო საქონელთან შედარებით, თუმცა შემდეგში იწყება საპირისპირო მოძრაობა: სამომხმარებლო საქონელზე ფასები იზრდება, მწარმოებლურ საქონელზე ფასები კი მცირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საპროცენტო განაკვეთი იზრდება და კვლავ მიისწრაფვის ბუნებრივი საპროცენტო განაკვეთის დონისკენ“.

ამ ლექციაში ჰაიეკი აანალიზებს შეფარდებითი ფასების ცვლილებას და მის ზეგავლენას წარმოების სტრუქტურის ცვლილებაზე. ამ გზით იგი ცდილობს კრიზისების იმგვარ შესწავლას, რომელიც მოახდენდა რეალური და ფულადი ფაქტორების ინტეგრირებას. წარმოებულ ფაქტორთა შორის ფონ ჰაიეკი გამოყოფს ე.წ. „სპეციფიკურ საქონელს“, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წარმოების ერთ რომელიმე ეტაპზე და „არასპეციფიკურ საქონელს“, რომელსაც უფრო ფართო დანიშნულება გააჩნია. მაგალითად, სპეციალური მანქანები, ნახევარფაბრიკატები სპეციფიკური საქონელია, ხოლო წვრილი ინსტრუმენტი, წარმოების ამოსავალი საშუალებები – არასპეციფიკური საქონელი. ანალიზის პროცესში იგი სვამს ასეთ

კითხვას: „რატომ არის შესაძლებელი იმ საქონლის სასარგებლოდ გამოყენება ახლა, როცა ისინი უკვე გამოიყენებოდა წარმოების ადრეულ ეტაპზე“? მისი აზრით, ამ კითხვაზე პასუხი მდგომარეობს წარმოების სხვადასხვა ეტაპებზე საქონლის შეფარდებითი ფასების ცვლილებაში.

შემდეგ იგი გვთავაზობს იმ მექანიზმების ანალიზს, რომელთა საშუალებითაც ხდება შეფარდებითი ფასების ცვლილება. იგი კერძოდ განიხილავს სიტუაციას, როცა მომხმარებლები გადაწყვეტენ უფრო ნაკლები დაზოგონ და შესაბამისად, მეტი მოიხმარონ. დაზოგვა მალე იწვევს მწარმოებლურ საქონელზე მოთხოვნის ზრდას, ამავე დროს მოთხოვნა მოხმარების საგნებზე მცირდება. მწარმოებლურ საქონელზე შეფარდებითი ფასები იზრდება, თუმცა ეს ზრდა არათანაბარზომიერია წარმოების სხვადასხვა ეტაპებზე. კერძოდ, ზრდა უფრო უმნიშვნელოა ჯაჭვის ბოლოს (ანუ მოხმარების სტადიასთან ახლო ეტაპებზე). ჯაჭვის ბოლოს, ასევე მცირდება მოგებისა და დამატებული ღირებულების წილი. სამაგიეროდ ხდება არასპეციფიკური საქონლის გადანაცვლება ჯაჭვის თავიდან – ბოლოში. სპეციფიკურ საქონელზე მოთხოვნა კი ჯაჭვის ბოლოში მცირდება.

ამრიგად, ადგილი აქვს საწარმოო ჯაჭვის დაგრძელებას წარმოების სხვადასხვა ფაზაზე ფასების ცვლილების ზემოქმედების შედეგად. სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის ზრდას და დანაზოგების შემცირებას საპირისპირო შედეგამდე მივყავართ: სამომხმარებლო საქონელზე შეფარდებითი ფასები იზრდება, ხოლო მწარმოებლურ საქონელზე შეფარდებითი ფასები მცირდება და ეს უკანასკნელი ადრეულ ფასებზე უფრო საგრძნობია ვიდრე ბოლო ფაზაზე. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, წარმოების პროცესი მოკლდება (არასპეციფიკური საქონელი გადანაცვლებს ბოლო ეტაპებზე, ხოლო წინა ეტაპებზე გამოყენებული სპეციფიკური საქონელი ნაწილობრივ ან მთლიანად კარგავს საკუთარ ღირებულებას).

აღნიშნული ლექციას ლეიტმოტივად გასდევს წარმოების მნიშვნელოვან როლზე ხაზგასმა და დროის მხედველობაში მიღების აუცილებლობა. კერძოდ, მეცნიერი მიუთითებს, რომ „წარმოების სტრუქტურის შეცვლამ შესაძლებელია გარკვეული დრო მოითხოვოს და დროებითი შეუსაბამობა გამოიწვიოს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის“.

ჰაიეკი აგრძელებს საკითხის კვლევას და აღწერს მდგომარეობას როცა მწარმოებლურ საქონელზე მოთხოვნის ზრდა განპირობებულია არა

დანაზოგებისადმი ან დაგროვებისადმი უპირატესობის მინიჭებით, არამედ ბანკების მიერ მეწარმეებისთვის დამატებითი სესხების გამოყოფით. ამ კრედიტების წყარო (იმის გამო, რომ ჰიპოთეზის თანახმად დანაზოგის განაკვეთი უცვლელია) შეიძლება იყოს მხოლოდ ფულის დამატებით გამოშვება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, განაპირობებს სესხის საბაზრო განაკვეთის შემცირებას ბუნებრივ განაკვეთზე დაბლა და მწარმოებელთა მხრიდან მწარმოებლურ საქონელთა მოთხოვნის გაზრდას. ამ შემთხვევაში საწარმოო ჯაჭვი გრძელდება, მაგრამ ახლა უკვე სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის შემცირების გარეშე. შესაბამისად, სამომხმარებლო საქონელზე ფასები იზრდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ მწარმოებლური ფაქტორები საწარმოო ჯაჭვის ბოლო ეტაპისკენ გადაინაცვლებს, არამედ დაქირავებულ მუშათა ნომინალური ხელფასების გამოც.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეკონომიკა წინააღმდეგობაში ვარდება: საპროცენტო განაკვეთის შემცირების გამო საწარმოო პროცესი გაგრძელებისკენ მიისწრაფვის, სამომხმარებლო საქონელზე ფასების გაზრდის შედეგად კი პირიქით – შემცირებისაკენ სწრაფვის ტენდენციას ავლენს.

პირველ ეტაპზე ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შესაძლებელია, თუკი ბანკები ახალი კრედიტებით მოამარაგებენ ეკონომიკას. ამ შემთხვევაში მეწარმეები იძულებულნი არიან გამოიყენონ უფრო „კაპიტალისტური“ საწარმოო პროცესი, თუმცა მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაზრდა შეუძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს. როცა ბანკები შეამცირებენ კრედიტების მიწოდებას წარმოების საწყის ეტაპებზე მწარმოებლური საქონლის გამოყენება ან დაბალრენტაბელური გახდება ან საერთოდ შეწყვეტს რაიმე სარგებლის მოტანას. ეს სიტუაცია გამოიწვევს ეკონომიკურ კრიზისს: საწარმოთა მასობრივ გაკოტრებას, მუშათა მასობრივ დათხოვნებს, შემოსავლების დაცემას, გასაღების პრობლემებს, მათ შორის სამომხმარებლო საქონლის ბაზრებზე.

ამრიგად, ჰაიეკის აზრით, კრიზისი არის შედეგი იმ სიტუაციისა, რომლის დროსაც კაპიტალის გაზრდას წინ არ უსწრებდა დამატებითი დაზოგვა ანუ სხვა სიტყვებით, მიმდინარე მოთხოვნაზე უარის თქმა, რომელიც მომავალში მოთხოვნის უკეთესად დაკმაყოფილების შესაძლებლობას შექმნიდა უფრო ხანგრძლივი წარმოების ციკლის საშუალებით. იგი წერს: „გამოუყენებელი სიმძლავრეების არსებობა არავითარ შემთხვევაში არ ადასტურებს კაპიტალის სიჭარბეს და

მოხმარების არასაკმარის დონეს. პირიქით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ არ გვაქვს არსებითი მოწყობილობის სრულად გამოყენების უნარი და მიმდინარე მოთხოვნა სამომხმარებლო საქონელზე არის ძალიან მაღალი. ყოველივე ეს გვაძლევს გრძელ პერიოდში მწარმოებლური მომსახურების დაკმაყოფილებისათვის სათანადო ინვესტირების შესაძლებლობას“.

შესაბამისად, კრიზიზი არ წარმოადგენს არასაკმარისი მოხმარების მიზეზს და საზიანოა ეკონომიკის სტიმულირების მცდელობა მომხმარებლებისთვის კრედიტების გამოყოფის გზით. ამ ღონისძიებამ შესაძლებელია კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება.

ლექციის ბოლოს, ფონ ჰაიეკი, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „შესაძლებელია ჩვენ შევძლოთ კრიზისის პრევენცია ფულადი ექსპანსიის დროული გაკონტროლების გზით, მაგრამ მას შემდეგ რაც კრიზისი დაიწყება მისგან გამოსვლა ბუნებრივი დროის გასვლამდე შეუძლებელია“.

## **„ელასტიკური ფულის“ „მომხრე“ თუ „წინააღმდეგი“?**

**(მეოთხე საჯარო ლექცია)**

ამ ლექციის მთავარი მიზანია ჰაიეკის მიერ შემუშავებული თეორიული დებულებების პრაქტიკული ფულადი პოლიტიკის განხორციელებაში გამოყენება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მეცნიერი ცდილობს „უფრო რაციონალური ფულადი თეორიის“ მეცნიერული საფუძვლის მოძიებას.

ამ პროცესში ჰაიეკი უპირისპირდება როგორც ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს, ისე ფულადი პოლიტიკის განხორციელებელი ჩინოვნიკების „რეცეპტებს“. მეცნიერი გვთავაზობს „ელასტიკური ფულის“ იდეას, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: ფულის მასა ისე უნდა იცვლებოდეს, რომ ფასების დონე უცვლელი დარჩეს, ანუ მხოლოდ ფულის უცვლელი მოცულობით მიწოდება შეიძლება აღმოჩნდეს ნეიტრალური. ამის შემდეგ დეტალურად გვიხსნის თუ რას გულისხმობს „უცვლელი ფულადი მიწოდების“ ცნების ქვეშ – და რა პირობებშია შესაძლებელი ასეთი პოლიტიკის რეალიზება.

ჰაიეკი აღნიშნავს, რომ უნდა იქნეს გათვალისწინებული „ყველაფერი ის, რაც ფულად შეიძლება გამოდგეს თუნდაც დროებით“. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ძირითადი ვალუტა და კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული კრედიტები, არამედ საწარმოების მიერ ურთიერთდაკრედიტება. აქ იგი მიმართავს მეტაფორას,

რომლის მიხედვითაც საკრედიტო სისტემა შეიძლება შედარდეს პირამიდას. ამ პირამიდის ყველაზე ვიწრო ადგილია ძირითადი ვალუტა, შემდეგ მოდის ბანკების მიერ გამოშვებული ფული და ყველაზე მაღლა – „ბანკებგარე კომერციული კრედიტები“.

ამრიგად, არსებობს ძირითად ვალუტაზე პირდაპირი და ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე ირიბი ზემოქმედების შესაძლებლობა, თუმცა ძალიან ძნელია ბანკებგარე კრედიტებზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა.

ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, მაშინაც კი, როცა ცენტრალური ბანკები უცვლელს ტოვებენ საკუთარი ფულის რაოდენობას, ჰაიეკის აზრით, მიმოქცევაში ფულის საერთო რაოდენობა მაინც იცვლება. ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი არ უნდა დაკმაყოფილდეს საკუთარი კრედიტების შეზღუდული გაცვლით ან უცვლელად დატოვებით და საკუთარი კრედიტები უნდა შეამციროს ბანკებგარე კრედიტების მოცულობის გაზრდის პროპორციულად. თუმცა, ჰაიეკი აქვე შენიშნავს, რომ ეს უფრო უტოპიის სფეროს განეკუთვნება და არ მოხდება მანამ, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი კრედიტების გაზრდას ეკონომიკის განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე მოთხოვნად მიიჩნევს.

შემდეგ ჰაიეკი საკუთარ ანალიზში გამოჰყოფს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. კერძოდ, იგი შენიშნავს, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისათვის აუცილებელია, რომ ცენტრალურმა ბანკმა ფულის მასა შეცვალოს ბრუნვის სიჩქარის საპირისპიროდ.

და ბოლოს, რომ გამოირიცხოს ფულის რაიმე ზემოქმედება ფასებისა და წარმოების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, საკმარისი არ არის ფულადი მასის მუდმივობა. ამასთან ერთად აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ „ფული იმას მიეწოდოს, ვისაც იგი ყველაზე მეტად სჭირდება“.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

- ჩვენ ვაყალიბებთ ნეგატიურ კანონს, რომლის მიხედვითაც წარმოებისა და გაცვლის ზრდის მარტივი ფაქტი არ იძლევა კრედიტის გაფართოების საფუძველს და ამასთანავე, ბანკებს (მწვავე კრიზისის არსებობის გარდა) არ უნდა ჰქონდეთ იმის შიში, რომ ზიანს მიაყენებენ წარმოებას საკუთარი ზედმეტი სიფრთხილის გამო.

- ეკონომისტები უფრო ყურადღებით უნდა მოეპყრან ფულთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა მათ შეძლონ გააგრძელონ „ჩვენი ფულადი სისტემის გარდაქმნა“.
- ზედმეტი საზოგადოებრივი ჩარევა, რომელსაც აქცენტი გადააქვს სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნაზე, იწვევს „კაპიტალისტური წარმოების სტრუქტურის მუდმივ შეკუმშვას და შესაბამისად, გრძელვადიან დაქვეითებას“.

### ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰაიეკი – „გზა მონობისაკენ“

ეს მონოგრაფიული გამოკვლევა 1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოქვეყნდა და იგი ერთდროულად წარმოადგენს როგორც უდიდეს პროტესტს ტოტალიტარიზმის (საბჭოური კომუნიზმისა და ნაცისტური ფაშიზმის) მიმართ, ასევე თავისუფლებისა და დემოკრატიის აპოლოგიას. აღნიშნული ნაშრომის შემოკლებული ვარიანტი დაბეჭდილია კრებულში „ლიბერალიზმი და ძალაუფლება“ (თავისუფლების ბიბლიოთეკა. წიგნი II, 2004წ., გვ.68–85).

რა განაპირობებს ტოტალიტარიზმის ჩამოყალიბებას?

- ხელისუფლებისადმი გაზვიადებული თაყვანისცემა;
- „გარდაუვალობისადმი“ მორჩილება;
- ყველაფრის „მოწესრიგებით“ (რასაც ჩვენ „დაგეგმვას“ ვუწოდებთ) გატაცება.

„გერმანიაში სოციალისტური მრწამსით აღტკინებული ადამიანების კეთილგანწყობამ გზა გაუხსნა ნაცისტურ ძალებს“. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ნაცისტური მოძრაობის ბევრმა ლიდერმა, იტალიელი მუსოლინიდან მოყოლებული, მოღვაწეობა დაიწყო როგორც სოციალისტმა და დაამთავრა როგორც ფაშისტმა ან ნაცისტმა.

დღესაც დემოკრატიულ ქვეყნებში ბევრს სჯერა, რომ ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება „გონივრულად მართვადი“ უნდა იყოს და კონკურენციას – „ეკონომიკური დაგეგმვა“ უნდა ჩაენაცვლოს. „მაგრამ განა შეიძლება წარმოვიდგინოთ იმაზე უფრო დიდი ტრაგედია, ვიდრე ჩვენდაუნებურად იმის სრულიად საწინააღმდეგო ნაყოფის მიღებაა, რასაც ასე ვესწრაფოდით“?

## დაგეგმვა და ძალაუფლება

„ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალიზებული მართვა თავისუფლების დათრგუნვას მოითხოვს. ამ პროცესს გარკვეულწილად დემოკრატია უშლის ხელს. ამიტომ დაგეგმვასა და დემოკრატია შორის დაპირისპირება გარდაუვალი ხდება“.

„უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტულ საზოგადოებაში ვერავინ სარგებლობს იმ ძალაუფლების მცირედი ნაწილითაც კი, რომლითაც ცენტრალური საგეგმო კომიტეტი ისარგებლებს. ძალაუფლების დეცენტრალიზება ნიშნავს ძალაუფლების აბსოლუტური მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას, ხოლო კონკურენტული წეს-წყობილება კი არის ის ერთ-ერთი წეს-წყობილება, რომელიც ერთი ადამიანის მეორეზე საძალაუფლებო ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობას მინიმუმამდე კვეცავს“.

ეკონომიკური თავისუფლება არის ზოგადად პიროვნების თავისუფლების საფუძველი და პირობა.

„ნებისმიერ შემთხვევაში, აშშ-სა და ინგლისში თვით ყველაზე ცუდად ანაზღაურებად არაპროფესიონალ მუშას გაცილებით უფრო მეტი თავისუფლება აქვს, რომ ცხოვრება თავისი სურვილისამებრ მოაწყოს, ვიდრე ბევრ მეწარმეს ფაშისტურ გერმანიაში ან შედარებით უკეთესი ანაზღაურების მქონე ინჟინერსა და მენეჯერს რუსეთში. აშშ-სა და ინგლისში ადამიანის ფიზიკურ უსაფრთხოებასა და თავისუფლებას არ ემუქრება ისეთი საშიშროება, რომელიც მას უხეში ძალით მაიჯაჭვავს ამ საქმეს და გარემოს, რომლებიც უმაღლესი ხელისუფლების მიერ მისთვის არის განსაზღვრული“.

ადამიანის ეკონომიკური და მაშასადამე, პიროვნული თავისუფლების საფუძველი, გარანტი კერძო საკუთრებაა. სწორედ კერძო საკუთრების პირობებშია შესაძლებელი წარმოების საშუალებათა გამგებლობის გადანაწილება უამრავ დამოუკიდებლად მოქმედ ადამიანთა შორის, რომლებსაც შეუძლიათ თვითონვე გადაწყვიტონ თუ როგორ მოიქცნენ. როცა წარმოების საშუალებები მხოლოდ ერთ ხელშია მოქცეული, ეს „ვიღაცა“ სახელმწიფო იქნება ეს თუ ერთპიროვნული დიქტატორი, ჩვენზე ფლობს თითქმის აბსოლუტურ ძალაუფლებას ... „კარგად არის ნათქვამი – იმ ქვეყანაში, სადაც ერთადერთი დამქირავებელი სახელმწიფოა, ოპოზიციაში ყოფნა შიმშილით სიკვდილს ნიშნავს“.



ადამიანის თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის ფილოსოფია, რენესანსის პერიოდში ჩაისახა, ხოლო შემდეგ ის დაიხვეწა და იმ სახით გავრცელდა, რომელსაც ჩვენ დასავლურ ცივილიზაციად ვიცნობთ. საზოგადოების განვითარების ზოგადი მიმართულება ცალკეული პიროვნებების იმ მარწუხებიდან განთავისუფლებაში მდგომარეობდა, რომლებიც მას ფეოდალურ საზოგადოებაში ბოჭავდა.

აღნიშნულის შედეგად XX საუკუნის დასაწყისისათვის, დასავლურ სამყაროში მშრომელმა ადამიანმა ყოფიერი კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის ისეთ დონეს მიაღწია, რომ 100 წლის წინათ ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო.

კონკრეტული მიზეზი მსგავსი წარმატებისა კი იყო თავისუფალ საზოგადოებაში სპონტანურად წარმოქმნილი ენერჯია. ჩვენ განვიზრახეთ (იგულისხმება ნაცისტური გერმანია) ამ ენერჯიისგან გამიჯვნა და მათი „კოლექტიურობითა“ და „მიზანმიმართული“ ქმედებით ჩანაცვლება.

საყურადღებოა, რომ ლიბერალიზმი ყველაზე სრულად გერმანიაში უარყვეს. ეს გამოვლინდა როგორც სოციალიზმის უფრო რადიკალური სახესხვაობის (ნაციზმის) განხორციელებაში, ისე უმეტესწილად „მოწესრიგების“ და „დაგეგმვის“ მცდელობებში. „გერმანელები ნაციზმის აღმოცენებამდე გაცილებით ადრე აკრიტიკებდნენ ლიბერალიზმსა და დემოკრატias, კაპიტალიზმსა და ინდივიდუალიზმს“. „ჰიტლერის ძალაუფლებაში მოსვლის დროისთვის, გერმანიაში ლიბერალიზმი უკვე მკვდარი იყო და ის სოციალიზმმა მოკლა“.

## **დაგეგმვის ლიბერალური გზა**

დაგეგმვის პოპულარულობა იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ყველას სურს საკუთარი პრობლემების წინასწარი განჭვრეტა. კამათი დაგეგმვის დღევანდელ მომხრეებსა და ლიბერალებს შორის ეხება არა იმას, თუ რამდენად მიზანშეწონილია ჩვენი საქმიანობის დაგეგმვა, არამედ იმას, თუ რომელია საუკეთესო გზა ასეთი ქმედებების განსახორციელებლად. საკითხი ასე დაისმის: ან ჩვენ შევქმნით ისეთ პირობებს, რომელიც გასაქანს მისცემს თითოეული პიროვნების ცოდნას და ინიციატივას, რათა მათ საუკეთესოდ დაგეგმონ საკუთარი ცხოვრება, ან მთელი სამეურნეო ცხოვრება წარიმართება „დადგენილი გეგმის“ მიხედვით და საგეგმო

კომიტეტის წევრები გადაწყვეტენ იმას, თუ ვის რა უნდა ერგოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

ერთმანეთისგან უნდა იყოს გარჩეული წინააღმდეგობა დაგეგმვის უახლეს ტიპსა და დოგმატურად გაგებული Laisser faire –ის შორის. ლიბერალური მტკიცებულებები არ გულისხმობენ მოვლენათა შენარჩუნებას არსებული სახით. ისინი უპირატესობას ანიჭებენ კონკურენციის საუკეთესო შესაძლებლობების გამოყენებას, რომელიც ადამიანთა ძალისხმევის კოორდინირების საშუალებას იძლევა. ეს მოსაზრება დაფუძნებულია იმის რწმენაზე, რომ ეფექტიანი კონკურენციის პირობების შექმნა, ცალკეული პიროვნების ძალისხმევის ხელშეწყობის საუკეთესო საშუალებაა. ლიბერალიზმი განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ კონკურენციის ნაყოფიერებისთვის მოხერხებული საკანონმდებლო ჩარჩოებია აუცილებელი და არც ძველი და არც ამაჟამად არსებული კანონები საბედისწერო ხარვეზებისგან დაცული არ არის.

ლიბერალიზმი, ამასთანავე, კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმას, რომ ეკონომიკური საქმიანობა კონკურენციის მაგივრად დირექტორულ მართვას დაექვემდებაროს. ის აღიარებს კონკურენციის გადამწყვეტ მნიშვნელობას არა მარტო იმიტომ, რომ ის ყოველმხრივ შედეგიანი მეთოდია, არამედ იმიტომაც, რომ არ მოითხოვს სამეურნეო საქმიანობაში ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივ ან ნებელობით ჩარევას.

ლიბერალიზმი ემიჯნება „გონიერი საზოგადოებრივი ზედამხედველობის“ საჭიროებას და აძლევს შანსს ცალკეულ პიროვნებებს თავად გადაწყვიტონ თავიანთი ეკონომიკური ამოცანები და მიზნები. ამასთანავე, კონკურენციის დადებითი შედეგების გამოყენებას ხელს არ უშლის გარკვეულ საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა (ჰაიეკი ასახელებს ზოგიერთ ასეთ საკითხს. მაგალითად: სამუშაო საათების რაოდენობისა და სამუშაო სანიტარული ნორმების დადგენა, ტყის გაჩეხვის მავნე შედეგების თავიდან აცილება, მონოპოლიების ძალმომრეობის აღკვეთა და სხვ.).

თუმცა იქვე დასძენს, რომ ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მოინახოს რაღაც „შუალედური გზა“ კონკურენციას და ცენტრალურ მართვას შორის. „ორივე როგორც კონკურენცია, ისე ცენტრალური მართვა, უმოქმედო და უშედეგო იარაღად გადაიქცევა, თუკი ისინი არასრულყოფილად გამოიყენება. ამიტომ მათი შერწყმა ნიშნავს, რომ ვერცერთი ვერ იმუშავებს... დაგეგმვისა და კონკურენციის

შეხამება შესაძლებელია თვით კონკურენციის ხელშეწყობის და არა კონკურენციის შეფერხების დაგეგმვაში. დაგეგმვა, რომლის წინააღმდეგაც მთელი ჩვენი კრიტიკაა მიმართული, სწორედ რომ კონკურენციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა“.

## უდიდესი უტოპია

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ იმათ უმრავლესობას, ვინც დემოკრატიულ ქვეყნებში მოითხოვს მთელი ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალური მმართველობისადმი დაქვემდებარებას, კვლავ სჯერათ, რომ სოციალიზმისა და პიროვნული თავისუფლების შეხამება შესაძლებელია. თუმცა ბევრი მოაზროვნის მიერ სოციალიზმი ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში თავისუფლების მესაფლავედ აღიქმებოდა.

სოციალიზმი, თავიდანვე, აშკარად ავტორიტარული იყო. ის წარმოიშვა როგორც ლიბერალური ტენდენციების საწინააღმდეგო რეაქცია. ფრანგი ავტორები, რომლებმაც დასაბამი მისცეს მას, ვერც კი წარმოიდგენდნენ რომ მათი იდეების განხორციელება მხოლოდ ძლიერ დიქტატორულ მთავრობას შეეძლებოდა. სენ-სიმონი პირველი იყო დაგეგმვის მომხრეთა შორის, რომელმაც იწინასწარმეტყველა, რომ ისინი ვინც მის მიერ შეთავაზებულ საგეგმო კომიტეტს არ დაემორჩილებოდა, „პირუტყვად ჩაითვლებოდა“. არავის დაუნახავს ისე მკაფიოდ, ვიდრე დიდ ფრანგ პოლიტიკურ მოაზროვნეს დე ტოკვილს, რომ დემოკრატია სოციალიზმთან შეურიგებელ წინააღმდეგობაშია. „დემოკრატია აფართოებს ინდივიდუალური თავისუფლების სივრცეს“ – ამბობდა ის. სოციალიზმი კი მისი აზრით „ადამიანს მხოლოდ ნივთად, არითმეტიკულ ერთეულად წარმოადგენს. დემოკრატias და სოციალიზმს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, გარდა ერთი სიტყვისა – თანასწორობა. მაგრამ ხაზგასმულია განსხვავება: დემოკრატია ისწრაფვის თანასწორობისაკენ თავისუფლებაში, სოციალიზმი თანასწორობას შეზღუდვასა და მოჩილებაში ხედავს“.

„მტკიცება, იმისა, რომ გეგმიური ეკონომიკა თვალსაჩინოდ ნაყოფიერი იქნებოდა, ვიდრე კონკურენტული წყობა, მკვლევართა უმეტესობის მიერ თანმიმდევრულად იქნა უარყოფილი. თუმცა დაგეგმვისკენ ყველაზე მეტად სწორედ ეს ცრუ იმედი გვიბიძგებს“.

სინამდვილეში კი ჰაიეკის აზრით: „ის რასაც ჩვენ თავისუფლებისკენ მიმავალ გზად წარმოგვიდგენენ, ფაქტიურად არის პირდაპირი გზა მონობისკენ“.

„დაგეგმვა განაპირობებს დიქტატურას, რადგან დიქტატურა არის ძალადობის ყველაზე ეფექტიანი ხერხი, რათა ცენტრალიზებული დაგეგმვა ფართო მასშტაბით გახდეს შესაძლებელი. არანაირი გამართლება არა აქვს ფართოდ გავრცელებულ აზრს, თუკი ძალაუფლება მოპოვებულია დემოკრატიული პროცედურებით, ის არ შეიძლება იყოს ნებელობითი; ძალაუფლების წყაროს არ შეუძლია ხელისუფლება ნებელობისგან დაიცვას. დიქტატურისგან დასაცავად, თავად ხელისუფლება უნდა იყოს შეზღუდული“.

ჰაიეკი შემდეგ აანალიზებს რა მის თანამედროვე პროცესებს, აღნიშნავს: „მათთვის, ვინც თვალი ადევნა სოციალიზმის ფაშიზმად გარდაქმნას XX საუკუნის პირველ ორ მეოთხედში, კავშირი ამ ორ წეს-წყობილებას შორის სრულიად ცხადია. სოციალისტური პროგრამის რეალიზება თავისუფლების განადგურებას ნიშნავს. დემოკრატიული სოციალიზმი, ბოლო რამდენიმე თაობის უდიდესი უტოპია, უბრალოდ განუხორციელებელია“.

### **დაგეგმვა კანონის უზენაესობის საწინააღმდეგოდ**

თავისუფალ ქვეყანაში მთავრობის საქმიანობა შეზღუდულია წინასწარ დაწესებული და გაცხადებული კანონმდებლობით – წესებით, რომლებიც საშუალებას იძლევა წინასწარ იქნეს განჭვრეტილი ის, თუ როგორ გამოიყენებს ხელისუფლება თავის ძალაუფლებას ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში. შესაბამისად, თითოეული კონკრეტული პიროვნება სწორედ ამ ცოდნაზე დაფუძნებით შეძლებს თავისი საქმიანობის დაგეგმვას. ამგვარად, თამაშის ცნობილი წესების ფარგლებში ყოველი პიროვნება თავისუფალია საკუთარი მიზნების განხორციელებაში და არა აქვს იმის შიში, რომ ხელისუფლების ძალაუფლება მისი ძალისხმევის გასაქარწყებლად იქნება გამოყენებული.

ეკონომიკის სოციალური დაგეგმვა სრულიად საპირისპიროს გულისხმობს. საგეგმო კომიტეტს არ შეუძლია საკუთარი თავი შეზღუდოს ზოგადი წესებით და უარი თქვას ძალის გამოყენებაზე. „როდესაც სახელმწიფო წყვეტს, თუ რამდენი ღორი უნდა გაიზარდოს ან რამდენი ავტობუსი უნდა მოძრაობდეს, რომელი ქვანახშირის მალარო უნდა აითვისონ ან რა ფასში უნდა გაიყიდოს ფეხსაცმელი, შეუძლებელია ყველაფერი

ამის წინასწარ განჭვრეტა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საგემო კომიტეტს მოუწევს სხვადასხვა პიროვნებებისა და ჯგუფების ინტერესთა გაწონასწორება“.

საბოლოოდ კი ისე ხდება, რომ საგემო კომიტეტში თავმოყრილი გარკვეული ადამიანები საკუთარი შეხედულებებით წყვეტენ, თუ რომელი პიროვნებების ან ჯგუფების ინტერესებია უფრო მნიშვნელოვანი და შემდეგ ეს შეხედულებები ქვეყნის კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი ხდება. „საკმაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რაც უფრო მეტს „გეგმავს“ ხელისუფლება, მით უფრო რთულია საკუთარი ცხოვრების დაგეგმვა ცალკეული პიროვნებისათვის“. მეტიც, ცენტრალური დაგეგმვის პირობებში ხელისუფლება ვერ იქნება მიუკერძოებელი და ისეთ წარმონაქმნად გადაგვარდება, რომელიც საკუთარი შეხედულებით არჩევს, თუ რას მიანიჭოს უპირატესობა სხვადასხვა ადამიანების კერძო მოთხოვნებს შორის და ნებას რთავს ერთ ადამიანს აკეთოს ის, რასაც მეორე ადამიანს უკრძალავს. ამასთან, ცენტრალური დაგეგმვა გულისხმობს საკანონმდებლო გზით დადგინდეს თუ როგორი უნდა იყოს ცალკეული ადამიანების ფულადი უზრუნველყოფა და თუ რა ქონებას უნდა ფლობდეს განსხვავებული კატეგორიის ადამიანი“.

„კანონის უზენაესობა, ანუ ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ადამიანებისთვის დადგენილი საკანონმდებლო პრივილეგიების არარსებობა, კანონის წინაშე თანასწორობის ის გარანტიაა, რომელიც მთავრობის ნებელობით ძალმომრეობას უპირისპირდება“. ამრიგად, „კანონის უზენაესობის შეგნება მხოლოდ ლიბერალურ ეპოქაში აღმოცენდა და ამ დროის ერთ–ერთი უდიდესი აღმოჩენაა. ის კანონებში განსახიერებული თავისუფლებაა“. როგორც იმანუელ კანტი ამბობდა: „კაცი თავისუფალია თუ იგი არა სხვა პიროვნებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კანონს ემორჩილება“.

### არის კი დაგეგმვა „გარდაუვალი“?

ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ამტკიცებს, რომ დაგეგმვა აუცილებელია, რადგანაც იგი წარმოადგენს იმ მოვლენათა განვითარების კანონზომიერ შედეგს, რომლებიც არ ექვემდებარებიან ჩვენს კონტროლს. ზოგჯერ დაგეგმვის აუცილებლობას იმითაც ხსნიან, რომ მის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ცივილიზაციის სირთულეების დაძლევა. ეს არგუმენტი კონკურენციის მექანიზმის

ფუნქციონირების შესახებ სრულიად არასწორ შეხედულებას ემყარება. სწორედ თანამედროვე პერიოდის სირთულე განაპირობებს, რომ კონკურენცია არის ის ერთადერთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ქმედებათა კოორდინირება და ადეკვატური შედეგების მიღწევა. კონკურენციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ფასებია, რომელიც მეწარმის საქმიანობის მომხმარებელთა მოთხოვნილებებისადმი მისადაგებას იოლად ახერხებს.

ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ამ მეთოდთან შედარებით, რაც დეცენტრალიზაციას და ამასთან ერთად, ფასების სისტემის ავტომატურ კოორდინაციას გულისხმობს, ცენტრალურად მართვის მეთოდი წარმოუდგენლად მოუხერხებელი, პრიმიტიული და შებოჭილია. ცენტრალური დაგეგმვა ვერასდროს მიაღწევს მრავალგვაროვნებისა და მოქნილობის იმ ხარისხს, რასაც აღწევს კონკურენცია. თანამედროვე ცივილიზაცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ საჭიროებს ყველაფრის ერთ ქარგაზე მორგებას.

კონკურენტულ წყობაში შრომის დანაწილება იმაზე ბევრად უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი, ვიდრე ეს წინასწარი დაგეგმვის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. ეკონომიკური სისტემის ყოველი შემდგომი გართულება კონკურენციის გამოყენების ადრინდელზე უფრო მნიშვნელოვანს ხდის, ხოლო ცენტრალური მმართველისა და მიზანმიმართული კონტროლის საჭიროებას კიდევ უფრო აკნინებს.

კიდევ ერთი არგუმენტი, რასაც თავისუფალი კონკურენციის წინააღმდეგ იყენებენ არის ის, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები აყენებს არჩევანს კერძო მონოპოლიების მიერ პროდუქციის კონტროლსა და მთავრობის მიერ განხორციელებულ მართვას შორის. ჰაიეკი კატეგორიულად არ ეთანხმება იმ მოსაზრებას და ასაბუთებს, რომ მონოპოლიების ზრდა წარმოადგენს არა იმდენად ტექნოლოგიური წინსვლის გარდაუვალ გამოძახილს, რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობაში განხორციელებული პოლიტიკის შედეგს.

საბოლოოდ კი ჰაიეკი აკეთებს დასკვნას, რომ „მოდრაობა დაგეგმვისკენ წარმოადგენს მიზანმიმართული პოლიტიკური ქმედებების შედეგს და არანაირი ობიექტური აუცილებლობა არ გვაიძულებს ამას“.

## **შესაძლებელია თუ არა დაგეგმვამ გაგვათავისუფლოს საზრუნავისაგან?**

დაგეგმვის მომხრეები იმით „ამშვიდებენ“ საზოგადოებას, რომ დირექტივები „მხოლოდ“ ეკონომიკურ საკითხებს შეეხება. მათი აზრით, სიცოცხლის ნაკლებად მნიშვნელოვან ასპექტებში თავისუფლების დათმობით ჩვენ შევძლებთ მეტ თავისუფლებას მივაღწიოთ სხვა უფრო მაღალ სფეროებში.

ჰაიეკის აზრით, ასეთი მოსაზრებები საფუძველშივე მცდარია, რადგან ეკონომიკური მიზნები არ შეიძლება გამოცალკევდეს სხვა ცხოვრებისეული მიზნებისაგან. თუკი ჩვენ არ შეგვიძლია ფულის თავისუფლად გამომუშავება და გამომუშავებული ფული თავისუფლად დაგხარჯოთ, პიროვნულადაც უკვე აღარ ვართ თავისუფალი. „ფული სინამდვილეში არის თავისუფლების ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი, რომელიც ადამიანის მიერაა გამოგონილი“.

სერიოზული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივ-ეთიკური ანალიზის საფუძველზე ჰაიეკი აკეთებს უმნიშვნელოვანეს დასკვნას: „ნათქვამია, რომ პოლიტიკური თავისუფლება ეკონომიკური თავისუფლების გარეშე მოკლებულია მნიშვნელობას“. რასაკვირველია, ეს სრული სიმართლეა, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც მას დაგეგმვის მომხრეები იყენებენ. ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც ნებისმიერი სხვა სახის თავისუფლების წინაპირობაა, ვერ იქნება თავისუფლება? ეკონომიკური საზრუნავისაგან, რასაც სოციალისტები გვპირდებიან. ეკონომიკური პრობლემებიდან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ არჩევანის თავისუფლებით. უნდა არსებობდეს ეკონომიკური ქმედების ისეთი თავისუფლება, რომელიც არჩევანის უფლებასთან ერთად გულისხმობს შესაბამისი უფლების გამოყენების რისკსა და პასუხისმგებლობას.

## უსაფრთხოების ორი სახეობა

ამ ნაწილში ჰაიეკი ერთმანეთთან მიმართებაში განიხილავს თავისუფლებას და უსაფრთხოებას. პირველ რიგში იგი აღნიშნავს, რომ არსებობს უსაფრთხოების ორი სახეობა: ა) ყველას უსაფრთხოება საარსებო მინიმუმით და ბ) ცხოვრების ისეთი პირობების დაცვა, რომელშიც თითოეული პიროვნება ან ჯგუფი თვითმყოფადობის გამოვლენის უფლებით სარგებლობს.

მეცნიერის აზრით, თავისუფლებას სწორედ უსაფრთხოების პირველი სახესხვაობა უთხრის ძირს. ერთი ჯგუფისათვის საგანგებო პირობების შექმნის ყოველი მცდელობა

აუარესებს დანარჩენების მდგომარეობას. თუკი თქვენ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს უზრუნველყოფთ ნამცხვრის განსაზღვრული ნაჭრით, მაშინ დანარჩენების წილი პროპორციულად შემცირდება ნამცხვრის მთლიან ზომასთან შედარებით. ასევეა უსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელი, რომელსაც კონკურენტული წყობა გვთავაზობს ანუ შესაძლებლობათა დიდი მრავალფეროვნება, რომელიც უფრო და უფრო მცირდება.

ჰაიეკი კატეგორიულად აღნიშნავს: „თუ ჩვენ არ ვანგრევთ პიროვნულ თავისუფლებას, კონკურენცია არ უნდა შეიზღუდოს...“ ცალკეული კლასებისათვის ყოველგვარი პრივილეგიები უნდა გაუქმდეს, რითაც უარყოფილი უნდა იქნას ყველა წინაპირობა, რომელიც ხელს უშლის ახალმოსულებს, რომ საერთო კეთილდღეობა გაზარდონ და შესაბამისი პირობები სათავისოდაც უზრუნველყონ. ... არაფერია უფრო დამღუპველი, ვიდრე თანამედროვე ინტელექტუალურ ლიდერთა საქციელი, რომლებიც უსაფრთხოებას თავისუფლების ხარჯზე განადიდებენ. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის ხელახლა გათავისებას, რომ თავისუფლების მისაღწევად საჭიროა ფასის გადახდა და ჩვენ როგორც თვითმყოფადი არსებები მისი შენარჩუნებისათვის გარკვეული მატერიალური მსხვერპლის გასაღებად მზად უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ის რწმენა, რომელსაც ეფუძვნებოდა თავისუფლება ანგლო-საქსურ ქვეყნებში და რომელიც ბენჟამენ ფრანკლინმა გამოხატა შემდეგ გამონათქვამში: „ისინი, ვინც დათმობენ ძირითად თავისუფლებას დროებითი უსაფრთხოების მოსაპოვებლად, არ იმსახურებენ არც თავისუფლებას და არც უსაფრთხოებას“.

## უკეთესი სამყაროსკენ

ეს არის ნაშრომის დასკვნითი ნაწილი, რომელშიაც ჰაიეკი აღნიშნავს: ჩვენ უნდა გამოვათავისუფლოთ პიროვნების შემოქმედებითი ენერჯია. ჩვენ უნდა შევქმნათ პროგრესისთვის ხელსაყრელი პირობები და არა „დაგეგმილი პროგრესი“. ისინი, ვინც ყველაზე ხმამაღლა მისტიროდნენ გეგმიან ეკონომიკას, ყველაზე მეტად არიან იმ იდეების ქვეშ, რომელთაც გამოიწვიეს მეორე მსოფლიო ომი და ჩვენი მტანჯველი უბედურების უმეტესი ნაწილი.



თავისუფალ ადამიანთა სამყაროს შექმნის მცდელობის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს პიროვნების თავისუფლების პოლიტიკა, როგორც ერთადეთი ჭეშმარიტი პოლიტიკა

**ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი –**

**„დამლუპველი თვითდაჯერებულობა“ (1978)**

### **1. ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგი**

ნაშრომი, რომელიც დაწერილია ოთხმოც წელს მიტანებული მეცნიერის მიერ, ერთგვარად აჯამებს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე განხორციელებული კვლევა-ძიების შედეგებს, მიძღვნილს ერთი მხრივ, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობის დასაბუთებისადმი, მეორე მხრივ კი სოცილისტური თეორიისა და პრაქტიკის უმწვავესი კრიტიკისადმი. ამ თვალსაზრისით ნაშრომს ხატოვნად შეიძლება ვუწოდოთ „კაპიტალისტური მანიფესტი“ ან „ანტისოციალისტური მანიფესტი“.



*ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი*

ჰაიეკს სამეცნიერო ბრუნვაში შემოაქვს „ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესის(წესრიგის)“ სპეციფიკური ცნება. იგი აღნიშნავს: „ჩვენი ცივილიზაციის წარმოშობა და მისი შენარჩუნება დამოკიდებულია ფენომენზე, რომელიც შეიძლება ზუსტად დახასიათდეს როგორც ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგი“. იგი ასევე მიუთითებს, რომ ადამიანთა თანამშრომლობის მოწესრიგების ორი ურთიერთსაპირისპირო ფორმა არსებობს – კაპიტალიზმი და სოციალიზმი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერს არც თუ ძალიან მოსწონს ეს ცნებები იმის გამო, რომ მისი აზრით, ისინი წმინდა პოლიტიკური შინაარსის მატარებლებია და მათი გამოყენება ეკონომიკური კანონზომიერებების ასახსნელად შეუძლებელია. ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგი პირველ რიგში არსებობს „ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგის“ ანუ „გაფართოებული საბაზრო წესრიგის“ სახით, რომელსაც, ჰაიეკის აზრით, პირობითად შეიძლება ეწოდოს „საბაზრო ეკონომიკა“. სიტყვა „პირობითად“ იმის მიმანიშნებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის ცნებაც არ არის დაზღვეული გარკვეული ხარვეზისაგან.

მეცნიერი მკაცრად აღნიშნავს, რომ „საბაზრო ეკონომიკა“ სულაც არ არის „ეკონომიკა“ ანუ „მეურნეობა“. იგი უფრო არის „ურთიერთზემოქმედი ინდივიდუალური მეურნეობების კომპლექსი“. აქ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ „მეურნეობა“ წარმოადგენს მიზანთა რაღაც ერთიან იერარქიას დაუქვემდებარებელ სტრუქტურას. ამ ნიუანსის გათვალისწინების მიზნით, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ჰაიეკი მკითხველს სთავაზობს საბაზრო ეკონომიკის (მეურნეობის) აღმნიშვნელ ბერძნულ სიტყვას – „კატალაქტიკა“, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „გაცვლას“. ნაშრომის სხვა ადგილას ავტორი საუბრობს საბაზრო ეკონომიკის შემსწავლელ ეკონომიკურ მეცნიერებაზე, რომელსაც უწოდებს მეტათეორიას ანუ თეორიათა თეორიას. ეს უკანასკნელი „შეისწავლის თუ როგორ გამოიყენება სხვადასხვა საშუალება დასახული მიზნების მისაღწევად და სწორედ ამიტომ ამ მეცნიერებას მე ვუწოდებ – კატალაქტიკას“ – დასძენს ჰაიეკი.

„ჩვენი მთავარი ამოცანა მდგმარეობს ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგის (გაფართოებული საბაზრო წესრიგის) არსის შესწავლაში, მისი დამახასიათებელი ნიშნებისა და შემადგენელი ელემენტების ანალიზში“. თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგის უმნიშვნელოვანესი თვისებაა სპონტანურობა, რის გამოც ჰაიეკი ხშირად საუბრობს „სპონტანურად გაფართოებულ ადამიანთა წესრიგზე“ სპონტანურობა ნიშნავს იმას, რომ პროცესი არ ექვემდებარება ჩვენს სურვილებს, შეხედულებებს, წარმოდგენებს და ჩვენ არ შეგვიძლია მისი მართვა. ჰაიეკი მიუთითებს, რომ ა. სმიტი იყო პირველი მოაზროვნე, რომელმაც ეს ფაქტი გააცნობიერა, მისი „უხილავი ხელი“ კი შეიძლება წარმოვიდგინოთ „როგორც უხილავი ან უშუალო წარმოდგენას დაუქვემდებარებელი სტრუქტურა (pattern)“. სპონტანურობის ნათელ მაგალითად ჰაიეკს მოჰყავს ფასწარმოქმნის სისტემა საბაზრო გაცვლის პროცესში, რომელიც გვაიძულებს ვიმოქმედოთ ჩვენთვის პრაქტიკულად უცნობი და ჩვენს მიერ დაუგეგმავი შედეგების ზეგავლენის ქვეშ: „ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისას ჩვენთვის უცნობია სხვა ადამიანთა მოთხოვნილებები, რომლებსაც ჩვენი საქმიანობით ვაკმაყოფილებთ. ასევე უცნობია ჩვენს მიერ მიღებული დოვლათის წყაროები. პრაქტიკულად, ჩვენ ვეხმარებით ადამიანებს, რომლებსაც არა თუ არ ვიცნობთ, არამედ მათი არსებობის შესახებ არასდროს არაფერი გვსმენია. ასევე, ჩვენ ვცხოვრობთ და მუდმივად ვსარგებლობთ ჩვენთვის უცნობი ადამიანების მომსახურებით“ – დასძენს ჰაიეკი. მამასადამე, სპონტანური წესრიგის

პირობებში არ არის საჭირო ადამიანმა იცოდეს ყველა მიზანი და მათი მიღწევის ყველა საშუალება, ისე როგორც არ არის აუცილებელი მათი გათვალისწინება ინდივიდთა ქცევაში. ეს კი განპირობებულია იმით, რომ სპონტანური წესრიგი თავისთავად ყალიბდება და ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვითორგანიზაციის პრინციპს.

თვითორგანიზაციის გზით ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგის შექმნას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ ფაქტორად მიჩნეულია ის ზნეობრივი ტრადიციები და მორალური პრინციპები, რომლებიც ასევე სპონტანურად ყალიბდებიან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ემორჩილებიან რა ქცევის გარკვეულ წესებს, ზნეობრივ ტრადიციებსა და მორალურ პრინციპებს, ინდივიდები ორგანულად „ეწერებიან“ ეკონომიკური, სამართლებრივი, მორალურ-ზნეობრივი ინსტიტუტების გიგანტურ სისტემაში, რომელიც „ჩვენ არ შეგვიქმნია განსხვავებით, მოხმარების აუცილებელი საგნებისაგან“.

ადამიანთა თანამშრომლობის სპონტანურად გაფართოებული წესრიგის ჩამოყალიბების კიდეც ერთი პირობა(ფაქტორი) და ამასთანავე, მისი შემადგენელი ელემენტია ინდივიდუალიზებული საკუთრება. „პირადი გადაწყვეტილებების მიღება – წერს ჰაიეკი, გულისხმობდა კონტროლის ინდივიდუალური სფეროების გამიჯვნას და ამ გზით შესაძლებელი ხდებოდა ინდივიდუალიზებული საკუთრების წარმოშობა, რომელიც თავის მხრივ, საფუძველს უყრიდა გაფართოებული წესრიგის ზრდას. ამ სახით ვლინდება სწორედ საკუთრების როლი ცივილიზაციის განვითარებაში“. შემდგომში მეცნიერი კიდეც უფრო ავითარებს ამ მოსაზრებას: „გაფართოებული წესრიგი, რომელიც ემსახურება მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინტერესების რეალიზებას, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მხოლოდ ინდივიდუალური საკუთრების (severa property) საფუძველზე“. ეს ჰაიეკის აზრით, უფრო ზუსტი ტერმინია კერძო საკუთრებასთან (private property) შედარებით. ინდივიდუალიზებულ საკუთრებას ინსტიტუციურად უზრუნველყოფს სამართალი (law). არსებობს რა აბსტრაქტული წესების სახით, იგი ნებისმიერ დროს ნებისმიერ ინდივიდს საშუალებას აძლევს დარწმუნდეს ამა თუ იმ კონკრეტული საგნის განკარგვის უფლებამოსილებაში.

უაღრესად საინტერესო და ორიგინალურია ინდივიდუალიზებული(კერძო) საკუთრებისა და სამართლიანობის ურთიერთმიმართების ჰაიეკისეული გაგება. ამ საკითხში მეცნიერი სრულად იაზრებს ჯონ ლოკის „მესაკუთრეობრივი

ინდივიდუალიზმის“ პრინციპს, რომლის თანახმადაც სამართლიანობის არსებობა კერძო საკუთრების გარეშე შეუძლებელია.

დებულება – „სადაც არ არის კერძო საკუთრება, იქ არც სამართლიანობაა, ისევე სწორია, როგორც ევკლიდეს ნებისმიერი დამტკიცება“. ინდივიდუალიზებული(კერძო) საკუთრების უმნიშვნელოვანესი როლი რელიეფურად ვლინდება ჰაიეკის მიერ სოციალისტური შეხედულებების კრიტიკის დროს: „თუკი სოციალისტთა მსჯელობას სწორად მივიჩნევდით, ჩვენ უნდა გვეღიარებინა, რომ შემოსავალთა განაწილება ექვემდებარება გარკვეულ მორალურ პრინციპებს. ასეთი განაწილება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, აუცილებელი იქნებოდა ცენტრალური ხელისუფლების რომელიმე ორგანოსთვის არსებული რესურსების მართვის უფლების მიცემა, რაც იგულისხმებდა კერძო საკუთრების მოსპობას“. თუკი მტკიცებაში – „წარმოების საშუალებათა ცენტრალიზებულ მართვას კოლექტიური პროდუქტის ისეთივე სიუხვის შექმნა შეუძლია, როგორც ეს საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი“ – ჭეშმარიტების მარცვალი ურევია, ჩვენ მოგვიხდება სერიოზული პრობლემის – როგორ მოვახდინოთ მისი სამართლიანი განაწილება – გადაწყვეტა. თუმცა, მსგავსი პრობლემა ჩვენს წინაშე არ წარმოიშობა. ინდივიდუალიზებულ საკუთრებაზე დამყარებული საბაზრო კონკურენციის მექანიზმით პროდუქტთა განაწილების გარდა ჩვენთვის უცნობია ერთობლივი პროდუქტის შექმნაში ინდივიდთა მონაწილეობის სხვა წესი.“ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შემდგომში ჰაიეკი უკიდურესად ამწვავებს დიქტომიას საბაზრო წესრიგსა და სოციალიზმს შორის და მიუთითებს, რომ ეს არის კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხი: „სოციალისტური მორალის დანერგვა გამოიწვევდა თანამედროვე საზოგადოების უმეტესი ნაწილის განადგურებას და დარჩენილი ნაწილის ძირითადი მასის გადატეკებას“.

ინდივიდუალიზებული კერძო საკუთრების სისტემაშემქმნელი როლი თვალნათლივ ჩანს ვაჭრობის ფენომენთან მის მიმართებაში. კერძოდ, ინდივიდუალიზებული საკუთრება ხელს უწყობდა ვაჭრობის წარმოშობას, ხოლო ვაჭრობის განვითარებას გაფართოებული წესრიგის წამოქმნამდე მივყავართ. „მატერიალური წარმოების თავად შესაძლებლობა განპირობებულია ვაჭრობით“ – წერს ჰაიეკი და აგრძელებს: “გაცვლა მწარმოებლურია: არსებული რესურსების პირობებში იგი იძლევა ადამიანთა მოთხოვნილებების მაქსიმალური

დაკმაყოფილების შესაძლებლობას... ცივილიზაცია თავისი მრავალფეროვნებითა და მთლიანობით, ვაჭრობა კი პროდუქტიულობით იმითაა განპირობებული, რომ ცივილიზირებულ სამყაროში ინდივიდების სუბიექტური მიკროსამყაროები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც გაცილებით უფრო კარგად უწყობს ხელს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ვიდრე ერთფეროვნება, ერთსულოვნება და კონტროლი“. ინდივიდუალიზებული საკუთრება განაპირობებს კონკურენციას ადამიანთა შორის. კონკურენცია ის მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ყალიბდება სპონტანურად გაფართოებული ადამიანთა წესრიგი. ჰაიეკი წერს: “კონკურენცია წარმოადგენს აღმოჩენის, ახლის გაგების პროცედურას, რომელიც ევოლუციისთვისაა დამახასიათებელი მისი გამოვლინების ყველა ფორმაში. სწორედ მზარდი კონკურენციის და არა სოლიდარობის გამო, თანდათან მალდება ჩვენი ეფექტიანობა“. ამასთანავე კონკურენციას სასურველი შედეგები რომ მოჰქონდეს, აუცილებელია მასში მონაწილეთა მხრიდან გარკვეული წესების დაცვა. მხოლოდ ქცევის საერთო წესებს შეუძლია გაფართოებული წესრიგისათვის საჭირო ერთიანობის მიცემა.

კონკურენციასთან ორგანულადაა დაკავშირებული ბაზრის კატეგორია. ორივე მათგანი ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგის სისტემაწარმომქმნელი ელემენტებია. მათი როლი ამ თვალსაზრისით იმდენად დიდია, რომ ჰაიეკი ხშირად საუბრობს კონკურენტულ საბაზრო წესრიგზე. „იმის მიუხედავად, რისთვის ცხოვრობენ დღეს ადამიანები, მათი უმეტესობა ცხოვრობს საბაზრო ეკონომიკის შემწეობით“ – წერს ჰაიეკი და აგრძელებს: „არავის არ შეუძლია იმის გაკეთება , რაც შეუძლია ბაზარს: განსაზღვროს ინდივიდუალური წვლილი ერთობლივ პროდუქტში. არ არსებობს ანაზღაურების სხვა წესი, რომელიც ადამიანს აიძულებდა ხელი მოეკიდა იმ საქმიანობისათვის, რომლითაც იგი ყველაზე უფრო მეტად შეუწყობდა ხელს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ნაკადის გაზრდას“. ბაზრის საშუალებით მიიღწევა დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მიღება, ძალაუფლების გადანაწილება და ამ გზით „ყოვლისმომცველი წესრიგის“ შექმნა. ჰაიეკის მოსაზრებით, ბაზრისათვის, ისე როგორც გაფართოებული წესრიგის სხვა ინსტიტუტებისათვის, მოქმედების წინასწარგანუჭვრეტელ (წინასწარგაუთვალისწინებელ) შედეგებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია. აქ რესურსების განაწილება მიმდინარეობს გაუპიროვნებელი პროცესის სახით,

რომლის დროსაც ინდივიდები მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. მათ არ იციან და არც შეუძლიათ იცოდნენ, თუ როგორი იქნება მათი ურთიერთზემოქმედების საბოლოო შედეგი. აქ უპრიანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჰაიეკისეული ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგის მთავარი ნიშანი: მიზნების გაურკვეველობა გაფართოებულ წესრიგში, ანუ მიზნების უმეტესობა არც შეგნებულია და არც წინასწარგანზრახული. მეტად საინტერესო და ორიგინალურია ჰაიეკის შეხედულებები ბაზრის როლის შესახებ ინფორმაციის გადაცემისა და ცოდნის გენერირების პროცესში. მისი აზრით, მრავალფეროვნება (დიფერენციაცია), რომელიც წარმოადგენს შრომის დანაწილების, გაცვლის, ვაჭრობის, ინდივიდუალიზებული საკუთრების და ა.შ. ხანგრძლივი ისტორიული განვითარების კანონზომიერ შედეგს, ადამიანებს დიდი მოცულობის ინფორმაციის ფლობის შესაძლებლობას ანიჭებს. საბაზრო პროცესის მხოლოდ დეტალური ანალიზი იძლევა ამ მოჩვენებითი პარადოქსის ახსნის შესაძლებლობას. შესაბამისად, ეკონომიკური მეცნიერების მთავარი ამოცანაა იმის შესწავლა, თუ როგორ შეუძლია გაფართოებულ წესრიგს შეკრიბოს და გამოიყენოს მეტისმეტად გაფანტული ინფორმაცია, რისი გაკეთება არც ცენტრალიზებულ დაგეგმვას შეუძლია და არც ცალკეულ ინდივიდს. ჰაიეკი იხსენებს ა. სმიტის მოსაზრებას, რომ ადამიანის ცოდნა გაფანტულია და დასძენს: „მხოლოდ ბაზარს შეუძლია ამ გაფანტული ინფორმაციის შეკრება და გადაცემა, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური სქემების ჩამოყალიბება“. ამის შემდეგ უკვე აღარაა აუცილებელი რაიმე საერთო მიზნის არსებობა, ვინაიდან „ადამიანებს შორის ფართოდ გაფანტული ცოდნისა და ჩვევების გამოყენება უკვე შესაძლებელია მრავალფეროვანი მიზნების მისაღწევად“.

ამრიგად, ჰაიეკი ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ ბაზარი არის გაფანტული ინფორმაციისა და ცოდნის შეკრების ერთადერთი მისაღები და საუკეთესო მექანიზმი. გაფართოებული ეკონომიკური წესრიგი, რომელიც ემყარება ინდივიდუალიზებულ საკუთრებას და ბაზარს, უზრუნველყოფს ცოდნის მაქსიმალურ გამოყენებას ყველას მიერ. მათ შორის, იმათ მიერაც, ვინც არ ფლობს საკუთრებას: „ყველასათვის თანაბრად დაკანონებული თავისუფლება გულისხმობს ინდივიდუალური საკუთრების ფლობას არა ყველას, არამედ ბევრის მიერ. პირადად მე, თუკი არ გამაჩნია ინდივიდუალიზებული საკუთრება, ცხოვრებას ვამჯობინებდი იმ ქვეყანაში, სადაც ბევრს გააჩნია საკუთრება და არ ვიცხოვრებდი ქვეყანაში, სადაც

საკუთრება „კოლექტიურ მფლობელობაში“ და ამას ფაქტობრივად ხელისუფლება განკარგავს“. ბაზრის ზოგადი როლის დახასიათებასთან ერთად, ჰაიეკი იკვლევს ცალკეული საბაზრო კატეგორიების (მოგების, ფულის, ფასების, კაპიტალის, და სხვ.) მონაწილეობას გაფართოებული ეკონომიკური წესრიგის შექმნაში. მოგების მიღების სურვილი და მისკენ სწრაფვა არის სწორედ ის, რაც რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. „ფასები და მოგება – ყველაფერია, რაც მწარმოებელთა უმეტესობას სჭირდება, რათა მაქსიმალური წარმატებით მოემსახუროს სრულიად უცნობი ადამიანების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ფასები და მოგება ინსტრუმენტებია, რომლებიც მეწარმეს ისე უფართოებს თვალთახედვის ჰორიზონტს, როგორც ჭოგრიტი ჯარისკაცს, მონადირეს, მეზღვაურს ან მფრინავს. საბაზრო მექანიზმი ადამიანთა უმრავლესობას იმ მატერიალური და ინფორმაციული რესურსით უზრუნველყოფს, რომელიც საჭიროა მათთვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესაძენად“. ჰაიეკი ასევე წერს, რომ „ეკონომიკური ისტორიის უახლესი მკვლევარები, მაგალითად ბროდელი, სამართლიანად შენიშნავენ, რომ სწორედ მოგებას გამოდევნებულმა ობივატელმა გახადა შესაძლებელი თანამედროვე გაფართოებული წესრიგი, თანამედროვე ტექნოლოგია და მოსახლეობის თანამედროვე გიგანტური ზრდა“. ჰაიეკი მკაცრად აკრიტიკებს ყველას, ვინც მოგების წინააღმდეგ ილაშქრებს: „იმაზე მეტის ქონას, რაც მიმდინარე მოხმარებისთვისაა საჭირო, თუკი ვინმე გაკიცხვის და არა შექების ღირსად მიიჩნევს, ამაში დამნაშავეა შური და უფიცობა. ის აზრი, რომ კაპიტალი „სხვის ხარჯზე“ გროვდება, ეკონომიკურ აზროვნებას უკან უბიძგებს და შეუძლებელს ხდის ეკონომიკური განვითარების პროცესის სწორად გაგებას“. ჰაიეკი იმდენად მტკიცედაა დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში, რომ იგი არ ერიდება ისეთი უდიდესი ავტორიტეტის კრიტიკას, როგორცაა ალბერტ აინშტაინი, რომელსაც ეკუთვნის შემდეგი მოსაზრება: „თანამედროვე ეკონომიკური კრიზისი წარმოშვა მოგებას და არა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას დაქვემდებარებულმა წარმოებამ და კიდევ იმან, რომ საწარმოო შესაძლებლობათა უზარმაზარ ზრდას, ზურგს არ უმაგრება მასების სამომხმარებლო შესაძლებლობების ზრდა“. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ჰაიეკი შენიშნავს: „ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ნებისმიერს, ვისაც ბაზრის სწორი გაგება აქვს, მოგების გაკიცხვის სურვილი წარმოეშვას“.

მოგებას უშუალოდ უკავშირდება ფულის კატეგორია. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ფულის კვლევას უზარმაზარი ლიტერატურა ეძღვნება. ფულის მიმართ სრულიად რადიკალურ დამოკიდებულებას აქვს ადგილი და ერთი ძველი ავტორის სიტყვებისა არ იყოს, სიყვარულსაც კი არ გაუგიჟებია იმდენი ადამიანი, რამდენიც ფულმა. „ფული აღიქმება როგორც თავისუფლების ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი და როგორც ჩაგვრის ყველაზე სასტიკი იარაღი“. ჰაიეკის აზრით, „ამგვარი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მიუხედავად, ფულის მთავარი როლი ისაა, რომ სწორედ მისი გამოყენებით მიიღწევა ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგი და ყველა ანგარიშსწორება ხორციელდება საბაზრო ფასეულობათა ერთეულებში“. დასასრულს მეცნიერი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ „ფული განუყოფელია გაფართოებულ ურთიერთთანამშრომლობასთან“.

## თანამშრომლობის გაფართოებული

### წესრიგი და თავისუფლება

ჰაიეკის კონცეფციაში ადამიანის თავისუფლება არის გაფართოებული წესრიგის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა და ფუნქციონირების მთავარი მიზანი. თავისუფლების საფუძველია ინდივიდუალიზებული საკუთრება, რომელიც „ნებისმიერი განვითარებული ცივილიზაციის მორალური ნორმების ბირთვს წარმოქმნის“. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მიხვდნენ, რომ „იგი (იგულისხმება საკუთრება – ე.მ.) ამასთანავე განუყოფელია ინდივიდის თავისუფლებისაგან“. თავისუფლების აპოლოგიასთან ერთად, ჰაიეკი პრინციპულად არ ეთანხმება სხვადასხვა დროის გამოჩენილი მოაზროვნეების შეხედულებებს აბსოლუტური (შეუზღუდავი) თავისუფლების შესახებ. მაგალითად, ვოლტერს მიაწერენ აფორიზმს: „თავისუფლებაა ის, როცა მე შემიძლია ვაკეთო რაც მსურს“. ი.ბენტამი წერდა: „ყოველი კანონი ბოროტებაა, რადგანაც კანონი არის საკუთრების უფლების დარღვევა“. ამ საკითხთან მიმართებაში ჰაიეკი დ.იუმის შეხედულებას იზიარებს, რომელიც მიიჩნევდა, რომ ყველასთვის მაქსიმალური თავისუფლება მოითხოვს თითოეულის თავისუფლების თანაბარ შეზღუდვას სამი „ძირითადი ბუნებრივი კანონით“. ესენია: „საკუთრების სტაბილურობის შესახებ“; „თანხმობის საფუძველზე გადაცემის შესახებ“ და „დანაპირების შესრულების შესახებ“.



ჰაიეკი თვლიდა, რომ იუმი სავსებით სწორად განასხვავებდა საკუთრების ცნების ორგვარ გაგებას. პირველია კურიოზული, რომელიც გულისხმობს, რომ “მარტოობაში მყოფ ინდივიდს შეუძლია იყოს თავისუფალი“ და მეორე – „თავისუფალი შეიძლება იყვნენ ერთად მცხოვრები ადამიანები, რომლებიც თანამშრომლობენ ერთმანეთთან“. იუმის მოსაზრებებზე დაყრდნობით ჰაიეკი მიიჩნევს, რომ ყველასათვის შეუზღუდავი თავისუფლება არ არსებობს, რადგანაც ერთის შეუზღუდავი თავისუფლების არსებობა აუცილებლად შეზღუდავდა სხვა დანარჩენის თავისუფლებას. ანუ, როგორც ამბობენ „ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იგი საფრთხეს უქმნის შენს თავისუფლებას“. მეცნიერის აზრით ამოცანა მდგომარეობს ყველას თავისუფლების მაქსიმალურად ფართო შესაძლებლობის უზრუნველყოფაში, რაც მიღწევადია ყველას თავისუფლების თანაბრად შემზღუდავი „აბსტრაქტული წესების“ გამოყენების გზით. „მხოლოდ საკუთრების აბსტრაქტული წესები, რომლებსაც კანონის ძალა აქვს, უზრუნველყოფს თავისუფლებას“ – წერს ჰაიეკი. მეცნიერი ასევე ყურადღებით სწავლობს მთავრობის როლს თავისუფლების უზრუნველყოფაში და დასძენს: „მთავრობა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ადამიანები აიძულოს დაემორჩილონ ამ აბსტრაქტულ წესს და ამით ისინი დაიცვას სხვა ადამიანთა მხრიდან ძალმომრეობისაგან ან მათ პირად ცხოვრებაში ჩარევისაგან... საერთო აბსტრაქტული წესებისადმი დამორჩილება უზრუნველყოფს სივრცეს ფართო თავისუფლებისა და მრავალფეროვნებისათვის, მეტ მრავალფეროვნებას კი უკეთეს წესრიგამდე მივყავართ“. ამრიგად, ინდივიდუალური თავისუფლების გარკვეული შეზღუდვა იურიდიული წესებისა და მორალური ნორმების გამოყენების საფუძველზე ხელს უწყობს გაცილებით უფრო ფართო და თავისუფალი წესრიგის წარმოშობას, ვიდრე ეს შესაძლებელია ცენტრალიზებული კონტროლის განხორციელების გზით.

## ინდივიდუალიზმის ფილოსოფია: ჰაიეკი მაკროეკონომიკის, კოლექტივიზმისა და სოციალურის (საზოგადოებრივის) წინააღმდეგ

ჰაიეკს ბევრი მეცნიერისგან განასხვავებს ინდივიდუალიზმის პრინციპის პროგრესულობის თანმიმდევრული დასაბუთება და დაცვა. იგი მიიჩნევს, რომ ინდივიდუალიზმის ემანსიპაცია ერთდროულად ცივილიზაციის პირობაცაა და შედეგიც. მეცნიერი წერს: „შრომის, ცოდნისა და უნარის დანაწილება, რომელსაც მოწინავე ცივილიზაცია ემყარება, თავისი არსებობით დავალებულია სწორედ, რომ ინდივიდუალიზმის სულისაგან“. აღნიშნული თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით ჰაიეკი ერთმანეთს უპირისპირებს ზღვრული სარგებლიანობის თეორიას და მაკროეკონომიკის მეცნიერებას. იგი წერს, რომ ზღვრული სარგებლიანობის თეორია, რომელიც წინააღმდეგობა ნაბიჯი იყო ეკონომიკურ მეცნიერებაში, წარმოშობიდანვე განიცდიდა გააფთრებულ თავდასხმებს. აღნიშნული თეორიის ცენტრალური იდეა ინგლისურენოვან ლიტერატურაში პირველად უ.ს. ჯევონსმა ჩამოაყალიბა და მის წინააღმდეგ აქტიურად ილაშქრებდნენ ა.მარშალის მიმდევრები, რომლებიც ძირითადად ჯ.ს. მილის შეხედულებებს ავითარებდნენ. მოგვიანებით, ზღვრული სარგებლიანობის თეორია განავითარეს ავსტრიელმა კ. მენგერმა და მისმა თანამოაზრეებმა: ე.ფონ ბემ ბავერკმა და ფ.ფონ ვიზესმა, რომლებმაც შექმნეს მწყობრი მეცნიერული სისტემა – „ავსტრიული სკოლის“ სახელწოდებით. შემდგომში, როგორც ჰაიეკი მიუთითებს „ეს მიმართულება თანდათან შევიწროვდა „მაკროეკონომიკის“ მიერ“, რომელიც იყენებდა არა ინდივიდუალურ, არამედ აგრეგირებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

მტკიცებას, რომ მაკროეკონომიკა სიცოცხლისუნარიანია, ჰაიეკი „ილუზიორულს“ უწოდებს. მისი აზრით, ამ მაჩვენებელთა შესახებ ინფორმაცია ხელმიუწვდომელიცაა და უსარგებლოც, ნებისმიერი მოსაზრება ერთობლივი პროდუქტის გაზომვის შესაძლებლობაზე კი მცდარია.

ჰაიეკი ასევე კატეგორიული წინააღმდეგია ყოველივე იმის, რაც „საზოგადოების“ და „საზოგადოებრივის(სოციალურის)“ ასოციაციას აღძრავს ადამიანში. ამის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ ეს ცნებები შეიცავს მინიშნებას ადამიანთა მოქმედების ერთობლივი მიზნების არსებობის შესახებ, რომელიც მათი შეგნებული თანამშრომლობის გზით მიიღწევა. მეცნიერის აზრით, ერთობლივი თანამშრომლობის

პირობაა არა საერთო მიზნების, არამედ ქვევის აბსტრაქტული წესების არსებობა. სწორედ მათ დაცვას მივყავართ მდგომარეობამდე, რომელშიც ვემსახურებით რა სრულიად უცნობი ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ზუსტად ასევე ვიღებთ მათ მომსახურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჰაიეკის აზრით, სოციალურ(სოციალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ და ა.შ.), ე.ი. ანტიკაპიტალისტურ ეთიკას საფუძვლად უდევს შეცდომა, რომელიც გამოიხატება სიმდიდრის შემქმნელი ინსტიტუტების გაკიცხვაში, თუმცა რეალურად ისინი შექებას უნდა იმსახურებდეს. დეკლარაციულად აცხადებენ, რა თავისუფლების მიმართ სიყვარულს, კაპიტალიზმის კრიტიკოსები თავს ესხმიან „ინდივიდუალიზებულ საკუთრებას, ხელშეკრულებას, კონკურენციას, მოგებას, რეკლამას და ფულსაც კი“. ვინც ფიქრობს, რომ შეგნებულად შექმნის განაწილების სამართლიან წესს, ჰაიეკის აზრით, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ცივილიზაციისათვის. მეცნიერი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ადამიანები ძლიერები გახდნენ მათი განსხვავებულობის გამო. სპეციალიზაცია და დიფერენციაცია განაპირობებს ინტელექტუალური დონის ამაღლებას და საფუძველს უყრის „ჩვენი პლანეტის რესურსების“ წარმატებით გამოყენებას. ამასთან ერთად, ფართოვდება გაშუალებული ურთიერთმომსახურების ქსელი, რომელიც უზრუნველყოფილია ბაზრის სასიგნალო მექანიზმით.

## ლ.ფონ მიზესი(1881–1973) – „პოპულისტური პოლიტიკა – გზა სოციალიზმისაკენ“

### მოკლედ ავტორისა და მისი ნაშრომების შესახებ



**ლუდვიგ ფონ  
მიზესი**

დაიბადა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. იყო „ავსტრიული ეკონომიკური სკოლის“ მეორე ტალღის წარმომადგენელი, თვალსაჩინო ავსტრიელი ეკონომისტების კარლ მენგერისა და ეუგენ ბევ-ბავერკის მიმდევარი. იყო ტოტალიტარიზმის ნებისმიერი გამოვლინების პრინციპული მოწინააღმდეგე. ცხოვრების მეტი ნაწილი გაატარა ემიგრაციაში – ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ კი აშშ-ში. მისი მთავარი ნაშრომებია

„ფულის და კრედიტის თეორია“ (1912), „ერი, სახელმწიფო და ეკონომიკა“ (1919), „სოციალიზმი“ (1927), „ადამიანის საქმიანობა“ (1940 წელს გერმანულ ენაზე და 1949 წელს ინგლისურ ენაზე), „დაგეგმილი ქაოსი“ (1947) და სხვ.

## ნაშრომი – პიპულისტური პოლიტიკა – გზა სოციალიზმისკენ (1950)

### *შესავალი*

„სოციალისტები მიიჩნევენ, რომ საბაზრო ეკონომიკა ანუ კაპიტალიზმი წარმოადგენს წეს-წყობილებას, რომელიც ხალხის უდიდესი უმრავლესობის სასიცოცხლო ინტერესებს სასტიკი ინდივიდუალისტების უმცირესობის სასარგებლოდ ხელყოფს და ამ უმცირესობას ამდიდრებს მასების სულ უფრო მზარდი გადატაკების ხარჯზე“.

„ეს მოძღვრება მარქსის ქმნილება არ გახლავთ. ის მარქსის წარმოჩენამდე ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა“. ამჟამად მისი ყველაზე შედეგიანი გამავრცელებლები არიან, წერს მიზესი, არა მარქსისტი ავტორები, არამედ ბრიტანელი ფაბიანელები, გერმანელი პროფესორები და ამერიკელი ინსტიტუციონალისტები.

## 1. სოციალიზმი

სოციალისტების უმეტესობის აზრით, კაპიტალისტური უკეთურობიდან თავის დაღწევის მხოლოდ ერთი გზა არსებობს – მისი სრული ამოძირკვა. ისინი მხარს უჭერენ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების საზოგადოებრივი საკუთრებით ჩანაცვლებას. ეს იწვევს ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნას, რომელშიც მომხმარებელი ვეღარ განსაზღვრავს თუ რა უნდა აწარმოოს, რა რაოდენობით და რა ხარისხით. ამ ეკონომიკურ სისტემაზე დამყარებულ საზოგადოებაში მთელ საწარმოო საქმიანობას ერთპიროვნულად წარმართავს ცენტრალური ხელისუფლება.

## 2. ინტერვენციონიზმი

მეცნიერთა მეორე ჯგუფი სოციალიზმს უარყოფს სიტყვით და უპირატესობას ანიჭებს მესამე წეს-წყობილებას, რომელიც მათი აზრით, ისევე შორსაა კაპიტალიზმისგან, როგორც სოციალიზმისგან. მათი აზრით, საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის მესამე გზა არსებობს, რომელიც ამ ორ სისტემას შორის გადის და ორივე მათგანის უპირატესობათა შერწყმას გულისხმობს. ეს მესამე წეს-წყობილება ცნობილია, როგორც ინტერვენციონიზმი, რომელიც ამერიკულ პლიტიკურ წრეებში უფრო მეტად პოპულისტურ პოლიტიკად მოიხსენიება, რამეთუ მას მხარს უჭერს ხალხის დიდი რაოდენობა. ისინი მიიჩნევენ, რომ მთავარი პრობლემა შემოსავლების არათანაბარი განაწილებაა და ამდენად, მათი რჩევით ამ განაწილების პროცესში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო, როგორც მიუკერძოებელი არბიტრი, რომელიც ალაგმავს კაპიტალისტების სიხარბეს და მათი მოგების ნაწილს მშრომელ კლასებს გაუნაწილებს. ინტერვენციონისტები თვლიან, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება კაპიტალიზმის შეცვლა ტოტალიტარული სოციალიზმის აღზევების გარეშე.

მიზესი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მთლიანად მცდარია. კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ნადავლის განაწილების შესახებ დაპირისპირება უთანხმოების შედეგი არ არის. საკამათოა ის, რომ ეკონომიკური მოწყობის ორი მოდელიდან, რომელი – კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი უფრო მეტად შეეფერება იმ შედეგების მიღწევის ამოცანას, რომელიც მდგომარეობს მოხმარების საგნებითა და მომსახურების საუკეთესო ხარისხით მოქალაქეთა უზრუნველყოფაში“.

კაპიტალიზმი ამ მიზნის მიღწევას კერძო მეწარმეობითა და ინიციატივით ფიქრობს. სოციალიზმი კი ხელისუფლების ყოვლისმომცველი გეგმით. „დაპირისპირება არსებული დოვლათის გადანაწილების წესს (ხერხს) როდი ეხება. იგი ეხება ყოველივე იმის წარმოების ხერხს, რაც ხალხს სიამოვნებას ანიჭებს“.

„ეს ორი მიდგომა შეუთავსებელია და მორიგების საშუალებას არ იძლევა. დაპირისპირების შეკავება შეუძლებელია. მომხმარებლის საბაზრო მოთხოვნა გადაწყვეტს თუ რა მიზნით და როგორ მოხდეს წარმოების ფაქტორების გამოყენება ან ამ საკითხებზე ხელისუფლება იზრუნებს“. ორი საწინააღმდეგო მიდგომის დაპირისპირებას ვერაფერი შეამსუბუქებს. ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ. ინტერვენციონიზმი კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ოქროს შუალედი არ არის.

### 3. როგორ მუშაობს ინტერვენციონიზმი

შესაძლებელია თუ არა იგი (ე.ი. ინტერვენციონიზმი) საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის საუკეთესო მოდელს წარმოადგენდეს?

ინტერვენციონისტები ხაზს უსვამენ, რომ ისინი წარმოების საშუალებებზე კერძო მფლობელობის, მეწარმეობისა და საბაზრო გაცვლების შენარჩუნებას გეგმავენ, მაგრამ ამასთანავე, სურთ კაპიტალისტური ინტერვენციების შეზღუდვა და ადამიანთა უმრავლესობის არასამართლიანი ექსპლუატაციის აღმოფხვრა. მათი აზრით, შეუზღუდავი (Laissez Faire) კაპიტალიზმი ბოროტებაა, თუმცა კაპიტალიზმის სრული ამოძირკვა საჭირო არ არის. შესაძლებელია კაპიტალიზმის გაუმჯობესება კაპიტალისტებისა და მეწარმეების საქმიანობაში ხელისუფლების ჩარევის გზით. მათი აზრით, ხელისუფლების მხრიდან წარმოების ამგვარი მოწესრიგება ტოტალიტარული სოციალიზმიდან თავდაცვისა და კაპიტალიზმის გადარჩენის ერთადერთი ხერხია, რომლის გამოყენებაც ნამდვილად ღირს. ამ ფილოსოფიის საფუძველზე ინტერვენციონისტები სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავენ. განვიხილოთ ერთ-ერთი, კერძოდ, მეტად გავრცელებული ფასების კონტროლის საკითხი.

### 4. როგორ მიგვიძღვის სოციალიზმისაკენ ფასების კონტროლი

ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ გარკვეული ნაწარმის, მაგალითად რძის ფასი ძალიან მაღალია. მას სურს, რომ რძე ღარიბმაც იყიდოს და თავის შვილს შეასვას. ამ მიზნით იგი აწესებს რძის ფასის ზედა ზღვარს, რომელიც თავისუფალ ბაზარზე არსებულ ფასზე დაბალია. შედეგი კი ის არის რძის „ზღვრული“ მწარმოებლები, რომლებიც რძეს ყველაზე მაღალი ხარჯებით აწარმოებდნენ ახლა ზარალს განიცდიან. ვინაიდან არც ერთ მწარმოებელს არ შეუძლია საკუთარი წარმოების გაგრძელება მუდმივი ზარალის პირობებში, ისინი წარმოებას წყვეტენ, ძროხებს ყიდიან და ცდილობენ როგორც საკუთარი რესურსები, ისე საკუთარი უნარ-ჩვევები სხვა უფრო ხელსაყრელი დანიშნულებით გამოიყენონ. ამ შემთხვევაში მომხმარებლის ხელში ნაკლები რძე აღმოჩნდება, რაც, რა თქმა უნდა ეწინააღმდეგება ხელისუფლების თავდაპირველ ჩანაფიქრს.

ხელისუფლება ახლა დგას არჩევანის წინაშე. მას შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილების გაუქმება და რძის ფასის კონტროლზე უარის თქმა. თუკი იგი გადაწყვეტს გააგრძელოს კონტროლი, პირველ გადაწყვეტილებას მეორეც უნდა მიამატოს, რომელიც შეამცირებს რძის „ზღვრული“ მწარმოებლების დანახარჯებს და მამასადამე, ისტორია კიდევ უფრო დიდი მასშტაბით განმეორდება. ყოველივე ამის საბოლოო შედეგი იქნება, რომ ხელისუფლება იძულებული გახდება ნაბიჯ–ნაბიჯ დააწესოს ფასები ყველა სამომხმარებლო საქონელსა და საწარმოო ფაქტორზე, მათ შორის სამუშაო ძალაზეც.

„მაგრამ, როგორც კი წარმოების კონტროლი ყოვლისმომცველი გახდება, საბაზრო ეკონომიკის შესახებ შეკითხვები აღარ უნდა დაისვას. მოქალაქეები ბაზრის მიხედვით უკვე ვეღარ განსაზღვრავენ რა უნდა იქნეს წარმოებული და როგორ. ამ საკითხების მოგვარების უფლება ხელისუფლებას გადაეცემა. ეს კაპიტალიზმი აღარ არის; ეს ხელისუფლების მიერ ყოვლისმომცველი დაგეგმვაა; ეს სოციალიზმია“.

## 5. Zwangswirtschaft ყაიდის სოციალიზმი

რა თქმა უნდა, სიმართლეა, რომ ამ ყაიდის სოციალიზმი კაპიტალიზმის გარეგან სახეს და ნიშნებს ინარჩუნებს და არ ეხება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, ფასებს, ხელფასებს, საპროცენტო განაკვეთებს და მოგებას. სინამდვილეში აქ ხელისუფლების თვითნებური მითითებების გარდა, ანგარიში არაფერს ეწევა. ხელისუფლება მეწარმეებს (კაპიტალისტებს) მიუთითებს რა აწარმოონ, რა რაოდენობის და რა ხარისხის, ვისგან იყიდონ და ვის რა ფასად მიყიდონ. ის მშრომელებს უსაზღვრავს თუ რა ანაზღაურება მიიღონ, ვისთან და სად იმუშაონ. საბაზრო გაცვლა მხოლოდ თვალთმაქცობა ხდება, წარმოებას არა მომხმარებელი, არამედ ხელისუფლება წარმართავს. თითოეული მოქალაქის შემოსავალს ხელისუფლება განსაზღვრავს, ის თითოეულს მიუთითებს ადგილს, სადაც ვალდებულია იმუშაოს. ეს კაპიტალიზმის გარეგნული ნიშნებით შენიღბული სოციალიზმია. ასეთია Zwangswirtschaft–ი ჰიტლერის გერმანულ სახელმწიფოში და გეგმიანი ეკონომიკა დიდ ბრიტანეთში.

## 6. გერმანული და ბრიტანული გამოცდილება

„ჩემს მიერ წარმოდგენილი სოციალური ტრანსფორმაციის მონახაზი მხოლოდ თეორიული განზოგადება არ გახლავთ. ის თანმიმდევრულად ასახავს იმ მოვლენებს, რომლებმაც გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სოციალიზმი დაამკვიდრა“. დიდი ბრიტანეთი ომის პირობებში გახდა იძულებული ბევრ სასიცოცხლო მნიშვნელობის ნაწარმზე ზღვრული ფასები დაეწესებინა, რამაც ამ ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლება ეკონომიკის სრულმა კონტროლმა შეცვალა. „როცა ომი დასრულდა, დიდი ბრიტანეთი სოციალისტური თანამეგობრობა გახლდათ“. შემდეგ: „დიდი ბრიტანეთს სოციალისტური ქვეყანა უნდა ეწოდოს არა ზოგიერთი საწარმოს ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციის გამო, არამედ იმიტომ, რომ ყველა მოქალაქის საქმიანობა სახელმწიფო ორგანოების კონტროლის ქვეშ ექცევა. „ბიზნესმენებს, ყოფილ მეწარმეებს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მოვალეობები შემორჩათ და ... სახელისუფლებო უწყებების გადაწყვეტილებების მორჩილ შემსრულებლებად იქცნენ“.

## 7. კრიზისი და უმუშევრობა

იგივე ითქმის საბაზრო მოვლენებში ნებისმიერი სხვა სახის ჩარევის შესახებაც. მინიმალურ სახელფასო განაკვეთებს შედეგად მოსდევს მასობრივი უმუშევრობა, რომელიც მანამ გრძელდება, ვიდრე სახელმწიფო იძულების წესით ინარჩუნებს ხელფასის მინიმალურ ზღვარს.

სიმართლეა, რომ საპროცენტო განაკვეთების შემცირების მცდელობა კრედიტის გაფართოების გზით ხელს უწყობს სამეურნეო საქმიანობის გარკვეულ გამოცოცხლებას, მაგრამ მიღწეული კეთილდღეობა ხელოვნურია და გარდაუვალად განაპირობებს დაცემას და დეპრესიას.

უმეცარი ხალხის თვალში დეპრესიისა და მასობრივი უმუშევრობის პერიოდების მონაცვლეობამ კაპიტალიზმს სახელი გაუტეხა, თუმცა ეს მოვლენები თავისუფალი ბაზრის მოქმედების შედეგი არ არის, პირიქით იგი ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს უგუნური ჩარევის შედეგია. წარმოების ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება მხოლოდ კაპიტალის დაგროვების გზითაა შესაძლებელი.



ხელფასების გაზრდის ერთადერთი საშუალება კი ერთ სულ მოსახლეზე პროდუქტიულობის გაზრდაა ინვესტიციების გაზრდის ხარჯზე.

„ერთადერთი, რაც კარგ ხელისუფლებას ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად შეუძლია გააკეთოს არის ის, რომ დააწესოს და შეინარჩუნოს ის ინსტიტუციონალური წყობა, სადაც წარმოების ტექნოლოგიური მეთოდების გაუმჯობესებისთვის ახალი კაპიტალის დაგროვების არანაირი შეზღუდვა არ იარსებებს“. კაპიტალიზმმა ამას წარსულშიც მიაღწია და მომავალშიც მიაღწევს თუკი უვარგისი პოლიტიკა ხელს არ შეუშლის.

## 8. ორი გზა სოციალიზმისაკენ

ინტერვენციონიზმი ვერ იქნება განხილული ეკონომიკურ წეს-წყობილებად. ის მხოლოდ კაპიტალიზმის სოციალიზმად გარდაქმნის გზაა. სწორედ ეს განასხვავებს მას კომუნისტების მცდელობისგან – სოცილიზმს ერთი ნახტომით მიუახლოვდნენ. ეს განსხვავება ეხება არა პოლიტიკური მოძრაობის საბოლოო მიზანს, არამედ ტაქტიკას, რომელიც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად და რომლისკენაც ორივე ჯგუფი მიიღობის.

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, თავის დროზე, ორივე გზას გვთავაზობდნენ.

1848 წელს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მათ ჩამოაყალიბეს კაპიტალიზმის სოციალიზმად გარდაქმნის ეტაპობრივი გეგმა. პროლეტარიატი უნდა ამაღლებულიყო მმართველი კლასის მდგომარეობამდე და გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური უპირატესობა „რათა ბურჟუაზიისგან მთელი კაპიტალი გამოეგლიჯა“.

მოგვიანებით მარქსმა თავის მთავარ ნაშრომში „კაპიტალი“ შეცვალა ამ საკითხისადმი მიდგომა და ჩათვალა, რომ სოციალიზმი გამოვლინდება მანამ, ვიდრე კაპიტალიზმი სრულ სიმწიფეს მიაღწევს. „კაპიტალიზმის განადგურების ერთადერთი გზა თავად კაპიტალიზმის დაჩქარებული ევოლუციაა. მშრომელთა კლასის უდიდესი აჯანყება მხოლოს ამის შემდეგ მიაყენებს მას საბოლოო დარტყმას და მარადიულ კეთილდროებას დაამკვიდრებს“.

მარქსის ეს მიდგომა საფუძველშივე უარყოფს ნებისმიერ პოლიტიკას, რომელიც ცდილობს შეზღუდოს, მოაწესრიგოს და გააუმჯობესოს კაპიტალიზმი. ამიტომ

თანამედროვე მარქსისტები არიან არა პროგრესის მომხრეები, არამედ მისი მოწინააღმდეგეები.

კაპიტალიზმის სოციალიზმად გარდაქმნის ორი გზა არსებობს. პირველი ეს არის ფერმების, ქარხნების, მაღაზიების კონფისკაცია და მათი ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატით მართვა. მთელი ეკონომიკა ამბობს ლენინი, იმუშავებს როგორც „ერთი ქარხანა“, „ერთი ფოსტა“ და „ყოველ მზარეულს იოლად შეეძლება მისი მართვა“.

მეორე გზა ჰინდენბურგის მიდგომას ემყარება და საყოველთაო გეგმიანობის ჭეშმარიტად გერმანული სახესხვაობაა. ის ყველა საწარმოს და პიროვნებას აიძულებს, რომ წარმოების მართვის მთავარ სახელისუფლებო საბჭოს მკაცრ მითითებებს დაემორჩილოს. სწორედ ასეთი პროცესი დაიწყო გერმანიაში 1933 წლიდან, რომელმაც კერძო მეწარმეობის საყოველთაო დაგეგმვა სცადა.

## ლუდვიგ ფონ მიზესი „ადამიანური მოქმედება“(1949)

### *ნაშრომის ზოგადი დახასიათება*

წიგნი ეძღვნება ეკონომიკური თეორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს: ფასს, ბაზარს, ფულს, კაპიტალს, სარგებელს, ხელფასს, დასაქმებას, ეკონომიკურ საკითხებში ჩარევას და ა.შ., რომლებიც განხილულია ადამიანის მოქმედების კონტექსტში. მიზესი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკური ანალიზი ანუ მისი ტერმინოლოგიით „კატალაქტიკა“ არის უფრო ზოგადი მეცნიერების – ადამიანის რაობის შესახებ მოძღვრების („პრაქსეოლოგიის“) შემადგენელი ნაწილი.

ნაშრომი შვიდი ნაწილისგან შედგება. პირველი ორი ეძღვნება წმინდა ფილოსოფიური ხასიათის საკითხებს: დრო, ეჭვები, იდეოლოგია და ა.შ. შემდეგ ნაწილებში განხილულია სოციოლოგიური საკითხები: შრომის დანაწილება და საზოგადოებაში ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულება. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპზე. წიგნის IV, V და VI თავები წმინდა ეკონომიკური ხასიათის პრობლემატიკას ეძღვნება. კერძოდ, მეოთხე თავში მოცემულია შეხედულებები ფულისა და კაპიტალის შესახებ, გაკრიტიკებულია ფულის რაოდენობრივი თეორია და აგრეთვე შესწავლილია ეკონომიკური ციკლების ბუნება. მეექვსე თავში მოცემულია სოციალიზმის კრიტიკა.

მიზესი მიიჩნევს, რომ ბაზრისა და კერძო საკუთრების არარსებობის პირობებში შეუძლებელია რაიმე რაციონალური ეკონომიკური საქმიანობა. ნაშრომის მეშვიდე ნაწილი მთლიანად ეძღვნება ეკონომიკის ფუნქციონირებაში ე.წ. „მფარველი სახელმწიფოს“ ჩარევის კრიტიკას.

### **მოკლედ ავტორის შესახებ**

**ლუდვიგ ფონ მიზესი** (1881–1973) დაიბადა ყოფილ ავსტრო–უნგრეთის იმპერიის ქალაქ ლემბერგში და სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ამავე უნივერსიტეტში ასწავლიდა ეკონომიკას. 1926 წელს მან დაარსა ეკონომიკური ციკლების კვლევის ინსტიტუტი. გერმანიასთან ავსტრიის მიერთების („ანშლიუსის“) შემდეგ იგი ჯერ გადავიდა ჟენევაში, შემდეგ კი ნიუ–იორკის უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა 1969 წლამდე. ლ.ფონ მიზესი ასწავლიდა შემდეგში ისეთ თვალსაჩინო ეკონომისტებს, როგორებიც იყვნენ: ჰაიეკი, ჰაბერლერი, მაჰლუპი და სხვ. მიზესი იყო ლიბერალური ეკონომიკური თეორიის აქტიური მხარდამჭერი და სოციალიზმის კრიტიკოსი. სოციალიზმის კრიტიკა გაფართოებული სახით გადმოცემულია მის წიგნში „სოციალიზმი“(1922) მიზესს მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ჩატარებული აგრეთვე ფულის მიმოქცევის სფეროში, რომელიც ძირითადად ჩამოყალიბებულია მის ნაშრომში „ფულისა და კრედიტის ისტორია“(1912).

### **ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

#### **პირველი ნაწილი – ადამიანის მოქმედება(შედგება 7 თავისაგან)**

ავტორი წერს, რომ ადამიანის ნებისმიერი მოქმედება წინასწარგანზრახულია. პრასკოლოგია მოქმედებას სწავლობს და არა მის ფსიქოლოგიურ წყაროებს –ცნობიერს ან ქვეცნობიერს. ადამიანი, რაც არ უნდა ინსტინქტები გააჩნდეს მას, იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ იგი ყოველთვის მოქმედებს ამ მოქმედებასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და მისგან მიღებული სარგებლის ურთიერთშედარების საფუძველზე. ამასთანავე, ასეთი გადაწყვეტილება ყოველთვის სუბიექტურია და ამავე დროს რაციონალური.

ავტორი იყენებს დუალიზმის მეთოდოლოგიას, რომლის თანახმადაც არსებობს ორი ერთმანეთისგან „დამოუკიდებელი სამეფო“ – მატერიისა და ფიზიკური მოვლენების „გარე სამყარო“ და აზრის „შინაგანი სამყარო“, რომელიც პრასკოლოგიის საგანს წარმოადგენს. ამგვარად მეცნიერი ემიჯნება პოზიტივისტურ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც „ადამიანის მოქმედების შესწავლის მიმართ უნდა იქნას გამოყენებული ემპირიული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდები“.

აქედან გამომდინარე, არსებობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ეპისტოლოგიური სპეციფიკა: ისინი ფუნქციონირებენ ინდუქციისა და ექსპერიმენტირების საშუალებით.

პრასკოლოგია წარმოადგენს ცოდნას აპრიორი, იგი მოქმედებს კონცეპტუალური გზით და ემყარება დედუქციურ მეთოდს. მთავარი პრასკოლოგიაში არის მეთოდოლოგიური ინდიავიდუალიზმი.

პრასკოლოგია ისე, როგორც ლოგიკა ან მათემატიკა შეიმუშავებს დასკვნებს, რომლებიც იმ შემთხვევაში, თუკი სწორად არიან გამოყვანილნი, უნივერსალურ ხასიათს ატარებენ და სრულიად და ზუსტად ასახავენ რეალობას. ისინი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ პრაქტიკული მნიშვნელობის არმქონე მოდელებს, როგორც ამას ამტკიცებენ გერმანული ისტორიული სკოლის მომხრეები.

პრასკოლოგიური ცოდნის უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე მიზესი აკრიტიკებს ე.წ. „პოლილოგიზმის“ თეორიას, რომლის თანახმადაც ყველა კლასს თუ რასას ლოგიკის საკუთარი სახეობა გააჩნია. იგი აგრეთვე აკრიტიკებს მარქსისტულ მიდგომას, რომელიც მიიჩნევდა, რომ იდეებს სოციალური ყოფა განსაზღვრავს, როგორც ობიექტური ჭეშმარიტება და აღნიშნავს: „სწორედ იდეები ქმნის ისტორიას და არა ისტორია იდეებს“. ადამიანი მოქმედებს გარკვეული მიზნის მისაღწევად. ამ მიზანთა რანჟირება შესაძლებელია მათი მნიშვნელობის მიხედვით, თუმცა აბსოლუტურ ღირებულებაში რომელიმე მიზნის გაზომვა შეუძლებელია (ანუ მეცნიერი გამორიცხავს საკითხისადმი რაოდენობრივი მიდგომის შესაძლებლობას).

პრასკოლოგია ემყარება სარგებლიანობის სუბიექტურ კონცეფციას; რომელიმე ნივთი ინდივიდისათვის სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ის თვლის, რომ იგი (ნივთი – ე.მ.) მისთვის სასარგებლოა. ადამიანები საგნებსა და მოქმედებებს ყოფენ იმის მიხედვით, თუ რამდენად (მეტად თუ ნაკლებად) აკმაყოფილებს ეს საგნები მათ მოთხოვნილებებს. (სწორედ იმდენად არიან ისინი სასარგებლო ადამიანისათვის).

კერძოდ იგი წერს: “შრომას იმდენად ენიჭება უპირატესობა მოცალეობაზე, რამდენადაც ამ შრომის პროდუქტი უფრო მოთხოვნადია ადამიანის მხრიდან, ვიდრე თავად მოცალეობა“.

### **მეორე ნაწილი – მოქმედება საზოგადოების ჩარჩოებში (შედეგა 3 თავისაგან)**

მიზესი მიიჩნევს, რომ „საზოგადოება არის შეთანხმებული მოქმედება, თანამშრომლობა“. მისი აზრით, საზოგადოებას საფუძვლად უდევს შრომის დანაწილება, რის გამოც „შრომა უფრო მწარმოებლურია, ვიდრე ცალკეული ინდივიდის შრომა“. მეცნიერის აზრით, საზოგადოებასთან განუყრელად არსებობს სახელმწიფო, რომელიც ფლობს „ძალისმიერ მოქმედებაზე მონოპოლიას“.

მმართველები ყოველთვის ერთეულები (უმცირესობა) არიან, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს პოლიტიკური წყობა, მათ საკუთარი უფლებამოსილების ეფექტიანი შესრულება არ შეუძლიათ უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე.

დემოკრატია, მიზესის აზრით „მიზნად არ ისახავს გაუნათლებელი, ბარბაროსი მასის უპირატესობას, დემოკრატია საშუალებას იძლევა მთავრობამ პოლიტიკა წარმართოს უმრავლესობის ნების შესაბამისად“. მიზესი თვლის, რომ ლიბერალიზმი არის პრასკეოლოგიის მიერ შემუშავებული თეორიის გამოყენება.

ამავე ნაწილში მიზესი ვრცლად მსჯელობს საზოგადოებაში იდეისა და იდეოლოგიის მნიშვნელობის შესახებ და აღნიშნავს: „პრასკეოლოგიისა და ეკონომიკის ძირითადი ამოცანაა სწორი და ერთგვაროვანი იდეოლოგიით სახალხო ეკლექტიკის წინააღმდეგობრივი მოსაზრებების შეცვლა“.

### **მესამე ნაწილი – „ეკონომიკური ანგარიშიანობა“(მოიცავს 3 თავს)**

მიზესის განმარტებით ეკონომიკური ანგარიშიანობა არის „განხილული მოქმედების მოსალოდნელი შედეგის შეფასება“. ეკონომიკური ანგარიშიანობა ინდივიდს ახასიათებს და იგი შესაძლებელია მხოლოდ ფულსა და ფასებზე დამყარებული ეკონომიკის პირობებში.

ამდენად, მიზეხის აზრით, გაცვლითი ვაჭრობა ფიქციაა, ფულის ნეიტრალიტეტი კი – „ზღაპარი“. შეფასება, რომელსაც ინდივიდის ეკონომიკური ანგარიშიანობა ემყარება, ყოველთვის სუბიექტურია. ეკონომიკაში მისი აზრით, არ არსებობს სტაბილური რაოდენობრივი ურთიერთობები. მაგალითად, ფასების სიდიდე ყოველთვის იცვლება ეკონომიკური სიტუაციის ანუ ინდივიდის ზემოქმედებით. სწორედ ამიტომ შეუძლებელია ფულის მსყიდველობითი უნარის სტაბილიზება, როგორც ამას შესაძლებლად თვლიდა ირვ.ფიშერი. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია თითოეული კონკრეტული საქონლის ფასი და არა ფასების საერთო დონე, რომელიც ფასების ინდექსის მეთოდს ემყარება – აღნიშნავს მიზეხი. ზუსტად ასევე, სიმდიდრის შეფასებას ცალკეული ინდივიდისთვის ან ინდივიდთა ჯგუფისთვის აქვს გარკვეული აზრი, მაგრამ ერის ან კაცობრიობის სიმდიდრის ფულში გაზომვა – ეს მხოლოდ ბავშვური თამაშია – დასძენს მეცნიერი. ეკონომიკური ანგარიში არ გულისხმობს ფულის სტაბილურობას ფასების ცვლილების არარსებობის აზრით, იგი გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ფულადი სისტემის ფუნქციონირებას საბოტაჟი არ გაუწიოს მთავრობამ. აუცილებელია, რომ „არ მოხდეს ფულის მიწოდების მკვეთრი მერყეობა“.

## **მეთხე ნაწილი – კატალაქტიკა ანუ საბაზრო საზოგადოების ეკონომიკა (11 თავისაგან შედგება)**

თავდაპირველად მიზეხი იწყებს მეთოდოლოგიური საკითხიდან, კერძოდ, პრასკეოლოგიიდან კატალაქტიკის სფეროს გამოჰყოფს. შესაბამისად, იგი იძლევა ეკონომიკის შესწავლის საგნის საკუთარ ინტერპრეტაციას: „ეკონომიკა ძირითადად დაინტერესებულია საქონელსა და მომსახურების ფულში ფასების განსაზღვრის წესებით“. საუბარია იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც „ბაზარზე იცვლება“.

მიზეხის აზრით, ეკონომიკა სწავლობს(იყენებს) წმინდა საბაზრო მოდელს, სადაც არ არსებობს ფასების თავისუფალი წარმოქმნის არავითარი ხელშემშლელი ფაქტორი, ისე როგორც ადგილი აქვს ხელფასისა და საპროცენტო განაკვეთის თავისუფალი ჩამოყალიბების პროცესებს. მხოლოდ შემდგომ ეტაპზე ეკონომიკური ანალიზი შეიძლება ორიენტირდეს იმ პრობლემებზე, რომლებიც გამოწვეულია პოლიტიკური ძალაუფლების ან/და სხვა ინსტიტუტების „ბაზარში ჩარევით“. წმინდა თეორიული

ანალიზის პროცესში, მიზესის აზრით, შესაძლებელია აბსტრაგირება ფულისგან, მაგრამ სინამდვილეში „თავად ცნება საბაზრო ეკონომიკა ფულის გარეშე წინააღმდეგობის შემცველია“. აღნიშნული თეზისის ჩამოყალიბების შემდეგ მიზესი იწყებს ბაზრის საფუძვლიან შესწავლას. იგი წერს “საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებაზე დამყარებულ სოციალურ სისტემას. საბაზრო ეკონომიკის არსებობის პირობაა შრომის დანაწილება. ყოველი ინდივიდი საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, თუმცა ეს მოქმედება მიმართულია, როგორც საკუთარი, ისე მოყვასის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ყოველი ინდივიდი ემსახურება თავის მსგავსს და ამასთანავე, ყოველი ინდივიდი დგას თანამოქალაქეთა სამსახურში. ამ სისტემას მართავს ბაზარი, რომელიც ინდივიდს იქით უბიძგებს, სადაც მას ყველაზე უკეთესად შეუძლია თავისი მსგავსი ინდივიდების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება“.

სხვა ადგილას იგი მიუთითებს, რომ „ბაზარი არის შრომის დანაწილების პირობებში სხვადასხვა ინდივიდთა თანამშრომლობის ფორმა“. შემდეგ მიზესი მიუთითებს იმ ფუნდამენტურ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს საბაზრო ეკონომიკასა და სოციალისტურ ეკონომიკას შორის. მისი აზრით, შეუძლებელია შერეული ეკონომიკის არსებობა. ეკონომიკა შეიძლება იყოს მხოლოდ საბაზრო ან მხოლოდ გეგმიანი. მისი აზრით, საშუალო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

მიზესის აზრით, კაპიტალიზმი არის საზოგადოება, რომლის საფუძველია საბაზრო ეკონომიკა. ეს უკანასკნელი კი კერძო საკუთრებას ემყარება. კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა აუცილებლად გულისხმობს მომხმარებლის სუვერენიტეტს. რა თქმა უნდა, ეკონომიკურ საქმიანობას მეწარმეები წარმართავენ, მაგრამ ისინიც ვალდებული არიან უკეთესად დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნილებები, რადგან ამის გარეშე ისინი ვერ მიიღებენ მოგებას. საბაზრო ეკონომიკა განუყოფელია დემოკრატიისაგან. კერძოდ, ბაზარზე ყოველი ხმა. რომელიც არჩევნების პროცესში მონაწილეობს და არა მხოლოდ უმრავლესობა, ხელს უწყობს სიტუაციის კონკრეტიზაციას, მაშინაც კი თუკი ყველა ინდივიდს არ გააჩნია თანაბარი ხმის უფლება. „მდიდრებს ხმის მიცემის უფრო მეტი ბიულეტენები გააჩნიათ, ვიდრე ღარიბ მოქალაქეებს. თუმცა მდიდრად გახდომა, თავის მხრივ, არის იმ წარმატებების შედეგი, რომლებსაც ის გააჩნდათ ბაზარზე მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილების პროცესში. მდიდარ ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავისი სიმდიდრის

შენარჩუნება, თუკი ის მუდმივად და ეფექტიანად აგრძელებს საკუთარ საქმიანობას აღნიშნული მიმართულებით“.

კონკურენცია, მიზესის აზრით, არის მოთხოვნილებების საუკეთესოდ დაკმაყოფილების მექანიზმი (ინსტრუმენტი). კონკურენცია შესაძლებლობათა თანაბრობას ემყარება, თუმცა მისი შედეგია უთანასწორობა შემოსავლებში. კონკურენცია, როგორც მიზესი მიიჩნევს, არ ეწინააღმდეგება საზოგადოებაში სოციალური თანამშრომლობის მოთხოვნებს. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ წარმოების (და შესაბამისად სხვა ინდივიდთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების) პროცესში მონაწილეობა განსაზღვრავს მათი შემოსავლებისა და სიმდიდრის რაოდენობას.

საბაზრო ეკონომიკა ორგანიზაციის ერთადერთი ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ ასპექტში ანუ „კაპიტალიზმის პირობებში ადამიანის თავისუფლება კონკურენციის შედეგს წარმოადგენს“. თავისუფლებას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ სახელმწიფო იღებს გადასახადებს ძალოვანი აპარატის შესანახად, რამეთუ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საზოგადოების დაცვას, როგორც გარეთა აგრესიისაგან, ისე „შინაგანი მტრებისაგან“. სახელმწიფოს მხრიდან ყველა სხვა ფუნქციის განხორციელებას, რომელიც არ არის ნაკარნახევი საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებლობით, ტოტალიტარულ რეჟიმამდე მივყავართ, სადაც ყოველგვარი თავისუფლება პრინციპულად გამორიცხულია.

## ფულის შესახებ

მიზესი ფულის ერთადერთ ფუნქციად განიხილავს გაცვლის (მიმოქცევის) საშუალებას. იგი მკაცრად აკრიტიკებს იმ „ერეტიკულ იდეას“, რომლის თანახმადაც ფულს ახასიათებს ნეიტრალიტეტი ეკონომიკის მიმართ ანუ ილაშქრებს ფულის რაოდენობრივი თეორიის წინააღმდეგ. „ფულის რაოდენობრივი თეორია შეუთავსებელია ეკონომიკური აზრის ფუნდამენტურ პრინციპებთან, „რადგანაც იგი წარმოადგენს უაზრო მიდგომას“. მიზესის აზრით, ფული ნეიტრალური კი არ არის, არამედ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების „მამოძრავებელი ძალაა“.

მიზესი ასევე ერთმანეთისგან განასხვავებს ფულის სამ სახეობას.



- ფული – საქონელი „რეალური ფული“, რომელიც გაცვლის პროცესში გამოიყენება.
- „საკრედიტო ფული“, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც „ფულის შემცვლელი“ და იღებს საბანკო ბილეთების ან საჩეკო ანგარიშის ფორმას. საკრედიტო ფულს რეალური ფულის სრულფასოვანი შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, როცა სახელმწიფო ხაზინას გააჩნია მიმოქცევაში მყოფი ფულის შემცვლელების 100%-იანი რეზერვი. თუკი ბანკი უშვებს რეალური ფულის მოცულობაზე უფრო მეტი რაოდენობის ფულის შემცვლელებს, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ნდობით ფულთან. ეს უკანასკნელი ბანკს აძლევს საშუალებას გასცეს „საბრუნავი კრედიტი“, რომელიც უნდა განვასხვაოთ „რეალური კრედიტისგან“. ამ უკანასკნელს ბანკი გასცემს მხოლოდ საკუთარი კლიენტებისგან მიღებული თანხებიდან.
- „ხელოვნური ფული“ – შედგება ნიშნებისგან, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებული იქნეს არც სამრეწველო მიზნით, არც სავალო ვალდებულების გადასახდელად და არც ნებისმიერი სხვა მიზნით“. მიზესი აღნიშნავს, რომ ინფლაციის მომხრეები, რომელთა რიცხვში იგი კეინზსაც მოიხსენიებს, ფიქრობენ რომ ფულადი მასის გადიდებით შეამცირებენ სარგებლის განაკვეთს და ასტიმულირებენ ეკონომიკას. მიზესის აზრით, ამ შემთხვევაში ისინი ერთმანეთში ურევენ ფულსა და კაპიტალს. მიზესი მხარს უჭერს ეტალონ–ოქროს გამოყენებისა და ბანკებს შორის კონკურენციის გაძლიერების იდეას, რაც მას ეკონომიკის ფულადი სექტორის გაჯანსაღების კარგ საშუალებად მიაჩნია.

## **დრო, კაპიტალი და სარგებელი**

მოქმედება ყოველთვის განიცდობა დროში და მას საფუძვლად უდევს „დროით უპირატესობის მინიჭების“ პრინციპი. მიზესი ემყარება ავსტრიული სკოლის წარმომადგენლის ე.ფონ ბიომ–ბავერკის თეორიას. წარმოებრივი ჯაჭვის გაგრძელება ნიშნავს კმაყოფილების დაუყოვნებლივ მიღების შესაძლებლობაზე უარის თქმას, შემდგომში უფრო მეტი კმაყოფილების მიღების მიზნით. სწორედ ამ გზით წარმოიშობა დანაზოგი, ანუ მიმდინარე წარმოების ნაჭარბი მიმდინარე მოხმარებაზე. შემდეგ მიზესი მიმართავს სარგებლის კატეგორიის ანალიზს: „სარგებელი არც ის

არის, რაც დანაზოგისკენ უბიძგებს ინდივიდს, არც შრომის ანაზღაურება და არც ინდივიდის მიერ დაუყონებლივ მოხმარებაზე უარის თქმის კომპენსაციაა“.

მიზეხი გვთავაზობს ე.წ. „ამოსავალი სარგებლის“ ცნებას, რომელიც, მისი აზრით, არის „თანაფარდობა მოთხოვნილების მყისიერად დაკმაყოფილებასა და დროში მოთხოვნილების გადაგებული დაკმაყოფილების ღირებულებას შორის“. ეს „ამოსავალი სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია დროში უპირატესობის მინიჭებასთან“ ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს, რადგან ინდივიდებს ყოველთვის უხდებათ არჩევანი გააკეთონ მოთხოვნილების მყისიერად დაკმაყოფილებასა და მომავალში მოთხოვნის დაკმაყოფილებას შორის.

მოგება ასევე, ყოველთვის დაკავშირებულია დროსთან. როდესაც მეწარმეები ყიდულობენ „მატერიალურ წარმოებრივ ფაქტორებს“, ისინი გარკვეულ ფასს იხდიან ბაზარზე მომავალი სიტუაციის შეფასებაში. სწრაფად ცვალებადი ეკონომიკის პირობებში სიტუაცია ვითარდება ერთი წარმოებრივი პერიოდის მანძილზე, რისგანაც გამომდინარეობს მეწარმის როგორც მოგება, ისე ზარალი.

მეწარმის ერთობლივი შემოსავალი (შემოსავალებსა და დანახარჯებს შორის სხვაობა) შედგება სამი ელემენტისგან:

- „მმართველი პერსონალის ხელფასი“, რომელიც წარმოადგენს მეწარმის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებას;
- წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის სარგებელი;
- მეწარმის მოგება წმინდა სახით, რომელიც წარმოადგენს მეწარმის მიერ საკუთარი მომავლის წარმატებული პროგნოზირების შედეგს;

სარგებლის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სესხების ბაზარზე ოპერირებს(მოქმედებს) არ წარმოადგენს „ამოსავალი სარგებლის“ განაკვეთს. მისი ფორმირება განისაზღვრება სამი ფაქტორით:

- „ამოსავალი პროცენტით“;
- „მეწარმის მოგებით“, რადგან სესხის მიმცემი გარკვეული რისკის ქვეშ ექცევა (ამის გამო მისი საქმიანობა, ისე როგორც ნებისმიერი მეწარმისა, ნაწილობრივ სპეკულანტურ ხასიათს ატარებს);
- „ფაქტობრივი პრემიით“, რომელიც დაკავშირებულია ფასების დონის განვითარების პროგნოზთან და შესაბამისად ფულის მსყიდველობითუნარიანობასთან. ინფლაციის პერსპექტივის არსებობის

პირობებში მსესხებელი მზად არის სასესხო ბაზარზე გადაიხადოს უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთი.

ამრიგად, „ამოსავალი სარგებლის“ განაკვეთი არ არის დამოკიდებული ფულის მასაზე. თუმცა ინფლაცია არაპირდაპირ ზემოქმედებს „ამოსავალი სარგებლის“ განაკვეთზე, რადგანაც იგი ინდივიდებს აიძულებს მომავალში საკუთარი დანახარჯების გაუფასურების შიშიდან გამომდინარე უპირატესობა მიანიჭონ აწმყოს.

შესაბამისად, მიზეხის მიერ ნაჩვენებია, რომ ჩვეულებრივ, შეუძლებელია, „ამოსავალი სარგებლის“ ცვლილება ფულადი მანიპულაციების გზით.

### კრედიტი და ციკლები

თუკი ბანკების პოლიტიკა უშუალო ზემოქმედებას ვერ ახდენს „ამოსავალ სარგებელზე“, მას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ბაზრის საპროცენტო განაკვეთზე. კრედიტის გაფართოება ასტიმულირებს მოთხოვნას და იწვევს ფასების ზრდას. ზოგიერთი მეწარმე, იმის გამო, რომ ნავარაუდევზე უფრო მაღალ ფასად ყიდის საკუთარ პროდუქციას, იღებს დამატებით მოგებას. ეს „ილუზორული მოგება“ ხელს უწყობს ექსპანსიას, რამეთუ „ადამიანები იჯერებენ, რომ ინფლაციას მოაქვს საყოველთაო აყვავება“. ინფლაცია მეწარმეებს აიძულებს დათანხმდნენ გაზრდილ სარგებლის განაკვეთებს. ამასთანავე, „სპეკულატიური აღმავლობა შეიძლება იმდენხანს გაგრძელდეს, რამდენხანსაც გაგრძელდება საკრედიტო ექსპანსია მზარდი სიჩქარით“. ეს მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, რადგანაც ბანკებს არ შეუძლიათ ნორმალური ზრდისათვის საჭირო მატერიალური კაპიტალის მიწოდება. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ დანაზოგთა ზრდის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ბუმი მოხმარებაზე გადავა. ამგვარად, სპეკულატიური აღმავლობა ხასიათდება არა „ზეინვესტირებით“, არამედ „არასაკმარისი ინვესტირებით“. ინფლაცია ცვლის შეფარდებითი ფასების სტრუქტურას, ამდიდრებს ადამიანთა ერთ ჯგუფს მეორე ჯგუფის გადატაკების ხარჯზე.

ხშირად მკვეთრი გარდატეხა პანიკას იწვევს, თუმცა დეპრესია დარეგულირების პროცესია, რომელსაც მწარმოებლური სახის საქმიანობა ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოჰყავს. საბოლოო ჯამში, საკრედიტო ემისია საყოველთაო გადატაკებას იწვევს. ეკონომიკაში გაბერილი ინვესტიციები და ზემოხმარება, როგორც წესი, კრიზისით მთავრდება.

მიზესი მიიჩნევს, რომ ციკლის ახსნა, თუკი იგი დაკავშირებული არ არის ფულის პრობლემასთან, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ციკლები წარმოადგენს იმ გაუაზრებელი ფულადი პოლიტიკის კანონზომიერ შედეგს, რომელიც საპროცენტო განაკვეთის შემცირების მიზნით წარიმართება.

## შრომა და ხელფასი

მიზესი მიიჩნევს, რომ ხელფასი განისაზღვრება ბაზარზე ისე, როგორც ნებისმიერი საქონლის ფასი. იგი ეჭვის ქვეშ აყენებს ყველა იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, დაქირავებულ მუშაკს უფრო დაბალი ადგილი უკავია გაცვლის პროცესში, ვიდრე დამქირავებელს. იგი მიიჩნევს, რომ დამქირავებლები ყოველთვის ეძებენ კვალიფიციურ სამუშაო ძალას და ისინი უარს ვერ იტყვიან ამ კატეგორიაზე ხელფასის დაუსაბუთებელი გზით შემცირებაზე. იმის გამო, რომ დაქირავებული მუშები ცდილობენ საკუთარი სამუშაო ძალის მაქსიმალურად მაღალ ფასში გაყიდვას, დამქირავებლები კი მაქსიმალურად დაბალ ფასში ყიდვას, ხელფასი ყალიბდება დონეზე, რომელიც შრომის ყოველი ტიპის ზღვრულ მწარმოებლურობას შეესაბამება. ამ ანალიზიდან გამომდინარე მიზესი ასკვნის, რომ „ნორმალურად ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკაში მხოლოდ ნებაყოფლობითი უმუშევრობა შეიძლება არსებობდეს“. ასეთ ნებაყოფლობით უმუშევრობას იგი უწოდებს „კატალაკტიკურ უმუშევრობას“, რომელიც, მისი აზრით, განსხვავდება „ინსტიტუციონალური უმუშევრობისაგან“. ეს უკანასკნელი არის შედეგი ხელფასის იმ დონეზე უფრო მაღალ ფარგლებში ნებელობითი დაწესების, რასაც ბაზრის ნორმალური ფუნქციონირება განსაზღვრავს.

მიზესის აზრით, ხელფასის განაკვეთი არის საბაზრო მოვლენა. იგი თვლის, რომ ხელფასს არ განსაზღვრავს სამუშაო ძალის არც მარტივი კვლავწარმოების და არც სოციალური არსებობის პირობები. მიზესის იდეოლოგია იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმმა განაპირობა მუშათა კეთილდღეობის გაზრდა: „კაპიტალიზმი არის სისტემა, რომელიც ყველაზე მოსაზრებულ და მოხერხებულ ადამიანებს უბიძგებს ყველაზე მოუხერხებელი და ზანტი უმრავლესობის კეთილდღეობის გაზრდისკენ.“

## მეხუთე ნაწილი

### საზოგადოებრივი თანამშრომლობა ბაზრის გარეშე

მიზნის კონცეფციის მთავარი არსი გამოხატულია მის შემდეგ მოსაზრებაში: „საბაზრო ეკონომიკა საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზაციის ერთადერთი ფორმაა, რომელსაც ეფექტიანად ფუნქციონირება შეუძლია და რომელმაც ეს დაამტკიცა პრაქტიკაში. სოციალიზმი უძლურია იმის გამო, რომ არ შეუძლია შეიმუშაოს ეკონომიკური ანგარიშიანობის მეთოდი“.

მიზნის აზრით, ბაზრის და, შესაბამისად, წარმოებულ პროდუქტებზე ფასების არარსებობის პირობებში შეუძლებელია ეკონომიკური ანგარიშიანობის შესრულება. „კერძო საკუთრების გარკვეული რისკის ქვეშ ფუნქციონირებადი მეწარმეების გარეშე შეუძლებელია ბაზრის, მაშასადამე ფასებისა და ეკონომიკური ანგარიშიანობის არსებობა“. „სოციალისტური სისტემა ბაზრით და ფასებით ისეთივე წინააღმდეგობრივი ტერმინია, როგორცაა კვადრატული სამკუთხედი“ – აღნიშნავს მიზესი და აქედან გამომდინარე, აკრიტიკებს პარეტოსა და ბარონეს, რომლებიც სოციალიზმს საბაზრო ეკონომიკის ალტერნატიულ სისტემად მიიჩნევდნენ. მიზესის აზრით, ეს შეცდომა მათემატიკოს–ეკონომისტებმა მეთოდოლოგიიდან გამომდინარეობდა, რომლებსაც მხოლოდ წონასწორობის მდგომარეობა აინტერესებდათ.

### დამუხრუჭებადი საბაზრო ეკონომიკა

მიზესი თვლიდა, რომ არ არსებობს შუალედური გზა საბაზრო ეკონომიკასა და სოციალიზმს შორის. ამასთანავე, საბაზრო ეკონომიკის შიგნით შესაძლებელია სახელმწიფოს ჩარევა, რასაც იგი უწოდებს „დამუხრუჭებად ეკონომიკას“, სადაც „ხელისუფლება და ბაზარი ურთიერთქმედებენ“. ამ პრაქტიკას მიზესი გაუმართლებლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ არაფერი ამართლებს ეკონომიკაში სახელმწიფოს შეჭრას, როცა მთავრობა ინდივიდების მაგივრად იღებს გადაწყვეტილებებს.

ავტორი ილაშქრებს საგადასახადო ჩარევის, მინიმალური ხელფასის, სამუშაო დროის ხანგრძლივობის შეზღუდვის, ფასების კონტროლის, პროტექციონიზმის,

შემოსავლების გადანაწილებისა და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი მიიჩნევს, რომ საბაზრო ეკონომიკისთვის ნიშანდობლივი უთანასწორობა შესაძლებელია კომპენსირდეს ქველმოქმედების საშუალებით. ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის მიზნით თითქოსდა სახელმწიფო ერევა ეკონომიკაში, არის არა კაპიტალიზმის, არამედ ამგვარი ჩარევის პირდაპირი შედეგი. ჩარევა იწვევს აგრეთვე ომებს, დიქტატურას, ეკონომიკურ დეპრესიას, შიმშილს. ჩარევა ასევე ზიანს აყენებს ეკონომიკურ ეფექტიანობასაც.

ამრიგად, ლ.ფონ მიზესის წიგნი „ადამიანის მოქმედება“ არის სუბიექტივისტურ და ლიბერალურ ტრადიციებზე დაყრდნობით შესრულებული ნაშრომი, რომელიც მწვავე კრიტიკული ცოდნით გამოირჩევა. მიზესი ეკონომისტებად მხოლოდ იმ ავტორებს მიიჩნევს, რომლებიც მხარს უჭერენ საბაზრო ეკონომიკას. იგი ეკონომისტებად არ თვლის არა მხოლოდ სოციალისტური შეხედულებების მქონე მეცნიერებს, არამედ იმათაც, ვინც მხარს უჭერს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. სწორედ ამიტომ პიგუს მოსაზრებებს კეთილდღეობის შესახებ, სამუელსონისა და ლერნერის შეხედულებებს „ახალ ეკონომიკაზე“, იგი უპირისპირებს ... „ეკონომისტების“ შეხედულებებს. მხოლოდ ჰაიეკისა და მაჰლუპის შეხედულებებს მიიჩნევს სწორად, რადგანაც ეს უკანასკნელნი იზიარებდნენ თავად მიზესის სუბიექტივისტურ – ინდივიდუალურ მიდგომებს.

#### **ლიტერატურა:**

**მ. თოქმაზიშვილი.** ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის ეკონომიკური თეორიის ნარკვევები. თბ., 2004.

**ლიბერალიზმი და თავისუფლება.** წიგნი II. ფ.ფონ ჰაიეკი „გზა მონობისაკენ“ გვ. 68–85.

**ნობელიანტი ეკონომისტები.** ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი. გვ. 47–85.

**ა. სილაგაძე, მ. ჭიაბრიშვილი, თ. ჭიაბრიშვილი.** მეცნიერების პერპერტუუმ–მობილე. თბ. , 2005. ფრიდრიხ ჰაიეკი. გვ. 79–85.

**ა. სილაგაძე.** ეკონომიკური დოქტრინები. გზა თავისუფლებისკენ. ფრიდრიხ ჰაიეკი. გვ. 483–484.

**Hayek F.** Prices and Production. L. 1931.

**Hayek F.** Pure of Capital. L. 1941.

**Hayek F.** The Constitution of Liberty. L. 1960.

**Hayek F.** The Fatal Concert – The Error Socialism. Chicago, 1989.

**Хайек Ф.** Пагубная самонадеянность. М.,1990.

## ლექცია XI. გერმანული ანუ ორდოლიბერალური

### ეკონომიკური თეორია

(ვ.ოიკენისა და ლ.ერჰარდის შეხედულებები)

ვალტერ ოიკენი: „სახელმწიფოს სტრუქტურული ცვლილებები  
და კაპიტალიზმის კრიზისი“



ვალტერ ოიკენი

პირველად გამოქვეყნდა 1932 წელს. ჩვენ აქ განვიხილავთ ნაშრომის ვარიანტს, რომლიც ქალაქ შტუტგარდში გამოიცა 1997 წელს. შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარების პირობები განხილული უნდა იქნეს უნივერსალური ისტორიის ჩარჩოებში. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმ ურთიერთკავშირების ანალიზი, რომლებიც არსებობს სამეურნეო და სახელმწიფო-პოლიტიკურ პროცესებს შორის.

### თავი I. განვითარების მამოძრავებელი ძალები და ტექნიკური

#### შესაძლებლობები

კაპიტალიზმის ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყვნენ მეწარმეები, რომლებსაც მუდმივად შემოჰქონდათ ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეები წარმოების პროცესში. როგორი მდგომარეობაა დღეს ამ თვალსაზრისით ანუ მეწარმეებს შეუძლიათ თუ არა იყვნენ კვლავინდებურად განვითარების ლიდერები სტატიკურ სტადიაზე?

### თავი II. სახელმწიფოს და საზოგადოების ორგანიზაცია

#### II – 1. სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურის ცვლილება

##### ა. ძველი სახელმწიფო

ჩამოყალიბებადი და განვითარებული აბსოლუტიზმი ანუ მერკანტილისტური სახელმწიფო აშკარად და უხეშად ერეოდა სამეურნეო ცხოვრებაში. ამასთანავე,



აბსოლუტიზმი ნიშნავდა განხეთქილებას როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ისე სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის. აღნიშნული წინააღმდეგობის მოხსნის ელემენტებს შეიცავდა სახელმწიფო ლიბერალიზმი.

## **ბ. ეკონომიკური სახელმწიფოს წარმოშობა**

ლიბერალური სახელმწიფო დროთა განმავლობაში გარდაიქმნება ეკონომიკურ სახელმწიფოდ, რაც გამოიხატება სახელმწიფოსა და მეურნეობის ურთიერთშერწყმაში და მეურნეობის პოლიტიზაციაში. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში ეს პროცესი საწყის სტადიაში იმყოფება, გერმანიასა და ინგლისში კი მნიშვნელოვნად წაიწია წინ.

შემდეგ ოიკენი ფართოდ მიმოიხილავს ბისმარკის პოლიტიკას, რომელიც გულისხმობდა სამეურნეო ცხოვრების სრულ დაქვემდებარებას სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობისადმი. იგივე პრინციპებს ემყარებოდა ბისმარკის მიერ გატარებული სოციალური პოლიტიკაც. ამრიგად, ბისმარკის ინტერვენციონიზმი ეს იყო სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობის ინტერვენციონიზმი, რომლის დაცემით ახალი ეპოქა იწყება და ამ უკანასკნელისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთმიმართება „გადაყირავდა“ და ეკონომიკამ დაიწყო წამყვანი როლის შესრულება ამ ურთიერთობაში. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერვენციონიზმი თავად ეკონომიკის შინაგანი კანონზომიერებით არის ნაკარნახევი. კერძოდ, სახელმწიფოს მეშვეობით მეწარმეთა სხვადასხვა ჯგუფები ცდილობენ კაპიტალისტური ეკონომიკის ჩარჩოებში საკუთარი პოზიციების გაძლიერებას. ეს ჯგუფები თავიანთი სტრუქტურით და სიძლიერით საკმაოდ განსახვავებულია. ცალკეულ ჯგუფებს ქმნიან მცირე მეწარმეები და ვაჭრები, რომლებიც სახელმწიფოდან ითხოვენ მსხვილი კონკურენტებისგან დაცვას, მეორე კგუფში ერთიანდებიან მსხვილი მეწარმეები, რომლებსაც სახელმწიფოს დახმარება სჭირდებათ საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად. პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ სფეროში წარმატება უმეტეს შემთხვევაში მსხვილი მეწარმეების მხარეზეა, წვრილი მეწარმეების მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერა კი შედარებით მცირეა.

ლიბერალური სახელმწიფოს გარდაქმნა ეკონომიკურ სახელმწიფოდ ძალიან ბევრ რამეს ცვლის, როგორც სახელმწიფოებრივ ისე მეურნეობრივ ცხოვრებაში. ეს

უპირველეს ყოვლისა, აისახება სახელმწიფოს საქმიანობის ექსპანსიის გაძლიერებაში. პარადოქსული ფაქტია, მაგრამ ამგვარი ექსპანსიის გაძლიერება, ოიკენის აზრით, შეიცავს თავად სახელმწიფოს რღვევის საშიშროებას. კერძოდ, სახელმწიფოსა და ეკონომიკის მჭიდრო ურთიერთგადახლართვით სახელმწიფო კარგავს დამოუკიდებლობას პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაში, რასაც ემყარება მისი არსებობა. მის მოქმედებას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს ეკონომიკური ჯგუფების ნება, იმ ჯგუფებისა, რომლის ინსტრუმენტადაც თანამედროვე სახელმწიფო სულ უფრო მეტად იქცევა. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა ფრაგმენტაციას განიცდის ანუ ცალკეულ ღონისძიებებად იყოფა, რომელთა უკან შესაბამისი ეკონომიკური ჯგუფების ინტერესები დგას. ასეთ პირობებში არც ერთიანი მიზანი არსებობს, არც საერთო იდეა და არც ერთიანი ნება. პირიქით, სახელმწიფო ავლენს სრულ უსისტემობას. ამ სახით არსებული სახელმწიფო ხელს უშლის ბაზრის თავისუფალ ფუნქციონირებას და ზოგადად ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას.

ნაშრომის მეორე თავი – „ძვრები საგარეო პოლიტიკაში“ – მთლიანად ეძღვნება პოლიტიკურ საკითხებს და მათ ჩვენ არ განვიხილავთ.

### **მესამე თავი – „მსოფლიო ისტორიული პერსპექტივები“**

ახალი დროის მერკანტილისტურ პერიოდში კაპიტალიზმი იქმნებოდა სახელმწიფოს მიერ, მეორე პერიოდში განხორციელდა სახელმწიფოსა და ეკონომიკის სფეროებს შორის ლიბერალური განცალკევებულობა. მესამე ეტაპზე ანუ ეკონომიკური სახელმწიფოს პირობებში, ერთი მხრივ, მიმდინარეობს იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესუსტება, რომლის ჩარჩოებში წარმოიშვა და ვითარდებოდა კაპიტალიზმი, მეორე მხრივ კი მიმდინარეობს თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების შეზღუდვა. ყოველივე ამის შედეგად მიმდინარეობს კაპიტალიზმის დეგრადაცია. ეს გამოიხატება უმუშევრობის ზრდაში და წარმოების შეკვეცაში, რის შედეგად სამრეწველო წარმოების მუშაკები მასობრივად გადადიან თავიანთი მიწის ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში.

ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში შემდგომი განვითარების მხოლოდ ორი შესაძლებლობა არსებობს. თუკი ფართო მასების მიერ მხარდაჭერილი გეგმიანი მეურნეობა კვლავ გააგრძელებს არსებობას (აქ ოიკენი გულისხმობს 1930–იანი წლების

დასაწყისის სიტუაციას) გრძელვადიანი განვითარების პროცესში დაშვებული შეცდომები მოიმატებს და ეს გამოიწვევს კაპიტალიზმის საბოლოო დეგრადაციას.

თუკი სახელმწიფო გააცნობიერებს იმას, რომ მეურნეობასთან მისი მჭიდრო გადაჯაჭვა თავად მისთვის დიდი საფრთხის შემცველია, საკუთარ თავში მონახავს იმის ძალას, რომ რაღაც ფორმით დისტანცირდეს ეკონომიკური პროცესებიდან, ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში შესაძლებელი გახდება ახალი ტიპის შემდგომი მძლავრი განვითარება.

### რეზიუმე:

ვ. ოიკენმა ზემოაღნიშნულ სტატიაში საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმი რომლის დროსაც ბატონობს ინტერესთა ჯგუფები და მონოპოლისტური გაერთიანებები, ძირს უთხრის ბაზარს. ბაზარი კონკურენციის გარეშე – უბრალოდ ფიქციაა. სახელმწიფო კი, რომელიც კარტელებსა და სხვადასხვა კავშირებს უჭერს მხარს, ერთი მხრივ კარგავს ეფექტიანობას, მეორე მხრივ კი აშკარა დესპოტურ წარმონაქმნად იქცევა.

## ლ.ერჰარდი – „კეთილდღეობა ყველასათვის“

### ავტორისა და ზოგადად წიგნის შესახებ



წიგნი გამოვიდა 1956 წელს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 11 წლის შემდეგ. ისტორიისთვის ამ უმოკლესპერიოდში გერმანიის ეკონომიკაში გასაოცარი ცვლილებები მოხდა: ომისაგან დანგრეული ეკონომიკა არა მარტო აღდგა, არამედ რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით, მან პირველი ადგილი დაიმკვიდრა ევროპაში. ომის შემდგომი გერმანიის ასეთი სწრაფი განვითარება „გერმანულ სასწაულად“ იქნა მონათლული, რომლის სულისჩამდგმელი და მთავარი „კონსტრუქტორი“ იყო ამ წიგნის ავტორი – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მინისტრი, შემდგომში ვიცე-კანცლერი და მოგვიანებით კანცლერი – **ლუდვიგ ერჰარდი**. ეს წიგნი მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ანგარიშგებას მის მიერ განვლილი გზის შესახებ. ამასთანავე, ეს არ არის მემუარული ნაწარმოები, არამედ იგი ჭეშმარიტად

მეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიც საინტერესო და აქტუალური თეორიული დებულებები ორგანულადაა შერწყმული გერმანიის ეკონომიკის რეფორმების პროცესში დაგროვილ მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებასთან. ერჰარდი იყო მემარჯვენე მიმართულების პოლიტიკოსი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი, კონსერვატორი თავისი მსოფლმხედველობით და არასდროს მალავდა საკუთარ ანტისოციალისტურ, ნაციონალ-სოციალისტური იქნებოდა ეს თუ კომუნისტური, შეხედულებებს. ამასთანავე, იგი ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მის მიერ გატარებული რეფორმის საბოლოო მიზანია იმ საზოგადოების შექმნა, რომელშიც არ იქნებიან ღარიბები და უპოვარნი. ამ ტიპის საზოგადოებას ლ. ერჰარდი სოციალურ საბაზრო მეურნეობას უწოდებს და ეს უკანასკნელი უპირისპირდება „ძალდატანებით მართულ მეურნეობას“, ანუ ადმინისტრაციულ მზრძანებლურ სისტემას.

წიგნი „კეთილდღეობა ყველასთვის“ მწვავე დისკუსიურ სტილშია დაწერილი, რასაც იმ პერიოდის რეალური გარემო განაპირობებდა. კერძოდ, ის რომ ძალიან ბევრი თეორიტიკოსი მეცნიერი და პრაქტიკოსი სახელმწიფო მოღვაწე დანგრეული ეკონომიკის აღდგენის ერთადერთ საშუალებად ადმინისტრაციულ რეგულირებას ხედავდა. მათ საწინააღმდეგოდ ერჰარდი ამტკიცებდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი გზა – უფრო თავისუფალ საბაზრო მეურნეობაზე დაბრუნება და იძულების ნებისმიერი ფორმის გაუქმება, რომელსაც წინათ ყველა ექვემდებარებოდა – მომხმარებლიდან დაწყებული, მწარმოებლით დამთავრებული.

„მომხმარებლის თავისუფლება“ და „ძალდატანებითი განაწილება“ ლ. ერჰარდს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება, რომლის გარშემო „ბრუნავდა“ მთელი მისი საბაზრო ფილოსოფია და პრაქტიკა. იგი დაუღალავად ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური თავისუფლების გარეშე არ არსებობს პოლიტიკური თავისუფლება, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების საფუძველია მომხმარებლის თავისუფლება. განაწილება თავისი არსით (ბუნებით) ყოველთვის იძულებითია, რამეთუ ის, ვისაც რაიმეს უნაწილებენ, მუდამ ობიექტია და არა სუბიექტი, რის გამოც ყოველთვის არ არის თავისუფალი. პირიქით, როცა მომხმარებელი თავისუფალია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, სხვა ყველაფერში იგი ასევე თავისუფალია.

## 1. სოციალური საბაზრო მეურნეობის არსის შესახებ

ლ. ერჰარდის აზრით, სოციალური საბაზრო მეურნეობა ისეთი „სამეურნეო წესრიგია“ (საზოგადოებრივ – ეკონომიკური სისტემის ისეთი ტიპია), რომლის ფუნქციონირების უმთავრეს და უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ადამიანის და ხალხის კეთილდღეობა. შესაბამისად „ამა თუ იმ სამეურნეო პოლიტიკის მოწონება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი იგი ემსახურება (და სანამ ემსახურება) ხალხისა და ადამიანის, როგორც ასეთის კეთილდღეობას“. შემდგომში ლ.ერჰარდი კიდევ უფრო აღრმავებს და აკონკრეტებს საკუთარ მოსაზრებას: „ჩვენ ეგვიპტურ პირამიდებს ვაშენებთ არა თავად ეგვიპტური პირამიდებისთვის. ეს ჩვენი თვითმიზანი არ არის. ჩვენთან მწყობრში ჩამდგარი ყოველი ახალი მანქანა, ყოველი ელექტროსადგური, ყოველი სამუშაო ადგილი და შრომის ინტენსიურობის ამაღლების ყოველი საშუალება საბოლოო ჯამში ემსახურება ყველა ადამიანის გამდიდრებას, რომელიც სოციალური საბაზრო მეურნეობის პირობებში ცხოვრობს და მუშაობს“. მეურნეობის ფუნქციონირების შედეგთა საყოველთაო ხელმისაწვდომობა ასევე წარმოადგენს სოციალური საბაზრო მეურნეობის ერთ–ერთ მნიშვნელოვანეს დამახასიათებელ თვისებას: „მე ყოველთვის ვეცდები – წერს ლ.ერჰარდი, რომ სამეურნეო პროგრესის შედეგი ადამიანთა რაც შეიძლება ფართო ფენის, საბოლოო იდეაში კი – მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების სამსახურში ჩადგეს“. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მოთხოვნების გათანაბრება, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის ანტაგონიზმის შესუსტებას, რაც ასევე სოციალური საბაზრო მეურნეობის არსებითი დამახასიათებელი ნიშანია.

ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, რომელიც კვლევის ძირითად მიმართულებაზე მიუთითებს, ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს „კეთილდღეობის“ ცნების განხილვას.

არსებობს ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობა, რომელიც მათი მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის მაჩვენებელია და სულიერი კეთილდღეობა, რომელიც ასახავს ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს. ამასთანავე, ლ.ერჰარდისათვის, მატერიალური კეთილდღეობა საფუძველია, რომელსაც სულიერი კეთილდღეობა უნდა დაეფუძნოს. კეთილდღეობის ამ ორი ნაწილის ურთიერთმიმართების დიალექტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური განვითარების (პროგრესის)

კვალდაკვალ პირველი სულ უფრო მეტად დაქვემდებარებულ როლს თამაშობს მეორის მიმართ: „ყოველი მეურნეობრიობის საბოლოო მიზანი არის და იქნება ადამიანის მატერიალური გაჭირვებისგან განთავისუფლება. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო მეტად შევძლებთ კეთილდღეობის ამაღლებას და გავრცელებას, მით უფრო შევუქმნით ადამიანებს ისეთი ცხოვრების წესს, რომელიც ნაკლებად იქნება დაქვემდებარებული მატერიალური სიმდიდრის ინტერესებს. მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება შექმნის იმის საფუძველს, რომ ადამიანები საბოლოოდ მოწყდნენ პრიმიტიულ, არსებითად მხოლოდ მატერიალისტურ აზროვნებას“.

ლ.ერჰარდს ღრმად სჯერა, რომ „ადამიანები მატერიალისტურ ცნებებზე მანამდე იქნებიან დამოკიდებული, ვიდრე იმყოფებიან ყოველდღიური საზრუნავის ტყვეობაში და ასეთ უძლურ მდგომარეობაში მყოფთ არ ძალუძთ ამაღლდნენ დაბალ ცხოვრებისეულ ინტერესებზე ზევით“. ასეთი მდგომარეობის საპირისპიროდ, სოციალური საბაზრო მეურნეობის პირობებში „ადამიანები მატერიალური კეთილდღეობისა და სოციალური უზრუნველყოფის გზით მიდიან საკუთარი თავის, საკუთარი პიროვნებისა და საკუთარი ადამიანური ღირსების შეცნობამდე, რითაც ისინი იღებენ შესაძლებლობას და მე ვიტყვოდი ლაჟვარდოვან იმედს, რომ თავს დააღწევენ მატერიალისტური აზროვნების წესს“.

ლ. ერჰარდს, როგორც საღად მოაზროვნე ადამიანს, კარგად ესმის, რომ ყოველივე აღნიშნულის მიღწევა ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია, მისი უზრუნველყოფა კი შესაძლებელია ადამიანის ყოფიერების მატერიალური ბაზის მოწესრიგებით, რომლის საფუძველზე „ადამიანები გადაიქცევიან თავისუფალ პიროვნებებად და „მომწიფდებიან“ უფრო ამაღლებული მიზნების შესასრულებლად“.

ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მიმართ, ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიურ მიდგომაზე დაყრდნობით, ლ. ერჰარდი გვთავაზობს ურთიერთკავშირს ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას შორის: „სოციალურ პოლიტიკაში ჩარევა და ცალკეული ადამიანისათვის დახმარების გაწევა მით უფრო ნაკლებადაა საჭირო, რაც უფრო წარმატებით ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკა“, და შესაბამისად „ნებისმიერი ორგანული სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს დაინტერესებული ეკონომიკის ექსპანსიურ და მყარ ზრდაში“. ამასთანავე, „ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ადამიანს პირადი თავისუფლების მოპოვებაში

ეხმარება, გამყარებული უნდა იყოს ისეთივე თავისუფლების მიღწევისკენ მიმართული სოციალური პოლიტიკით“.

## **კონკურენცია, როგორც ყველას კეთილდღეობის**

### **მიღწევის საუკეთესო გზა**

ლ.ერჰარდი კონკურენციას სოციალური საბაზრო მეურნეობის ჩამოყალიბებისა და ეფექტიანად ფუნქციონირების აუცილებელ პირობად განიხილავს. მისი აზრით, კონკურენცია, ერთი მხრივ, ყველას აძლევს სამეურნეო პროგრესის შედეგებით სარგებლობის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი ანადგურებს ყველა იმ პრივილეგიას, რომელიც უშუალოდ არ წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შედეგს. კონკურენციის საშუალებით შესაძლებელია მიღწეულ იქნას „ეკონომიკური პროგრესისა და მოგების სოციალიზაცია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით“ და ამავე დროს „იგი ოდნავადაც არ ამცირებს უფრო მწარმოებლური საქმიანობის მიმართ თითოეული ინდივიდის სტიმულს“. ერჰარდი ასევე მიუთითებს, რომ „კონკურენცია უზრუნველყოფს ჯანსაღ თანაფარდობას მსყიდველობითუნარიანობასა და ფასებს შორის, მას მივყავართ ფართო მასების მსყიდველობითუნარიანობის ამაღლებისაკენ, რაც საბოლოო ჯამში უდიდესი სტიმულის შემქმნელია წარმოებისათვის“. კონკურენციის სწორედ ამ პოზოტიური თვისებიდან გამომდინარე, მასზე „დაფუძნებული სახალხო მეურნეობა მეურნეობრიობის საუკეთესო ფორმაა, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის, ასევე დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების თვალსაზრისით“. პირიქითაა იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს კონკურენცია. მაშინ იწყება სტაგნაცია, რომელსაც ბოლოს და ბოლოს, საზოგადოება გაქვავებულ მდგომარეობაში შეჰყავს. ასეთ საზოგადოებაში ყოველი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი ცდილობს იმის შენარჩუნებას რაც გააჩნია და არ ზრუნავს „სახალხო მეურნეობის აყვავების ისეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, როგორცაა, მაგალითად, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება“.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ.ერჰარდი კონკურენციის დაცვას და უზრუნველყოფას თავისუფალ საზოგადოებაში, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად მიიჩნევს და კატეგორიულად ილაშქრებს კარტელების წინააღმდეგ, რომლებსაც თავისუფალი კონკურენციის მთავარ შემზღვეველ ძალად განიხილავს.

ლ.ერჰარდის კონცეფციაში ცნებები „კეთილდღეობა ყველასათვის“ და „კეთილდღეობა კონკურენციის საშუალებით“ უშუალოდაა ერთმანეთთან დაკავშირებული – პირველი მიზანია, მეორე კი – ამ მიზნის მიღწევის საშუალება.

## თავისუფლების პრობლემა სოციალური

### საბაზრო მეურნეობის პირობებში

ლ.ერჰარდის აზრით, თავისუფლება ერთიანი და განუყოფელი ცნებაა. იგი წერს: „ჩემი გაგებით, პოლიტიკური და სამეურნეო თავისუფლება და ზოგადად ადამიანის თავისუფლება რთულ ერთიანობას წარმოადგენს. შეუძლებელია მასში ერთი ნაწილის ამოგლეჯა ისე, რომ არ ჩამოიშალოს ყველა სხვა დანარჩენი“. ადამიანის თავისუფლების საფუძველია მისი ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც, ერჰარდის აზრით, რამდენიმე მიმართულებით ვლინდება. კერძოდ: ა) „მომხმარებლის თავისუფლება“; ბ) მწარმოებლის (მეწარმის) თავისუფლება; გ) ბაზარზე ფასწარმოქმნის თავისუფლება და დ) კონკურენციის თავისუფლება.

ლ.ერჰარდი ანალიზს იწყებს „მომხმარებლის თავისუფლებით“ და მიიჩნევს, სწორედ ის განსაზღვრავს მწარმოებლის (მეწარმის) თავისუფლებასაც. მომხმარებლის თავისუფლება მდგომარეობს ბაზარზე მომხმარებლის თავისუფალ არჩევანში ნებისმიერი მწარმოებლის (მიმწოდებლის) ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების მიმართ. იგი საფუძველშივე ეწინააღმდეგება „ძალდატანებით განაწილებას“, რომელიც ტოტალიტარული სისტემებისთვის (გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმი და საბჭოთა კავშირში „კომუნიზმი“) იყო დამახასიათებელი. მეწარმის თავისუფლება გამოიხატება იმაში, რომ მას თავისუფლად შეუძლია აწარმოოს და გაყიდოს ის პროდუქცია, რომელიც შეესაბამება მომხმარებლის მოთხოვნას და მწარმოებელს წარმატებას უქადის.

ლ.ერჰარდი შორს დგას თავისუფლების ლიბერალურ – ლიბერტიარიანული და მით უმეტეს, ანტიქრისტიანული გაგებისაგან. მას კარგად ესმის, რომ ერთი ინდივიდის თავისუფლება თავდება იქ, სადაც მისგან გამომდინარე საფრთხე ექმნება მეორე ინდივიდის თავისუფლებას. ამასთან ერთად, ერჰარდისთვის თავისუფლება წარმოუდგენელია პასუხისმგებლობის გარეშე, ისე, როგორც დაუშვებლად მიაჩნია თავისუფლების ბოროტად გამოყენება. თავისუფლებას პასუხისმგებლობის გარეშე, ერჰარდის მტკიცე რწმენით, „გადაგვარებამდე და ქაოსამდე მივყავართ“.



აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი მუდმივად საუბრობს – მეწარმეების, დაქირავებული მუშების, სახელმწიფო მოხელეების, პარტიების, პროფკავშირული გაერთიანებების და ა.შ. სოციალურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც, მისი აზრით, მათ შორის სოციალური თანამშრომლობის (პარტნიორობის) საფუძველია.

ლ.ერჰარდის მოცემულ ნაშრომში თავისუფლება განიხილება საყოველთაო კეთილდღეობის საფუძვლად და შედეგად: „ვერავინ გადამარწმუნებს იმაში, რომ სწორედ სიღარიბეა ის მიზეზი, რომელიც ადამიანს ყოველდღიური წვრილმანი მატერიალური საჭიროების ჭაობში სულიერად ახრჩობს“ – აღნიშნავს იგი და აგრძელებს: „ჩემი აზრით, მხოლოდ გენიოსებს ძალუბთ მატერიალურ გაჭირვებაზე ამალლება. ზოგადად კი, მატერიალურზე ყოველდღიური ზრუნვა ადამიანებს არათავისუფლებაში ამყოფებს: ისინი საკუთარი მატერიალური „მოთხოვნებისა და მისწრაფებების მონობაში რჩებიან“. მაშასადამე, მხოლოდ ეფექტიანად ფუნქციონირებადი სამეურნეო სისტემა და მისგან გამომდინარე ადამიანთა კეთილდღეობის მაღალი დონე არის ის ფუნდამენტური პირობა, რომელიც განაპირობებს საზოგადოების ისტორიულ ნახტომს „აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყაროში“. აღნიშნულ პირობას კი ნებისმიერ შემთხვევაში თავისუფალ, შეუზღუდავ და სამართლიან კონკურენციაზე დაფუძნებული, მომხმარებლისა და მწარმოებლის თავისუფლების უზრუნველმყოფელი საბაზრო მეურნეობა წარმოადგენს.

## **საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევაში**

### **სახელმწიფოს როლის შესახებ**

ლ.ერჰარდის „კეთილდღეობა ყველასთვის“, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, იწყებოდა ფაშისტური ხელისუფლების პირობებში ჩამოყალიბებული ეკონომიკის ტოტალიტარული და იძულებითი მართვის დამღვევის პროცესში, რაც, რა თქმა უნდა, თავის დაღს ასვამდა ზოგადად მეცნიერის ნააზრევს, და კერძოდ, სახელმწიფოს როლთან მიმართებაში მის მოსაზრებას. იგი კატეგორიულად ილაშქრებს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საყოველთაო რეგულირების წინააღმდეგ და წერს: „შეუძლებელია ეკონომიკის ორივე მხრიდან მართვა. არ შეიძლება საქონელთა ნაკადის

ადმინისტრაციული რეგულირების შეთავსება ბუნებრივი მოთხოვნით განსაზღვრულ განაწილების წესთან... მე კატეგორიულად უარვყოფ დაგეგმვის პრინციპს იქ, სადაც იგი განაპირობებს ადამიანის, როგორც მომხმარებლის და მწარმოებლის უფლებებისა და თავისუფლების შელახვას“. ერჰარდი თვლის, რომ „სახელმწიფოს საქმე არ არის იმის გარკვევა, თუ როგორ ხარჯავს თითოეული მოქალაქე თავის ფულს ანუ სახელმწიფო არ უნდა გამოვიდეს მორალის მასწავლებლის როლში. დაე, ყოველი თავისებურად იყოს ბედნიერი“. სახელმწიფო ბაზრის საქმიანობაში უნდა ერეოდეს იმ ხარისხით, რომელიც ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებიდან გამომდინარეობს. იგი უნდა უზრუნველყოფდეს კონკურენციის თავისუფლებას და აკონტროლებდეს იმ ბაზრებს, რომლებზეც „თავისუფალი კონკურენციის პირობები ვერ ვრცელდება“. ამ ზოგადი ეკონომიკური შინაარსის ფუნქციებთან ერთად ერჰარდი გამოყოფს სახელმწიფოს შედარებით კონკრეტულ ფუნქციებსაც. კერძოდ, იგი მიუთითებს შრომის მწარმოებლურობის ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევისა და შენარჩუნების აუცილებლობაზე. მისი აზრით გერმანიის ეკონომიკის რეფორმირების პროცესში ხელფასის ზრდა გამართლებული იყო, ვინაიდან შრომის პროდუქტიულობის ზრდაში მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული. საბოლოოდ კი ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაზრდაში, რომელიც წარმოების ზრდის მნიშვნელოვან სტიმულად მოგვევლინა: „მწარმოებლურობისა და პროდუქციის ზრდის პირობებში და მათგან გამომდინარე, იზრდება ნომინალური ხელფასი, ფასები სტაბილიზდება ან ეცემა, რასაც ყველას კეთილდღეობამდე მივყავართ“. იმავდროულად ერჰარდი მთელი კატეგორიულობით მიუთითებს, რომ „შრომის მწარმოებლურობის საზღვრებიდან გასული ხელფასის ზრდა უაზრო და საზიანოა. მომხმარებელთა ფართო მასები დაინტერესებული უნდა იყვნენ სტაბილური ფასების შენარჩუნებაში“. სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციად მეცნიერს ასევე მიაჩნია ეკონომიკური ექსპანსიის მხარდაჭერა და წახალისება. ექსპანსია, რა თქმა უნდა, ძირითადად მიმდინარეობს ეკონომიკური თავისუფლების, თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე, მაგრამ მის ინსტიტუციურ–სამართლებრივ ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფაში საკმაოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მონაწილეობა. ასევეა საუბარი ეროვნული ვალუტის სიმყარის ანუ ინფლაციური ტენდენციების შერბილებისა და აღმოფხვრის აუცილებლობაზე „თანმიმდევრული და

ეკონომიკური აღმავლობის პროცესში“. ერჰარდი წერს: „მყარი ვალუტის შენარჩუნება ჰარმონიული ეკონომიკური ზრდისა და უზრუნველყოფილი სოციალური პროგრესის აუცილებელი წანამდვარია. ფედერალური მთავრობის პოლიტიკა შემდგომშიაც უნდა იყოს მიმართული ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ“.

მიუხედავად იმისა, რომ ლ.ერჰარდი ცალსახად დგას თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული და სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული სამეურნეო სისტემის, ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობის უპირატესობის პლატფორმაზე. ამ სამეურნეო წესრიგის ჩარჩოებში სახელმწიფოს როლის მისეული ინტერპრეტირება აშკარად განსხვავდება „სახელმწიფოს, როგორც ღამის დარაჯის“ ლიბერალური და ლიბერტიანული გაგებისგან. იგი პირდაპირ მითითებს: „მე შორს ვდგავარ იმისგან, რომ უსიტყვოდ მივიღო საბაზრო მეურნეობის ორთოდოქსული წესები, რომლის მიხედვითაც მხოლოდ მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს ფასს და ამიტომ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელმა ეკონომიკური განვითარების ნებისმიერ ფაზაზე თავი უნდა შეიკავოს ფასების სფეროში ჩარევისაგან. პირიქით, მე ამ საკითხზე პრინციპულად განსხვავებული მოსაზრება გამაჩნია: თანამედროვე და საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო თავს უფლებას ვერ მისცემს კიდევ ერთხელ მიუბრუნდეს „ღამის დარაჯის“ როლს. ასე, არასწორად გაგებულმა თავისუფლებამ თვითონ თავისუფლება და თავისუფალი წყობა სამარეში ჩაიყვანა“. ეს მიდგომა კიდევ ერთხელ ნათლად იკვეთება საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების დიალექტიკის ავტორისეულ ინტერპრეტირებაში. ლ.ერჰარდი არ უარყოფს ნებისმიერ საზოგადოებაში ჯგუფური და კერძო ინტერესების არსებობას, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი არ უნდა განსაზღვრავდეს ეკონომიკური პოლიტიკის მაგისტრალურ მიმართულებას. მისთვის დაუშვებელია „ერთიანი სახალხო მეურნეობის დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად – ჯგუფურ ინტერესებად“. მისი აზრით „კერძო ინტერესთა შეჯახებას არ მივყავართ ნაყოფიერ სინთეზამდე“ და „კერძო ინტერესი შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი იმავდროულად ემსახურება საზოგადოების ინტერესებს“.

მამასადამე, აუცილებელია კერძო ინტერესების ისე რეგულირება, რომ ისინი წარიმართოს საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ.

## წარმოებისა და განაწილების შესახებ

მთელ ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს წარმოების პრიორიტეტულობის მტკიცება განაწილებასთან შედარებით. ერჰარდი კატეგორიულად მიუთითებს, რომ ეკონომიკური და სოციალური პროგრესის საფუძველთა საფუძველია წარმოების ამაღლება და სრულყოფა. მისი აზრით, სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა და მოქალაქეთა გადახდისუნარიანობის ამაღლება.

განაწილებასთან დაკავშირებით ლ.ერჰარდს თავის წიგნში მოჰყავს ასევე ცნობილი გერმანელი ნეოლიბერალის ვალტერ იოკენის შემდეგი მსჯელობა: „თუკი სწორია მსჯელობა, რომ შეიძლება მხოლოდ იმის განაწილება, რაც წინასწარაა შექმნილი, მაშინ ყველა სოციალური რეფორმატორის უპირველესი ამოცანა ისეთი სამეურნეო წესრიგის შექმნაა, რომელიც უმაღლესი ეფექტიანობით იფუნქციონირებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წარმოიშვას სხვა მოთხოვნები. თუ რომელიმე წყობაში ადამიანები თანაბრად შიმშილობენ, ეს არ არის სამართლიანი განაწილების ან სხვა რომელიმე სოციალური საკითხის გადაწყვეტა. ეს საკითხები არ წყდება ცუდი წესრიგის პირობებში, რაც არ უნდა ხმამაღლა ისმოდეს ლამაზი მოწოდებები ყველა ადამიანის საერთო ინტერესების შესახებ“. ერჰარდი მთლიანად იზიარებს ამ მოსაზრებას და დასძენს: „ცხოვრების დონის ამაღლება, რომელსაც ჩემი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად მივიჩნევ, წარმოადგენს არა იმდენად განაწილების, რამდენადაც წარმოების, უფრო ზუსტად, მწარმოებლურობის პრობლემას. საკითხის გადაწყვეტა მდგომარეობს არა ნაციონალური პროდუქტის გაყოფაში, არამედ მის გამრავლებაში. ვინც განაწილებას უთმობს მთავარ ყურადღებას, საბოლოოდ, მცდარ სურვილებამდე – იმაზე მეტი გაანაწილოს, ვიდრე ამის საშუალებას ნაციონალური მეურნეობა იძლევა – მიდის“. აქედან გამომდინარე, უპრიანია, რომ ერის მთელი ენერჯია წარიმართოს შრომის მწარმოებლურობის ზრდისკენ, რითაც შესაძლებელი გახდება „სახალხო მეურნეობაში ყველა დასაქმებულის შემოსავლების გაზრდა“.

**ლიტერატურა:**

ა.სილაგაძე. ეკონომიკური დოქტრინები; „ორდოლიბერალიზმი და სოციალური საბაზრო ეკონომიკა“. მთავარი თეორეტიკოსი – ვალტერ იიკენი. გვ. 477–482.

**Euken W.** Staatliche Strukturwandlungen und die krise des kapitalismus//ORDO. Bd. 48.-Stuttgart, 1997. S. 5-26.

**Эрхард Л.** Благосостояние для всех. М., 1991.

## თემა 10. ქართველი თეორეტიკოს -ეკონომისტების ორიგინალური შეხედულებები პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში

### ლექცია XII. (ნაწილი I)

#### ვლადიმერ (ლადო) პაპავას ნეკროეკონომიკის ზომბირების თეორია ისტორიული კონტექსტი

მრავალი ათეული წლის მანძილზე მსოფლიო ეკონომიკური აზროვნების განვითარებას განსაზღვრავდა ორი მიმართულების კეინზიანელობისა და ნეოკლასიკური სკოლის დაპირისპირება. გეგმიანი ეკონომიკისა და მისგან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები დასავლეთელი ეკონომისტისათვის “დროის დაკარგვად ითვლებოდა” (ლ. პაპავა). XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური (“კომუნისტური”) სისტემის დესტრუქციამ დღის წესრიგში დააყენა ტოტალურად გასახელმწიფოებრივებულ საკუთრებაზე დამყარებული დირექტიულად მართული ეკონომიკიდან კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, თანამედროვე ეკონომიკური თეორია კი მზად არ აღმოჩნდა ასეთი ეპოქალური მნიშვნელობის ტრანსფორმაციიდან გამომდინარე მრავალ საჭირობოროტო კითხვაზე პასუხის გასაცემად. შეიძლება ითქვას, რომ: 1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორია ჯერჯერობით საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის და 2. ასეთი თეორიის შექმნა თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ხდება.



ვლადიმერ (ლადო)  
პაპავა

ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს ვლადიმერ (ლადო) პაპავას ღირსეული ადგილი უკავია პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის (დასავლეთის მეცნიერთა ტერმინოლოგიით - “ეკონომიკური ტრანზიტოლოგიის”) თეორიაში, მსოფლიოში ისეთი აღირებული მკვლევარების გვერდით, როგორებიც არიან: უნგრელი იანოშ კორნაი,

ამერიკელი ჯეფრო საქსი, პოლონელები - ლეშეკ ბალცეროვიჩი და გჟეგომ კოლოდკო, შვედი ანდერს ოსლუნდი და სხვ.

მსოფლიო ეკონომიკურ ტრანზიტოლოგიაში პროფესორი ლ. პაპავა შევიდა მნიშვნელოვანი, ორიგინალური და უკვე საკმაოდ აღიარებული მიმართულებით - ნეკროეკონომიკური თეორიით (ნეკროეკონომიკსით) და გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისებით განპირობებული ამ თეორიის თანამედროვე ნაირსახეობით - ნეკროეკონომიკის ზომბირებით.

ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებული ა. ოსლუნდი - საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის (ვაშინგტონი, აშშ) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ლ. პაპავას მეცნიერული დამსახურების შეფასებისას აღნიშნავს: “ნეკროეკონომიკის მნიშვნელობა უდიდესია, რადგან გაადვილებულია ეკონომიკური პოლიტიკის გაგება იმ ქვეყნებისათვის, სადაც სუსტი ინსტიტუტებია”.

### “მკვდარი, ანუ ნეკროეკონომიკის სამყარო”

ლ. პაპავა აღნიშნავს, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არაკონკურენტუნარიანი, დაბალხარისხიანი და, ხშირ შემთხვევაში, ძვირადღირებულიცაა. “ასეთი პროდუქციის ბაზარი არ არსებობს, და პრინციპში, შეუძლებელიცაა, რომ არსებობდეს”. მსგავსი ტიპის ეკონომიკას ლ. პაპავა უწოდებს “მკვდარ”, ანუ “ნეკროეკონომიკას” (ტერმინი წარმოდგება ბერძნული “**nekro**”-აგან, რაც მკვდარს ნიშნავს). ნეკროეკონომიკის შემსწავლელ თეორიას იგი უწოდებს “ნეკროეკონომიკს”, ანუ ნეკროეკონომიკურ თეორიას. მეცნიერის აზრით, ნეკროეკონომიკა ყალიბდება პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში იმ პათოლოგიებიდან გამომდინარე, რომელიც კომუნისტური ორიენტაციის ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი. ეს პათოლოგიებია:

- ერთობლივ შიდა პროდუქტში საშინაო და საგარეო ვაჭრობისა და მომსახურების ხვედრითი წილის სიმცირის ხარჯზე მრეწველობას ძალიან მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს;

- სამრეწველო პროდუქციის უდიდესი ხვედრითი წილი, მოხმარების საშუალებათა სიმცირის ხარჯზე, წარმოების საშუალებებზე მოდის;
- საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება უაღრესად დაბალია;
- ფართო მასშტაბით იწარმოება მოხმარებისათვის გამოუსადეგარი პროდუქცია;
- სამრეწველო წარმოებაში მოძველებული პროდუქციის წარმოებას ძალიან მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს.

პოსტკომუნისტურ გარდამავალ ქვეყნებში ნეკროეკონომიკის გარდა არსებობს ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანი ნაწილი, ანუ, ავტორის ტერმინით, **ვიტალური ეკონომიკა** (წარმოდგება ლათინური **“Vita”**-საგან, რაც სიცოცხლეს ნიშნავს). მის შემსწავლელ თეორიას ვ. პაპავა უწოდებს ვიტაეკონომიკურ თეორიას, ანუ **ვიტაეკონომიკს**.

ნეკროეკონომიკა და ვიტაეკონომიკა პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილებია და მათ შორის არსებობს როგორც მსგავსება, ისე განსხვავებაც. მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ ნეკროეკონომიკაში, ვიტაეკონომიკის მსგავსად, საქონლის წარმოება და მისი მიწოდება, პრინციპში, შესაძლებელია. განსხვავება კი ის არის, რომ ნეკროეკონომიკაში წარმოებულ საქონელზე არანაირი მოთხოვნა არ არსებობს. მაშასადამე, ნეკროეკონომიკაში ყიდვა-გაყიდვის ნებისმიერი ნებაყოფლობითი აქტი გამორიცხულია და შეუძლებელია წონასწორული ფასის არსებობა.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდ ინტერესს იწვევს ერთი ეკონომიკური სისტემის შიგნით ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის თანაარსებობა ურთიერთზემოქმედების ასპექტი. თუკი ჩვენ ნეკროეკონომიკას ჩამორჩენილობის და კონკურენტუნარობის სინონიმად მივიჩნევთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მას, თუნდაც შეზღუდული სახით, ადგილი აქვს განვითარებულ საბაზრო სისტემაშიც. თუმცა, ამ შემთხვევაში, ეკონომიკის სიცოცხლისუნარიან ნაწილთან კონკურენციაში იგი ისე ქრება, რომ არავითარ პრობლემას არ ქმნის. სწორედ ამით ხსნის ლ. პაპავა იმ ფაქტს, რომ **“ტრადიციული ეკონომიკისი”**,



როგორც წესი, ნეკროეკონომიკას არ შეისწავლის. შესაბამისად, იგი დღის წესრიგში აყენებს “არატრადიციული ეკონომიკის” შექმნის აუცილებლობას.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში პრინციპულად განსხვავებული სიტუაციაა. კერძოდ, აქ ნეკროეკონომიკის როლი გაცილებით მნიშვნელოვანია. “პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკა” მრავალწყობიანობით გამოირჩევა და მასში გამოიყოფა ხუთი ჯგუფი:

1. სახელმწიფო სექტორში არსებული ნეკროეკონომიკა;
2. სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკა;
3. პრივატიზებული ნეკროეკონომიკა;
4. პრივატიზებული ვიტაეკონომიკა;
5. ახალი ინვესტიციების ბაზაზე შექმნილი კერძო სექტორის ვიტაეკონომიკა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ნეკროეკონომიკის არსებობას ლ. პაპავა ასაბუთებს ევოლუციონისტური და ინსტიტუციონალური თეორიების გამოყენებით. კერძოდ, ის გვთავაზობს “რუტინის” ცნებას, რომელშიაც იგულისხმება ფირმის (საწარმოს) ქცევის ჩამოყალიბებული წესები და ხერხები, რომლებიც არეგულირებენ ამ საწარმოების საქმიანობას. რუტინა ათწლეულების მანძილზე ის ინსტიტუციონალური კატეგორიაა, რომელიც ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკაში. მას შემდეგაც კი, როცა ეს სისტემა აღარ არსებობს, ძველი რუტინა კვლავ რჩება და აიძულებს საწარმოებს იმუშაონ, თუმცა მათი პროდუქცია არავის ჭირდება. ჩვენი აზრით, ლ. პაპავასეული “რუტინა” შინაარსეულად ახლოსაა ცნობილი უნგრელი ეკონომისტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ი. კორნაის “რბილი საბიუჯეტო შეზღუდვის” პრინციპთან, რომელიც გვიხსნის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკაში ე.წ. “გეგმიურად ზარალიანი” საწარმოების არსებობის მიზეზს. კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკაში საწარმო ვალებს აგროვებდა და ზოგჯერ შეგნებულადაც. შემდეგ მისი ხელმძღვანელობა სახელმწიფო ორგანოებში ამ ვალების ჩამოწერის საკითხს აყენებდა და უმეტეს შემთხვევაში თანხმობას იღებდა. ვალების ჩამოწერის ეს მექანიზმი რუტინად ტრანსფორმირებული იგივე რბილი საბიუჯეტო შეზღუდვაა, რომელიც

პოსტკომუნისტურ გარდამავალ ეკონომიკაში “თავს ახალ „საგადასახადო ამნისტიის” - საბურველში პერიოდულად ამჟღავნებს” (ლ. პაპავა).

ნეკროეკონომიკის შინაარსის ახსნა და პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე მისი უარყოფითი ზეგავლენის ჩვენება საშუალებას იძლევა იგი ფართოდ იქნეს გამოყენებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ეს უკანასკნელი გულისხმობს ზემოაღნიშნული ხუთი ჯგუფის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებულ მიდგომას. “ახალი”, ანუ საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი რუტინის ფორმირება საწარმოთა მეხუთე ჯგუფში ახლადშექმნილ კერძო სექტორში ხდება, რის გამოც ყველაზე მეტი ყურადღება ამ ჯგუფს უნდა მიექცეს, ხელი უნდა შეეწყოს ამ სექტორის ფეხზე დადგომას, გაფართოებას და განვითარებას. ამასთანავე, უნდა განხორციელდეს პირველი და მესამე ჯგუფის არეალის შეზღუდვა.

ძველი რუტინის დაძლევის თვალსაზრისით, ქართველი მეცნიერი ხაზს უსვამს სისტემური ინსტიტუციონალური გარდაქმნის აუცილებლობას. პირველ რიგში საკითხი შეეხება გაკოტრების შესახებ კანონის ამოქმედებას. ლ. პაპავა ერთგვარი სინანულით შენიშნავს, რომ ეს კანონი “მკვდრადშობილია”, ანუ ნეკროკანონია, და მის შესაბამისად, საქართველოში არც ერთი ფაქტობრივად გაკოტრებული საწარმო იურიდიულად არ გაკოტრებულა.

ინსტიტუციონალურ სფეროში არსებულ სირთულეებს ისიც განაპირობებს, რომ ნეკროეკონომიკურ საწარმოებს მიმიკრია (“mimicry” ბერძნული სიტყვაა და შეგუებას ნიშნავს. ბიოლოგიაში ის გულისხმობს ზოგი სახეობის ცხოველისა და მცენარის თავდაცვით შეგუებას, ფორმით ან ფერით დამსგავსებას გარემო საგნებთან, ცხოველებთან და მცენარეებთან) ახასიათებს. პოსტკომუნისტურ გარდამავალ ეკონომიკაში ნეკროეკონომიკური ტიპის საწარმოები ხშირად ფორმით საბაზრო ეკონომიკის ფორმებს ემსგავსებიან, თუმცა მათი ძველი შინაარსი უცვლელი რჩება.

ამრიგად, ლ. პაპავას აზრით, “საბაზრო სისტემის შესატყვისი “რუტინის” ჩამოყალიბება, პოსტსაქმოსნების მეწარმეებით ჩანაცვლება და შედეგად ნეკროეკონომიკის მოსპობა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ფორმირების

ხელშემწყობი ინსტიტუტების შექმნით იქნება შესაძლებელი. ნეკროეკონომიკის მოსპობა კი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის კაპიტალისტურ ეკონომიკად გარდაქმნის პროცესის დასრულების ძირითადი და თანაც უტყუარი ინდიკატორია”. აღნიშნულს ჩვენ დავუმატებთ იმას, რომ ნეკროეკონომიკის აღმოსაფხვრელად ასევე აუცილებელია ხელისუფლების პოლიტიკური ნება და ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი.

ინსტიტუციონალური თეორიის თანახმად, ინსტიტუციონალური ნორმებისა და წესების მატარებლები ადამიანები არიან. საკითხი აქ შეეხება არა კონკრეტულ ინდივიდებს, არამედ ადამიანთა ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებულ (განსაზღვრულ) მოდელს. ლ. პაპავას მოსაზრების თანახმად, “ნეკროეკონომიკის აღმწარმოებელ რუტინას განაპირობებს იმ ადამიანის ქცევა, რომელიც მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ჩამოყალიბებული **homo soveticus**-იდან (ანუ სახელმწიფოს მიერ ჩაგრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული ადამიანიდან) საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ადამიანის ტიპზე – **homo economicus**-ზე (ანუ ადამიანზე, რომლის განმსაზღვრელი მოტივებია ოჯახში მაქსიმალური სარგებლიანობის, ხოლო ფირმაში - მაქსიმალური მოგების მიღება) გარდამავალ პროცესში იმყოფება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომლებიც განიცადა ამ კატეგორიამ სმიტის შემდგომ ეპოქაში”. კვლევის ლოგიკიდან გამომდინარე, **homo economicus**-ისა და **homo soveticus**-ის გვერდით, ლ. პაპავა ამკვიდრებს **homo transformativus**-ის ახალ ცნებას, რომელსაც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის “მთავარ გმირს” უწოდებს. ეს არის ადამიანი, რომელმაც “ვერ შეძლო მთლიანად განთავისუფლებულიყო სახელმწიფოს წინაშე შიშისაგან და მის ხარჯზე არსებობის ჩვევისაგან, თუმცა, ამავდროულად, იწყებს მოქმედებას მაქსიმალური სარგებლიანობისა და მოგების მიღებისათვის თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე”. **homo transformativus**-ის წინამორბედად მეცნიერი მიიჩნევს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის “ჩრდილოვან სექტორში” დაკავებულ ადამიანებს, რომლებსაც ეწოდებათ არა “მეწარმეები”, არამედ საქმოსნები. “ტრანსფორმაციული ადამიანის ეკონომიკურ ადამიანად გადაქცევის მსგავსად, საქმოსნების მეწარმეებად გადაქცევაც რთული, წინააღმდეგობრივი და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელშიაც **homo**

**transformaticus** სამეწარმეო სფეროში პოსტსაქმოსნის სახით გვევლინება. ეს უკანასკნელი დგას ნეკროეკონომიკის უკან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. “პოსტსაქმოსნები”, იყენებენ რა ძველ კავშირებს, აღწევენ სახელმწიფო სტრუქტურებში როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში. თავიანთი გავლენით ცდილობენ გაამართლონ და გაახანგრძლივონ ნეკროეკონომიკის არსებობა.

## ნეკროეკონომიკის ზომბირება

ეკონომიკის მკვდარი სამყაროს პაპავასეული ანალიზი მხოლოდ ნეკროეკონომიკით არ შემოიფარგლება. მასთან ერთად მეცნიერი იკვლევს “**ზომბი-ეკონომიკის**” ფენომენს, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაისახა იაპონიაში. “ზომბი-ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს არაგადახდისუნარიანი, ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმები, რომლებიც იმავდროულად განაგრძობენ ფუნქციონირებას, რის გამოც მათ “ზომბებს” უწოდებენ”. მათი არსებობის ძირითადი ფინანსური წყაროა დაკრედიტების სისტემა, რომელსაც ახორციელებს “ზომბი-ბანკები”. ისინი შეღავათიანი პირობებით (საშუალო საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით) აძლევენ კრედიტებს ზომბი-ფირმებს. ზომბი-ბანკების უკან კი, როგორც წესი, დგას მთავრობა, რომელიც გასცემს სამთავრობო გარანტიებს და ახორციელებს დეპოზიტების დაზღვევას. ლ. პაპავა ხაზგასმით მიუთითებს, რომ ზომბი-ეკონომიკა, ნეკროეკონომიკისაგან განსხვავებით, საბაზრო ეკონომიკის პროდუქტია, თუმცა, ნეკროეკონომიკის მსგავსად, ისიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკის სიცოცხლისუნარიან ნაწილს და წარმოქმნის ასეთი უარყოფითი ზეგავლენის რამდენიმე მიმართულებას:

- ბაზარზე ჯანსაღი ფირმების გაჩენისა და არსებობის შესაძლებლობის შეზღუდვა;
- ჯანსაღი ფირმების ზომბი-ფირმებად გადაქცევის სტიმულის წარმოქმნა;
- უზარმაზარი რესურსების არაეფექტიანი ხარჯვა;
- მთელი ეკონომიკის ეფექტიანობის დაქვეითება.

ავტორის აზრით, ზომბი-ეკონომიკა ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს და აქ შემდეგი მექანიზმი მოქმედებს: რეცესიის პირობებში კომპანიებს უზარმაზარი

ფინანსური დანაკარგები უჩნდებათ, უმუშევრობა მატულობს, ხელფასები მცირდება და ზოგადად ცხოვრების დონე ქვეითდება. ამ დროს, როგორც წესი, კომპანიები მთავრობისაგან ითხოვენ ფინანსურ დახმარებას და ისიც იძულებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა, რათა თავიდან აიცილოს ეკონომიკური კოლაპსი. ყოველივე აღნიშნული განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა 2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს, რომლისგანაც თავის დაღწევა სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორისადმი უზარმაზარი ფინანსური დახმარების გაწევით მოხერხდა.

ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი რაღაც მომენტში მთავრდება და საბაზრო ეკონომიკა მისგან მემკვიდრეობით იღებს არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, რომელიც ცდილობს სტაგნაციის პერიოდში მიღებული ფინანსური მხარდაჭერის სისტემის შენარჩუნებას. ასე ყალიბდება ზომბი-ეკონომიკის რუტინა, რომლის მატარებელია არა უბრალოდ **homo economicus**-ი, არამედ “მისი ისეთი მუტანტი, რომელიც ფინანსური კრიზისის გამო დეფორმირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებთან შეგუების, ადაპტირების პროცესში ჩამოყალიბდა”. ამ მუტანტს ლ. პაპავა უწოდებს **zombie-economicus**. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა:

- ზომბი-ეკონომიკა, როგორც ასეთი, ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს;
- ზომბი-ეკონომიკა აღწარმოებადი ფენომენია, რასაც განაპირობებს კრიზისის პირობებში ჩამოყალიბებული ფორმების ქცევის წესი, ანუ ზომბი-ეკონომიკის რუტინა;
- ზომბი-ეკონომიკის რუტინის მატარებელია **zombie-economicus**, რომელიც **homo economicus**-ის მუტანტს წარმოადგენს.

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკა გლობალური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ამ ტიპის ეკონომიკაზე. ეს ზეგავლენა სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება. პროფ. ლ. პაპავას ყურადღების ცენტრში ექცევა მისი ერთ-ერთი ყველაზე რთული და ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი ასპექტი ნეკროეკონომიკის ზომბირება. იგი მიუთითებს, რომ “პოსტკომუნისტური

კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის ეკონომიკის ზომბირების საფრთხე ნეკროეკონომიკის გამოც არის დამძიმებული”. ამ მსჯელობიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მეცნიერი ნეკროეკონომიკის ზომბირებას ზოგადად ეკონომიკის ზომბირების ნაწილად განიხილავს. შესაბამისად, ნეკროეკონომიკის ზომბირება “მკვდარი ეკონომიკის” თეორიის ელემენტია. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისა და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკაში განვითარებული ფინანსური კრიზისი ხელს უწყობს ისეთი სამთავრობო პროგრამების შემუშავება-რეალიზებას, რომლებიც გულისხმობს გაკოტრების პირას მდგარი ფირმებისა და ბანკების ფინანსურ მხარდაჭერას. ამ მიზნით მნიშვნელოვნად არის გააქტიურებული გრძელვადიანი შეღავათიანი დაკრედიტებისა და ინვესტირების მიზნით შექმნილი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ თეორიაში კარგა ხანია დამტკიცებულია და მსოფლიო გამოცდილებითაც დადასტურებულია ეკონომიკის სახელმწიფო შეღავათიანი დაკრედიტების დამღუპველი ხასიათი, განვითარებული და პოსტკომუნისტური ქვეყნებიც ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ ისევ და ისევ ამ ინსტრუმენტს მიმართავენ” - აღნიშნავს ლ. პაპავა. მაშასადამე, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში ადგილი აქვს ნეკროეკონომიკის ზომბირებას, რაც “ბევრად უარესია, ვიდრე უბრალოდ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზომბირება”. სიტუაციის სირთულეს განაპირობებს ის გარემოება, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ნეკროეკონომიკა შედარებით დიდი მასშტაბითაა წარმოდგენილი, მისი ზომბირება კი ძალიან ართულებს და ახანგრძლივებს ნეკროეკონომიკის ლიკვიდაციის პროცესს. პრობლემის კვლევის ლოგიკა განაპირობებს ნეკროეკონომიკისა და ზომბი ეკონომიკის კატეგორიათა შედარებით დახასიათებას. ავტორის მიერ კეთდება დასკვნა, რომ ნეკროეკონომიკის დაძლევა, როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი, გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ზომბი-ეკონომიკის გადალახვა. პირველი შეიძლება განხორციელდეს გარდამავალი და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის განვითარებულ საბაზრო ეკონომიკად ტრანსფორმაციის შედეგად, ხოლო ზომბი-ეკონომიკის დაძლევის ერთადერთ გზად მიჩნეულია გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენება,

რაც, ლ. პაპავას, აზრით, ჯერჯერობით მიუღწეველია არამარტო პოსტკომუნისტურ, არამედ ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიაც.

პროფ. ლ. პაპავას თეორიას ბევრი დადებითი მხარე გააჩნია. ჩვენი აზრით, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მისი გახსნილობა, რაც საშუალებას იძლევა:

- მოცემული თეორიული სისტემა გაღრმავდეს და დაკონკრეტდეს გლობალურ ეკონომიკაში პერმანენტულად მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე;
- ჩამოყალიბდეს მოსალოდნელი ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების პროგნოზირების ქმედით თეორიულ-მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტად;
- მოხდეს მოცემული თეორიის ინტეგრირება ზოგიერთ სხვა საინტერესო და აქტუალურ კონცეფციებთან.

ჩამოთვლილთაგან შევჩერდებით მესამე მიმართულებაზე. ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ნეკროეკონომიკის ზომბირების ურთიერთკავშირის შესწავლა შუმპეტერისეული ევოლუციონისტური თეორიის იმ ფუნდამენტურ პრინციპთან, რომელიც შეეხება ეკონომიკური აგენტის ორი ტიპის ნოვატორისა და კონსერვატორის გამოყოფას და მათი ურთიერთმიმართების დიალექტიკას. შუმპეტერის თანახმად (როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ წინა ლექციაში), ეკონომიკის პროგრესს განსაზღვრავს უწყვეტი კონკურენცია ნოვატორებსა და კონსერვატორებს შორის. სამეურნეო საქმიანობის დაწყებისას ნოვატორი რესურსებზე მოთხოვნის გაზრდით, ხელს უწყობს მათზე ფასების მატებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უარესდება კონსერვატორის მდგომარეობა, რომლის პროდუქციაც დაბალი ხარისხის გამო არაკონკურენტუნარიანია და არ არსებობს (ან ძალზე შეზღუდულია) მასზე მოთხოვნა. მაშასადამე, კონსერვატორის საქმიანობა ზარალიანია და მას არ შეუძლია არსებობა გარედან დახმარების გარეშე. ამასთანავე, შუმპეტერის პარადიგმის თანახმად, რომელსაც ეწოდება მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვის თეორემა, არცერთი კომერციული ბანკი არ გასცემს კრედიტს კონსერვატორის ფინანსური დანაკარგების ასანაზღაურებლად. ამ შემთხვევაში რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ეკონომიკის ზომბირება გულისხმობს შუმპეტერისეული მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობის დარღვევას? რა არის

ეს? ამ თეორემის უარყოფა, თუ მისი მოდიფიცირება? ეს არის შეკითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემა შემდგომ გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს. ასევე მნიშვნელოვანია ზომბი-ფირმებისა და ზომბი-ბანკების დაფინანსების მექანიზმის არსის, აღნიშნულ პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხის და რიგი სხვა ასპექტების შესწავლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ პროფ. ვლადიმერ (ლადო) პაპავას “ნეკროეკონომიკის ზომბირების თეორია” მისი შემდგომი განვითარება-სრულყოფის მნიშვნელოვან შინაგან იმპულსს შეიცავს.



*ლექცია XII. (ნაწილი II) ვლადიმერ პაპავა და იური ანანიაშვილი*

**გადასახადების მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედების  
ორიგინალური ინტერპრეტაცია პროფ. ი. ანანიაშვილისა და აკად.  
ვ.პაპავას მიერ ანუ ლაფერ–კეინზიანური სინთეზი**



*იური ანანიაშვილი*

პროფ. იური ანანიაშვილმა და აკად. ვლადიმერ პაპავამ ერთობლივ ნაშრომში „გადასახადების მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ–კეინზიანური სინთეზი“ (2009წ.) ჩამოაყალიბეს ლაფერ–კეინზიანური სინთეზის იდეა და მისი შესაბამისი მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი. წარმოდგენილ მოდელში ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია ეფუძნება კეინზიანურ პრინციპებს, ერთობლივი მიწოდების ფუნქცია კი ლაფერის პოსტულატებს. აღნიშნულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით მეცნიერებმა აჩვენეს, რომ მხოლოდ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრა თავისთავად არ იძლევა სრული დასაქმების შესაბამის წონასწორობაში წარმოების გადასვლის ან ბიუჯეტში მაქსიმალური შემოსავლების მობილიზების შესაძლებლობას. ლაფერ–კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებასა და სრული დასაქმების დაბეგვრის რეჟიმთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერთობლივი მოთხოვნა.

გადასახადების უზარმაზარი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე ამ პრობლემაზე უამრავი ნაშრომია შესრულებული. ხშირ შემთხვევაში ხაზი ესმევა გადასახადების წინააღმდეგობრივ ბუნებას: ერთი მხრივ, გადასახადების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობა–ფუნქციონირება, მეორე მხრივ კი „ეკონომისტებს შორის ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ გადასახადები აფერხებს ეკონომიკურ საქმიანობას, ამცირებს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებას და იწვევს აუნაზღაურებელ დანაკარგებს“. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გადასახადების კატეგორიის შესწავლა მაკროდონეზე, ანუ იმის დადგენა, თუ რა ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა საგადასახადო რეჟიმი და საგადასახადო განაკვეთი როგორც ზოგადად მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე, ასევე დასაქმების დონეზე, რა უფრო არსებითია – გადასახადებიდან

სახელმწიფოსთვის მოტანილი დადებითი ეფექტი, თუ გადასახადებიდან მიღებული დანაკარგი, როგორი უნდა იყოს ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური აქტიურობის მიღებას ან მაქსიმალურ შემოსავლებს ბიუჯეტში და ა.შ.

ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ საშუალო გადასახადის გარკვეულ საზღვრებში შემცირება მიწოდებაზე ორიენტირებულ ეკონომიკაში ერთობლივი მიწოდების, ხოლო კეინზიანიზმში ერთობლივი მოთხოვნის მასტიმულირებელია. აკად. ვ. პაპავამ ერთ-ერთმა პირველმა დააყენა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის საკითხი და ძირითადად ამ საკითხის სიღრმისეულ დასაბუთებას ეძღვნება მოცემული ნაშრომი.

მაკროეკონომიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებში გადასახადებისა და ერთობლივი მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნადაა განსაზღვრული. ითვლება, რომ გადასახადების გადიდება ერთობლივ მოთხოვნაზე მოქმედებს უარყოფითად, შემცირება კი დადებითად. საკითხის ამგვარი განხილვა, წიგნის ავტორთა აზრით, „მნიშვნელოვნად ამარტივებს რეალურად არსებულ მდგომარეობას. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ გარკვეულ სიტუაციაში გადასახადების ზრდა ერთობლივი მოთხოვნის გადიდების, შემცირება – კი ერთობლივი მოთხოვნის შემცირების პირობას წარმოადგენს“. აღნიშნული თეზისის დასაბუთებას ეძღვნება ნაშრომის პირველი თავი, რომლებშიაც ავტორები განიხილავენ ერთობლივი კეინზიანური მოდელის სამ ვარიანტს და აკეთებენ სამ მნიშვნელოვან თეორიულ დასკვნას. კეინზიანური მოდელის I ვარიანტში, როცა სახელმწიფო შესყიდვები და წმინდა გადასახადები ერთმანეთზე დამოკიდებული არ არის, ბუნებრივია, როცა საშუალო საგადასახადო განაკვეთი ( $t$ ) იზრდება და სახელმწიფო შესყიდვები ( $G_0$ ) ფიქსირებულია, მაშინ ეკონომიკური წრებრუნვიდან სახსრების გარკვეული ნაწილის გადინება ხდება, რაც სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფითად აისახება ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეზე და იწვევს წონასწორული გამოშვების შემცირებას.

რეალურ სინამდვილესთან გაცილებით მიახლოებულია ერთობლივი მოთხოვნის კეინზიანური მოდელის II ვარიანტი, რომელშიაც სახელმწიფო შესყიდვები ( $G$ ) და წმინდა გადასახადები ( $T$ ) წარმოდგენილია არა ერთმანეთისგან იზოლირებულად, არამედ ერთმანეთთან კავშირში. შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნის კეინზიანური მოდელის მეორე ვარიანტის თანახმად, სხვა თანაბარ პირობებში, გადასახადების

ზრდა ხელს უწყობს გამოშვების მოცულობის ზრდას, მაგრამ ამ გზით მიღებული მთლიანი ეფექტი მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფას ხმარდება. ამასთანავე, შინამეურნეობების მოხმარების სიდიდე გამოშვების ზრდის მიუხედავად უცვლელი რჩება, ისევე როგორც ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტის სიდიდე, რადგანაც ეს მახასიათებლები მოდელში შეყვანილია ეგზოგენურად მოცემული ფიქსირებული სახით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ეკონომიკური პოლიტიკის თვასაზრისით მნიშვნელოვანი კიდევ ერთი დასკვნა: „ერთობლივი მოთხოვნის წასახალისებლად და წონასწორული გამოშვების გასადიდებლად მიზანშეწონილია საშუალო საგადასახადო განაკვეთის გაზრდა“. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა: ა) შინამეურნეობათა ზღვრული მიდრეკილება მოხმარებისადმი დაბალია და ბ) სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა ხორციელდება გადასახადების ვალის ან ორივეს ერთდროულად ცვლილების პირობებში. ერთობლივი მოთხოვნის კეინზიანური მოდელის მესამე ვარიანტში საშუალო საგადასახადო განაკვეთის როლი იმით განისაზღვრება, თუ როგორ თანაფარდობაშია ერთმანეთთან შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება **b** და სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება **g**. როცა **b0g**, მაშინ საშუალო საგადასახადო განაკვეთის ზრდა ამცირებს ხარჯებისადმი შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს ერთობლივ ზღვრულ მიდრეკილებას, ამიტომ, სხვა თანაბარ პირობებში, საგადასახადო განაკვეთის გაზრდა წონასწორული გამოშვების შემცირებას იწვევს. წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთის გაზრდა იწვევს შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს ერთობლივ ზღვრული მიდრეკილების ზრდას, რაც სხვა თანაბარ პირობებში, ერთობლივი მოთხოვნისა და შესაბამისად, წონასწორული გამოშვების ზრდის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს. და ბოლოს, როცა **b=g**, მაშინ, როგორც შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს ერთობლივ ზღვრული მიდრეკილება, ასევე ერთობლივი მოთხოვნა საგადასახადო განაკვეთის მიმართ ინდიფერენტულია.

ამრიგად, ერთობლივ მოთხოვნაზე საშუალო საგადასახადო განაკვეთისა და მთლიანად გადასახადების ზრდის (კლების) ზემოქმედება ცალსახად უარყოფითად ან დადებითად არ შეიძლება იქნეს განსაზღვრული. იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორია მოხმარებისადმი შინამეურნეობების ზღვრული მიდრეკილების **b**-ს და შესყიდვების **g**-ს მნიშვნელობები, გადასახადების გადიდება შეიძლება გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის, როგორც შემცირება ასევე გადიდება. ამასთან, ვინაიდან **g**

სახელმწიფოს მხრიდან თავისუფლად რეგულირებადი პარამეტრია, მისი შესაბამისი მნიშვნელობის არჩევით, გადასახადების ზრდა ხელისუფლების მხრიდან შეიძლება მიზანმიმართულად იქნეს გამოყენებული, როგორც წამახალისებელი, ისე დამამუხრუჭებელი ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად.

ნაშრომის მეორე და მეოთხე თავები ეძღვნება ამერიკელ ეკონომისტს, მიწოდების ეკონომიკური თეორიის ერთ–ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ა.ლაფერის შეხედულებების ანალიზს. ეს თეორია გვიხსნის თუ რა დამოკიდებულება არსებობს საგადასახადო ტვირთის (საშუალო საგადასახადო განაკვეთის) სიდიდესა და სამეწარმეო აქტიურობას შორის, რომელიც საბოლოო ანგარიშში, ასახვას პოულობს მიწოდებაში.

ა. ლაფერის თეორიის თანახმად, გადასახადები ერთობლივ მიწოდებაზე ცალსახად არ მოქმედებს. ზემოქმედების მიმართულება დამოკიდებულია საგადასახადო ტვირთის ცვლილებებისას წარმოქმნილი დადებითი და უარყოფითი ეფექტების თანაფარდობაზე. ლაფერი და მისი მიმდევრები თავიანთ ნაშრომებში მიუთითებენ, რომ საშუალო საგადასახადო განაკვეთის ნულიდან გარკვეულ ნიშნულამდე ზრდას შეესაბამება ერთობლივი მიწოდების ზრდა, ხოლო ამ ნიშნულიდან ერთამდე ზრდას კი – კლება. ნულსა და ერთს შორის ამ შუალედში, რომელიც საშუალო საგადასახადო განაკვეთის შესაძლო მნიშვნელობათა არეს წამოადგენს, არსებობს განაკვეთის ორი, როგორც წესი, ერთმანეთისგან განსხვავებული მნიშვნელობა – ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილები. პირველი გვარის წერტილებში ერთობლივი მიწოდება მაქსიმალურია, ანუ ეკონომიკისა მთლიანი გამოშვება პოტენციურ დონეს უტოლდება. მეორე გვარის ფისკალურ წერტილს კი ბიუჯეტის მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლები შეესაბამება. ლაფერის წერტილების კონკრეტული მნიშვნელობების დადგენა ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის ერთ–ერთ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის ეკონომისტები დიდ ყურადღებას უთმობენ ლაფერის წერტილების განსაზღვრას.

ლაფერის წერტილების განსაზღვრის მოდელთა სიმრავლე შეიძლება ორ ჯგუფად – გარდაქმნის მოდელებად და ქცევით მოდელებად – დავყოთ. გარდაქმნის მოდელებში საგადასახადო ტვირთის სიმძიმე ზემოქმედებს წარმოებაში ჩართული რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე, ამცირებს ან ზრდის მას იმის მიხედვით, თუ რა სიმძიმისაა აღნიშნული ტვირთი. სხვანაირად რომ ვთქვათ, გარდაქმნის

მოდელებში ეკონომიკური რესურსების გამოყენების მოცულობა მოცემულია და ამ მოცემულობის პირობებში პირველი გვარის ფისკალური წერტილის განსაზღვრით ვცდილობთ გავიგოთ როგორი საგადასახადო განაკვეთის პირობებში მიიღწევა მაქსიმალური გამოშვება, ხოლო მეორე გვარის ფისკალური წერტილის განსაზღვრით – ბიუჯეტის მაქსიმალურ საგადასახადო შემოსავლებს როგორი საგადასახადო განაკვეთი უზრუნველყოფს. ავტორები აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის გზით მიდიან ქვევითი ტიპის ორიგინალური მოდელის შემუშავებამდე, რომელიც ორ წინამძღვარს ემყარება: პირველი, ნებისმიერ ეკონომიკაში პროდუქციის გამოშვების სიდიდე დამოკიდებულია ეკონომიკური რესურსების (შრომის, კაპიტალის, მიწისა და სამეწარმეო უნარის) მოცულობაზე, ხარისხსა და გამოყენების ტექნოლოგიურ დონეზე. ეს ფაქტორები ეკონომიკის საწარმოო–ტექნოლოგიურ შესაძლებლობას განსაზღვრავს და მათი საუკეთესო განაწილებისა და სრული გამოყენების პირობებში გამოშვების მოცულობა ანუ გამოშვების პოტენციური დონე მაქსიმალურია. მეორე, ეკონომიკაში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინსტიტუციური გარემო, რომლის შექმნა სახელმწიფოს ფუნქციაში შედის. ინსტიტუციური გარემოს განვითარების დონიდან გამომდინარე ეკონომიკის ფაქტობრივი გამოშვება ან ემთხვევა პოტენციურ გამოშვებას ან განსხვავდება მისგან.

ინსტიტუციურ გარემოში მეტად მნიშვნელოვანია დაბეგვრის არსებული სისტემა. ავტორები მოდელის აგებისას სწორედ დაბეგვრის სისტემას მიიჩნევენ ინსტიტუციური გარემოს შექმნისა და ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორად. ამ გზით ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ პოტენციური გამოშვებისა და საგადასახადო ტვირთის სიდიდეებს და იღებენ ლაფერის კონცეფციასთან სრულ თანხვედრაში მყოფ მოდელს.

საქართველოში სათანადო სტატისტიკური მასალის არარსებობის გამო, წიგნის ავტორებმა აშშ–ს მონაცემებზე დაყრდნობით, შეაფასეს ლაფერის წერტილები და აღმოაჩინეს, რომ „1970–2008 წლებში აშშ–ში საგადასახადო ტვირთის ფაქტობრივი მნიშვნელობა დაახლოებით 1 %-ით ნაკლები იყო იმ ნიშნულზე, რომლის პირობებში მთლიანი შიდა პროდუქტის ფაქტობრივი სიდიდე პოტენციურ მნიშვნელობას დაემთხვეოდა. ასევე საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ პერიოდში აშშ–ს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზირებისათვის არსებული საგადასახადო ტვირთის თითქმის გაორმაგება იქნებოდა საჭირო, რაც ეკონომიკის 20

%-ით შემცირებას გამოიწვევდა. ეს გარემოება ეჭვქვეშ აყენებს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანშეწონილობას, რომლის დროსაც მთავრობისთვის, ეკონომიკური აქტიურობის წახალისების ნაცვლად, პრიორიტეტულია ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზირება “ – აღნიშულია ნაშრომში.

განსაკუთრებით საყურადღებოა მონოგრაფიის მეოთხე თავი, რომელიც ეთმობა ლაფერ–კეინზიანური წონასწორობის პირობებში მაკროეკონომიკური წონასწორობის ანალიზს.

მეცნიერები ცდილობენ თავი დააღწიონ იმ ცალმხრივ მიდგომას, რომელიც გადასახადებთან დაკავშირებით არსებობს მოთხოვნის კეინზიანურ მოდელებში და მიწოდების თეორიაში. პირველ შემთხვევაში ერთობლივი მიწოდების იგნორირება ხდება, მეორეში კი მოთხოვნის. ისინი სრულიად მართებულად მიიჩნევენ, რომ „გადასახადების როლის სრულფასოვანი ახსნა და აღნიშნული თეორიების ცალმხრივობის გადალახვა შესაძლებელია მათი სინთეზის გზით“. მსგავსი სინთეზის საილუსტრაციოდ მეცნიერები გვთავაზობენ ეკონომიკურ ლიტერატურაში კარგად ცნობილ მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელს, რომელიც ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებისგან შედგება. ამასთანავე, სტანდარტული მოდელისგან განსხვავებით, რომელშიაც ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად, სხვა თანაბარ პირობებში, ფასების დონე მიიჩნევა, ქართველი მეცნიერ–ეკონომისტების მიერ შემუშავებულ მოდელში ასეთ განმსაზღვრელს წარმოადგენს საშუალო საგადასახადო განაკვეთი, რაც ამ უკანასკნელის როლის ახლებურად დანახვის საშუალებას იძლევა. კერძოდ:

**პირველი.** ერთმანეთისგან განსხვავებულია ფაქტობრივი, წონასწორული და ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთები. წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთი უზრუნველყოფს ეკონომიკის წონასწორობაში მოყვანას, რომლის დროსაც ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება ერთმანეთს უტოლდება. ოპტიმალური განაკვეთის დროს კი ეკონომიკაში ადგილი აქვს სრულ დასაქმებას და ერთობლივი გამოშვება პოტენციურ ანუ მაქსიმალურ დონეზე იმყოფება. „საგადასახადო განაკვეთის ეს სამი მნიშვნელობა, როგორც წესი, ერთმანეთს იშვიათად ემთხვევა“.

**მეორე.** საშუალო საგადასახადო განაკვეთის სიდიდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის ზოგად მდგომარეობაზე, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან

ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემოღებას თავისთავად არ შეუძლია დასაქმების დონის ზრდა და პოტენციური გამოშვების შესაბამის წონასწორობაში გადასვლის ინიცირება. ლაფერ–კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამალღებისა და სრული დასაქმების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს, დაბეგვრის რეჟიმთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნა ასრულებს.

**მესამე.** როცა სახელმწიფო დაბეგვრის არსებულ საშუალო საგადასახადო განაკვეთს სტაბილურ მდგომარეობაში ინარჩუნებს, მაშინ ფასების დონის ყოველ ახალ წონასწორულ მნიშვნელობას თავისი ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი შეესაბამება და ერთობლივი მოთხოვნის გარკვეულ საზღვრებში ცვლილებას თან ახლავს წონასწორული და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაახლოების პროცესი. აქედან გამომდინარე, კეთდება შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნა: „სახელმწიფო ნაკლებად უნდა ცდილობდეს საგადასახადო განაკვეთის ცვლილებით ეკონომიკის რეგულირებას. როცა ეკონომიკას გადასახადების ცვლილებით „ანერვიულებ“, ცუდი შედეგები მიიღება, რაც არ უნდა კეთილი სურვილები გამოძრავებდეს“.

**მეოთხე.** წონასწორული საგადასახადო განაკვეთის ყოველ მოცემულ მნიშვნელობას შეიძლება შეესაბამებოდეს ერთობლივი მიწოდების და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფუნქციებისა და მრუდების მთელი ერთობლიობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ლაფერის მრუდის საწარმოო და ფისკალური ვარიანტები არ წარმოადგენენ მდგრად კონსტრუქციებს და ეკონომიკაში შექმნილი სიტუაციის მიხედვით, განსაკუთრებით კი ფასების დონის ცვლილების შედეგად, შეიძლება შეიცვალოს, რასაც თან სდევს ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილების მნიშვნელობათა ცვლილება“.

აკად. ვ.პაპავასა და პროფ. ი.ანანიაშვილის მიერ შექმნილი მოდელის ორიგინალურობასა და დიდ თეორიულ ფასეულობაზე ისიც მოწმობს, რომ მათი მონოგრაფიის ქართული ვერსიის ბაზაზე 2014 წელს ამერიკულმა გამოცემა NOVA–მ ნიუ–იორკში გამოსცა წიგნის ინგლისური ვარიანტი სახელწოდებით „ლაფერ–კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა“, რომელსაც რეკომენდაცია გაუწიეს ცნობილმა ეკონომისტებმა – როტჯერსის ბიზნესის სკოლის პროფესორმა ფაროხ ლანგდანამ, ოკლაჰომას უნივერსიტეტის პროფესორმა ლუის

ედერინგტონმა და მოსკოვის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, პროფესორმა ევგენი ბალაცკიმ. ამ თემაზე წიგნის ერთ-ერთი ავტორის პროფ. ი.ანანიაშვილის მიერ თსუ-ში 2014წლის სამეცნიერო ფორუმზე წაკითხული მოხსენება კი საუკეთესოდ იქნა აღიარებული. გარდა ზემოაღნიშნულისა, ავტორიტეტულ ჟურნალში “Вопросы Экономики”, გამოქვეყნდა.

#### ლიტერატურა:

- ვ. პაპავა. “ნეკროეკონომიკა”. ჟურნ. “მაკრო მიკრო ეკონომიკა”. 2000, №10.
- ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002.
- ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005.
- ვ. პაპავა. ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საფრთხე. წიგნში: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული II. თბ., 2009.
- ვ. პაპავა. გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები). წიგნში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. 8. თბ., 2010.
- ვ. პაპავა. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010.
- ვ. პაპავა. არატრადიციული ეკონომიკისი. თბ., 2011.
- V. Papava.** Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism. New-York, iUniverse. 2005.
- В.Г. Папавა., Т.А. Беридзе.** Очерки политической экономики посткоммунистического капитализма. М., 2005.
- ა. ოსლუნდი. ფიქრები საქართველოზე. (თარგმანი რეცენზიისა – Eslund Anders, “Georgia on My Mind”, “ The International Economy Magazine, Winter, 2006. რეცენზია წიგნზე – **Vladimer Papava.** Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia). . New-York, iUniverse. 2005.
- ნ. კაკულია. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური თავისებურებები და “ეკოლუციური თეორია”. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2009, № 3, გვ. 37-46.
- ე. მექვაბიშვილი. “ნეკროეკონომიკის ზომბირება”, შექმნილია ახალი ეკონომიკური თეორია. რეცენზია ვ. პაპავას ნაშრომზე “ნეკროეკონომიკის ზომბირება”. თბ., 2010. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”. 2011, №1, გვ. 185-191



- ანანიაშვილი ი. გადასახადები და მაკროეკონომიკური წონასწორობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ეკონომიკის სერია, ტომი 12, №1–2;
- ანანიაშვილი ი. გადასახადების გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №3;
- ანანიაშვილი ი. გადასახადების გავლენა ერთობლივ მიწოდებაზე. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, №1;
- ანანიაშვილი ი. ფისკალური პარამეტრების შეფასების მოდელები. ჟურნ. „ეკონომისტი“, 2009, №1;
- ანანიაშვილი ი. ლაფერის მრუდი თუ მრუდების ოჯახი? ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, №3;
- პაპავა ვ. რას მოგვცემს გადასახადების შემცირება? ლაფერის მრუდი: მითი და რეალობა. ჟურნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2001, №4;
- Papava V.** Teoretical Foundatios of the Laffer Curve. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2008, Vol.176. №6;
- Papava V.** Alternatiwes of the Laffer Curve with “Hystersis”. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2008, Vol.111. №1;
- Папава В.** Лафферов эффект с последствием. „Мировая Экономика и Международные отношения“, 2001, №7;
- Папава В.** Лафферов эффект в посткоммунистической Экономике. „Экономика Украины“, 2009, №3.


## თემა 11. ეკონომიკური განვითარების თეორიები

### ლექცია XIII ეკონომიკური განვითარების კეინზიანური მოდელები

განვითარება მრავალგანზომილებიანი მოვლენაა, რომელიც მოიცავს ღრმა ცვლილებებს ქვეყნების ტექნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში. განვითარების თეორიის ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება ე.წ. “მესამე სამყაროს” ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრობლემები. დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ თეორიას მრავალი ნაშრომი აქვს მიძღვნილი. მათ უმეტესობას აერთიანებს იდეა თანამედროვე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემების ანალოგიურობისა იმ პრობლემებთან, რომელთა გადაჭრაც წარსულში მოუხდათ ამჟამად ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა განვითარებადი ქვეყნების საბაზრო გარემოს ანალიზისათვის კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიების, ხოლო სახელმწიფო სექტორის ანალიზისათვის - კეინზიანური და ნეოკეინზიანური მოდელების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

### “სიღარიბის მანკიერი წრეების” თეორია

მოცემული თეორია აღმოცენდა დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ანალიზისათვის ეკონომიკური წონასწორობის თეორიის გამოყენების საფუძველზე. ტერმინი “სიღარიბის მანკიერი წრე” ჯერ კიდევ 1950-იან წლებში შემოგვთავაზეს მეცნიერებმა **გ. ზინგერმა** და **რ. პრებიშმა**. მათ სცადეს დაბალი განვითარების დაკავშირება ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორების კრებულთან. უმთავრეს დებულებას კი წარმოადგენდა მყარი **თანაფარდობის არსებობა მოსახლეობის ზრდასა და ეკონომიკური პირობების ცვლილებას შორის**. ეს მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ცხოვრების დონის ზრდა ჩვეულებრივ “იჭმევს” მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდით. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამერიკელი მეცნიერის, **ჰ. ლიბერსტაინის** “კვაზისტაბილური წონასწორობის თეორია”. (იხ. სქემა 1.)




სქემიდან ჩანს, რომ სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად თუკი იზრდება საშუალო სულადობრივი შემოსავალი, მისი ნეიტრალიზება სწრაფად ხდება მოსახლეობის რაოდენობის ზრდით. ეს უკანასკნელი, ლიბერსტაინის აზრით, განაპირობებს კვების გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, იწვევს მოკვდავობის შემცირებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას. მოსახლეობის რაოდენობის ზრდა კი იწვევს საზოგადოების განკარგულებაში არსებულ რესურსებზე (პირველ რიგში მიწაზე) გაზრდილ ზეწოლას. მიმდინარეობს მიწის ნაკვეთების დანაწევრება, რაც ამცირებს მოსავლიანობას.


თანამედროვე რეალობა ადასტურებს ლიბერსტაინის ზემოთმოყვანილი სქემის სისწორეს. "დემოგრაფიული აფეთქების" შედეგად აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ოკეანის წილად მოდის დედამიწის მოსახლეობის თითქმის 80%. პროგნოზების თანახმად, მომავალში მათი ხვედრითი წილი კიდევ უფრო გაიზრდება. რაც შეეხება აღნიშნული რეგიონების ხვედრით წილს მსოფლიო ეკონომიკაში, იგი გაცილებით უფრო მოკრძალებულია. ამრიგად, მესამე სამყაროს ქვეყნებში რესურსებზე ზეწოლა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში.

“სიღარიბის მანკიერი წრის” თეორიის მეორე ნაირსახეობაა ის თეორიები, რომლებიც მესამე სამყაროში სტაგნაციას ხსნის შიდა ბაზრის სივიწროვით, ან/და მოდერნიზაციისათვის საჭირო სახსრების უკმარისობით. ასეთი შეხედულება გააჩნია მეცნიერ **რ. ნურკსეს**. კაპიტალის უკმარისობა, მისი აზრით, განსაზღვრავს შრომის მწარმოებლურობის დაბალ დონეს, რომელიც შემოსავლების დაბალი დონის მიზეზია. ამას თან მოსდევს მოსახლეობის სუსტი სამომხმარებლო უნარი და ინვესტირებისადმი არასაკმარისი სტიმულები. დანაზოგების შეზღუდულობა

და კაპიტალდაბანდების მიმართ დაუინტერესებლობა გვევლინება მსგავსი საზოგადოების ტიპიურ კვლავწარმოებად თვისებად. კაპიტალის უკმარისობით გამოწვეული ნურკესს “მანკიერი წრე” სქემატურად ასე გამოიყურება (სქემა 2):




კეინზიანური ტრადიციის მიხედვით, “სიღარიბის მანკიერი წრე” პირდაპირ არის დაკავშირებული შემოსავლების დაბალ დონესთან, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მოხმარებისა და დაზოგვის დაბალ დონეებს. მოხმარების დაბალ დონეს თან მოსდევს არაეფექტიანი მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს შიდა ბაზრის სივიწროვეს და ინვესტიციების ზრდის დაბალ ტემპს. ეს უკანასკნელი კი იწვევს წარმოების დაბალეფექტიანობას, რასაც თან მოსდევს შემოსავლების დაბალი დონე. “სიღარიბის მანკიერი წრის” კეინზიანური ინტერპრეტაცია მოცემულია სქემა №3-ზე:



“სიღარიბის მანკიერ წრეს” ემატება პოლიტიკური არასტაბილურობის მანკიერი წრე - კერძო საკუთრების უფლებების დარღვევის, კერძო საწარმოთა ნაციონალიზაციის, მოგების რეპატრიაციაზე შეზღუდვების შემოღების და ა.შ. საფრთხეები. ყოველივე ეს საგრძნობლად ზრდის ტრანსაქციურ ხარჯებს. სიღარიბის ზრდა და სოციალური კონფლიქტების გამწვავება სხვადასხვა

ექსტრემისტული ჯგუფების გააქტიურების მიზეზი ხდება, რაც ქმნის პოლიტიკური რყევების საფრთხეს. განვიხილოთ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ურთიერთკავშირის სქემა (სქემა 4).



“სიღარიბის მანკიერი წრის” თეორიის ლოგიკურ განვითარებად გვევლინება თვითუზრუნველყოფელ (**Self-Sustained Growth**) ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლის თეორია.

### თვითუზრუნველყოფელ (**Self-Sustained Growth**)

#### ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლის თეორია

##### ეკონომიკური ზრდის სტადიების თეორია



უოლტ როსტოუ

აღნიშნული თეორია ჩამოაყალიბა ამერიკელმა მეცნიერმა უოლტ როსტოუმ 1956 წელს, რომლის მთავარი აზრი მდგომარეობს ტრადიციული საზოგადოებიდან თანამედროვე დასავლური ტიპის საზოგადოებაზე გადასვლის დასაბუთებაში. ამ მოსაზრების განვითარების შედეგად 1960-იანი წლების დასაწყისში როსტოუმ საზოგადოებას შესთავაზა

თავდაპირველად მოცემული იყო სამი სტადია: ტრადიციული საზოგადოება (**The Traditional Society**), ბიძგისათვის წინაპირობების მომზადება (**The Preconditions for Take-Off**) და ბიძგი (**The Take-Off**). მოგვიანებით მან დაამატა კიდევ ორი სტადია: სიმწიფისაკენ მოძრაობა (**The Drive to Maturity**) და მაღალი მასობრივი მოხმარების ეპოქა (**The Age of High Mass Consumption**). სტადიების გამოყოფის კრიტერიუმს

წარმოადგენდა ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები: ტექნიკის განვითარების დონე, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, ეროვნულ შემოსავალში წარმოებრივი დაგროვების ხვედრითი წილი, მოხმარების სტრუქტურა და ა.შ. პირველი სტადიისათვის (ტრადიციული საზოგადოებისათვის) დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- შრომისუნარიანი მოსახლეობის არანაკლებ 75% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში;
- ეროვნული შემოსავალი ძირითადად არამწარმოებლურად გამოიყენება;
- საზოგადოებას გააჩნია მკაცრად იერარქიული სტრუქტურა: პოლიტიკური ძალაუფლება ეკუთვნის მიწათმფლობელებს ან ცენტრალურ მთავრობას.

მეორე სტადიაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ტარდება ეკონომიკის არასამრეწველო სფეროებში: სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და საგარეო ვაჭრობაში. მესამე სტადია მოიცავს შედარებით მოკლე დროის პერიოდს (20-30 წელიწადი). ამ სტადიაზე განსაკუთრებით სწრაფად იზრდება კაპიტალდაბანდებები და მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქცია; ახალი ტექნიკა სწრაფად ინერგება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ზრდა თავდაპირველად შეეხება დარგების მცირე ჯგუფს (ე.წ. “ლიდერი რგოლი”), მოგვიანებით კი მთელ ეკონომიკაზე ვრცელდება. ავტომატური და თვითუზრუნველყოფელი ეკონომიკური ზრდის განხორციელებისათვის აუცილებელია მინიმუმ სამი პირობა მაინც: ეროვნულ შემოსავალში წარმოებრივი ინვესტიციების მკვეთრი (ორჯერ მაინც) გადიდება, მრეწველობის ერთი ან რამდენიმე სექტორის უსწრაფესი განვითარება და საზოგადოების მოდერნიზაციის მომხრეთა პოლიტიკური გამარჯვება ტრადიციული საზოგადოების მხარდამჭერ ძალებზე. ზრდის მეოთხე სტადია, როსტოუს მიხედვით, ხასიათდება როგორც ტექნიკური პროგრესის ხანგრძლივი ეტაპი. მეცნიერი გამოჰყოფს ამ სტადიის დასაწყისებს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით. კერძოდ: დიდ ბრიტანეთში იგი დაიწყო 1850 წელს, აშშ-ში - 1900, საფრანგეთსა და გერმანიაში - 1910, კანადაში - 1920, შვედეთში - 1930, იაპონიაში - 1940, რუსეთში (სსრკ) - 1950 წელს. ამ სტადიისათვის დამახასიათებელი იყო ურბანიზაციის პროცესი, კვალიფიციური შრომის ხვედრითი წილის ამაღლება შრომის საერთო დანახარჯებში, წარმოების

მართვის ფუნქციის კონცენტრირება მაღალკვალიფიციური მმართველების - “ტოპ-მენეჯერების” ხელში.

უ. როსტოუმ თავის უფრო გვიანდელ ნაშრომში - “ზრდის პოლიტიკა და სტადიები” (1971) - ჩამოთვლილ ხუთ სტადიას დაამატა მეექვსე - “ცხოვრების ხარისხის ძიება” და წინა პლანზე წამოწია ადამიანის სულიერი განვითარების მნიშვნელობა. შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, როსტოუს კონცეფციაში “ტრადიციული საზოგადოებისათვის” ნიშანდობლივია საშუალო სულადობრივი შემოსავლის მუდმივად დაბალი დონე. მეორე სტადიაზე საშუალო სულადობრივი შემოსავალი იწყებს ზრდას, მაგრამ ჯერ კიდევ ნაადრევია მის არსებით ცვლილებაზე საუბარი. მხოლოდ “ბიძგის” სტადიაზე არსებითად იზრდება შრომის მწარმოებლურობა, რის საფუძველზეც მიიღწევა მოსახლეობის თვისობრივად სხვა (უფრო მაღალი) ცხოვრების დონე და, რაც მთავარია, იქმნება ზრდის ციკლური ხასიათის წანამძღვრები.

განვითარება, მოცემული მიდგომის ჩარჩოებში, განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების სინონიმი. ღრმა სოციალური და ინსტიტუციური ცვლილებების საკითხი ერთგვარად ჩრდილშია მოქცეული, წინა პლანზე კი გამოდის ინვესტიციების მოცულობისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპების თანაფარდობის საკითხი.

უ. როსტოუს კონცეფცია წინგადადგმული ნაბიჯია ეკონომიკური თეორიის განვითარებაში, თუმცა იგი არა არის დაზღვეული გარკვეული ხარვეზებისაგან. კერძოდ:

- ეკონომიკური ურთიერთობები დახასიათებულია არა სისტემურად, არამედ განხილულია მისი ცალკეული ელემენტები და ანალიზის მიღმა დატოვებული განვითარების სოციალურ-პოლიტიკური მხარეები;
- ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლის რაოდენობრივი კრიტერიუმი საკმაოდ ბუნდოვანი და აბსტრაქტული ხასიათისაა;
- კონცეფციაში აქცენტი გაკეთებულია ეროვნულ შემოსავალში ინვესტიციების ხვედრითი წილის გაორმაგების მომენტზე, რაც არ დასტურდება ისტორიული გამოცდილებით (ამასთან დაკავშირებით საიმონ კუზნეცი

შენიშნავდა, რომ როსტოუს სქემა უფრო შეესაბამებოდა “კომუნისტური ტიპის აღმავლობას”, რადგანაც სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროცესში მართლაც მოხდა წარმოებრივი დაგროვების ნორმის გაორმაგება).

აღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, თვითუზრუნველყოფელ ზრდაზე გადასვლის კონცეფციამ დიდი ზეგავლენა იქონია “მესამე სამყაროს” ლიდერებზე და გამოყენებული იქნა მოდერნიზაციის ახალი თეორიის - “დიდი ბიძგის” კონცეფციის შესაქმნელად.

### “დიდი ბიძგის” თეორიები



*პოლ როზენშტეინ-როდანი*

“დიდი ბიძგის” (**Big Push**) თეორია წარმოადგენს ორი კონცეფციის - “სიღარიბის მანკიერი წრის” და “თვითუზრუნველყოფელი ზრდის” ერთგვარ სინთეზს. აღნიშნული თეორიის ფუძემდებელია ავსტრიელი ეკონომისტი **პოლ როზენშტეინ-როდანი**, რომელმაც იგი ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 1943 წელს. მოგვიანებით “დიდი ბიძგის” თეორია გაიზიარეს რიგმა ეკონომისტებმა (რ. ნურკსე,

ჰ. ლიბერსტაინი, ა. ჰირშმანი, გ. ზინგერი და სხვ). მოცემული თეორია გამოიყენებოდა კოლონიური ბატონობისაგან განთავსუფლებული ქვეყნების მოდერნიზაციის აუცილებლობის დასასაბუთებლად. “დიდი ბიძგის” თეორიის ცენტრში აღმოჩნდა პირველადი ინდუსტრიალიზაციის პრობლემა, რომელიც მუშავდებოდა კეინზიანური ანალიზის ტრადიციების გათვალისწინებით. მთავარი ყურადღება ეთმობოდა ავტონომიური ინვესტიციების როლს, რომლებიც განპირობებული იყო ეროვნული შემოსავლის ზრდაზე ორიენტირებული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკით. კეინზიანელები მზად არ აღმოჩნდნენ ამ პრობლემის გადასაჭრელად, ვინაიდან კეინზიანური მოდელი განიხილავდა მხოლოდ მოკლევადიანი პერიოდის დეპრესიულ ეკონომიკას. საჭირო იყო მისი განვრცობა გრძელვადიან პერიოდში მიმდინარე პროცესების ანალიზით. სწორედ ამგვარ მცდელობას ჰქონდა ადგილი **რ. ჰაროდისა** და **ე. დომარის** მხრიდან. ეკონომიკური ზრდის მთავარ მაჩვენებელს მათ მოდელში წარმოადგენდა ინვესტიციების მოცულობა, წარმოების ტექნოლოგია კი აღიწერებოდა **ვ.**



ლეონტიევის ფუნქციით, რომელშიაც კაპიტალის ზღვრული მწარმოებლობა იყო მუდმივი, შრომა კი არ წარმოადგენდა დეფიციტურ რესურსს. შრომის ბაზარზე ჭარბი მიწოდება იწვევდა ფასების დონის მუდმივობას.

ე. დომარი ამოდის მუდმივი კაპიტალდაბანდებებიდან ( $K/Y$ ) და დაგროვების ნორმისაგან ( $S$ ). გამოშვება რეალურად დამოკიდებულია მხოლოდ ერთ რესურსსზე – კაპიტალზე. გაანგარიშების გასამარტივებლად საინვესტიციო ლაგი ნულის ტოლია. ერთობლივი მოთხოვნის ნამატი დამოკიდებულია ინვესტიციების ნამატზე:

$$\Delta y = m \Delta y = \frac{1}{1-c} \Delta y = \frac{1}{S} \Delta I$$

სადაც  $m$  – დანახარჯთა მულტიპლიკატორია,  $c$  – მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება,  $S$  – დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება. ერთობლივი მიწოდება შეიძლება შემდეგნაირად ჩაიწეროს:

$$\Delta y = \alpha \Delta k, \text{ ანუ } \Delta y = \alpha I$$

სადაც  $\alpha$  – კაპიტალის ზღვრული მწარმოებლობაა,  $I$  – ინვესტიციები. ვინაიდან კაპიტალის ზღვრული მწარმოებლობა ტექნოლოგიებითაა განსაზღვრული და სწრაფად არ იცვლება, ამიტომ  $\alpha = \text{const.}$  წონასწორობის პირობებში ერთობლივი მოთხოვნა ერთობლივი მიწოდების ტოლია. შესაბამისად:

$$\frac{1}{S} \Delta I = \alpha I, \text{ ანუ } \frac{\Delta I}{I} = \alpha S$$

ვინაიდან წონასწორობის პირობებში  $I = S$ , ხოლო  $S = s y$  და  $s = \text{const.}$ , ამიტომ ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი ინვესტიციების მოცულობის ზრდის ტემპის ტოლია:

$$\frac{\Delta y}{y} = \frac{\Delta I}{I} = \alpha S$$

შემოსავლის ზრდის თანაბარშეწონილი ტემპი საწარმოო სიმძლავრეების სრულად გამოყენების შემთხვევაში პირდაპირპროპორციულია დაგროვების ნორმისა და კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობის, ანუ ნამატი კაპიტალუკუებისა ( $\Delta y / \Delta k$ ).

ე. დომარის მოდელის თანახმად, წონასწორობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ინვესტიციებისა და ეროვნული შემოსავლის ერთნაირად და დროში მუდმივი ტემპებით ზრდა. ამგვარი დაშვება სამართლიანია იმის გათვალისწინებით, რომ დომარის მოდელი წარმოადგენს მოკლევადიანი კეინზიანური წონასწორობის გრძელვადიან პერიოდზე გავრცელების გაბედულ ცდას.

დომარის მოდელში ინვესტიციები ეგზოგენურ ფაქტორად არის ჩართული. მანამდე (1939) ჰაროდმა სცადა შეემუშაებინა სპეციალური მოდელი, რომელშიაც ინვესტიციები ენდოგენურ ფაქტორს წარმოადგენდა. ამ მიზნით კეინზის მულტიპლიკატორის პრინციპს მან დაუმატა აქსელერატორის პრინციპი და ანალიზში ჩართო მეწარმეთა მოლოდინების ფაქტორი. იგი ვარაუდობდა, რომ შემოსავლის ნებისმიერი ცვლილება იწვევს ინვესტიციების ცვლილებას:

$$I_t = v ( Y_t - Y_{t-1} ),$$

სადაც  $v$  არის აქსელერატორი.

მეწარმეები, როგორც წესი, საკუთარ წარმოებას გეგმავენ წინა პერიოდში შექმნილი სიტუაციიდან, ანუ მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე. მოცემული წლის ერთობლივი მიწოდება შეიძლება ჩაიწეროს ტოლობის სახით:  $I = S$ . წონასწორობითი ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის ტოლობას:

$$\frac{v ( Y_t - Y_{t-1} )}{S} = Y_t - 1 \left[ \alpha \frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-1}} + 1 \right],$$

$$\frac{v}{s} \times \frac{(Y_t - Y_{t-1})}{(Y_{t-1})} = \alpha \left[ \frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-2}} \right] + 1.$$

თუკი ერთობლივი მოთხოვნა ტოლია ერთობლივი მიწოდების, მაშინ  $\alpha = 1$  მეწარმეები მიმდინარე პერიოდში ეკონომიკური ზრდის იმავე ტემპს ინარჩუნებენ:

$$\frac{Y_t - Y_{t-1}}{Y_{t-1}} = \frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-2}} = \frac{\Delta y_t}{Y_{t-1}}$$

შესაბამისად:  $\frac{v}{s} = \frac{\Delta y_t}{Y_{t-1}} = \frac{\Delta y_t}{Y_{t-1}} + 1$ , ანუ  $\frac{\Delta y_t}{\Delta Y_{t-1}} = \frac{s}{v - s}$ .

**S**


თანაფარდობას \_\_\_\_\_, რომელიც ეკონომიკაში ინარჩუნებს წონასწორობის

**v - S**

დონეს და საწარმოო სიმძლავრეების სრულ გამოყენებას, ჰაროდმა უწოდა “ზრდის გარანტირებული ტემპი”. თუკი ზრდის ფაქტობრივი ტემპი გარანტირებულზე ნაკლებია, ეკონომიკა გამოდის წონასწორობის მდგომარეობიდან. ამასთანავე, მნიშვნელოვანია თუ როგორ შეესაბამება ზრდის გარანტირებული ტემპი ზრდის ბუნებრივ ტემპს, რომელიც უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას. თუკი პირველი მეორეზე მეტია, შრომითი რესურსების უკმარისობის გამო ფაქტიური ზრდის ტემპი გარანტირებულზე ნაკლები იქნება, საკუთარ მოლოდინებში იმედგაცრუებული მწარმოებლები შეამცირებენ გამოშვების, ინვესტიციების მოცულობას და დაიწყება დეპრესიის ფაზა. თუკი პირიქით მოხდება, შეიქმნება

ინვესტიციების ზრდის წანამძღვარი და დაიწყება ბუმი. ზრდის გარანტირებული, ფაქტიური და ბუნებრივი ტემპების ტოლობის პირობებში მიიღწევა ეროვნული ეკონომიკის იდეალური განვითარება, რაც რეალურ სინამდვილეში ძალიან იშვიათია, ან თითქმის შეუძლებელი. ჰაროდისა და დომარის მოდელები ავსებენ ერთმანეთს და ეს სიმბიოზი დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა კეინზიანური ეკონომიკური განვითარების მთავარ თეორიულ ინსტრუმენტს. სწორედ იგი დაედო საფუძვლად “დიდი ბიზნის” თეორიას, რომლის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყნების მოდერნიზაციისათვის აუცილებელია ეკონომიკაში დიდი მოცულობის კაპიტალის ინვესტირება. მის საფუძველზე დაიწყება თვითუზრუნველყოფელი ეკონომიკური ზრდა. ჰ. ლიბერსტაინის აზრით, “მინიმალური კრიტიკული ძალისხმევა” ისეთი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს ეროვნულ შემოსავალში ინვესტიციების დონე 12%-15%–ის ფარგლებში. ამგვარი ბიზნის აამალებდა საშუალო სულადობრივი შემოსავლის ზრდის ტემპს, რაც თავის მხრივ, მოხმარებას გამოიყვანდა სტაგნაციიდან და გაზრდიდა იმ მეწარმეთა რაოდენობას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საშუალო სულადობრივი შემოსავლების შემდგომი მაღალი ზრდის ტემპს. ეს უკანასკნელი კი გაზრდიდა მოსახლეობის სამომხმარებლო უნარს და მოთხოვნას. მოთხოვნის ზრდა სამეწარმეო საქმიანობის გაფართოების სტიმულია და აძლიერებს თავდაპირველ მულტიპლიკაციურ ეფექტს.

ამრიგად, “დიდი ბიზნის” თეორეტიკოსებისათვის, ისევე როგორც ზოგადად პოსტკეინზიანელებისათვის, დამახასიათებელია ბაზრის მარეგულირებელი პოტენციალის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება. ამიტომ ამ თეორიებში ჭარბობს მაკროეკონომიკური მიდგომა, რომელიც სქემატურად ასე შეიძლება გამოვხატოთ (სქემა 5):



“დიდი ბიძგის” თეორიის მომხრეთა უმეტესობა ბაზარს განიხილავს როგორც სტატიკურ და არა როგორც დინამიკურ სისტემას, რომელსაც, მათი აზრით, თავისთავად არ შეუძლია მოდერნიზაციის განხორციელება და განვითარებადი ქვეყნების “სიღარიბის მანკიერი წრიდან” გამოყვანა. ამიტომ ისინი აუცილებლად მიიჩნევენ დაგეგმვის მექანიზმის გამოყენებას ე.წ. “შერეული საზოგადოების” თეორიის ჩარჩოებში.

“დიდი ბიძგის” თეორიაში განვითარება უპირატესად განიხილება როგორც სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში განხორციელებული ღრმა სტრუქტურულ გარდაქმნათა ერთობლიობა და წინა პლანზე გამოდის ტექნიკურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები. სახალხო მეურნეობის თანამედროვე სტრუქტურის არარსებობა ზრდის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორადაა მიჩნეული და ამიტომ პროგრესული დარგების განვითარება უპირველესი რიგის ამოცანად ყალიბდება.


განვიხილოთ “დიდი ბიძგის” თეორიის ძირითადი ნაირსახეობები. რ. ნურკსე მოდერნიზაციის მიზნით გვთავაზობს “ინვესტიციების დაბალანსებულ ნაკრებს”. დაბალანსება განიხილება როგორც ბაზრის კატეგორია მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის სახით. პირველ ეტაპზე არ არსებობს ამგვარი წონასწორობა, მაგრამ კაპიტალის სინქრონული ინვესტირება მატერიალური წარმოების დარგების ფართო ჯგუფში საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას თვითუზრუნველყოფელი ეკონომიკური ზრდა და გადაილახოს განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი შიდა ბაზრის სივიწროვე. მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს მთავარი ამოცანებია საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა და კერძო მეწარმეობის დაწყებისათვის ხელსაყრელი პირობების მომზადება.



*ალბერტ ჰირშმანი*

ეს მოსაზრება დასავლეთში მკვეთრი კრიტიკის ობიექტი გახდა. აღინიშნებოდა, რომ მისი პრაქტიკული განხორციელება გულისხმობდა ახალი ეკონომიკური სისტემის ძველზე მექანიკურ დაშენებას. ამასთანავე, იგი არ ითვალისწინებდა ღრმით ლაგსაც, ვინაიდან ცენტრალიზებული დაგეგმვის ორგანოს გარეშე შეუძლებელია ინვესტიციების ერთდროული განხორციელება დროსა და სივრცეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგიერთმა ეკონომისტმა, მაგ.

ალბერტ ჰირშმანმა საზოგადოებას შესთავაზა დიდი ბიძგის განსხვავებული მოდელი. მან აღნიშნა, რომ ნურკეს მოდელის განხორციელებისათვის აუცილებელია უზარმაზარი კაპიტალი, რასაც მოკლებულია განვითარებადი ქვეყნები. ამიტომ მან ჩამოაყალიბა დაუბალანსებელი ზრდის კონცეფცია. მისი აზრით, პირველი ინვესტიციები აუცილებლად დაარღვევს წონასწორობას, მაგრამ ეს დროებითი ხასიათის იქნება და დადებით როლს ითამაშებს, ვინაიდან ახალი ინვესტიციების წარმოშობის სტიმული გახდება. სქემატურად განვიხილოთ ჰირშმანის დაუბალანსებელი ზრდის კონცეფცია, როგორც ინვესტიციების სტიმულირების წყარო (სქემა 6).



ჰირშმანის მოდელი უფრო რეალისტურია დაბალანსებული ზრდის მოდელებთან შედარებით. ამასთანავე, იგი გვთავაზობს განვითარებად ქვეყნებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობების იდეალიზაციას და გადაჭარბებულ როლს ანიჭებს საბაზრო მექანიზმებს, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლით სწრაფ ცვლილებას დაექვემდებარება. ჰირშმანის კონცეფცია წინააღმდეგობრივია, ვინაიდან ბაზრის როლის იდეალიზაციის გვერდით ჩვენ ვხედავთ მესამე სამყაროში სახელმწიფო ორგანოების იდეალიზაციასაც. იგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს მოდერნიზაციაზე და ამის სააფუძველზე ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფაზე. სინამდვილეში სახელმწიფო ორგანოები განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად არიან ბიუროკრატიზებული და,

უპირველეს ყოვლისა, მისდევენ საკუთარ კორპორატიულ და ანგარებით ინტერესებს.

ა. ჰირშმანის შეხედულებათა კრიტიკამ განაპირობა ამოსავალი კონცეფციის რეაბილიტაცია და განვითარება. მაგ., ჰ. ზინგერმა წამოაყენა “დაუბალანსებელი ინვესტიციების საშუალებით დაბალანსებული ზრდის” ახალი კონცეფცია. იგი მიიჩნევდა, რომ მრეწველობაში “დიდი ბიძგი” შეუძლებელია სოფლის მეურნეობაში “დიდი ბიძგის” გარეშე. მან წინა პლანზე წამოსწია აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და ტრადიციული საექსპორტო წარმოების სტიმულირების ამოცანა. იგი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ჩამორჩენილ ქვეყნებში საკუთარი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ თეორიისთვისაც დამახასიათებელია უპირატესად საგარეო რესურსებზე ორიენტაცია. თუ როგორ შეიძლება ამ რესურსების მოძიება და მოზიდვა - ეს საკითხი ანალიზის მიღმა რჩება. სწორედ აღნიშნული საკითხის კვლევის ნიმუშია “ორი დეფიციტით” ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელიც შემუშავებული იქნა XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ამერიკელ მკვლევართა ჯგუფის - ჰ. რენერის, ა. სტრაუგოს, პ. ექსტეინის, პ. კარტერის და სხვ. მიერ. აღნიშნული მოდელი “დიდი ბიძგის” იდეის შემდგომი კონკრეტიზაციაა და მიზნად ისახავს შიდა დაგროვებისა და გარედან ინვესტიციების წყაროებს შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრას. მოცემულ მოდელში განვითარება განისაზღვრება როგორც: ა) დაფინანსების გარე წყაროების გამოდევნა შიდა წყაროების მიერ; ბ) იმპორტული საქონელის შეცვლა სამამულო საქონელით; გ) საგარეო ფინანსური დამოკიდებულების დაძლევის წანამძღვრების შექმნა. აღნიშნული მოდელის პრაქტიკულ რეალიზაციას აზიისა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში, სამწუხაროდ, რაიმე დადებითი შედეგები არ მოჰყოლია. პირიქით, განვითარებადი ქვეყნების დავალიანება განვითარებული სამყაროს მიმართ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა.

ამრიგად, მოდერნიზაციის ზემოთ განხილული კონცეფციები ძირითადად ორიენტირებულია განვითარებად ქვეყნებში ისეთ შეზღუდულ რესურსზე, როგორცაა კაპიტალი და ნაკლები ყურადღება ექცევა ჭარბი რესურსის - შრომის გამოყენებას. სწორედ ამან განაპირობა მოდერნიზაციის კეინზიანური და

ნეოკეინზიანური მიდგომების ნეოკლასიკური კრიტიკა და საფუძველი ჩაუყარა მოდერნიზაციის ახალ ნეოკლასიკურ მიმართულებას **დუალისტური ეკონომიკური თეორიის** სახით.



# ლექცია XIV. ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკური

## და ინსტიტუციონალური მოდელები

### უ. ა. ლუისის დუალისტური ეკონომიკის კონცეფცია


განვიხილოთ დუალისტური ეკონომიკის თეორია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის (1979), პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორის,



უილიამ  
არტურ ლუისი

უილიამ არტურ ლუისის კონცეფციის მაგალითზე. იგი თვლიდა, რომ მისი კონცეფცია მისაღებია ქვეყნებისათვის, სადაც “მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია, კაპიტალის დეფიციტია, ბუნებრივი რესურსები კი შეზღუდულია”. ასეთ ქვეყნებს იგი მიაკუთვნებდა ინდოეთს, პაკისტანს, ბანგლადეშს, ეგვიპტეს და სხვ. მოდერნიზაციის კეინზიანური თეორიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამ პროცესში წამყვან როლს


სახელმწიფოს ანიჭებენ, ლუისი საკუთარი კონცეფციის ქვაკუთხედად მიიჩნევს მეწარმეს და ფაქტობრივად ახდენს ი. შუმპეტერის იდეების კონკრეტიზაციას “მესამე სამყაროს” ქვეყნების მაგალითზე. მეწარმე არის კაპიტალისტური რაციონალიზმის იდეის მთავარი მატარებელი სუბიექტი. მისთვის დამახასიათებელია ინიციატივა და მოგების მაქსიმიზაციისაკენ სწრაფვა. ლუისი, ისევე როგორც ბევრი სხვა “ახალი კლასიკოსი”, მოდერნიზაციას განიხილავს მიკროეკონომიკის პოზიციიდან და მისი მიკრომიდგომის სქემა ასე გამოიყურება (სქემა 7):



არსებობს გარკვეული განსხვავება ლუისისა და შუმპეტერის მეწარმეს შორის. შუმპეტერისეული ინოვაციისაგან განსხვავებით, ლუისის მეწარმე სრულიად სპეციფიკურ გარემოში მოქმედებს და მისი დახასიათებისას ლუისი გამოდის შრომითი რეზერვების ბაზარზე შეუზღუდავი მიწოდების ჰიპოთეზიდან. თუკი

სამუშაო ძალა არაკვალიფიციურია, ხელფასი შეიძლება გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს.


თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში რეალური ხელფასი განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით და გაიანგარიშება როგორც რეალური ხელფასისა და შრომის ზღვრული პროდუქტის ტოლობა:  $MPL = W/P$ . გრაფიკულად ამ ტოლობას ასეთი სახე ექნება (იხ. გრაფიკი 1.)



შრომის მიწოდების მრუდს დადებითი დახრილობა აქვს მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში და იგი ხელფასის ზრდის შედეგად “უკან იღუნება”. ხელფასის ზრდით განპირობებული შრომის სურვილი შეზღუდულია დასვენების სურვილით, რაც აუცილებელია ადამიანის ნორმალური განვითარებისათვის.

მაშასადამე, მეტი შრომის სურვილის ალტერნატიული ღირებულებაა მოცალეობა (თავისუფალი დრო). ხელფასის ზრდასთან ერთად იზრდება დასვენების ფასი და ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როცა


ხელფასის ზრდა იწვევს არა სამუშაო დროის გადიდებას, არამედ მის შემცირებას, რაც გრაფიკზე აისახება შრომის ინდივიდუალური მიწოდების **SL** მრუდის მოღუნვით. განვითარებად ქვეყნებში, ლუისის აზრით, შრომის მიწოდება ჭარბია და ამიტომ ხელფასის საშუალო დონე მუდმივ სიდიდედ შეიძლება ჩაითვალოს. მოსახლეობის ერთ სულზე ხელფასი არ იცვლება მოთხოვნის ზეგავლენით და მას არეგულირებს შრომის საშუალო პროდუქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის მიწოდება აბსოლუტურად ელასტიურია და მიწოდების მრუდი აბსცისის ღერძის პარალელურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნის გადიდება (მრუდის გადაადგილება **DL1** მდგომარეობიდან **DL2** მდგომარეობაში) არ იწვევს რეალური ხელფასის გაზრდას (იხ. გრაფიკი 2):



ამრიგად, სხვადასხვა ქვეყნებში დუალიზმის არსებობის საფუძველია განაწილების სხვადასხვა კანონები. სამრეწველო სექტორში განმსაზღვრელი ფაქტორია ბაზარი და მოქმედებს ზღვრული მწარმოებლურობის კანონი, რომელიც რეალურ ხელფასს უთანაბრებს შრომის ზღვრულ პროდუქტს.

აგრარულ სექტორში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ადგილობრივი ინსტიტუტები, რომლებიც არეგულირებენ შრომის საშუალო პროდუქტით განსაზღვრულ ინსტიტუციურ ხელფასს.

ლუისის აზრით, მოდერნიზაციისათვის აუცილებელია რესურსების გადანაწილება აგრარული სექტორიდან ინდუსტრიულ სექტორში. ამასთანავე, აუცილებელია ორი პრობლემის გადაჭრა: *პირველი* - დაგროვების, ანუ დანაზოგის მობილიზაცია და მათ ინვესტიციებად გადაქცევა; *მეორე* - სამუშაო ძალის გადადინება ჭარბი შრომითი რესურსების მქონე სექტორიდან დეფიციტის მქონე სექტორში. ამრიგად, მოდერნიზაცია ამ მეცნიერის მიერ განიხილება როგორც სექტორებს შორის მატერიალური და შრომითი რესურსების გაცვლის პროცესი, რომელსაც არეგულირებს სექტორთაშორისი ბაზარი. შრომითი რესურსების გადინება სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში განაპირობებს შრომითი რესურსების სიჭარბის ლიკვიდაციას სოფლის მეურნეობაში, რის შედეგადაც აქ დასაქმებული მუშაკების ხელფასი იზრდება, ხოლო მოგების მაღალი ნორმა კი მცირდება. ყოველივე აღნიშნული სქემატურად ასე გამოისახება (სქემა 8):



ამრიგად, ლუისის მიდგომის ჩარჩოებში განვითარება განიხილება როგორც დუალიზმის დამღევა ტრადიციულ და თანამედროვე, ინდუსტრიამდელ და ინდუსტრიულ, ნატურალურ (ბარტერულ) და საბაზრო ეკონომიკებს შორის. ამასთანავე, ლუისის მოდელს (ეკონომიკის დუალიზმი შრომის ჭარბი მიწოდების პირობებში) გააჩნია რიგი ნაკლოვანებები:

**პირველი** - იგი ახდენს სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ბაზრის როლის იდეალიზაციას, რაც პირველ რიგში შეეხება ბაზრის სუბიექტების ლუისისეულ ინტერპრეტაციას. რეალური მეწარმე და დაქირავებული მუშა საკმაოდ შორს დგას შემპეტერისეული პერსონაჟებისგან. კერძოდ, მეწარმე უფრო მეტად სპეკულატიურ მოგებასაა გამოდევნებული, ვიდრე სამეწარმეო მოგებას. მასში ნაკლებადაა განვითარებული სამეწარმეო თვისებები - პასუხისმგებლობა და დისციპლინა. იგი სტაბილურად დაბალ, მაგრამ რისკისაგან დაზღვეულ შემოსავალს ანიჭებს უპირატესობას.

**მეორე** - ასევე არასწორია აქცენტის დასმა წარმოების მხოლოდ შრომატევად მეთოდებზე და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, გაუთვალისწინებლობა. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალ ეკონომიკურ ეფექტს აღწევენ იმ ქვეყნებში, სადაც ოპტიმალურადაა შერწყმული წარმოების კაპიტალტევადი და შრომატევადი დარგები.

*მესამე* - შრომატევად ტექნოლოგიებზე აქცენტის გადატანას შედეგების მოტანა შეუძლია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში. გრძელვადიან პერიოდში კი იგი იწვევს დასაქმების მკვეთრ ზრდას, ხელფასის ერთობლივი ფონდისა და ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას, რასაც საბოლოოდ “ჭენებად” ინფლაციამდე მივყავართ.

ლუისის მოდელის წანამდვარი იმის შესახებ, რომ მუდმივი ხელფასის არსებობა იწვევს ფარული უმუშევრობის მთლიანად გაქრობას, არ არის სწორი. აგრარული სექტორიდან არაკვალიფიციური სამუშაო ძალის გადადინება სამრეწველო სექტორში ავტომატურად არ იწვევს მის კვალიფიციურ სამუშაო ძალად გარდაქმნას. საჭიროა დიდი დრო და სახსრები ასეთი კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად.

მიუღებელია ლუისის თეზისი იმის შესახებ, რომ შემოსავლების უთანაბრობა წარმოადგენს სწრაფი ეკონომიკური ზრდის წანამდვარს. მეცნიერი არ ითვალისწინებს იმ აშკარა ფაქტს, რომ ეს უთანაბრობა მესამე სამყაროს ქვეყნებში ისედაც ძალიან დიდია. მდიდრები მაღალ შემოსავლებს ხშირ შემთხვევაში იყენებენ არა მწარმოებლური დაგროვებისათვის, არამედ პრესტიჟული მოხმარებისათვის, რაც არ წარმოადგენს სწრაფი ეკონომიკური ზრდის სტიმულს.

ლუისის დუალისტური ეკონომიკის თეორია ადეკვატურად ვერ ასახავს ჩამორჩენილ ქვეყნებში ამჟამად ინტენსიურად მიმდინარე ურბანიზაციის პროცესებს. ქალაქების მოსახლეობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აჭარბებს მოსახლეობის მწარმოებლურობის გამოყენების შესაძლებლობას, რაც ამწვავებს დასაქმების პრობლემას. იზრდება მოსახლეობის მარგინალიზაცია და მასთან ერთად, ფართოვდება ეკონომიკური საქმიანობის არაფორმალური სფერო.

აღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, ლუისის ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკური თეორია წინგადადგმული ნაბიჯი იყო ეკონომიკურ აზროვნებაში. მისი იდეები საფუძვლად დაედო დუალისტური ეკონომიკის მოდერნიზაციის სხვადასხვა ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. რანისის, შ. ფეის და გ. იურგენსონის მოდელები.

## გუსტავ რანისისა და შონ ფის დუალისტური ეკონომიკის მოდელები



გუსტავ რანისისა და შონ ფის მოდელში დუალიზმი უფრო ფართოდ და ღრმად განიხილება. ამასთანავე, მათ მიერ გაანალიზებულია არა ერთი, არამედ სამი დუალიზმი: საქონელთა დუალისტური ბაზარი, შრომის დუალისტური ბაზარი და ფინანსების დუალისტური ბაზარი. თავდაპირველად სსსრკ-ში მოძრაობა აგრარულ და არააგრარულ სფეროებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება და სხვადასხვა ფასები მოქმედებს.



*შონ ფი*

შრომის შეფასება ერთ ბაზარზე თითქმის არავითარ ზეგავლენას არ ახდენს მეორე ბაზარზე შრომის ფასის წარმოქმნაზე. არსებითად განსხვავებულია სასესხო და სავაჭრო კაპიტალის განაკვეთები. შემოთავაზებული მოდელის მთავარი ამოცანაა აგრარულ და არააგრარულ სფეროებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა. ანალიზი იწყება საქონელთა ბაზრიდან. სოფლის მეურნეობის პროდუქცია ხმარდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას როგორც თავად აგრარულ სექტორში (**Aa**), ისე არააგრარულ სექტორებშიც (**An**). იგი გამოიყენება აგრეთვე ნედლეულის სახით წარმოების სხვა სფეროებისათვის (**Am**). მაშასადამე, საერთო სასოფლო-სამეურნეო ნამეტი (**Total Agricultural Surplus-TAS**) ტოლია **An + Am**. არასასოფლო-სამეურნეო პროდუქცია **Q** გამოიყენება აგრარულ- **Qa**, არააგრარულ – **Qn** სექტორებში და ინვესტირებისათვის – **I**. მრეწველობის პროდუქცია შეიძლება გამოიყენებოდეს სოფლის მეურნეობაში როგორც პირადი **Qc**, ისე მწარმოებლური **Qm** მოხმარებისათვის. შიდა ფაქტორების ხარჯზე მიღებული აგრარული პროდუქცია რანისის მიერ აღინიშნება **Ya**-თი, ხოლო ტექნოლოგიების სრულყოფის ხარჯზე მრეწველობიდან მიღებული პროდუქცია **Qm**-ით. აგრარული სფეროს საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული შემოსავალი იხარჯება პირად მოხმარებაზე (**Aa + Q**) ან იზოგება (**Sn**). ერთობლივი დანაზოგები ორივე სფეროს დანაზოგების ჯამის ტოლია: **S = Sa + Sn**. სოფლის მეურნეობის სექტორის წმინდა ხვედრითი წილი ეკონომიკაში ტოლია **B = TAS – Qm – Qc**.

განვიხილოთ ფინანსურ ბაზრებზე არსებული დუალიზმი. ორ ქვეყანას შორის გაცვლის მსგავსად, აგრარული სექტორის დანაზოგები შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც მოცემულ, ისე სხვა სექტორებში ინვესტიციების წყაროდ.

ფინანსური დაბანდებების მოცულობა ეკონომიკაში ამ შემთხვევაში პირდაპირ არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტზე. როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სექტორის დანაზოგები დახურულ

ეკონომიკაში განსაზღვრავს ერთობლივი დანაზოგების სიდიდეს. ეკონომიკის განვითარების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომით შეუძლია ფინანსურ სისტემას ამ დანაზოგების აკუმულირება და ეკონომიკის პროგრესულ დარგებში დაბანდება სპეკულაციური ოპერაციების დაფინანსების ნაცვლად. ამრიგად, სექტორთაშორისი გაცვლა პროგრესის მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ შრომითი რესურსების სფეროში, არამედ უფრო ფართო თვალსაზრისითაც. რანისი-ფეის მოდელში წარმოდგენილია შრომის, საქონლისა და ფინანსების ბაზრებზე გაცვლა.

თეორიული თვალსაზრისით, საინტერესოა ეკონომიკური განვითარების კეინზიანური (ჰაროდ-დომარის) და ნეოკლასიკური მოდელების შედარება. ჰაროდ-დომარის მოდელში გამოყენებულია ლეონტიევის ფუნქცია, რომელიც გულისხმობს შრომისა და კაპიტალის რესურსების მკაცრ ურთიერთშეკვებადობას. ნეოკლასიკური მოდელი კი ემყარება კობი-დუგლასის ფუნქციას და გულისხმობს კაპიტალის უფრო მოქნილად შეცვლას შრომით, რაც აფართოებს თეორიული ანალიზის ჩარჩოებს. მაგ., კაპიტალზე მაღალი ფასისა და იაფი მუშახელის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია უფრო დეფიციტური რესურსი ისე შევცვალოთ ნაკლებად დეფიციტული რესურსით, რომ ამას არ მოჰყვეს წარმოების მოცულობის შემცირება, ე.ი. შესაძლებელია წარმოების უცვლელი მოცულობის შენარჩუნება დანახარჯების შემცირების პირობებში.

**რანისი-ფეის** მოდელი სამ სტადიას მოიცავს: ნატურალურს, შუალედურს და საბაზროს. პირველ სტადიაზე ჭარბი სამუშაო ძალის შრომის მწარმოებლურობა ნულის ტოლია, სამუშაო ძალის მიწოდება “ინსტიტუციური ხელფასის ტოლი სახელფასო განაკვეთის” პირობებში კი – შეუზღუდავი. სოფლის მეურნეობაში ზღვრული პროდუქტიც ასევე ნულის ტოლია და აგრარული მოსახლეობის შემცირება თავდაპირველად არ გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირებაში. წარმოიშობა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო რესურსების სიჭარბე, რომელიც გამოიყენება კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისათვის. ამ მსჯელობით **რანისი** და **ფეი** აშკარად ენათესავენ იან ფიზიოკრატებს და მიიჩნევენ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტი წარმოადგენს მოდერნიზაციის წყაროს.

ჭარბი მოსახლეობის სოფლის მეურნეობიდან “გაწოვის” შემდეგ იწყება მეორე, ანუ შუალედური სტადია. აგრარულ სექტორში ზღვრული პროდუქტი უკვე ნულზე მეტია, მაგრამ ინსტიტუციური ხელფასის დონეზე ნაკლებია. ამ დროს აგრარული მოსახლეობის გადადინება მრეწველობაში იწვევს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის შემცირებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირებას და მასზე ფასების ზრდას. ასეთ პირობებში მრეწველობაში დამატებითი სამუშაო ძალის მოსაზიდად აუცილებელია ხელფასის განაკვეთის გაზრდა. შრომის ზღვრული მწარმოებლურობის ზრდის გამო ხელფასი რეალურად არამარტო აღწევს მის ინსტიტუციურ დონეს, არამედ კიდევაც აჭარბებს მას. ასე ხდება მეორე სტადიიდან მესამე სტადიაზე გადასვლა. მესამე, ანუ საბაზრო სტადია მაშინ იწყება, როცა აგრარულ სფეროში, სამრეწველო სფეროს მსგავსად, ხელფასს განსაზღვრავს ზღვრული მწარმოებლურობის კანონი. ეს იმას ნიშნავს, რომ დუალიზმი დაძლეულია, ვინაიდან შრომის ანაზღაურება ორივე სექტორში ერთი და იმავე კანონით განისაზღვრება და იწყება თვითუზრუნველყოფელი ზრდის პერიოდი.

რანისი-ფეის მოდელს, დადებით მხარეებთან ერთად, ზოგიერთი ნაკლოვანებაც ახასიათებს. კერძოდ, ეს მოდელი, ლუისის მოდელის მსგავსად, ახდენს საბაზრო მექანიზმების იდეალიზებას. ისინი მცდარად მიიჩნევენ, რომ ბაზრის პრინციპების მოქმედება ვრცელდება ეკონომიკის არა მარტო თანამედროვე, არამედ ტრადიციულ სექტორზედაც. ეს მოდელი გვიხატავს სურათს, რომლის მიხედვითაც “ჩრდილოეთისა და სამხრეთის” ქვეყნებს შორის გაცვლა თითქოსდა ეკვივალენტურია და ავსებს ერთმანეთს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. რანისი-ფეის მოდელში ასევე ადგილი აქვს ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების იდეალიზაციას და არ გაითვალისწინება სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმართვის ინტენსიური მეთოდები. ზოგადად, მოცემული ავტორები მესამე სტადიამდე აბსტრაგირებას უკეთებენ ტექნიკურ პროგრესს.

კრიტიკის ზეგავლენით მოდერნიზაციის დუალისტურმა თეორიებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს. მათი სრულყოფა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: პირველი, მოდელების სრულყოფით მათში ახალი ტექნიკური მახასიათებლების შეტანით და მეორე, სხვა სექტორების, (მაგ. საექსპორტო



სექტორის, მომსახურების სფეროს) მოდელებში ჩართვით და მოდერნიზაციის მრავალსექტორიანი მოდელის შექმნით. ზოგიერთ მოდელში მეცნიერები შეეცადნენ აღწერათ როგორც ტექნიკური პროგრესი, ასევე ურთიერთკავშირი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა (მტკ) და კაპიტალის დაგროვებას შორის. დუალისტური ეკონომიკური მოდელების სრულყოფა დაკავშირებულია აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ასპექტის უფრო სრულყოფილად გათვალისწინებასთან და ჩაკეტილი ეკონომიკური მოდელის ღია ეკონომიკურ მოდელად გადაქცევასთან. მოდერნიზაციის უმნიშვნელოვანეს პირობად, ამ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტის ნაცვლად, სამამულო პროდუქციის საგარეო ბაზრებზე მაღალი კონკურენტუნარიანობა გვევლინება, რომელსაც უმთავრესად განაპირობებს განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო დარგებში ხელფასის შედარებით დაბალი დონე. დუალისტური ეკონომიკის მოდელების სრულყოფის სხვა მიმართულებად იქცა მრავალსექტორიანი მოდელების შექმნა, რამაც შეცვალა ორსექტორიანი მოდელი და თეორიის რეალურ სინამდვილესთან დაახლოებას შეუწყო ხელი. გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ადგილი ჰქონდა ოთხსექტორიანი მოდელების შექმნის მცდელობას, რომლებშიაც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გარდა ჩართული იქნა მომსახურებისა და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების სექტორები. ასეთი მოდელები შემუშავდა არგენტინის, პერუს, ფილიპინებისა და რიგი სხვა ქვეყნებისათვის.

## **ეკონომიკური განვითარების თეორიები: საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების ინსტიტუციონალური კონცეფციები**

### **ტრადიციული ინსტიტუციონალური თეორიები**

ეკონომიკური განვითარების კეინზიანური და ნეოკლასიკური მოდელები, მათ შორის არსებითი განსხვავების მიუხედავად, საერთო მეთოდოლოგიას ემყარება. ინსტიტუციონალური მოდელების თეორიული ფუნდამენტი კი ძირითადად განსხვავებულია. მოკლედ მიმოვიხილოთ ინსტიტუციონალიზმის, როგორც ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების, მეთოდოლოგიური წანამდგრები. ინსტიტუციონალიზმი ამერიკულ ნიადაგზე აღმოცენდა, თუმცა მან თავის თავში გააერთიანა გერმანული ისტორიული



სკოლის, ინგლისური ფაბიანელობისა და ფრანგული სოციოლოგიის მოწინავე იდეები. ინსტიტუციონალურ თეორიაზე უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა იქონია მაქს ვებერის შეხედულებებმა, რომლებიც, პირველ რიგში, ჩამოყალიბებულია მის ცნობილ ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის

**არნოლდ ჯოზეფ ტოინბი**

სული“. ამ ნაშრომში ავტორი საბაზრო მეურნეობის განვითარებას პირდაპირ უკავშირდება ევროპული ცივილიზაციის სპეციფიკას და პროტესტანტული ეთიკის უნიკალურობას. ამასთან ერთად მიიჩნევდა, რომ აღმოსავლეთში, ტრადიციული ცხოვრების წესიდან გამომდინარე, კაპიტალისტური მოდერნიზაციის სწრაფი განხორციელება შეუძლებელი იყო. ცივილიზაციურმა მიდგომამ შემდგომი განვითარება ჰპოვა გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსისა და სოციოლოგის, **არნოლდ ჯოზეფ ტოინბის** ნაშრომებში. 1934–1961 წლებში მან გამოაქვეყნა მონოგრაფიის „ისტორიის გამოკვლევები“ – 12 ტომი, რომელმაც უზარმაზარი ზეგავლენა იქონია თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებაზე. ტოინბის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმოსავლეთის ცივილიზაციის კვლევას. იგი აანალიზებს რელიგიური ფაქტორების ზემოქმედებას ხალხების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ცივილიზაციის მამოძრავებელ ძალად მეცნიერი მიიჩნევს ინტელექტუალურ უმცირესობას, რომელსაც შეუძლია წინ წარუძღვეს საზოგადოებას ახალი მიმართულებით. შესაბამისად, ინტელექტუალური უმცირესობის კრიზისს იგი თვლის ცივილიზაციის დაცემის მთავარ მიზეზად. თანამედროვე ინსტიტუციონალიზმის



**კარლ პოლანი**

მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა **კარლ პოლანის** ნაშრომებმა. ერთ-ერთ წიგნში - „ეკონომიკა, როგორც ინსტიტუციონალიზებული პროცესი“ - იგი გამოჰყოფს გაცვლის ურთიერთობის სამ ტიპს: **რეციპროკულობა**, ანუ ურთიერთგაცვლა **ნატურალურ საფუძველზე**, **რესტრიბუცია**, როგორც

განაწილების შედარებით განვითარებული სისტემა და **საქონელგაცვლა**, როგორც საბაზრო ეკონომიკის საფუძველი. ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციონალური კონცეფციების საერთო დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ

მათი ყურადღების ცენტრში ექცევა განვითარებად ქვეყნებში არა დანაზოგებისა და ინვესტიციების დაბალი დონე, არამედ ფასეულობები, ტრადიციები და კულტურა.

განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის შვედ მეცნიერს, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს, გაეროს ექსპერტს, **გუნარ მიურდალს**. 1968 წელს ნიუ-იორკში გამოვიდა მისი სამტომიანი მონოგრაფია “აზიური დრამა: ხალხთა სიღარიბის გამოკვლევა”. ამ წიგნის გამოსვლას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი მოვლენები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. დემოგრაფიულმა აფეთქებამ გამოიწვია ამ რეგიონის რიგ ქვეყნებში ცხოვრების დონის საგრძნობი დაქვეითება. კეინზიანური და ნეოკლასიკური მიდგომების საფუძველზე საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის პრაქტიკამ კრახი განიცადა. უთანასწორობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. მიურდალის კვლევა იწყება “მესამე სამყაროს” პრობლემებისადმი დასავლეთში გავრცელებული მიდგომების მკვეთრი კრიტიკით. მათ მთავარ მეთოდოლოგიურ შეცდომად მიურდალი მიიჩნევს განვითარებული სამყაროს კანონზომიერებების განვითარებად სამყაროზე მექანიკურად გადატანის მცდელობას. პრაქტიკაში ეს გამოიხატა ანკლავური ტიპის ეკონომიკის, ანუ ევროპიზირებული მრეწველობის შექმნით, რომელიც უპირატესად გარე ბაზარზე იყო ორიენტირებული და არ ითვალისწინებდა შიდა ბაზრის მოთხოვნებს.

მიურდალი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს აზიურ ფასეულობებს, რომლებსაც რატომღაც ვერ ამჩნევდნენ დასავლეთის სხვა მკვლევარები. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ნაშრომის პროლოგის დასათაურება “ფარდები ჩვენს თვალებზე”. მიურდალი დაწვრილებით განიხილავს განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის დაგეგმვის იდეოლოგიის საკითხებს და მიუთითებს, რომ სახელმწიფო ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი ევოლუციის მამოძრავებელ ძალად გამოდის. გაკეთებულია დასკვნა, რომ განვითარებადი ქვეყნების ისეთ პრობლემებთან, როგორებიცაა უკიდურესი სიღარიბე და დემოგრაფიული აფეთქებები, გამკლავება დაგეგმვის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. მიურდალი სვამს კითხვას: რა თავისებურებებით ხასიათდება დაგეგმვა



განვითარებად ქვეყნებში და თავადვე პასუხობს – დაგეგმვა წარმოადგენს განვითარების არა შედეგს, არამედ წანამძღვარს. მას გააჩნია არა პრაგმატული, არამედ პროგრამული ხასიათი. მიუხედავად გამოჰყოფს კერძო სექტორის რეგულირების ორ სახეობას: პირველი ხორციელდება “ჩინოვნიკის გადაწყვეტილებით, რომელსაც მინიჭებული აქვს საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოქმედების უფლება”. მოცემული სახის რეგულირებას მიუხედავად დისკრეციულს უწოდებს. რეგულირების მეორე ფორმა “ავტომატურად ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად ან ფასების ცვლილების, ტარიფებისა და აქციზური მოსაკრებლების შემოღების ზემოქმედების შედეგად”.



*საიმონ  
კუზნეცი*

ამ სახის რეგულირებას იგი მოიხსენიებს როგორც *არადისკრეციულს*. მიუხედავად აქვე მიუთითებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში უპირატესად გამოყენებული იყო რეგულირების პირველი ფორმა, რის გამოც “მეწარმეებს ნაკლები სტიმული აქვთ იმისათვის, რომ გაზარდონ შრომის მწარმოებლურობა და სრულყოფილი წარმოების პროცესები”.

მიუხედავად ამისა, მესამე სამყაროს სუსტი განვითარების მიზეზია არა უცხოური კაპიტალის ნაკლებობა, არამედ შრომითი რესურსების არასაკმარისი გამოყენება. იგი პოლემიკაში შედის **საიმონ კუზნეცთან**, რომელმაც განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის პრობლემის შესწავლისას გამოავლინა გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება ქონებრივ უთანასწორობასა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალს შორის. აღნიშნული დამოკიდებულება ცნობილია “**კუზნეცის მრუდის**” სახელწოდებით და მას შემდეგი სახე აქვს:



“კუზნეცის მრუდი” გვიჩვენებს, რომ ინდუსტრიალიზაციის ადრეულ ეტაპზე მოსახლეობის შემოსავლებში მცირდება უღარიბესი ფენის შემოსავლების ხვედრითი წილი და იზრდება ჯინის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს ქონებრივ უთანასწორობას. მიურდალი კი პირიქით თვლის, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობისათვის აუცილებელია შრომის ანაზღაურების სისტემის შექმნა შრომის მწარმოებლურობის გაზრდისაკენ მისი ორიენტირებულობის გაზრდის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების მთავარი პრობლემა, მეცნიერის აზრით, არის არა კაპიტალის დაგროვების ნორმის გაზრდა, არამედ მოსახლეობის სურსათით სრულფასოვანი მომარაგება, რომელიც შექმნის სამუშაო ძალის ნორმალური და ეფექტიანი შრომისუნარიანობის შენარჩუნების პირობას.

მიურდალის თვალსაზრისით, განვითარებად ქვეყნებში გატარებული რეფორმების უმეტესობა არ შეხება ტრადიციული საზოგადოების სიღრმისეულ საფუძველს. ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ რეფორმას. ტრაგედია, მიურდალის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ გლეხების ცნობიერება აშკარად მოუმზადებელია ამ ხასიათის რეფორმებისათვის. სწორედ ამიტომ მიურდალი ყველა იმ სოციალური ძალის მხარდამჭერად გამოდის, ვინც შეძლებს დაუსაქმებელი ან ნაკლებად დასაქმებული სამუშაო ძალის პრობლემის გადაწყვეტას. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ღონისძიებების გატარების მეთოდებს, რომლებიც არ გამოიწვევს სხვა ფაქტორთა დეფიციტს. ერთ-ერთ ასეთ მეთოდად კი ადგილობრივი სარეწების განვითარება მიაჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა განვითარებადი ქვეყნების პრობლემებისადმი მიურდალისეული მიდგომის ჰუმანიტარული ხასიათი. იგი ნათლად ხედავდა წინააღმდეგობას ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. ზრდა, რომელსაც თან არ ახლავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესება, მის მიერ არ განიხილება როგორც


განვითარება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. განვითარება, მიუხედავად მისი მიხედვით, ნიშნავს საზოგადოების ყველა წევრის ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებას.



*თეოდორ შულცი*

ეკონომიკური განვითარების ორიგინალური კონცეფციის ავტორია ამერიკელი ეკონომისტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, **თეოდორ შულცი**. პრობლემისადმი ინსტიტუციონალური მიდგომა მან ჩამოაყალიბა რამდენიმე ნაშრომში: “ტრადიციული სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის” (1964), “ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში: განათლებისა და სამეცნიერო კვლევების როლი”

(1971), “ინვესტიცია ადამიანებში: მოსახლეობის ხარისხის ეკონომიკა” (1981). ინსტიტუტების ქვეშ შულცი მოიაზრებდა საკმაოდ კარგად ინტერპრეტირებული ქცევის წესებს, რომელიც მოიცავს ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, კონტრაქტებზე დამყარებულ სტრუქტურებს, კოოპერაციას, საკუთრების უფლებას, შრომის კანონმდებლობას, ადამიანური კაპიტალის ფორმებს და მატერიალურ-ტექნიკურ ინფრასტრუქტურას. შულცის აზრით, ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე მოსავლიანობის ზრდის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია. მოგვიანებით ეს იდეა მან განავითარა ადამიანური კაპიტალის კატეგორიაში. ადამიანში ინვესტიციების ჩადების ქვეშ იგი გულისხმობდა არა მარტო დანახარჯებს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებაზე, არამედ სახლში თვითგანათლების, სამუშაო ადგილზე გამოცდილების დაგროვების, ჯანდაცვის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელ კაპიტალდაბანდებებს. **განვითარება**, თეოდორ შულცის მიხედვით, **გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებას, არამედ (პირველ რიგში) ინვესტიციების განხორციელებას ადამიანურ კაპიტალში და სიღარიბის ლიკვიდაციას**. სქემის სახით შულცის კონცეფცია ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ (სქემა 9):



**ეკონომიკური განვითარებისადმი ნეონსტიტუციონალური მიდგომა:  
ერნანდო დე სოტოს “სხვა გზა”**




*ერნანდო დე სოტო*

1989 წელს გამოქვეყნდა პერუელი ეკონომისტის **ერნანდო დე სოტოს** მონოგრაფია “სხვა გზა”, რომელიც 90-იან წლებში მსოფლიო ბესტსელერად იქცა. დე სოტოს ანალიზის მთავარი ობიექტია სამეურნეო საქმიანობის ექსტრალეგალური ფორმები და მათი როლი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში. წიგნი შედგება ემპირიული და თეორიული ნაწილებისაგან. ემპირიულ ნაწილში ავტორი

განიხილავს ექსტრალეგალურ საქმიანობას სამ სფეროში: საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში, ტრანსპორტსა და ვაჭრობაში. სწორედ ამ სფეროებმა ყველაზე მეტად შეუწყო ხელი პერუმის ურბანიზაციის პრობლემის გადაწყვეტას, რაც თავის მხრივ გულისხმობდა ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას და თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობის შექმნას. ურბანიზაცია განვითარებული ქვეყნებისათვის უკვე განვლილი ეტაპია და ამ ქვეყნებში ამჟამად მიმდინარეობს დეურბანიზაციის პროცესი, იქმნება პოსტინდუსტრიული საზოგადოება, სადაც ქალაქები აღმოცენდებიან სამეცნიერო ცენტრების გარშემო. განვითარებადი ქვეყნებისათვის კი ურბანიზაცია კვლავ აქტუალურ პრობლემად



რჩება. განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების პროცესში ურბანიზაციისა და დეურბანიზაციის დამოკიდებულება (სქემა 10):



ინდუსტრიულ ქვეყნებში განხორციელებულ და მესამე სამყაროს ქვეყნებში მიმდინარე ურბანიზაციებს შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს. კერძოდ, ადრინდელ ურბანიზაციას თან ახლდა მანუფაქტურების და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების შექმნა ურბანიზებული ქალაქის მოსახლეობისათვის. ამიტომ არ წარმოშობილა დისპროპორცია ქალაქის მოსახლეობის ზრდასა და მრეწველობის განვითარებას შორის. სხვა სურათია მესამე სამყაროში, სადაც ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპი საგრძნობლად ჭარბობს დასაქმებულთა ზრდის ტემპს, რის შედეგადაც ურბანიზებულ მოსახლეობაში მაღალია როგორც უმუშევართა, ისე არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. ურბანიზაციის მაღალი ტემპის პირობებში ქალაქის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო მიგრანტების ბინებით უზრუნველყოფა და

ეს უკანასკნელნი იძულებით გადაიქცნენ ჩრდილოვან მეწარმეებად. განვიხილოთ განვითარებად ქვეყნებში შრომის არასრული გამოყენების ტიპები (სქემა 11):

<i>ტიპები</i>	<i>უმუშევრობა</i>	<i>არასრული დასაქმება</i>
<i>აშკარა</i>	<i>ახლახან ურბანიზებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი</i>	<i>სასოფლო-სამეურნეო და სეზონური მუშები</i>
<i>შენიღბული</i>	<i>ძირითადად ქალები, რომლებმაც შეწყვიტეს სამუშაოს ძიება</i>	<i>აგრარული + ქალაქის არაფორმალური სექტორები</i>

დე სოტო კონკრეტული მაგალითებით აჩვენებს, თუ როგორ ახორციელებენ ადამიანები მიწების არაკანონიერად ხელში ჩაგდებას და არაფორმალური ორგანიზაციების შექმნის გზით ცდილობენ საცხოვრებელი სახლების არაკანონიერი მშენებლობის ლეგალიზაციას. მისი აზრით, ეს პროცესი სასარგებლოა დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის კატეგორიისათვის და ხელს უწყობს კერძო საკუთრების ჩამოყალიბებას. დე სოტო ასევე დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ექსტრალეგალური საქმიანობის ფართო მასშტაბები განპირობებულია პირველად ლეგალიზაციასთან და ლეგალური ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებულ მაღალ ტრანსაქციურ ხარჯებთან. იგი ასევე კავშირშია იმ ბიუროკრატიულ ბარიერებთან, რომლებიც ხელს უშლიან საბაზრო ურთიერთობების თავისუფალ განვითარებას. დე სოტო თავდაყირა აყენებს მესამე სამყაროში ლეგალური და ჩრდილოვანი ბიზნესების ტრადიციულ შეფასებებს. მანამდე ითვლებოდა, რომ მხოლოდ ლეგალური სექტორია თანამედროვე ეკონომიკური კულტურის მატარებელი, ჩრდილოვანი სექტორი კი ტრადიციული ეკონომიკის მახინჯი გადმონაშთია. სინამდვილეში კი, როგორც ამას ამტკიცებს პერუელი ეკონომისტი, სწორედ ჩრდილოვანი მეწარმეები თავისუფალი კონკურენციის პრინციპებით, თავიანთი სამეურნეო საქმიანობის ორგანიზებით წარმოქმნიან ჭეშმარიტად დემოკრატიულ ეკონომიკური წესრიგს.


### **“კანონმორჩილების ფასი” პერუში დე სოტოს მიხედვით**

“თავისუფლებისა და დემოკრატიის” ინსტიტუტმა, რომელსაც დე სოტო ხელმძღვანელობს, პერუში ჩაატარა გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა “კანონმორჩილების ფასის”, ანუ ბიზნესის ლეგალიზაციის ხარჯების დადგენას. აღმოჩნდა, რომ ტანსაცმლის სამკერვალო ფაბრიკის რეგისტრაციისათვის ექსპერიმენტატორებს დასჭირდათ 289 დღე და 32 მინიმალური თვიური ხელფასის ექვივალენტი თანხა, რომელიც მოიცავდა დანახარჯებს ქრთამზე, სხვადასხვა ბაჟებს და ვერმიღებულ შემოსავლებს. ქუჩის ჯიხურებში ვაჭრობის ლიცენზიის მისაღებად საჭირო გახდა 43 დღე სიარული ბიუროკრატიულ ლაბირინთებში და 15 მინიმალური თვიური ხელფასი. საცხოვრებელი სახლისათვის აუცილებელი მიწის ნაკვეთის გამოყოფას დასჭირდა თითქმის 7 წელი და 56 მინიმალური ხელფასი. ბუნებრივია, რომ ამგვარი სისტემის არსებობის პირობებში შეუძლებელია დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობისათვის ბიზნესის დაწყება. სამაგიეროდ იგი ჩინოვნიკებისათვის სხვადასხვა პრივილეგიების მიღებისა და კორუფციის ნოყიერი ნიადაგია.

მსგავსი ფაქტების საფუძველზე დე სოტო ასკვნის: “კომპანიის წარმატება მეტწილად დამოკიდებულია არა მის საქმიანობაზე, არამედ კანონის შესრულებიდან გამომდინარე დანახარჯებზე. მეწარმე, რომელიც უკეთესად მანიპულირებს ამ დანახარჯებით ან ჩინოვნიკებთან კავშირებით, უკეთეს მდგომარეობაშია იმასთან შედარებით, ვინც მხოლოდ წარმოებაზე ზრუნვითაა დაკავებული. სწორედ “ცუდი კანონების” მოქმედების შედეგია ის ფაქტი, რომ პერუს ექსტრალეგალურ სექტორში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 48%, იხარჯება ჯამური სამუშაო დროის 61.2% და იქმნება ქვეყნის მშპ-ს 38.9%. ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში, მაგალითად, ტრანსპორტზე ჩრდილოვანი მეწარმეები ქმნიან მთელ მომსახურებას.

პერუელი ეკონომისტის მეორე უმნიშვნელოვანესი თეორიული მიღწევაა ეკონომიკური “იატაკვეშეთის” თვითორგანიზაციის მექანიზმის გამოკვლევა. მისი

აზრით, ჩრდილოვან ბიზნესში ბატონობს არა ძალადობა, როგორც ამას ჩვეულებრივ წარმოადგენენ, არამედ ექსტრალეგალური სამართალი, რომელიც აწესრიგებს ჩრდილოვანი მეწარმეების ურთიერთობებს გარე სამყაროსთან. იქმნება თავისებური “პარალელური სამყარო”, საკუთარი “პროფკავშირებით”, საკუთარი სასამართლოებითა და სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც უფრო ეფექტიანია ლეგალურ ანალოგებთან შედარებით. ამ უკანასკნელს კი განაპირობებს ის, რომ მაღალი ტრანსაქციული დანახარჯები ინსტიტუციურ ველს მიღმა ნებისმიერ აქტიურობას წამგებიანს ხდის და მეწარმეებს უბიძგებს ექსტრალეგალურ ორგანიზაციებში გაერთიანებისაკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დე სოტო საზოგადოებას სთავაზობს ტრანსაქციული ხარჯების კლასიფიკაციას “ლეგალური - ექსტრალეგალური” დაყოფის საფუძველზე. პირველთან დაკავშირებულია “კანონმორჩილების ფასი”, რომელიც მოიცავს მეწარმის შემდეგ დანახარჯებს: ა) “კანონთან დაშვებაზე”, ანუ ეკონომიკური საქმიანობის დაწყების უფლების მიღებაზე და ბ) “კანონის ჩარჩოებში საქმიანობის გაგრძელებაზე”. თუკი მეწარმე ირჩევს ექსტრალეგალურ საქმიანობას, იგი თავიდან იშორებს “კანონმორჩილების ფასს”, მაგრამ იძულებულია გადაიხადოს ექსტრალეგალურ სივრცეში ყოფნის ფასი და, ხშირ შემთხვევაში, მეორე რეჟიმში ყოფნას ამჯობინებს. ასე წარმოიშვება მოჯადოებული წრე: ჩრდილოვანი სექტორის ზრდა იწვევს ლეგალურის შემცირებას, რომელსაც, ამის გამო, კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებრივი ხარჯების გაწევის სიმძიმე, რაც ამ სფეროში მოღვაწე მეწარმეებს არალეგალურ სექტორში გადასვლისაკენ უბიძგებს. ლეგალურ ბიზნესზე გადასახადებისაგან თავის არიდებას მეწარმეები პოლიტიკური ღონისძიებების გამოყენებით ცდილობენ. ამ საქმეში წარმატების მიღწევის შემთხვევაში იზღუდება ლეგალური ბიზნესის ფუნქციონირების კონკურენტული გარემო. გადასახადების გაზრდის შემთხვევაში მცირდება ლეგალური სექტორის ეფექტიანობა, იზრდება ნაპრალი მასას და კონკურენტულ ჩრდილოვან სექტორს შორის. სქემატურად ეს პროცესი ასე შეიძლება გამოიხატოს (სქემა 11):



დე სოტო ერთმანეთისაგან განასხვავებს “კარგ” და “ცუდ” კანონებს. “კარგი კანონი - წერს იგი - არეგულირებს ეკონომიკას და ამაღლებს საზოგადოებრივი საქმიანობის ეფექტიანობას, ცუდი კი ანგრევს ერთსაც და მეორესაც”. ის გარემოება, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საკუთარი საქმიანობისათვის ჩრდილოვან სექტორს ირჩევს, მეორე მცირე ნაწილი კი საკუთარ კაპიტალს ქვეყნის გარეთ აბანდებს, მეტყველებს ქვეყანაში მოქმედი კანონების უვარგისობაზე. დე სოტო სვამს კითხვას: რატომ ბატონობს პერუში “ცუდი” კანონები? და თვითონვე პასუხობს - იმიტომ, რომ ქვეყნის მთავრობა უპირატესად დაკავებულია არსებული შემოსავლების გადანაწილებით და არა ახალი სიმდიდრის შექმნით, მოქალაქეები კი არ არიან თანასწორნი ამ კანონების წინაშე. “განვითარება კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა არსებული სამართლებრივი ინსტიტუტები ყველა მოქალაქისათვის თანაბრად არის ხელმისაწვდომი”.

რა უნდა გაკეთდეს არსებული მიმდინარე მდგომარეობიდან გამოსასვლელად? დე სოტოს აზრით, საჭიროა სამართლებრივი სისტემის რეალობასთან მაქსიმალური დაახლოება, რაც გულისხმობს როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიული ღონისძიებების გატარებას. აწმყოში აქტუალურია იმ ბარიერების მოხსნა, რომლებიც ხელს უშლიან ლეგალური და ექსტრალეგალური სექტორების ინტეგრირებას, დისკრიმინაციის გამომრიცხავი ერთიანი სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემის შექმნას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გულისხმობს:

- სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირების გამარტივებას, ანუ ოპტიმიზაციას დუბლირებული და უსარგებლო კანონების გაუქმებით;
- მართვის სისტემის დეცენტრალიზაცია, რათა ხელისუფლება მაქსიმალურად დაუახლოვდეს ხალხისთვის საჭირობო პრობლემებს;
- დერეგულირება, ანუ კერძო პირთა პასუხისმგებლობისა და შესაძლებლობების გაფართოება, სახელმწიფოს კი – შევიწროება.

სამომავლო რიგის ამოცანებია:

- კანონპროექტის სისტემატური გამოქვეყნება მათი თავისუფალი განხილვისათვის;
- კანონპროექტების დახასიათება ტერმინებით “დანახარჯები-სარგებელი”, რათა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოზე დისციპლინარული ზემოქმედების მექანიზმი.

ამრიგად, **ერნანდო დე სოტოს** კონცეფციაში განვითარება განხილულია

როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ინსტიტუციონალური პირობების ჩამოყალიბება თავისუფალი მეწარმეობისათვის. დე სოტოს ზემოაღნიშნულმა ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუციონალური თეორიის ორიგინალურ მიმართულებას, განვითარების ეკონომიკურ-სამართლებრივ კონცეფციას - **Law and Economics of Development**).

## ლიტერატურა:

**Lucas R.** *On the Mechanizm Economic Development.*-*Journal of Monetary Economics*, 1988, ტ. 22, გვ. 3-42;

**Lawrence E. Harrison.** *Who Prospers? How Cultural Values Shape Economic and Political Success.* Basic Books, New-York, 1992;

**Todaro N.** *Economic Development.* 5<sup>th</sup> edition. 1994;

**Gillis M. Perkins D. Roemer M. Snodgrass D.** *Economics of Development.* 4<sup>th</sup> edition, 1996;

**Haiami Y.** *Development Economics: From the Poverty to Wealth of Nations.* Oxford, 1997;

**Buscaglia E.** *Law and Economics of Development-* <http://allserv.rug.ac.be/~gdegeest/>

**Мюрдаль Г.** *Современные проблемы «третьего» мира.* Москва, 1972.

**Де Сото Э.** *Иной путь. Невидимая революция в третьем мире.* Москва, 1995.

**Нуреев Р.** *Теория развития: институциональные модели становления рыночной экономики.* Москва, 2002.

**გველესიანი რ.** *განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა: სტრატეგია და პრობლემები.* ჟურნ. “საქართველოს ეკონომიკა”, 2008, №2. გვ. 69-73

## თემა 12. (ლექცია XV) თანამედროვე ინსტიტუციონალური თეორიები

### 1. „ძველი“ ინსტიტუციონალიზმი და „ახალი (ნეო)“ ინსტიტუციონალიზმი

ინსტიტუციონალიზმი წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში მთავარი (მეინსტრიმული) ნეოკლასიკური მოძღვრების ალტერნატივას. იგი თავისი შინაარსით უფრო ახლოს დგას ეკონომიკური თეორიის ისტორიულ სკოლასთან.

ნეოკლასიკური დოქტრინისგან განსხვავებით, რომელიც ეკონომიკურ სისტემას წარმოადგენს მისი შემადგენელი ელემენტების მექანიკური ჯამის სახით – (ე.წ. „ატომისტური“ მიდგომა), ინსტიტუციონალისტებისთვის მთავარი სისტემის ელემენტებს შორის კავშირებია, რომელიც სისტემას წარმოშობს და ასეთი მიდგომა ცნობილია „ჰოლიზმის“ სახელწოდებით. ინსტიტუციონალიზმის თანახმად სისტემა, ერთის მხრივ, განსაზღვრავს მისი შემადგენელი ელემენტების თვისებებს, მეორე მხრივ კი საკუთარ თავში მოიცავს ამ ელემენტთა თვისებებს, თუმცა ამავე დროს განსაკუთრებული თვისებებითაც ხასიათდება, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ცალკე აღებული რომელიმე ელემენტისთვის.

ახალი (ნეო) ინსტიტუციონალიზმი ეკონომიკას განიხილავს როგორც ღია სისტემას, რომელიც განიცდის გარემოს (კულტურა, ტრადიციები, ბუნების ძალები და ა.შ.) მხრიდან ზემოქმედებას და რეაგირებს მასზე. აქედან გამომდინარე, ნეოინსტიტუციონალიზმი მსგავსად „ძველი“ ინსტიტუციონალიზმისა უარყოფს ნეოკლასიკური თეორიის მთავარ პოსტულატს – ეკონომიკის წონასწორულ მდგომარეობაში ყოფნას და ამ უკანასკნელს მიიჩნევს არატიპიურ, ხანმოკლე მოვლენად. ინსტიტუციონალისტებისა და ნეოინსტიტუციონალისტების აზრით, წონასწორობისადმი სისტემის მიახლოების ხელშემწყობი ძალების (ფაქტორების) მოქმედება გადაიფარება უფრო ძლიერი, უპირატესად ენდოგენური ფაქტორების მოქმედებით, რომლებიც მუდმივ დამახულობაში ამყოფებს სისტემას, უზრუნველყოფს მისი ცვლილების განუწყვეტელ ხასიათს.



ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ენდოგენური ფაქტორია ინსტიტუციონალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის **ტორსტინ ვებლენის** მიერ ჩამოყალიბებული „კუმულაციური მიზეზობრიობა“, რომელიც გულისხმობს შემდეგს: საქმიანობის პროცესში იცვლება ადამიანიც და ის მიზანიც, რომლისკენაც ის მიისწრაფვის. ღია სისტემისათვის დამახასიათებელია დადებითი უკუკავშირები, მყარი სოციალურ–ფსიქოლოგიური და სოციალურ–ეკონომიკური სტრუქტურები კი „ინსტიტუტებად“ იქცევიან. „ინსტიტუტის“ ქვეშ იგულისხმება მრავალი სხვადასხვა ფენომენი – ენა, ეთიკა, რელიგია, ოჯახი, ფული, საკუთრება, ბაზარი. მათ გარდა ზოგიერთი მეცნიერი „ინსტიტუტების“ კატეგორიას მიაკუთვნებს: ჩვევებს, ტრადიციებს, ნორმებს, რუტინას, იურიდიულ კანონებს, კონტრაქტებს, კონსტიტუციას, ასოციაციებს, იერარქიებს, ფორმებს, პროფესიონალურ კავშირებს, მეწარმეებისა და თავისუფალი პროფესიის პირთა ორგანიზაციებს, ეკლესიას, უნივერსიტეტებს, პოლიტიკურ პარტიებს, სახელმწიფო ადმინისტრაციულ აპარატს, საკუთრივ სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ხელშეკრულებებს.

სპონტანური ევოლუციის ნეოკლასიკურ თეორიას უპირისპირდება ინსტიტუციური დეტერმინიზმი, რომელიც ინსტიტუტებს განიხილავს სპონტანურობის მთავარ დამაბრკოლებელ ბარიერად და სისტემის მასტაბილიზებელ ფაქტორად. ტ. ვებლენი წერს: „ინსტიტუტები არის წარსულში მიმდინარე პროცესების შედეგი. ისინი შეგუებული არიან წარსულის გარემოებებს და ამიტომ წარმოადგენენ სოციალური და ფსიქოლოგიური ენერჯის ფაქტორს“.



**ტორსტინ ვებლენი**

**ტორსტინ ვებლენი** სამართლიანად ითვლება ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლად. მისი მთავარი იდეები ჩამოყალიბებულია ნაშრომებში: „რატომ არის ეკონომიკა არარევოლუციური მეცნიერება“(1898); „უქმი კლასის თეორია: ეკონომიკური გამოკვლევა ინსტიტუტების შესახებ“(1899); „მეცნიერების ადგილი თანამედროვე ცივილიზაციაში“(1919); და სხვ. ამ ნაშრომებში მეცნიერმა უარყო ადამიანზე, როგორც „ატომურ“ რაციონალურ ინდივიდზე წარმოდგენა და ჩამოაყალიბა ინსტიტუტის ცნება,

რომელიც შემდეგნაირად განისაზღვრა: „ადამიანთა დიდი ერთობლიობისთვის დამახასიათებელი აზროვნების მყარი ჩვევები, რომლებიც აღმოცენდებიან ტრადიციებიდან, წეს-ჩვეულებებიდან, ინსტიტუტებიდან და სოციალური ნორმებიდან“.

ინსტიტუციონალიზმის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია უესლი მიტჩელის(1874–1948) და ჯონ კომონსის(1862–1945) სახელებთან. კომონსმა შექმნა ტრანსაქციების თეორია და განავითარა ვებლენის შეხედულება ინსტიტუტების შეგნებულ სოციალურ სელექციაზე. მიტჩელი იკვლევდა ეკონომიკური დინამიკის გამოყენებით საკითხებს, მათ შორის ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებაში.

„ძველ“ ინსტიტუციონალიზმს ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ ჯ.კ.გელბრეიტის ტექნოსტრუქტურების თეორია, რომელიც გადმოცემულია შემდეგ ნაშრომებში: „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“(1967), „ეკონომიკური თეორიები და საზოგადოების მიზნები“ (1973). მეცნიერის მთავარი თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ „თანამედროვე ბაზარზე არავინ ფლობს სრულ ინფორმაციას. თითოეულ ცოდნას აქვს ნაწილობრივი და სპეციალიზებული ხასიათი. ინფორმაციის სისრულე მიიღწევა მხოლოდ ნაწილობრივი ცოდნის გაერთიანებით ორგანიზაციის ანუ ტექნოსტრუქტურის ფარგლებში“. შემდეგ იგი აანალიზებს ტექნოსტრუქტურის გავლენას ინდივიდთა ქცევაზე და „ინდივიდთა მახასიათებლები განიხილება ინსტიტუციური გარემოს ფუნქციის სახით“.



**რონალდ კოუზი**

ახალი (ნეო) ინსტიტუციონალიზმის წარმოშობა უკავშირდება ამერიკელი ეკონომისტის **რონალდ კოუზის** სახელს. მისი ძირითადი იდეები გადმოცემულია ორ სტატიაში – „ფირმის ბუნება“(1937) და „სოციალური ხარჯების პრობლემა“(1960). ამ სტატიებში პირველად იქნა ჩამოყალიბებული ნეოინსტიტუციონალიზმის პრობლემატიკის კვლევის პროგრამა.

ნეოინსტიტუციონალიზმის ასევე თვალსაჩინო წარმომადგენელია **დუგლას ნორტი**, რომელიც ითვლება ნეოინსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი მიმართულების – ახალი ეკონომიკური ისტორიის ფუძემდებლად.

ამჟამად ნეოინსტიტუციონალიზმის რამდენიმე მიმართულება არსებობს. ესენია:

- ტრანსაქციური ხარჯების თეორია;
- საკუთრების უფლების თეორია;
- ახალი ეკონომიკური ისტორია;
- ოპტიმალური კონტრაქტის თეორია;
- კონსტიტუციური ეკონომიკა;
- შეთანხმების ეკონომიკა.

ჩვენი სასწავლო დისციპლინა არ იძლევა ყველა ამ მიმართულების განხილვის შესაძლებლობას<sup>2</sup>. აქ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მიმართულებაზე შევჩერდებით, რომლებიც მოიცავს როგორც „ძველი“ ასევე „ახალი“ ინსტიტუციონალიზმის პრობლემატიკას. მანამდე კი განვიხილავთ ნეოინსტიტუციონალიზმის მთავარ ცნებებს (კატეგორიებს) და მათ შორის ურთიერთკავშირებს.

## 2. ინსტიტუციონალიზმის მთავარი ცნებები (კატეგორიები) და ინსტიტუციური სისტემის დონეები

„ძველი“ და „ახალი“ ინსტიტუციონალიზმი ოპერირებს ისეთი ცნებებით (კატეგორიებით), როგორიცაა: ინსტიტუტები, წესები, ჩვევები, პროცედურები, ნორმები, ორგანიზაციები. ასევე მნიშვნელოვანია მათ შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა.

ინსტიტუტი წარმოდგება ლათინური „*institum*“ – სგან, რაც ნიშნავს „დაწესებას“, „დამყარებას“. მასში იგულისხმება საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეული წრის განმსაზღვრელი, უპირატესად სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა. ეს შეიძლება ჩაითვალოს ინსტიტუტის ცნების ვიწრო გაგებად. ფართო გაგების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და მივუთითეთ მის მრავალფეროვნებაზე. ინსტიტუტთან მჭიდროდაა

---

<sup>2</sup> ნეოინსტიტუციონალიზმის კონკრეტული მიმართულებები უფრო დეტალურად განხილულია სასწავლო დისციპლინაში – „ინსტიტუციური ეკონომიკა“.

დაკავშირებული წესის ცნება, რომელიც შეიძლება განიმარტოს როგორც რაიმე საქმიანობის ხანგრძლივი დროით დაშვება ან აკრძალვა, რაც დაკავშირებულია სიმბოლურ წახალისებასთან ან სანქციების გამოყენებასთან.

ჩვევა არის ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომლითაც ოპერირებს ეკონომიკური აგენტი საკუთარი გადაწყვეტილების მიღების დროს. არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი წესსა და ჩვევას შორის. წესს აქვს გამოხატულების შემდეგი ფორმა: X გარემოებაში აუცილებელია Y მოქმედების შესრულება. ჩვევის ფორმაა: X გარემოში სრულდება Y მოქმედება. წესის მრავალჯერ განმეორებადი გამოყენება მის ჩვევაში გადაზრდის შესაძლებლობას წარმოშობს. შეიძლება ითქვას, რომ წესის დარღვევა უფრო ადვილია, ვიდრე ჩვევის შეცვლა. ეს უკანასკნელი თვითნებურად ვლინდება და დავანებულია ნერვული სისტემის ქვეცნობიერ დონეზე.

ჩვევის ან წესის გამოყენება აუცილებელია შემდეგ შემთხვევაში:

- არჩევანის ოპტიმიზაცია, როცა ცნობილია ალტერნატივების ნაკრები და შესაძლებელია ოპტიმუმის მოძებნისკენ მიმართული გამარტივებული პროცედურების გამოყენება და გადაწყვეტილების მიღება;
- ინფორმაციის მასშტაბურობა, როცა იგი ადვილი გასაგებია ეკონომიკური აგენტისთვის, თუმცა მისი მოძიება მოითხოვს დროისა და სხვა რესურსის დიდ დანახარჯს;
- ინფორმაციის სირთულე;
- გაურკვევლობა, როცა მომავლის შესახებ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ცოდნა ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია;
- აგენტის კოგნიტურ შესაძლებლობათა შეზღუდულობა;
- აგენტის სწავლება ანუ მის მიერ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ცოდნის დაგროვება, რომელიც სამყაროს რაობას უკავშირდება;
- აგენტებს შორის რეგულარული ურთიერთობა.


ინდივიდუალური ჩვევები, რომლებიც გაზიარებულია მთელი საზოგადოების ან მისი ცალკეული ჯგუფების მიერ და მათ ქცევაში ვლინდება, იღებს სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების ფორმას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომისტები

ინსტიტუტებს განიხილავენ არა მხოლოდ ვიწრო თვალსაზრისით, როგორც ფორმალურ ორგანიზაციებს, არამედ ამ ცნებას უკავშირებენ კულტურულ ფასეულობებს, ჩვევებსა და ნორმებს. ინსტიტუტები ფაქტობრივად ახორციელებენ ამ ჩვევებისა და წესების სოცილურ ტრანსმისიას (გადაცემას), რის გამოც ბევრი წესი და ინსტიტუტი კი არ ზღუდავს, არამედ აადვილებს ადამიანის მოქმედებას, მათ შორის ეკონომიკურ საქმიანობას.

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია საკუთრების უფლება, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება დეტალური მსჯელობა. მეორე ასევე მნიშვნელოვანი საბაზრო ინსტიტუტია თავისუფალი ფასი, რომელსაც მოთხოვნა–მიწოდების კანონი განსაზღვრავს.

### ინსტიტუციური სისტემის დონეები

ნებისმიერი ინსტიტუციური სისტემა შეიძლება წარმოდგენილი იქნას პირამიდის სახით, რომელიც მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე.



ფორმალური წესები ფიქსირდება იურიდიულ (სამართლებრივ) აქტებში, ცალკეული კომპანიების დონეზე კი მათ შორის გაფორმებულ კონტრაქტებში. არაფორმალური წესები წარმოდგენილია სოციალური ნორმებით, ცალკეული ეკონომიკური აგენტების დონეზე კი მათი საქმიანი შეთანხმებებით.

ფორმალური წესებისგან განსხვავებით, რომელთა დაცვასა და შესრულებას უზრუნველყოფს სამართლებრივი

სისტემა, შესაბამისი კანონებისა და სამართლებრივი აქტების გამოყენებით, არაფორმალური წესების დაცვა ემყარება სოციალურ კაპიტალს, რომელსაც საფუძვლად უდევს ბაზრის მონაწილეთა რეპუტაცია და მათი ურთიერთნდობა.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ ყველა ეკონომიკურმა აგენტმა იცის წესები და მზად არის მათი დაცვისათვის. ფორმალური წესები არ აცხადებს პრეტენზიას უნივერსალურობაზე და, როგორც წესი, დაკავშირებულია ბაზრის ცალკეულ სეგმენტებთან, ცალკეულ ჯგუფებთან. ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებული დ.ნორტი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სწორედ არაფორმალურ წესებს და მიუთითებს: „ჩვენ, დასავლურ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები ვთვლით, რომ ცხოვრება და ეკონომიკური პროცესები ემორჩილება დაწერილ კანონებს და საკუთრების უფლებებს. სინამდვილეში ჩვენს ქცევას უმნიშვნელოვანესი ხარისხით განსაზღვრავს დაუწერელი კოდექსები, ნორმები და პირობები“.

არაფორმალური ნორმების მყარი საფუძველია კონკრეტულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული კულტურული ტრადიციები და ფასეულობები. მათი დიდი ნაწილი შესულია და კლავწარმოება ადგილობრივ ტრადიციებში დამკვიდრებულ ჩვევებში. ამ სახით ადამიანები ავტომატურ რეჟიმში იმეორებენ არაფორმალურ ნორმებს ისე, რომ ნაკლებად აქცევენ მათ ყურადღებას და ნაკლებად ფიქრობენ მათ ეფექტიანობაზე. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ მიმართ „თავისუფალ“ მოპყრობას უნდა ჰქონდეს ადგილი. როგორც კი ადგილობრივ ტრადიციებს ვეხებით, თითქოსდა, მათი „გაუმჯობესების“ მიზნით მაშინვე ირთვება დაცვითი რეაქცია პრინციპით „ჩვენთან ეს არ არის მიღებული“.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არაფორმალური წესები და ეროვნულ-კულტურული ტრადიციები არ წარმოადგენს მხოლოდ სპონტანური განვითარების შედეგს. მათზე შესაძლებელია ზემოქმედება, თუმცა მხოლოდ მოქნილი და ფაქიზი ინსტრუმენტების გამოყენებით.

ინსტიტუციური სისტემის დონეთა ცვლილების ტემპი საკმაოდ განსხვავებულია (უთანაბროა). ყველაზე სწრაფად ფორმალური წესების შეცვლაა შესაძლებელი. არაფორმალური წესები შედარებით ნაკლებად ემორჩილება ცვლილებებს.

განსაკუთრებით მაღალი ინერციულობით გამოირჩევა კულტურული ჩვევები, ტრადიციები და ფასეულობები. მათი მოდიფიცირება ჩვეულებრივ დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

### 3. ცალკეული ინსტიტუციონალური და ნეოინსტიტუციონალური მიმართულებები

#### 3.1. საკუთრების უფლების თეორია

საკუთრების უფლების წარმოშობის უშუალო წანამდვარია ეკონომიკური ნორმები. თავად საკუთრების უფლება შეიძლება განხილული იქნეს როგორც ამ ნორმების შექმნისა და გამოყენების შედეგი. „საკუთრების უფლება ჩნდება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ჩნდებიან შეზღუდული დოვლათის გამო ადამიანთა ურთიერთობების ზოგადი პრინციპების განმსაზღვრელი წესები“. (ი.ბალარჯიშვილი, 2005, გვ.124). ნივთის მითვისება არის საკუთრების უფლების რეალიზაცია იმ დროს, როდესაც მისდამი ადამიანთა დამოკიდებულება გაშუალებულია ამ ადამიანის სხვა ადამიანთან ურთიერთობით.

არსებობს საკუთრების უფლების დადგენის ბევრი სამართლებრივი ტრადიცია: რომანულ–გერმანული სამართალი, ზოგადი სამართალი, მუსულმანური სამართალი, ჩინური სამართალი, აფრიკული სამართალი და ა.შ. საკუთრების უფლების ინტერპრეტაციის ქართული ვარიანტი ჩამოყალიბებულია ბექასა და ალბუღას „სამართლის წიგნში“ (XIV საუკუნის მეორე ნახევარი და XV საუკუნის პირველი ნახევარი) და ვახტანგ VI (ბატონიშვილის) მიერ შექმნილ სამართლებრივ ძეგლში „დასტურლამალი“ (XVIII ს–ნის დასაწყისი). განსაკუთრებით საინტერესოა ორი სამართლებრივი ტრადიცია – კონტინენტური ანუ რომანულ–გერმანული სამოქალაქო სამართალი (civil law) და ანგლო–საქსური, ზოგადი სამართალი (common law), რომლებიც საფუძვლად დაედო ბაზრის ფორმირებას ევროპის ქვეყნებში. კერძოდ ზოგადი სამართალი დიდ ბრიტანეთსა და მის ყოფილ კოლონიებში აშშ–ს ჩათვლით,

რომანულ-გერმანული კი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. სამართლის ამ ორ მოდელს შორის არსებობს არსებითი განსხვავება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

1. რომანულ-გერმანულ სამართალში სამართლის წყაროს წარმოადგენს არსებული კანონები, კონსტიტუცია, კოდექსები, რეგლამენტაციები და დეკრეტები. ახალი ნორმები მიიღება სწორედ მათი დედუქციის საფუძველზე. ზოგად სამართალში ცენტრალურ როლს თამაშობს პრეცედენტი, რომლის ქვეშ იგულისხმება ტრადიციები და სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები. მაგალითად, საკუთრების უფლების ლეგალური დაკანონება შეიძლება იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომ პრეცედენტი ამ უფლებას დეფაქტო ანხორციელებდა ხანგრძლივი დროის მანძილზე.

2. მოსამართლის როლი იურიდიული გადაწყვეტილების მიღებაში. კონტინენტურ სამართალში მოქმედებს განსაზღვრავს პრინციპი – „კანონისადმი მორჩილება“. ე.ი. მისი ამოცანაა იმ სამართლებრივი ნორმების მოძებნა და გამოყენება, რომელიც ყველაზე უკეთესად შეესაბამება სიტუაციას. ანგლო-საქსური სამართალი მოსამართლეს უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს: ის არა მარტო ინტერპრეტატორია არსებული სამართლებრივი ნორმის, არამედ გარკვეული აზრით მისი შემქმნელიცაა (პრეცედენტის მექანიზმის მეშვეობით).

3. განსაკუთრებით თვალშისაცემია განსხვავება თვით საკუთრების უფლების გაგების თვალსაზრისით. ნაპოლეონის კოდექსიდან დაწყებული, საკუთრების უფლება განიხილება როგორც ერთიანი, დაუყოფელი და შეუზღუდავი. ეს გულისხმობს, რომ რაიმე რესურსის მესაკუთრე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელსაც აქვს სამი ძირითადი უფლებამოსილება: ფლობის უფლება, სარგებლობის უფლება და განკარგვის უფლება. ამას გარდა არსებობს უფლებამოსილებათა ე.წ. კონა. მაგალითად, ინგლისელი იურისტის ა. ონორეს კლასიფიკაციით, საკუთრების უფლებამოსილებათა კონა შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

- სარგებლობის უფლება, რომელიც გულისხმობს ნივთისგან პირადი სარგებლობის მიღებას;



- განკარგვის ანუ მართვის უფლება, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ და ვის მიერ შეიძლება იქნეს გამოყენებული ეს ნივთი. იგი ასევე განსაზღვრავს რესურსისადმი ხელმისაწვდომობის წესს;
- შემოსავალზე უფლება, რომელიც მიიღება ან ნივთის უშუალო პირადი გამოყენებით (ე.წ. იმპლიციტური შემოსავალი) ან ნივთის გამოყენებით სხვა ინდივიდთა მიერ;
- კაპიტალზე ანუ კაპიტალურ ღირებულებაზე უფლება;
- უსაფრთხოებაზე უფლება, რომელიც იძლევა საკუთრების ექსპროპრიაციისგან დაცვის გარანტიას;
- ნივთის ანდერძით ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება;
- უვადობა, რაც ნიშნავს უფლებამოსილებათა ფლობის დროში შეუზღუდაობას, თუ სხვა რამ სპეციალურად არ არის მითითებული კონტრაქტში;
- საზიანო გამოყენების აკრძალვის უფლება ანუ ნივთის გამოყენების აკრძალვა, თუ ეს დაკავშირებულია ნეგატიური გარე ეფექტების წარმოშობასთან;
- პასუხისმგებლობა ზღვევინების სახით ე.ი. ვალის დაფარვის მიზნით ნივთის ჩამორთმევის შესაძლებლობა;
- საბოლოო უფლებები, რაც გამოიხატება ვინმესთვის გადაცემული უფლებამოსილების „ბუნებრივად“ დაბრუნებაში გადაცემის ვადის ამოწურვის, ხელშეკრულების დაკარგვის ან სხვა მიზეზის გამო (ი.ბალარჯიშვილი, 2005, გვ.127–128).

4. სამოქალაქო სამართალში დაშვებულია მესაკუთრის მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა ნაწილის სხვა პირზე გადაცემა, მაგალითად არენდის ხელშეკრულებით. ამ დროს მესაკუთრე გადასცემს არენდატობის სარგებლობის ან განკარგვის უფლებას, მაგრამ რჩება ქონების ერთადერთ მესაკუთრედ. ამრიგად, ზოგად სამართალში ერთი და იმავე ნივთის მესაკუთრე შეიძლება იყოს მრავალი,

ხოლო სამოაქალაქო სამართალში მესაკუთრე ყოველთვის ერთია და მის ინტერესებს კანონი იცავს.

### 3.2. გარე ეფექტები და ქოუზის თეორემა

გარე ეფექტების პრობლემა კეთილდროების თანამედროვე თეორიის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. ეს პრობლემა ჯერ კიდევ ინგლისელმა ეკონომისტმა არტურ სესილ პიგუმ დააყენა თავის კლასიკურ ნაშრომში „კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია“. გარე ეფექტების წარმოშობისა და ინტერნალიზაციის საკითხი ორგანულად უკავშირდება საკუთრების უფლებათა სპეციფიკაციას. რესურსებზე საკუთრების უფლებები ჩვეულებრივ განაწილებულია რამდენიმე მესაკუთრეს შორის. რა პრინციპებით რეგულირდება ეს განაწილება და ქმნის თუ არა იგი ყოველთვის საკუთრების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას?

რ. ქოუზმა სტატიებში – „ფირმის ბუნება“ (1937), „კავშირგაბმულობის ფედერალური კომისია“ (1959), „სოციალური ხარჯების პრობლემა“ (1960) შემოგვთავაზა გარე ეფექტების პრობლემისადმი ახალი მიდგომა.

ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში გარე ეფექტები განიხილება როგორც „ბაზრის მარცხის“ გამოვლენის ფორმა ან შედეგი. ნეოკლასიკოსების აზრით, გარე ეფექტები წარმოიშობა მაშინ, როცა დარღვეულია რესურსების ოპტიმალური განთავსებისა და მათი ეფექტიანად გამოყენების პრინციპი. შეიძლება გამოიყოს უარყოფითი და დადებითი გარე ეფექტები. წარმოშობის თავისებურებათა მიხედვით გარე ეფექტი შეიძლება ასევე იყოს სამომხმარებლო, ტექნოლოგიური ან ფულადი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარე ეფექტების პრობლემა დაკავშირებულია საკუთრების უფლებების სპეციფიკაციასა და გაცვლასთან, აგრეთვე ამ უფლებათა კონფლიქტთან. რ. ქოუზი ორთოდოქსალური ნეოკლასიკური თეორიის კრიტიკისას აღნიშნავდა, რომ უარყოფითი გარე ეფექტების შინაარსის არასწორი გაგება არის წარმოების ფაქტორთა არასწორი გაგების შედეგი. ეს უკანასკნელი გაიაზრება, როგორც რაღაც ნივთობრივი სუბსტანცია, რომელსაც იძენს და იყენებს ბიზნესმენი და არა

როგორც გარკვეული (ფიზიკური) მოქმედების შესრულების უფლება. უფლებასა და ნივთს შორის განსხვავება საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ გაცვლა და ტრანსაქცია. ამ უკანასკნელში დოვლათის, როგორც სასარგებლო თვისებათა ერთობლიობის, გაცვლა ეფუძნება უფლებათა გაცვლას.

მართებულია თუ არა გარე ეფექტების დაკავშირება მხოლოდ ბაზრის „მარცხთან“ და შეიძლება თუ არა მათი ინტერნალიზაცია საბაზრო მექანიზმის ან ალტერნატიული ღონისძიებების საშუალებით? ქოუზი შენიშნავს, რომ პრობლემის დაყვანა არ შეიძლება იმაზე, რომ „A ზიანს აყენებს B-ს და უნდა გადავწყვიტოთ, როგორ შევზღუდოთ A-ს მოქმედება. ეს არასწორია. საჭიროა გადაწყდეს დავრთოთ თუ არა ნება A-ს, ზიანი მიაყენოს B-ს, ან ნება დავრთოთ B-ს ზიანი მიაყენოს A-ს? პრობლემა იმაშია, რომ თავიდან ავიცილოთ უფრო სერიოზული ზიანი“.

ქოუზს შემოთავაზებული აქვს ამ პრობლემის განხილვის რამდენიმე წანამძღვარი:

- ა) გაცვლის მონაწილეთა მცირე რაოდენობა (უმარტივეს შემთხვევაში – ორი);
- ბ) გარე ეფექტის წყაროს ერთადერთობა;
- გ) გარე ხარჯების ან სარგებლიანობის გაზომვის უმცირესი დანახარჯები;
- დ) საკუთრების უფლების დაცვისა და სპეციფიკაციის ხარჯების არარსებობა.

როდესაც ტრანსაქციური ხარჯები ნულის ტოლია, არ არსებობს შემოსავლის ეფექტი და მაშინ საკუთრების უფლების თავდაპირველი სპეციფიკაცია გავლენას არ ახდენს რესურსების საბოლოო განთავსების ეფექტიანობაზე, რასაც ქოუზი უწოდებს ოპტიმალურს, რადგანაც იგი ახდენს სიმდიდრის და წარმოების ფასეულობის მაქსიმიზირებას. ქოუზის თეორემის თანახმად, ადგილი აქვს შემოსავლის ეფექტს. კერძოდ, საკუთრების უფლებების თავდაპირველი განაწილება გავლენას ახდენს წარმოების სტრუქტურაზე. იგი გავლენას ახდენს ურთიერთქმედების მონაწილეთა შეფარდებით კეთილდღეობაზეც.

რ. ქოუზის თეორემის დამტკიცების ამოსავალი პირობაა ტრანსაქციური ხარჯების ნულოვანი დონე. ამასთანავე, ტრანსაქციულ ხარჯებს ახასიათებს გამოთანაბრების ტენდენცია ანუ გრძელვადიან პერიოდში ურთიერთმოქმედ ეკონომიკურ აგენტთა ტრანსაქციური ხარჯები გამოთანაბრდება და ეს არ იწვევს რაიმე არსებით ცვლილებას

რესურსების განთავსებაში. ეს ჰიპოთეზა კი არ ეწინააღმდეგება ქოუზის თეორემას, არამედ რამდენადმე აფართოებს მას.

### 3.3. კომონსის განმაზოგადებელი თეორია



*ჯონ კომონსი*

ჯონ კომონსის ნაშრომებში ინსტიტუტის, ორგანიზაციის და წესების ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მეცნიერის აზრით, ინსტიტუტი არის „კოლექტიური საქმიანობა, რომელიც მოწოდებულია გააკონტროლოს ინდივიდუალური საქმიანობა“. ინდივიდუალური საქმიანობა გამოიხატება სამი ტიპის ტრანსაქციაში: სავაჭრო გარიგებები, წარმოების ორგანიზაცია(მართვა) და რაციონირება ანუ სარგებლისა და დანახარჯების განაწილება. კოლექტიური საქმიანობა ხორციელდება საერთო მიზნების, ერთიანი შინაგანაწესისა და საერთო ხელმძღვანელობის მქონე საწარმოების მიერ. კოლექტიური საქმიანობა შეიძლება იყოს არაორგანიზებული, როგორცაა მაგალითად, ჩვევები და „მოქმედი ან ორგანიზებული საწარმოები“ (going or organized concens). ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება „ოჯახი, კორპორაცია, სავაჭრო ასოციაცია, პროფესიული კავშირი, სარეზერვო სისტემა, სახელმწიფო“.

არაფორმალური და ფორმალური წესები განსაზღვრავს, თუ რისი გაკეთება შეუძლია და რისი არა ინდივიდებს, რა უნდა გააკეთონ მათ და რა არა. ეს წესები საწარმოთა ყველა განყოფილების (ჯგუფის) ერთგვაროვანი ფუნქციონირების შესაძლებლობას წარმოშობს. სიტყვა „უფლებას“ და მასთან ახლოს მდგომ „სამართალს“ (law, Jus, Recht, Droit) ორი მნიშვნელობა გააჩნია: ა) სამართლიანობა, როგორც უსამართლობის ანტიეთეზა(დაპირისპირება, უარყოფა) და ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურების მიერ შინაგანი განაწესის მარეგულირებელი წესები, როგორც ასეთი წესების არარსებობის ანტიეთეზა.

კომონსი აღნიშნავს: „ყოველ საწარმოს უნდა გააჩნდეს შინაგანი განაწესის საკუთარი წესები. ამ წესების წყაროებია სახელისუფლებო სტრუქტურები, ტრადიციები, ჩვევები,

ინიციატივა და საერთოდ ყველაფერი, რაც გინდა. საწარმოს ჩარჩოებში შეიძლება მოქმედებდეს საერთო სამართალი სტატუსური სამართალით, სამართლიანობის სამართალი. სამართლის ნორმების დარღვევისათვის გამოიყენება შესაბამისი სანქციები“.

კომონსი ერთმანეთთან აიგივებს „ინსტიტუტების“, „საწარმოების“, „ორგანიზაციების“ ცნებებს და მიუთითებს: „ინდივიდები მოდიან და მიდიან. საწარმო კი ყოველთვის ფუნქციონირებს ამა თუ იმ ფორმით. ჩვენი „ინსტიტუტები“ იგივეა, რაც „მოქმედი საწარმოები“ და მაშასადამე „ორგანიზაციებიც“.

კომონსის მიხედვით, ინსტიტუციური ევოლუცია ემყარება მოქმედი საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკების მიერ „კარგი“ წესების გადარჩევა–შენარჩუნების და უარყოფითის გამორიცხვის უწყვეტ პროცესს, რომელიც ურთიერთდაკავშირებულ ორ დონეზე ხორციელდება: კერძო ორგანიზაციებში სასამართლო პროცედურების საშუალებით, რომლის დროსაც ფორმირდება ზოგადი სამართალი და პოლიტიკურ პროცესში, რომელშიაც ფორმირდება სტატუსური სამართალი.

მაშასადამე, კომონსის თეორიაში სამართალი შედის შინაგანი განაწესის წესების ზოგად კატეგორიაში. სამართლის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ, რეალიზდება სასამართლოების მეშვეობით და ფლობს ძალდატანების გამოყენების მონოპოლიურ უფლებას.

### **3.4. წესრიგისა და წესების დუალიზმი ჰაიეკის მიხედვით**

როგორც ცნობილია, ფ.ა. ფონ ჰაიეკი ეკონომიკური ლიბერალიზმის ერთ–ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. ფართო გაგებით ნეოლიბერალიზმის შემადგენელი ნაწილია ნეოკლასიკური მეინსტრიმი. ზოგიერთი ავტორი, ჰაიეკის წესების თეორიას კომონსის თეორიის ანტითეზად მიიჩნევს, სხვები კი პირიქით მიიჩნევენ, რომ ეს თეორიები ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს.


ჰაიეკი ავითარებდა სოციალურ რეალობაში წესების უნივერსალურობის იდეას. იგი ერთმანეთისგან განასხვავებდა წინასწარ კონსტრუირებულ („შექმნილ“) ანუ

ხელოვნურ, კონკრეტულ წესრიგს და სპონტანურად წარმოქმნილ , ბუნებრივ, აბსტრაქტულ წესრიგს, რომელიც მიიღწევა თვითორგანიზაციის გზით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს „მრავალი ადამიანის საქმიანობის პროდუქტს“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში „ადამიანის ჩანაფიქრის შედეგს“. სპონტანური წესრიგის ყველაზე გაფართოებული ვარიანტია საზოგადოება, რომელიც შედგება ინდივიდებისაგან და ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორცაა „ოჯახი, ფერმა, ქარხანა, ფირმა, კორპორაციები, სხვადასხვაგვარი ასოციაციები და სახელმწიფო ინსტიტუტები, მთავრობის ჩათვლით“.

როგორც სპონტანური ისე ორგანიზებული წესრიგი ემყარება წესებს, რომლებიც სხვადასხვა გზით წარმოიშობა. ორგანიზაციების წესები შეგნებულად იქმნება და დაკავშირებულია ორგანიზატორების მიერ მიზნის დასახვასთან და დირექტივების გაცემასთან. რაც შეეხება სპონტანური წესრიგის მარეგულირებელ წესებს, ისინი არ არის დაკავშირებული რაიმე მიზანთან, კონკრეტულ დირექტივასთან და ძირითადად ფორმირდება ევოლუციურ პროცესში, თუმცა ზოგიერი მათგანი ფორმალურ სახეს იძენს ზოგადი სამართლის ჩარჩოში.

რთული წესრიგი, ჰაიეკის თანახმად, არ საჭიროებს წინასწარ დაგეგმილ ორგანიზაციას და წარმოადგენს სპონტანურ წესრიგს, რომელიც, თავის მხრივ, „კეთილსინდისიერი ქცევის“ აბსტრაქტულ წესებს ემყარება. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ საზოგადოების მართვის ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვისაა განწირული.

### 3.5. ინსტიტუტები და ორგანიზაციები დ. ნორტის მიხედვით



დუგლას ნორტი

დუგლას ნორტის ინსტიტუციური შეხედულებები, რომლებიც 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა, წარმოადგენს მეცნიერის აზროვნების ევოლუციის კანონზომიერ შედეგს. ამ ევოლუციას პარადოქსული ხასიათი გააჩნდა: იგი დაიწყო ნეოკლასიკური პოზიციიდან და დამთავრდა მისი გამანადგურებელი კრიტიკით. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ნორტი მთლიანად არ განთვისუფლებულა ნეოკლასიკური თეორიის ცალკეული

პოსტულატების ზემოქმედებისგან.

ნორტი ინსტიტუტებს განსაზღვრავს როგორც საზოგადოებაში თამაშის წესებს ანუ „ადამიანის მიერ შექმნილ შემზღუდავ ჩარჩოებს, რომლებიც ორგანიზებას უკეთებს ადამიანთა შორის ურთიერთობებს“. ინსტიტუტები წარმოიშობა ან შეგნებულად, ან ყალიბდება ისტორიული ევოლუციის პროცესში, როგორც მაგალითად ზოგადი სამართალი. ნორტი ერთმანეთისგან განასხვავებს ფორმალურ (წესები, კანონები, კონსტიტუცია) და არაფორმალურ (ქცევის ნორმები, ჩვევები, ტრადიციები) შემზღუდველებს და მიუთითებს, რომ მეორე საფუძვლად უდევს პირველს, ავსებს რა მას. მეცნიერი ასევე ერთმანეთისგან განასხვავებს ინსტიტუტებს და ორგანიზაციებს. ინსტიტუტები თამაშის წესების განმსაზღვრელია, ხოლო ორგანიზაციები მოთამაშეებია, რომლებიც ამ წესებით თამაშობენ. ამასთანავე, ორგანიზაციების მოქმედება საგრძნობლად ცვლის ინსტიტუციურ კარკასს. ორგანიზაციების ცნების ქვეშ ნორტთან იგულისხმება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საგანმანათლებლო დაწესებულებები. ნორტი საკუთარ ანალიზში ფართოდ იყენებს წინა განვითარების ტრაექტორიაზე დამოკიდებულების (path dependecy) თეორიას, რომელიც თავის დროზე შემუშავებული იყო **ბ. არტურისა და პ. დევიდის** მიერ. ეს თეორია ეხებოდა ტექნოლოგიური ცვლილებების კანონზომიერებებს, თუმცა ითვალისწინებდა პოლიტიკური ორგანიზაციების როლსაც. ნორტი წერს:

„ინსტიტუციური მატრიცა შედგება ურთიერთდამოკიდებული ინსტიტუტების, მათ მიერ განპირობებული პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების ქსელისგან, რომელიც ხასიათდება მუდმივად მზარდი უკუგებით“.

ნორტი მწვავედ აკრიტიკებს რაციონალური არჩევანის ნეოკლასიკურ სქემას, რომელიც ემყარება შემდეგ დაშვებას: „ინდივიდები აცნობიერებენ საკუთარ ინტერესებს და მოქმედებენ მათ შესაბამისად“. იგი მიიჩნევს, რომ მსგავსი მიდგომა „არაადეკვატურად ხსნის ისტორიული ცვლილების ლოგიკას, რომლის წარმმართველია იდეები, იდეოლოგია, მითები, დოგმები და ცრურწმენები“. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები, ნორტის მიხედვით, რწმენასა და აზროვნების სტერეოტიპებს სოციალურ–ეკონომიკურ სტრუქტურებად გარდაქმნიან.

ამრიგად, კომონსის, ჰაიეკისა და ნორტის მოსაზრებების შედარებითი ანალიზი ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან მიმართებაში, შესაძლებლობას გვაძლევს გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები:

კომონსის თანახმად, ორგანიზაცია ერთ–ერთი ინსტიტუტია, ხოლო ინსტიტუტების არსებობა ორგანიზაციებთან განპირობებული. საზოგადოება არის ორგანიზაციათა ქსელი, რომლის შუაგულში იმყოფება სახელმწიფო, როგორც ყველაზე მაღალი არსებულ ორგანიზაციათა შორის (Supreme going concern). კომონსის ასეთი მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს ინსტიტუტებისადმი ორგანიზაციულ მიდგომად.

ჰაიეკის მიხედვით, საზოგადოება არის სპონტანური წესრიგი, რომელიც ერთი მხრივ, თვითონ განისაზღვრება სამართლის აბსტრაქტული ნორმებით, მეორე მხრივ კი იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის შეგნებულ (მიზანმიმართულ) წესებს. მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს, თვით სახელმწიფოს ჩათვლით, გააჩნია კეთილსინდისიერი ქმედების განმსაზღვრელ საერთო წესებს დამორჩილებული საკუთარი შინაგანი წესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჰაიეკის მოძღვრებაში ადგილი აქვს ორგანიზაციებისადმი ინსტიტუციურ მიდგომას.

ნორტის პოზიცია არის ამ ორი (კომონსის და ჰაიეკის) მიდგომის სინთეზის მცდელობა. განასხვავებს რა ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, იგი ამ უკანასკნელს განიხილავს მიზანთა იერარქიის კონტექსტში. ამასთანავე, ფორმალური და



არაფორმალური წესების გამოიყენება იგი ავრცელებს ორგანიზაციის შინაგანი ფუნქციონირების კანონზომიერებაზე.

#### 4. ინსტიტუციური რეფორმების მნიშვნელობა პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში

ინსტიტუციურ გარდაქმნებს პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს გარდაქმნები მაქსიმალურად სწრაფად და შემჭიდროვებულ ვადებში უნდა განხორციელდეს. შესაბამისად ინსტიტუტების ჩამოყალიბების ევოლუციონისტური რაციონალიზმის სქემასთან შედარებით, რომელიც ძირითად აქცენტს სტიქიურ პროცესებზე აკეთებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინსტიტუტების ე.წ. „გამოყვანის“ (ბიოლოგიაში ახალი ჯიშების გამოყვანის მსგავსად) მეთოდს. ეს უკანასკნელი გულისხმობს ინსტიტუციურ გარდაქმნათა ორ მიმართულებას: არსებული ინსტიტუციური ნიმუშების გაკეთილშობილებას და ახალი ნიმუშების დანერგვას (კულტივირებას).


პირველი გზა საინტერესოდ აქვს აღწერილი პერუელ ეკონომისტს ედუარდო დე სოტოს (იხ. თავი ეკონომიკური განვითარების თეორიები). როგორც ცნობილია, იგი საუბრობს საბინაო მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთების მიტაცებაზე კერძო პირთა მიერ, არალეგალურ ქუჩის ვაჭრობასა და ასევე არალეგალურ ადგილობრივ სატრანსპორტო მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში არაფორმალური ნორმები მათი ხანგრძლივი არსებობის გამო, ერთის მხრივ, ღრმა ფესვებს იკიდებს ადამიანთა ცნობიერებაში, მეორე მხრივ კი ისინი იწყებენ მათი შემზღვევითი სამართლებრივი ნორმების რღვევას. მათი ფორმალიზება ამ პირობებში უფრო ადვილია, ვიდრე ლიკვიდირება. ფორმალიზება კი მსგავს არაფორმალური საქმიანობის პრაქტიკას უფრო ცივილიზებულ სახეს ანიჭებს. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ სწორედ ასეთი არაფორმალური წესები, რომლებიც სპონტანურად ყალიბდება, უფრო ეფექტიანია და მეტად შეესაბამება ადგილობრივ ტრადიციებს.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ყველა ფორმალური წესის კანონად გადაქცევა. ამასთანავე, ნებისმიერი მსგავსი ტრანსფორმაცია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესის თვალსაზრისით ყოველთვის როდია მისაღები და გამართლებული.

ეკონომისტთა მეტ ნაწილს უფრო მისაღებად მიაჩნია ახალი ინსტიტუტების კულტივირების გზა, თუმცა ხშირ შემთხვევაში (ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე) იგი შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს ჩამოყალიბებულ საქმიან პრაქტიკას. საიდან უნდა იქნეს „მოტანილი“ ამ შემთხვევაში ეს „დასაწერგი ინსტიტუტები“? არსებობს სამი წყარო: ინსტიტუციონალური გამოგონებები; ინსტიტუტების იმპორტი და არსებული ინსტიტუციონალური ფორმების რეკომბინაცია

განვიხილოთ ინსტიტუტების ბუნებრივი განვითარების (გაკეთილშობილების) და ინსტიტუტების ხელოვნური დანერგვის (კულტივირების) სქემები.

სქემა 1. ინსტიტუტების ბუნებრივი განვითარება (გაკეთილშობილება)




სქემიდან ჩანს, რომ თავდაპირველად გროვდება ახალი პრობლემის გადაწყვეტის პრეცედენტები, რომელთა შორის ყველაზე წარმატებული შეირჩევა და ვრცელდება.

ამ პროცესს ჰყავს როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე ძალები. საჭიროა სახელმწიფომ გაითვალისწინოს ამ ძალების ბალანსი ახალი ფორმალური წესების (კანონების)

შემუშავების დროს. ამის შემდეგ იწყება ახალი ინსტიტუტის (კანონის, ნორმის) ადაპტაციის პერიოდი, რომელიც შედარებით იოლად მიმდინარეობს, ვინაიდან იგი უკვე აღარ იმყოფება სხვა ინსტიტუტებთან კონფლიქტში.

სქემა 2. ინსტიტუტის ხელოვნური დანერგვა (კულტივირება)



სქემა 2–ში გამოყოფილია ინსტიტუტის დანერგვის ორი გზა: ინსტიტუტების გადმოღება (იმპორტი) და ინსტიტუტების პროექტირება. ისე, როგორც წინა სქემაში, აქ მოქმედებენ როგორც მხარდამჭერი ისე მოწინააღმდეგე ძალები. მათ შორის მოქცეულია ნეიტრალური ძალები ანუ პროცესის მონაწილეთა უმრავლესობა. მათ ნეიტრალურობას ორი გარემოება განაპირობებს: ან ახალი წესები არ ეხება მათ ინტერესებს ან ისინი შეიმუშავებენ გამოსავლის სტრატეგიას, რომელსაც შედეგად მოსდევს ფორმალური ინსტიტუტისათვის შინაარსის გამოცვლა და მისი დესტრუქცია. თუკი შესაძლებელია ამ ნეიტრალურ ძალებში ლოიალურობის გაღვივება, მაშინ ხდება მათი პოზიტიური გამოყენება იმ თვალსაზრისით, რომ ახალი ფორმალური წესები (ნორმები, კანონები) წარმატებით სძლევენ უმრავლესობის მიერ აღმართულ ბარიერებს. პირველი სქემა უფრო დამახასიათებელია ლიდერი ქვეყნებისათვის, სადაც ახალი ინსტიტუტების დანერგვა მშობლიურ ნიადაგზე ხდება და ამიტომ მათ მიმართ არ არსებობს დიდი წინააღმდეგობა. მეორე სქემა უფრო მეტად დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ინსტიტუტების დანერგვა ხდება სხვა უფრო განვითარებული ქვეყნებიდან მათი იმპორტირებით და ამ გზით ეს ქვეყნები ცდილობენ ჩამორჩების დაძლევას. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია გარდამავალი ქვეყნებისთვის, რომლებშიც მიმდინარეობს გეგმიანი ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკით და ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულით შეცვლა. ამ ორი მიმართულების შედარება გვიჩვენებს, რომ მეორე გზა ანუ ინსტიტუტების ხელოვნური დანერგვა (კულტივირება) განსაკუთრებით რთულ პირობებთანაა დაკავშირებული და დიდ ძალისხმევას მოითხოვს პოზიტიური პრეცედენტების უზრუნველყოფის, მხარდამჭერის ძალების წახალისების და უმრავლესობის ბარიერების დაძლევის თვალსაზრისით.

## ლიტერატურა:

ბალარჯიშვილი ი. ინსტიტუციური ეკონომიკა. თბ., 2004.

ნობელიანტი ეკონომისტები. რონალდ კოუზი, გვ. 175–183; დუგლას ნორტი, გვ.188–194.

ა. სილაგაძე, მ. ჭიაბრიშვილი, თ. ჭიაბრიშვილი. მეცნიერების პერპეტუუმ–მობილე. თბ., 2005.

რონალდ კოუზი, გვ. 239–247; დუგლას ნორტი, გვ. 260–267.

Coase R. The Firm, the Market and the Law. Chicago, 1988.

Coase R. Contracts and Activities of Firms // Journal of Law and Economics, 1991. October.

Коуз Р. Институциональная структура производства. Лекция лауреата Нобелевской премии в области экономических наук. за 1991 год // Вестник Санкт-Петербургского Университета. Серия “Экономика”, 1993, №4, с. 86-95.

Norte D. The Rise of the Western World. Cambridge // Ma, 1971.

Norte D. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge//Ma, 1990.

Американские Экономисты – лауреаты Нобелевской премии за 1993 г. [Реферат нобелской лекции Р. Фогеля Д.Норта] М.; ИНИОН, 1994.

## ლექცია XVI. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია ანუ თანამედროვე „პოლიტიკური ეკონომიკა“

### შესავალი

საზოგადოებრივი არჩევანის თეორია არის ეკონომიკური ანალიზის გამოყენება მაკროეკონომიკური პროცესების შესწავლაში. საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის წანამდღვარია შემდეგი იდეა: ადამიანი, იმის მიუხედავად რა როლში გამოდის იგი: ამომრჩევლის, პოლიტიკოსის, ბიუროკრატის თუ ა.შ, ყოველთვის მოქმედებს როგორც რაციონალური ეგოისტი, რომელიც საკუთარი სარგებლის მაქსიმიზაციას ცდილობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი არჩევანის თეორია არის ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) გამოყენება პოლიტოლოგიაში.

პოლიტიკური სფეროს შესწავლა ეკონომისტმა შეიძლება დაიწყოს შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემით: რატომ არსებობს საერთოდ სახელმწიფო? რატომ არ შეიძლება კოლექტიური არჩევანის შესწავლა ტიპიური საბაზრო მექანიზმის საფუძვლებზე? ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას ეკონომიკური თეორია, როგორც წესი, იმოწმებს ბაზრის არასრულყოფილებას (ჩავარდნას), ანუ ე.წ. “ბაზრის ფიასკოს”. გარეგანი ეფექტების არსებობა და ზოგიერთი დოვლათის განუყოფელობა განაპირობებს საბაზრო ეკონომიკის მიერ პარეტო-ოპტიმუმის მიხედვით რესურსების არაეფექტიან ალოკაციას. სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებამ შესაძლებელია ბაზრის ჩავარდნის სასურველი კორექტირება მოახდინოს.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის ერთ-ერთი მიმართულება სახელმწიფოს განიხილავს “შავი ყუთის”, ანუ ხმის მიცემის წესის სახით, რომელშიაც შედის ინდივიდუალური ხმები და გამოდის მზა პოლიტიკური

გადაწყვეტილებები. მეორე მიმართულება სახელმწიფოს განიხილავს პარტიების, კანდიდატების, პარლამენტარებისა და ბიუროკრატების ერთობლიობის სახით, რომლებიც არსებული შეზღუდვების პირობებში მოქმედებენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. შეზღუდვებს განაპირობებს ხმის მიცემის წესი, საბოლოო ანგარიშით კი ამომრჩეველთა მხრიდან გამოხატული უპირატესობების მინიჭება. არის კიდევ ერთი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც განიხილება საკითხთა შემდეგი წრე: რა თვისებები უნდა იყოს დამახასიათებელი პოლიტიკური პროცესისათვის. და ბოლოს, საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია განსხვავება ალოკაციასა და გადანაწილებას შორის და მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა ხმის მიცემის წესის განსაზღვრისას. ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით განვიხილოთ საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მთავარი საკითხები.

### სახელმწიფოს არსებობის განმაპირობებელი მიზეზები

#### საზოგადოებრივი დოვლათი და პატიმართა დილემა

განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც **A** და **B** ადამიანები ცხოვრობენ ანარქიის პირობებში. მათ შეუძლიათ საკუთარი თავის გამოკვება, რომელიც იზომება სარგებლიანობის 10 და 9 ერთეულით. ამასთანავე, თითოეულს შეუძლია მეტი სარგებლობის მიღება, თუკი მეზობელს მოპარავს (იხილეთ ცხრილი 1):

		<b>B</b>	
		არ ქურდობს	ქურდობს
<b>A</b>	არ ქურდობს	1 (10,9)	4 (7,11)
	ქურდობს	2 (12,6)	3 (8,8)

ანარქიის პირობებში ქურდობა დომინირებული სტრატეგიაა მესამე უჯრედში წარმოდგენილი შედეგებით. ორივე ადამიანს შეუძლია თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, თუკი ფორმალურად ან არაფორმალურად შეთანხმდებიან, რომ არ მოპარავენ ერთმანეთს. მესამე უჯრედიდან პირველ უჯრედში გადანაცვლება წარმოადგენს პარეტოს მიხედვით ეფექტიან გადანაცვლებას, რომლის დროსაც ადამიანები გამოდიან ინგლისელი ფილოსოფოსის ჰობსის მიერ აღწერილი ბუნებრივი მდგომარეობიდან. ამგვარი გადასვლის შესახებ შეთანხმებას ეწოდება “კონსტიტუციური კონტრაქტი”, რომელიც ორივე ინდივიდისათვის აწესებს საკუთრების უფლებას და ზღუდავს მათ მოქმედებებს. როგორც კი ჰობსის ანარქიის მდგომარეობიდან გამოვლენ, ადამიანების წინაშე დგება კოლექტიური არჩევანის პრობლემა. საკუთრების უფლება და მასზე დამაგრებული პროცედურები, სამუელსონის მიხედვით, მიეკუთვნება საზოგადოებრივი დოვლათის კატეგორიას, რომლის თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: “ამ დოვლათის მოხმარება ერთი ინდივიდის მიერ არ გამორიცხავს მის მოხმარებას სხვა ინდივიდის მიერ”.

საზოგადოებრივ დოვლათთან მიმართებაში კოოპერაციულ წესიერ ქცევას აშკარად უპირატესობები გააჩნია ქურდულ სტრატეგიასთან შედარებით. ამასთანავე, მისი გამოყენება უფრო შესაძლებელია მცირე თანამეგობრობაში, ვიდრე - დიდში. თუკი დიდი თანამეგობრობა მთლიანად დაეყრდნობა ნებაყოფლობით შეთანხმებას, ეს წარმოშობს “უბილეთო მგზავრის” პრობლემას და გამოიწვევს საზოგადოებრივი დოვლათის ნაკლებ წარმოებას, ან ამ პროცესის მთლიანად შეწყვეტას. ამრიგად, დემოკრატია, რომელიც წარმოადგენს ფორმალური ხმის მიცემის პროცედურათა ერთობლიობას ამა თუ იმ კოლექტიური არჩევანის მიღებისა და მისი ცხოვრებაში გატარების მიზნით, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც არსებობს გარკვეული რიცხოვნობის თანამეგობრობა და ადამიანთა შორის ურთიერთობების “გაუპიროვნებულობის” გარკვეული ხარისხი.



## გარე ეფექტები და კოუზის თეორემა

გარე ეფექტებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთი სამეურნეო სუბიექტის წარმოება ან მოხმარება გვერდით ზეგავლენას ახდენს მეორის საწარმოო ან სარგებლიანობის ფუნქციაზე. ზოგჯერ თვლიან, რომ გარე ეფექტების არსებობა იწვევს პარეტო ოპტიმუმის თვალსაზრისით რესურსების არაოპტიმალურ ალოკაციას. მეცნიერი კოუზი არ დაეთანხმა ამ ორთოდოქსალურ თვალსაზრისს. მისი აზრით, პარეტოს ოპტიმუმი არსებობს მხოლოდ კონფლიქტში მყოფ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. აღნიშნული სიტუაციის ამსახველ მოდელს კოუზის თეორემას უწოდებენ. იგი ასე გამოითქმის: “ტრანსაქციური ხარჯებისა და მოლაპარაკებათა ხარჯების არსებობის შემთხვევაში, გარე ეფექტთან დაკავშირებულ კონფლიქტში მყოფი მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ რესურსების ალოკაციასთან მიმართებაში, რომელიც იქნება როგორც პარეტო ოპტიმალური, ისე წინათ განსაზღვრული საკუთრების უფლებასთან დამოუკიდებელი”. ამასთანავე, გარე ეფექტების პრობლემის გადაჭრა ამ შემთხვევაში არ მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას. პრობლემის გადაჭრა კერძო მოლაპარაკების გზით და ხელშეკრულების დადება იმ სიტუაციაში, როცა საკითხი შეეხება ორ სამეურნეო სუბიექტს, მაღალი ალბათობითაა შესაძლებელი. იმ დროს კი, როცა გარე ეფექტების გავლენის ქვეშ მყოფი აგენტების რიცხვი იზრდება, ამგვარი კერძო შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა სულ უფრო მეტად კლებულობს. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილი ხდება მოლაპარაკებებში სახელმწიფოს ჩართვა.

### გადანაწილება, როგორც სახელმწიფოს არსებობის მიზეზი

სახელმწიფოს წარმოშობის ახსნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსია მდგომარეობს იმაში, რომ იგი აღმოცენდა საზოგადოების კოლექტიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. არანაკლები საფუძველი არსებობს

იმისათვის, რომ სახელმწიფოს წარმოშობის მთავარ მიზეზად გადანაწილებასთან დაკავშირებული მოტივები ჩაითვალოს. პირველ შემთხვევაში საკითხი ეხება მთელი საზოგადოების, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მისი მხოლოდ ნაწილის კოლექტიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ანუ საქმე გვაქვს როგორც რესურსების ეფექტიანი ალოკაციის, ისე რესურსების გადანაწილების პრობლემასთან. ამ ორი მხარის გამოყოფას ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია როგორც ზოგადი ეკონომიკური თეორიისათვის, ისე საზოგადოებრივი არჩევანის თეორიისთვისაც. საბაზრო გაცვლას კერძო დოვლათის ალოკაციის გზით (“უხილავი ხელის” მსგავსად), პარეტო ოპტიმუმის მიხედვით საზოგადოება არაოპტიმალური მდგომარეობიდან ოპტიმალურ მდგომარეობაში გადაჰყავს და ეს გადასვლა ხდება ბრმად, არ არის დაკავშირებული რაიმე წინააღმდეგობასთან, ვინაიდან სასარგებლოა პროცესში მონაწილე ყველა მხარისათვის. საზოგადოებრივი დოვლათის პარეტო ოპტიმუმის მიხედვით ალოკაციისათვის საჭიროა საბაზრო მექანიზმისაგან განსხვავებული კოლექტიური არჩევის პროცესი და ამასთანავე, შეგნებული არჩევანის გაკეთება.

## **საზოგადოებრივი არჩევანი პირდაპირი დემოკრატიის პირობებში**

### **ხმის მიცემის წესი და ოპტიმალური უმრავლესობა**

სახელმწიფოს არსებობის ძირითადი აზრის საზოგადოებრივი დოვლათით უზრუნველყოფის ამოცანაზე დაყვანისას ხმის მიცემის წესი შეიძლება იყოს ერთსულოვნება (გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღება). ვიქსელმა პირველად აჩვენა გადაწყვეტილების ერთხმად მიღების სარგებლიანობა კოლექტიური მოქმედებისათვის. საყოველთაო თანხმობას საჭიროებს ა. სმიტის მიერ აღწერილი საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდების აუქციონერული მექანიზმიც.



*ჯეიმს  
ბიუკენენი*


ეს დანახარჯები შეიძლება შევუფარდოთ ცალკეული ადამიანთა ჯგუფის შიგნით წარმოშობილი უთანხმოება ჯგუფის ზოგიერთი წევრის მდგომარეობას აუარესებს ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების გამო. ხმის უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება მოიცავს დანაკარგებს, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა პრობლემის დაზუსტებაზე დამატებითი დროის დახარჯვით, რისგანაც სარგებელს მიიღებდა ჯგუფის ყველა წევრი. ამ სახეობის დანახარჯებს ჯეიმს ბიუკენენი და გორდონ ტალოკი “გვერდით დანახარჯებს” უწოდებენ.

ინდივიდებისათვის გადაწყვეტილების ძიებაზე გაწეულ დანახარჯებს ამგვარად, არსებობს კომპრომისული არჩევანი ორ დანახარჯს შორის.



*გორდონ  
ტალოკი*


კერძოდ, გვერდით დანახარჯებს (რომელიც გააჩნია ადამიანს, ვისი მდგომარეობაც გაუარესდა) და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ დროის დანახარჯებს შორის. გრაფიკულად განვიხილოთ ხმების უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული სხვადასხვა შესაძლებლობა (გრაფიკი 5):



მოცემული გრაფიკის ვერტიკალურ ღერძზე განლაგებულია გადაწყვეტილების მიღების დანახარჯები. ჰორიზონტალურ ღერძზე - ინდივიდუალური რაოდენობა 0-დან N-მდე, რომელთა თანხმობის მიღებაც აუცილებელია ჰორიზონტალურ ღერძზე განლაგებული პრობლემის გადასაწყვეტად. C მრუდი წარმოადგენს ჯგუფის წევრთა ნაწილის მდგომარეობის გამაუარესებელი გადაწყვეტილების გამარჯვებასთან დაკავშირებულ დანაკარგებს. D მრუდი ასახავს გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი უმრავლესობის დროის დანახარჯებს. ოპტიმალური უმრავლესობა ადამიანთა ის რაოდენობაა, რომელიც უზრუნველყოფს დანახარჯთა ორივე სახეობის მინიმიზაციას K წერტილში. ამ წერტილში ამოცანის გადაწყვეტის დაზუსტებისაგან მიღებული სარგებელი ამ დაზუსტებისათვის საჭირო დროის დანახარჯის ტოლია.

## მარტივი უმრავლესობა, როგორც ოპტიმალური უმრავლესობა უმრავლესობის წესი და გადანაწილება

იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტორატის ნახევარზე ნაკლები საკმარისია რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად, არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გადავადება. მარტივი უმრავლესობა ადამიანთა ის მინიმალური რაოდენობაა, რომელიც არ იძლევა ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მარტივი უმრავლესობა ოპტიმალურია იმ ჯგუფისათვის, რომლისთვისაც დროის ალტერნატიულ ღირებულებას შეფარდებითად მეტი მნიშვნელობა აქვს. პრობლემის საყოველთაო თანხმობის გარეშე გადაწყვეტის შესაძლებლობისას გადანაწილების ალოკაციური ეფექტიანობის გამიჯვნის საჭიროება ქრება. ზოგიერთის მდგომარეობა უარესდება მოცემული და არა სხვა გადაწყვეტილების გამო, რასაც მოძრაობაში მოჰყავს გადანაწილებითი პროცესები. განვიხილოთ გრაფიკი 6:



მოცემული გრაფიკის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძები წარმოადგენს ფუნქციებს მდიდრებისა და ღარიბებისათვის. თითოეული ჯგუფის წევრს იდენტური უპირატესობა გააჩნია და საწყისი მდგომარეობა (იწარმოება მხოლოდ კერძო დოვლათი) ხასიათდება **E** წერტილით. საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება ზრდის ორივე ჯგუფის ინდივიდთა სარგებლიანობას, რაც გამოიხატება პარეტოს მიხედვით კეთილდღეობის გადანაწილებით **XYZW** მდგომარეობაში. სრული ერთსულოვნების შემთხვევაში საბოლოო შედეგს ახასიათებს წერტილი, რომელიც მდებარეობს პარეტოს კეთილდღეობის **YZ** საზღვრის მონაკვეთზე. ამასთანავე, უმრავლესობის წესის მოქმედებისას, ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ, რომ საბოლოო შედეგის მახასიათებელი წერტილი აღმოჩნდება მრუდის ამ მონაკვეთზე. კოალიციის წევრებმა შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც მათ სარგებელს გაზრდის კოალიციაში არაშემავალი წევრების ხარჯზე. თუკი საზოგადოებაში უმრავლესობას მდიდრები შეადგენს, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ეცდებიან საზოგადოებრივი სიმდიდრის მიწოდება დაუკავშირონ საკმარისად რეგრესიულ დაბეგვრას. ამის შედეგად, მახასიათებელი წერტილი გადაინაცვლებს **XY** სეგმენტში. თუკი უმრავლესობას შეადგენს ღარიბები, მაშინ დაბეგვრა იქნებოდა საკმაოდ პროგრესული და შედეგის მახასიათებელი წერტილი აღმოჩნდებოდა **ZW** სეგმენტში. ამრიგად, შეთავაზებული საზოგადოებრივი დოვლათის მოცულობის, დაბეგვრის სტრუქტურის, ან ორივეს ერთად კორექტირების შესაძლებლობის არსებობისას საბოლოო შედეგის წერტილი აღმოჩნდება **Yმ** სეგმენტის გარეთ. ერთსულოვან თანხმობაზე დამყარებული გადაწყვეტილების ტრანსფორმაცია უბრალო უმრავლესობის წესით მიღებულ გადაწყვეტილებაში ძალიან წააგავს რაიკერის მიერ აღწერილ სიტუაციას, რომელიც რადიკალურ პოზიციას იკავებს და აცხადებს, რომ პოლიტიკა შემოიფარგლება მხოლოდ გადანაწილების პროცესებით.

## ციკლორობა

უმრავლესობის წესის მიერ “ჩაციკვლის” გამოწვევის ფაქტი აღმოჩენილი იქნა ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ მარკოზ დე კონდორსეს მიერ. ასი წლით გვიან დოჯსონმა გააგრძელა აღნიშნული საკითხის კვლევა. ბლეკიდან (1948) და ეროუდან (1951) დაწყებული, იგი გადაიქცა საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მთავარ პრობლემად. განვიხილოთ სამი ამომრჩეველი, რომლებიც საკუთარ უპირატესობას ანიჭებენ სამი ვარიანტიდან ერთ-ერთს. ეს სიტუაცია მოცემულია ცხრილში (ცხრ. 2)

ამომრჩეველი	გადაწყვეტილების ვარიანტი			
	X	Y	Z	X
1	>	>	<	
2	>	<	>	
3	<	>	>	
ყველა ერთად	>	>	>	

ნიშანი “>” უჩვენებს უპირატესობას. X უპირატესია Y-ზე, უპირატესია Z-ზე, Z უპირატესია X-ზე. ამ შემთხვევაში ხმის მიცემა უსასრულო ციკლად იქცევა და უმრავლესობას ძალადობის გამოყენების გარეშე არ შეუძლია გამარჯვებულის გამოვლენა. თუკი X, Y, და Z საზოგადოებრივ დოვლათზე დანახარჯების კლებადი სიდიდეებია, მაშინ პირველი და მესამე ამომრჩევლის უპირატესობებს გააჩნია საზოგადოებრივი დოვლათიდან მიღებული სარგებლიანობის მაქსიმუმის წერტილი, მეორე ამომრჩევლის უპირატესობებს კი ახასიათებს მაქსიმუმის ორი წერტილი, რაც აღწერილი ციკლის მთავარი მიზეზია.

დიდი შრომა იყო გაწეული იმ პირობების გასარკვევად, რომლის დროსაც უმრავლესობის წესი უზრუნველყოფს წონასწორობას. პლოტმა (1967) დაამტკიცა, რომ უმრავლესობის წესი არსებობს მაშინ, როცა ის მაქსიმუმს წარმოადგენს მხოლოდ ერთი ინდივიდისათვის, სხვა ინდივიდები კი სრულიად განსხვავებული ინტერესებით შეიძლება ჯგუფებად გაერთიანდნენ. ამის შემდეგ ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ერთსულოვნების პირობებს. თუკი ვცდილობთ განვსაზღვროთ საზოგადოებრივი დოვლათის მიმართ უპირატესობა, ხმის მიცემა უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ერთსულოვნების მიღწევის ცდამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემის უსასრულოდ ბევრჯერ გადახედვა მანამ, ვიდრე არ მიიღწევა ყველასათვის მოსაწონი გადაწყვეტილება. ყოველი ახალი წინადადება მანამდე იქნება უარყოფილი, ვიდრე არ მივალწევთ წერტილს პარეტოს მიხედვით კეთილდღეობის საზღვარზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიხსნება ყოველგვარი დებატები საკითხის გარშემო.

მაკკელვიმ (1976) პირველმა დაადგინა, რომ უმრავლესობის წესის თანახმად ინდივიდუალური უპირატესობები “გულწრფელი” ხმის მიცემის დროს განაპირობებს “ჩაციკვლას” და პრობლემის გადაჭრა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია დღის წესრიგის განმსაზღვრელ ინდივიდზე. მაკკელვის თეორემიდან ორი მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს: 1. დღის წესრიგის განმსაზღვრელმა ინდივიდმა შესაძლოა ხელში ჩაიგდოს ძალიან მნიშვნელოვანი ძალაუფლება, რის გამოც საჭიროა ამ ძალის გამაწონასწორებელი ბერკეტების არსებობა. 2. “ხმის მიცემის ციკლი” ბადებს გაურკვეველობას ხმის მიცემის შედეგებთან მიმართებაში, რაც ამ პროცესით მანიპულირების შესაძლებლობას წარმოშობს კერძო სარგებლის მიღების მიზნით.



## ერთსულოვნების წესის ფუნდამენტური წანამძღვრები

ვიკსელის(1896), ბიუკენენისა და ტალოკის(1962) მიხედვით, პოლიტიკა კოოპერაციული თამაშია. თანამეგობრობა ინდივიდთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა მათი საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, ყოველ ინდივიდს ეძლევა საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა, რომელიც იმავდროულად შესაძლებელია თანამეგობრობის სხვა წევრების ინტერესებს დაუპირისპირდეს. ამ უფლების გამოყენება ყველას შეუძლია იმ გზით, რომ მას უფლება აქვს ვეტო დაადოს ნებისმიერ, მისთვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებაზე, ან საერთოდ დატოვოს თანამეგობრობა. ვინაიდან კოლექტიური მოქმედების მიზანია საერთო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ბუნებრივად ჩაითვლება ის სიტუაცია, რომლის დროსაც განსახილველი ვარიანტების შემოთავაზება ხდება თანამეგობრობის წევრთა მიერ. ყოველ ინდივიდს შეუძლია საკუთარი ვარიანტის შეთავაზება, რომელიც მისი აზრით, სარგებლის მომტანი იქნება როგორც პირადად მისთვის, ისე სხვებისთვისაც. თუკი რომელიმე ინდივიდის წინადადება ვერ მიიღებს ერთსულოვან მხარდაჭერას, ეს წინადადება კორექტივებს განიცდის მანამ, ვიდრე არ იქნება გაზიარებული ყველას მიერ, ან არ მოიხსნება დღის წესრიგიდან. ამგვარად, ერთსულოვნების წესი პოლიტიკურ პროცესებს განიხილავს განუწყვეტელი დისკუსიების, კომპრომისებისა და შესწორებების სახით, რომელიც მანამდე გრძელდება, სანამ არ იქნება შეთავაზებული ყველასათვის მისაღები ვარიანტი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მოცემული პროცესის გონივრულ ფარგლებში დასრულების მომენტსაც.

## მოთხოვნის გამოვლენის პროცესი

ერთ-ერთ თავის ნაშრომში სამუელსონმა (1954) ეჭვის ქვეშ დააყენა სახელმწიფო მეურნეობრიობის შესახებ მეცნიერების საგნის განმარტება. მან

განაცხადა, რომ არ არსებობს ინდივიდუალურ უპირატესობათა შესახებ ინფორმაციის გამოვლენის პროცედურა, საზოგადოებრივი სიმდიდრის პარეტო-ოპტიმუმის მიღწევასთან მიმართებაში. ამ ნაშრომის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ შემდგომში ეკონომისტთა მთელი თაობა უბრალოდ იმეორებდა სამუელსონის თეორემას. უფრო მოგვიანებით, კერძოდ, 1970-იან წლებში, უცებ მოხდა რევოლუცია ამ საკითხში და ერთი მეორის მიყოლებით აღმოცენდა პროცედურები, რომლებიც ორიენტირებული იყვნენ უპირატესობათა გამოვლენის პრობლემის გადაწყვეტაზე. იმისათვის, რომ გავიგოთ მოთხოვნის გამოვლენის პროცესი, განვიხილოთ არჩევანი **P** და **S** ვარიანტებს შორის (ცხრ. 3)

ამომრჩეველი	ვარიანტი		გადასახადი
	P	S	
A	30		20
B		40	0
C	20		10
<b>სულ</b>	50	40	30

ვთქვათ, თანამეგობრობა სამი ადამიანისაგან შედგება, ცხრილში წარმოდგენილი უპირატესობებით. A ელოდება, რომ P ვარიანტის მიღების შემთხვევაში მისი მოგება 30 დოლარი იქნება. C ელოდება, რომ მოვლენათა იგივე მიმართულების განვითარებისას იგი 20 დოლარით მდიდარი გახდება. B კი ამჯობინებს S პოზიციას, რომლის დროსაც მისი კეთილდღეობა 40 დოლარით გაიზრდება. პროცედურა მოითხოვს, რომ თითოეულმა ამომრჩეველმა განსაზღვროს მის მიერ უპირატესობა მინიჭებული ვარიანტიდან მიღებული სარგებელი. შემდეგ ეს თანხები იკრიბება და ცხადდება ყველაზე სასარგებლო ვარიანტი. მოცემულ მაგალითში ასეთი ვარიანტია P, ვინაიდან იგი A და C

ამომრჩევლებს აძლევს 50 დოლარის მოგებას, მაშინ როცა S ვარიანტი B ამომრჩეველს აძლევს მხოლოდ 40 დოლარის მოგებას.

ამომრჩეველს მის მიერ უპირატესობა მინიჭებული ვარიანტის დეკლარირების სტიმული უჩნდება, ვინაიდან გასახადადი განისაზღვრება პასუხებით და საბოლოო შედეგზე მათი ზემოქმედებით. თუკი მოცემული ამომრჩევლის ხმა ზეგავლენას არ ახდენს შედეგზე, იგი არ იხდის გადასახადს. თუკი ახდენს, მაშინ იგი იხდის იმ ზომის გადასახადს, რომელიც სხვა ვარიანტის გამარჯვებიდან მიღებული სარგებლის ტოლია. ამრიგად, ამომრჩეველი მხოლოდ მაშინ იხდის გადასახადს, როცა მისი ხმა შედეგის განმსაზღვრელია და ამ გადასახადს იხდის არა დეკლარირებული შემოსავლის სიდიდიდან, არამედ სხვა ვარიანტიდან მიღებული შემოსავლის შესაბამისად. გადასახადების ასეთი სისტემა სტიმულს აძლევს ამომრჩევლებს აჩვენონ თავიანთი ჭეშმარიტი უპირატესობები შეთავაზებულ ვარიანტებთან მიმართებაში. ნებისმიერი სხვა მოქმედება მათთვის ეკონომიკურად წამგებიანი აღმოჩნდება.

### ქულების მიხედვით ხმის მიცემა

უპირატესობათა პატიოსნად გამოვლენის მასტიმულირებელი სპეციალური გასახადის შემოღება ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნის გამოვლენის ნორმატიული მახასიათებლები დამოკიდებულია შემოსავლის თავდაპირველ განაწილებაზე. ამ წინააღმდეგობის გადალახვა შესაძლებელია, თუკი ყოველ ამომრჩეველს ექნება “ხმის მიმცემი” ფულის მარაგი, ანუ იმ ფულისა, რომელსაც სხვა არავითარი ფასეულობა არ გააჩნია საზოგადოებრივი სიკეთის მიმართ უპირატესობის გამოვლენის ფუნქციის გარდა. ხმის მიმცემი ფულის თავდაპირველი განაწილება შეიძლება შეესაბამებოდეს იმ ნებისმიერ ნორმატიულ კრიტერიუმს, რომელსაც მინიჭებული აქვს უპირატესობა. აუქციონერი პირველი სთავაზობს

საზოგადოებრივი დოვლათის რაოდენობათა ვექტორს. ამ დოვლათის ფასები გადასახადების სახით თითოეული ინდივიდისათვის ფიქსირებულია და წინასწარ ცნობილია. თითოეული საკუთარი უპირატესობების შესაბამისად ანაწილებს ხმის მიმცემი ქულების მარაგს და ამით აფიქსირებს რა სურს მას, საზოგადოებრივი დოვლათის რაოდენობის გაზრდა, თუ შემცირება. ამის შემდეგ აუქციონერი აჯამებს ქულებს და აცხადებს რაოდენობათა ახალ ვექტორს. ახალ სიტუაციაში იზრდება იმ საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდება, რომელმაც მეტი ხმა მიიღო და შესაბამისად მცირდება იმ დოვლათის რაოდენობა, რომელმაც მიიღო ხმების ნაკლები რაოდენობა. ამასთანავე, ადგილი აქვს ქულათა ისეთ განაწილებას, რომელიც პროცესს მიმართავს საზოგადოებრივი დოვლათის პარეტო ოპტიმუმის რაოდენობისაკენ.

### ხმის მიცემა ვეტოს დადების გზით

ხმის მიცემა ვეტოს დადების გზით მოითხოვს ორდინალური სარგებლიანობის შესახებ ინფორმაციის გამოყენებას. პარეტო-ოპტიმუმი, ისე როგორც ერთსულოვნების პრინციპის შემთხვევაში, მიიღწევა ყველა შედარებით უარეს პარეტო ვარიანტებზე უარის თქმით. ეს წესი გულისხმობს როგორც საზოგადოებრივი დოვლათის რაოდენობის განსაზღვრას, ისე საგადასახადო ტვირთის განაწილებას, რაც დაკავშირებულია მის დაფინანსებასთან. ხმის მიცემა ვეტოს დადების გზით მიდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ყოველი ინდივიდი გამოთქვამს საკუთარ ვარიანტს და ამ ეტაპის ბოლოს არსებობს შემოთავაზებათა  $n+1$  ნაკრები, რომელიც შედგება თანამეგობრობის  $n$  წევრის შეთავაზებისა და სტატუს კვო  $S$ -გან. შემდეგ შემთხვევითი გზით განისაზღვრება ხმის მიცემის წესი ვეტოს დადების საშუალებით, რომელიც ეცნობება საზოგადოების ყველა წევრს. ინდივიდი, რომელსაც შემთხვევით პროცესში წილად ერგო ვეტოს უფლება, იწყებს ერთ-ერთი შეთავაზების გამორიცხვას  $n+1$

ნაკრებიდან, მეორე ამომრჩეველი კი გამორიცხავს ერთ-ერთს დარჩენილი  $n$  შემოთავაზებიდან. აღნიშნული პროცესი გრძელდება მანამ, ვიდრე თანამეგობრობის ყველა წევრი არ გამორიცხავს თითო შემოთავაზებას. ერთ-ერთი გამოურიცხავი შემოთავაზება, რომელიც ნაკრებში რჩება, ცხადდება არჩეულად. ვეტოს დადების უფლებით ხმის მიცემა გამორიცხავს ყველაზე ცუდი გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისად, პროცედურას აქვს ცენტრში მყოფი ან ცენტრთან მიახლოებული შემოთავაზებების მიღების ტენდენცია, რაც საზოგადოებისათვის ყველაზე სასარგებლო წინადადების მიღების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულის მიღწევის გზაა ამომრჩევლების მიერ იმ წინადადების დაყენება, რომელიც განთავსებულია მისთვის ყველაზე კარგ ვარიანტსა და საზოგადოებისათვის ყველაზე სასარგებლო ვარიანტს შორის განაწილების ცენტრში. აღნიშნულის შედეგად, შეირჩევა მედიანური (საშუალო) ამომრჩეველი და ეს პროცედურა უმრავლესობის წესის განსაზღვრის ანალოგიურია.

### სამი პროცედურის შედარება

3. სამუელსონი როცა ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივ დოვლათთან მიმართებაში ინდივიდუალურ უპირატესობათა გამოვლენის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია, იგი ამოდიოდა შემდეგი წანამძღვრიდან: ინდივიდის დანახარჯთა წილი მიბმულია მის მიერ გამოცხადებულ უპირატესობაზე. აღნიშნული წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებელი ხდება სმიტის (1977) მიერ შემოთავაზებული აუქციონის მექანიზმის საშუალებით. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, არ უარყოფს ამომრჩევლისათვის იმ გარკვეული დანახარჯების არსებობას, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი გადაწყვეტილების შესაცვლელად. ვეტოს საშუალებით ხმის მიცემის შემთხვევაში აღნიშნული ვეტო არ წარმოადგენს უფასო დოვლათს, როგორც ეს ნავარაუდევია ერთსულოვანი ხმის მიცემის შემთხვევაში. აქ ყოველ ინდივიდს აქვს მხოლოდ ერთი შეთავაზებისა და მხოლოდ

ერთი ვეტოს უფლება. ვიქსელიანური ტრადიციით, ყოველი პროცედურა გულისხმობს, რომ სამართლიანობის ყველა ძირითადი პრობლემა გადაჭრილია თავად ამ პროცედურების დაწყებამდე. საზოგადოებრივ დოვლათზე დანახარჯების ინდივიდუალური წილები წინასწარაა ცნობილი, როგორც მოთხოვნის გამოვლენისას, ისე ქულების მიხედვით ხმის მიცემისას. მოთხოვნის გამოვლენისას შედეგი ასევე დამოკიდებულია შემოსავლების თავდაპირველ განაწილებაზე, ქულების მიხედვით ხმის მიცემისას კი ხმის მქონე ქულების განაწილებაზე. ვეტოს გზით ხმის მიცემა შემოსავლების თავდაპირველი განაწილების პრობლემისადმი გვერდის ავლის შესაძლებლობას იძლევა. შემოთავაზებული წინადადებები ერთმანეთისაგან განსხვავდება კოლექტიური მოქმედებისაგან მიღებული მოგების განაწილების წესით. მოთხოვნის გამოვლენის პროცესი ინდივიდებს აიძულებს იმოძრაონ საკუთარი მოთხოვნის მრუდების გასწვრივ და მიაღწიონ სამომხმარებლო ნამეტის მაქსიმიზირებას. კოლექტიური მოქმედებისგან მიღებული სარგებელი ნაწილდება იმათ შორის, ვისი დანახარჯებიც საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაზე ყველაზე მცირეა, ხოლო თავდაპირველი შემოსავლები კი ყველაზე დიდია. ქულების მიხედვით ხმის მიცემისას ყველაზე დიდ სარგებელს ისინი იღებენ, ვისი თავდაპირველი საგადასახადო წილიც ყველაზე ნაკლებია, ხოლო ხმის მიმცემი ქულების რაოდენობა კი ყველაზე მეტი. ხმის მიცემა ვეტოს დადების გზით ასოცირდება ნამცხვრის გაყოფის პროცედურასთან. კოლექტიური მოქმედებისგან მიღებულ საქონელს გათანაბრების ტენდენცია აქვს. ყველა განხილულ პროცედურას მათთვის დამახასიათებელი უზუსტობების მიუხედავად, შეუძლია კოლექტიური არჩევანის შემთხვევაში უპირატესობის პრობლემა წარმატებით გადაჭრას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტში.

## არჩევანი წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში

### ორი პარტიის კონკურენცია - დეტერმინირებული ხმის მიცემა

ამომრჩევლებისა და პრობლემათა დიდი რაოდენობის პირობებში პირდაპირი დემოკრატია შეუძლებელია და წარმოიშობა ამა თუ იმ წესით ამომრჩეველთა წარმომადგენლების შერჩევის აუცილებლობა. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია ყურადღებას ამახვილებს წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამ ასპექტზე. *პირველი*, წარმომადგენელთა ქცევა საარჩევნო კამპანიის პერიოდში; *მეორე*, ამომრჩეველთა ქცევა წარმომადგენელთა შერჩევისას; *მესამე*, ამომრჩეველთა ქცევა იმ შედეგების დახასიათებისას, სადამდეგ მივყავართ წარმომადგენლობით დემოკრატიას. ითვლება, რომ წარმომადგენლები, ისევე როგორც ამომრჩევლები, რაციონალურად მოაზროვნე და მოქმედი “ეკონომიკური ადამიანები” არიან, რომლებიც ესწრაფვიან საკუთარი სარგებლის მაქსიმიზირებას. **დაუნსმა** ასე ჩამოაყალიბა საკუთარი მოდელის “ფუნდამენტური ჰიპოთეზა”: პარტიები პოლიტიკას აყალიბებენ არჩევნებზე გამარჯვებისათვის და არ იგებენ არჩევნებს საკუთარი პოლიტიკის გატარებისათვის. მან პოლიტიკური პოზიცია ჩამოაყალიბა ლიბერალურ-კონსერვატიული (მარცხენა-მარჯვენა) ღერძის სახით. ყოველ ამომრჩეველს ამ ღერძზე საკუთარი უპირატესობის წერტილი გააჩნია, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს მისი კანდიდატი. რაც უფრო დამორებულია კანდიდატი ამ წერტილიდან, მით უფრო ნაკლებია მისთვის ხმის მიცემის შანსი. ერთადერთი საკითხი, რომელიც “ჰოტელინგის ღერძზე” დაზუსტებას მოითხოვს, არის ის, თუ რამდენად შორს, მარცხნივ ან მარჯვნივ იქნება თავისი პოლიტიკური შეხედულებებით არჩეული კანდიდატი. ორპარტიული სისტემის პოლიტიკური ციკლი უნდა არსებობდეს როგორც ხელისუფლებაში პარტიების მუდმივი მონაცვლეობის პროცესი.

## ორი პარტიის კონკურენცია - ალბათური ხმის მიცემა

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიას ჩამოყალიბების მომენტიდან თან სდევდა “ჩაციკვლის” პრობლემა. ციკლს პოლიტიკურ პროცესებში შეაქვს გაურკვეველობა და არათანმიმდევრულობა, რაც უაღრესად ართულებს თავად ამ პროცესის პროგნოზირებისა და ნორმატიული დახასიათების შესაძლებლობას. მედიანური ამომრჩევლის თეორია იძლევა ამ გაურკვეველობიდან გამოსვლის შესაძლებლობას. ამასთანავე, მედიანური ამომრჩევლის წონასწორობა გულისხმობს გარკვეული წანამდვრის არსებობას, რომლის თანახმადაც ვარიანტების მთელ სივრცეს უნდა ჰქონდეს ერთი განზომილება (ჰინიჩი, 1977). რამდენიმე ავტორმა განახორციელა პოლიტიკური პროცესების მოდელირება “ალბათური ხმის მიცემის” საფუძველზე და დაამტკიცა, რომ კანდიდატთა კონკურენცია განაპირობებს თანაბარწონიან შედეგებს მათგან გამომდინარე საკმაოდ მიზიდველი ნორმატიული მახასიათებლებით. ამ მოდელში კანდიდატები არ ფლობენ ინფორმაციას ამომრჩეველთა უპირატესობების შესახებ, ხოლო ამომრჩევლები არ იცნობენ კანდიდატთა პლატფორმებს. დეტერმინირებული ხმის მიცემის მოდელი გულისხმობს, რომ განსაზღვრული ჯგუფის ყველა ამომრჩეველი იმ კანდიდატს აძლევს ხმას, რომელიც ყველაზე მეტი სარგებლის მიცემას პირდება მას. ალბათური ხმის მიცემის წანამდვრის გამოყენებით, კაფლინმა და სხვებმა (1990) დაასაბუთეს, რომ ყოველი ხმის მიღებისათვის კონკურენცია კანდიდატებს სტიმულს აძლევს აირჩიონ ისეთი პლატფორმა, რომელიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს კეთილდღეობის ადაპტაციური ფუნქციის მაქსიმიზირებას.

## ხმის ხარისხი

ხმის მიცემის ალბათური მოდელები იმის გარანტიას იძლევა, რომ დემოკრატიულ ინსტიტუტებს შეუძლიათ ნორმატიული თვალსაზრისით მისაღები



შედეგების მიღწევა. ალბათური ხმის მიცემის წანამდღვარი საფუძველს აცლის აგრეგირებულ უპირატესობათა ნორმატიულ ავტორიტეტს, ვინაიდან იგი გულისხმობს გაურკვევლობას კანდიდატთა ნაწილის მხრიდან ამომრჩეველთა უპირატესობებთან მიმართებაში, ან ამომრჩეველთა მხრიდან კანდიდატების პოზიციებთან მიმართებაში, ან კიდევ ორივეს ერთად. საბოლოო ანგარიშით წარმოიშობა კანდიდატებისა და ამომრჩეველებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხარისხისა და რაოდენობის პრობლემა. პოლიტოლოგიაში დაუნსის მიერ შეტანილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წვლილს წარმოადგენს კანდიდატთა შესახებ “რაციონალური გაურკვევლობის” ცნების შემოღება: როცა ამომრჩეველთა რაოდენობა საკმარისად დიდია, იმის ალბათობა, რომ ერთი ხმა რაიმე ზეგავლენას მოახდენს შედეგზე, ძალიან დაბალია. ამის გაცნობიერების გამო, რაციონალური ამომრჩეველები არ ხარჯავენ საკუთარ დროსა და ფულს კანდიდატების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. ის გარემოება, რომ ერთ ხმას არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია საბოლოო შედეგზე, აიძულებს ამომრჩეველს, რომ მან იხელმძღვანელოს შემთხვევითი და არა საქმესთან დაკავშირებული მოსაზრებებით. იმ შემთხვევაში კი, როცა პოლიტიკური კონკურენცია ხელს უწყობს ამომრჩეველთა უპირატესობებზე დამყარებული კეთილდღეობის მაქსიმუმის მიღწევას, პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: რას გამოხატავს თავად ეს უპირატესობები?

## რენტის ძიება

მონოპოლიის შესახებ ტრადიციულ დისკუსიებში სამომხმარებლო ნამეტი განიხილება როგორც მონოპოლიიდან მიღებული დანაკარგები, ხოლო მოგების (რენტის) აღმნიშვნელი სამკუთხედი კი - როგორც შემოსავლის წმინდა გადანაწილება მომხმარებლებიდან მონოპოლიის სასარგებლოდ. ვგულისხმობთ, რომ მონოპოლია არის სახელმწიფოს მოქმედების შედეგი. ვთქვათ, ავიაკომპანია სახელმწიფოსგან იღებს რაღაც მარშრუტის მომსახურების ექსკლუზიურ უფლებას.

თუკი ამ მარშრუტის მომსახურება ერთ კომპანიაზე მეტს შეუძლია, მონოპოლიური რენტა იმ პრიზს წარმოადგენს, რომელმაც წარმატებას მიაღწია მთავრობაზე ზემოქმედების საკითხში და მისგან მიიღო მონოპოლიური უფლება. ავიაკომპანიები სპეციალურ ინვესტიციებს განახორციელებენ ამგვარი მონოპოლიების მიღების ალბათობის გასაზრდელად. ტალოკმა (1976) პირველმა წამოაყენა იდეა, რომ ეს ინვესტიციები მონოპოლიების არსებობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დანახარჯებია. ბიუკენენმა (1980) გამოჰყო რენტის მოპოვებაზე გაწეული დანახარჯების სამი ტიპი:

1. მონოპოლიის პოტენციური მიმღებების ძალისხმევა და დანახარჯები;
2. სახელმწიფო ჩინოვნიკების ძალისხმევა, მიმართული პოტენციური მონოპოლისტების დანახარჯების საკუთარ შემოსავლებად გადაქცევისაკენ;
3. თვითონ მონოპოლიის ან სახელმწიფოს მიერ მესამე პირთა შედეგების დამახინჯება, როგორც რენტის ძიების შედეგი.

ყველა ამ ჩამოთვლილი ტიპის დასახასიათებლად შეიძლება მოყვანილი იქნეს შესაბამისი მაგალითი: *პირველი*, ავიახაზების მიერ ლობისტების დაქირავება იმ თანამდებობის პირთა მოსყიდვის მიზნით, რომელთა ხელშიცაა ფრენებზე ლიცენზიის გაცემა; *მეორე*, შედარებით დაბალი რანგის ჩინოვნიკები დიდ დროს უთმობენ ავიაკომპანიების საქმიანობის შესწავლას იმ მიზნით, რომ მაღალი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში ამ ცოდნას ისინი გამოიყენებენ ქრთამის სახით დამატებითი შემოსავლის მიღებაში; *მესამე*, სახელმწიფოს მიერ მონოპოლიების შექმნიდან მიღებული შემოსავლები კონკურენციას ბადებს ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის სუბსიდიების მიღებასთან დაკავშირებით. ფასებისა და გამოშვების მოცულობების სახელმწიფო რეგულირება იმის ყველაზე ნათელი მაგალითია, როგორ ხდება რენტის მოპოვება. *პოვზნერმა* (1975) აღწერა სოციალური დანახარჯები ექვს დარგში, რომლებიც დაკავშირებული იყო რენტის ძიებასთან. ეს დარგებია: ექიმების მომსახურება, სანახაობები, რძის პროდუქციის წარმოება, საავტომობილო ტრანსპორტი, ნავთობის მოპოვება და გადამუშავება,

საკაერო ტრანსპორტი. ამ დარგებში რენტის ძიებასთან დაკავშირებული საერთო დანახარჯები შეფასებულია გაყიდვების საერთო მოცულობის 10-დან 60%-ის ფარგლებში.

ტარიფები და კვოტები არის სახელმწიფოს მხრიდან შერჩეული დარგის კონკურენციისაგან დაცვის სხვა ფორმა. **კრიუგერმა** (1974) გამოიკვლია ინდოეთსა და თურქეთში მთავრობის მიერ არასავაჭრო შეზღუდვების შემოღებისაგან მიღებული დანაკარგები, რომლებმაც ინდოეთში შეადგინა მთელი შემოსავლის 7.3%, თურქეთში კი - მშპ-ს 15%.

### სახელმწიფო მომსახურების მიწოდება

წინა განყოფილებებში ცალკეული ამომრჩევლის ან ინტერესთა ჯგუფის წევრის ინდივიდუალური უპირატესობები განსაზღვრავდა სახელმწიფო სექტორის საქმიანობას. სახელმწიფო, ბაზრის მსგავსად, განიხილებოდა ჩვეულებრივი ინსტიტუტის სახით, რომელიც კრებდა ინდივიდუალურ მოთხოვნებს. ყველა კანდიდატის ოცნებაა, რომ აირჩიონ. რენტის ძიებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში შეგვიძლია დავინახოთ სახელმწიფოს მეორე მხარე. პოლიტიკოსებიც ესწრაფიან სიმდიდრესა და მოცალებას. მათი უპირატესობები კი შეიძლება განსაზღვრავდეს სახელმწიფო სექტორის საქმიანობას. **ნიისკანენის** (1971) ნოვატორულ ნაშრომში, რომელიც ბიუროკრატის ფენომენის კვლევას ეძღვნება, ჩამოყალიბებულია ბიუროკრატთა შემდეგი მიზნები: გასამრჯელო, საზოგადოებრივი მდგომარეობა, ძალაუფლება, უმაღლესი ჩინების მფარველობაში ყოფნა, დაწესებულებების მართვისა და ცვლილებების განხორციელების სიადვილე. ჩამოთვლილთაგან უმეტესობა პირდაპირ კავშირშია ბიუჯეტთან, რის გამოც ბიუროკრატი ცდილობს ბიუჯეტის მაქსიმიზირებას. ასევე იგულისხმება, რომ მხოლოდ ბიუროკრატები ფლობენ ინფორმაციას უწყებებში მომსახურებაზე

გაწეული დანახარჯების შესახებ და ეს ინფორმაცია მათი ძალაუფლების წყაროა. მაშასადამე, ნიისკანენის მოდელში “ყველა კარტი” ბიუროკრატის ხელშია, რასაც ისინი კარგად იყენებენ საკუთარი კეთილდღეობისათვის. არსებობს მეორე ინსტიტუციური ელემენტი – სპონსორი, რომელიც აკონტროლებს შემოსავლის ნაკადებს. სპონსორს შეუძლია დასაჯოს ან წაახალისოს ბიუროკრატი, შეკრიბოს რაღაც ინფორმაცია ან დამალოს მის განკარგულებაში არსებული მონაცემები. სპონსორსა და ბიუროკრატს შორის ყველაზე მაღალი ალბათობის მქონე შედეგი შეიძლება იყოს კომპრომისი. დაწესებულებების ბიუჯეტი ყოველთვის იმაზე ნაკლებია, რაც სურს ბიუროკრატს, თუმცა ყოველთვის მეტია იმაზე, რისი სურვილიც სპონსორს გააჩნია. ყოველივე აღნიშნულის შედეგი კი შეიძლება იყოს მოშვებულობისა და არაეფექტიანობის შედარებით მაღალი ხარისხი.

## **სახელმწიფო და კერძო სექტორში წარმოებაზე გაწეული ხარჯების განსხვავება**

სახელმწიფო დაწესებულებათა მხრიდან გაწეული მომსახურების თავად ბუნება ძალიან ართულებს თანამეგობრობის საჭიროებისათვის აუცილებელზე მეტი საქონლისა და მომსახურების გამოშვებას: შეუძლებელია იმაზე მეტი ბავშვის სწავლება, რომელიც სკოლის ასაკისაა; შეუძლებელია იმაზე მეტი ნაგვის შეგროვება, რასაც მოსახლეობა ყრის და ა.შ. ამ შემთხვევაში ბიუროკრატებს შეუძლიათ საკუთარი შემოსავლების გაზრდა მიწოდებული მომსახურების გაძვირების გზით. ბევრი გამოკვლევაა ჩატარებული, რომლებშიც ერთმანეთსაა შედარებული იდენტური მომსახურების მიწოდება სახელმწიფო დაწესებულებებისა და კერძო ფირმების მიერ. ამ კვლევების უმეტესობა ადასტურებს, რომ კერძო ფირმების მიერ გაწეული მომსახურება გაცილებით უფრო

ეფექტიანი და მაღალი ხარისხისაა, რაც საბოლოო ანგარიშით გვიჩვენებს, რომ მომსახურების წარმოება სახელმწიფო სექტორში ამცირებს ამ საქმიანობის ეფექტიანობას.

## სახელმწიფო როგორც ლევიათანი

ბრენენმა და ბიუკენენმა (1980) შემოგვთავაზეს სახელმწიფოს, როგორც მონოპოლისტის მოდელი. ისინი ვარაუდობდნენ, რომ პოლიტიკური კონკურენცია არაეფექტიანად ზღუდავს მთავრობის საქმიანობას ჩაციკვლასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს უმრავლესობის წესის გამოყენებისა და თანამდებობაზე არჩეულ მოღვაწეთა შორის აშკარა შეთქმულების შედეგს. ნისკანენის მოდელის მსგავსად, ბრენენისა და ბიუკენენის აღნიშნული მოდელი ემყარება წანამძღვარს, რომლის თანახმადაც, მთავრობის პირველადი მიზანია სახელმწიფო შემოსავლების მაქსიმიზაცია. მაშასადამე, სახელმწიფო საკუთარი შემოსავლების ანგარებიანი მაქსიმიზატორია და არა საზოგადოებისათვის აუცილებელი მომსახურების სამართლიანი მიმწოდებელი. ამ თეზისით, სახელმწიფო ფინანსების თეორიის ბევრი ფუნდამენტური პრინციპი თავდაყირა დგება. თუკი სახელმწიფო შემოსავლების მოცულობა მაქსიმიზირებული სიდიდეა, მოქალაქეები სახელმწიფოსათვის ყველაზე ელასტიური შემოსავლების ბაზის დატოვებით, დაბეგვრის ბაზიდან კი საკუთარი შემოსავლებისა და სიმდიდრის ნაწილის გამოყვანით შეზღუდავენ მთავრობის ძალაუფლებას. ამ გზით შესაძლებელია ბიუროკრატის ძალაუფლების შემცირებაც.

სახელმწიფო ლევიათანის მოდელი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ვიკსელის (1896) მიერ გამოთქმული იდეის სისწორეს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ხარჯების გადიდების პროექტები უნდა მიებას მათი დაფინანსებისათვის აუცილებელ გადასახადებს. ვიკსელმა ეს მოსაზრება გამოთქვა იმ მიზნით, რომ

მოქალაქეებს გაეკეთებინათ სწორი არჩევანი სახელმწიფო ხარჯებისა და ამ ხარჯების დაფინანსებისათვის აუცილებელი რესურსების ურთიერთშედარების გზით სარგებლის განსაზღვრისათვის. ვიკსელის იდეა მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებულობის უზრუნველყოფისაკენ და სახელმწიფოს აიძულებს დამატებითი საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებას საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით.

საბიუჯეტო და ფულადი პოლიტიკის ტრადიციული ანალიზი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ხელმძღვანელობს კეთილშობილი მოტივებით. ამასთანავე, ლევიათანის ხელში, რომელიც ესწრაფვის საკუთარი შემოსავლების სულ უფრო მეტი ახალი წყაროების აღმოჩენას, ორივე აღნიშნული პოლიტიკა სახიფათო ხდება. სწორედ აქედან გამომდინარე, წარმოიშვება კონსტიტუციური შესწორებები, რომლებიც მოითხოვს დაბალანსებულ ბიუჯეტს და ზღუდავს სახელმწიფოს მიერ ფულის გამოშვებას.

## **კონსტიტუციური სახელმწიფო**

### **(სამართლიანი კონსტიტუციის თეორია)**

ეს თეორია ჩამოყალიბებულია ბიუკენენისა და ტალოკის მიერ. ინდივიდები გაურკვეველობაში იმყოფებიან მათი სამომავლო მდგომარეობის მიმართ, რის გამოც ირჩევენ ყველა სხვა ინდივიდის პოზიციათა გათვალისწინების პრინციპს. თუკი ინდივიდები კონსტიტუციური სახელმწიფოს ჩარჩოებში უტილიტარისტები არიან, მაშინ კონსტიტუციით გათვალისწინებული ხარჯები ხელს უწყობს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის მაქსიმიზირებას. ბიუკენენ-ტალოკის თეორია ერთდროულად პოზიტიურიცაა და ნორმატიულიც. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მათი თეორიის ნორმატიულობა მდგომარეობს სწორედ იმ ერთსულოვნებაში, რომელიც მიიღწევა კონსტიტუციის ფორმირების სტადიაზე.

(ბიუკენენი და ტალოკი, 1962). მათი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასამხურებაა იმის დემონსტრირებაც, რომ მეტად სასარგებლოა გადაწყვეტილებათა მიღების დემოკრატიული პროცესის საკონსტიტუციო და საპარლამენტო სტადიების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. კონსტიტუციურ სტადიაზე გაურკვევლობის საბურველქვეშ მყოფი ერთსულოვანი გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს საპარლამენტო სტადიაზე ინდივიდების საკუთარი ინტერესების, გემოვნებისა და მოსახერხებლობის ნათელი დადასტურებით და მათი განხორციელებისაკენ სწრაფვით. გადანაწილებას ადგილი აქვს კონსტიტუციურ სტადიაზე, სადაც გაურკვევლობა სუფევს სამომავლო პერსპექტივებთან დამოკიდებულებაში. პარლამენტურ სტადიაზე კი ინდივიდები ფლობენ არამარტო მეტ, არამედ სრულყოფილ ინფორმაციასაც საკუთარი თავის შესახებ. როდესაც გადანაწილებისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები გადაჭრილია, რჩება მხოლოდ პატიმართა დილემის მსგავსი ალოკაციური ეფექტიანობის გაუმჯობესების ამოცანა. ანგარებაზე დამყარებული ერთსულოვნება, ყოველ შემთხვევაში თეორიული თვალსაზრისით მაინც, შესაძლებელია, ხოლო ვიკსელის მიერ შემოთავაზებული ნებაყოფლობით გაცვლაზე დამყარებული სახელმწიფოს თეორია კი შეიძლება ჩაითვალოს ამ დონეზე გადაწყვეტილების აღწერისათვის ყველაზე კორექტულ ვარიანტად.

### **ალოკაცია, გადანაწილება და საზოგადოებრივი არჩევანი**

კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გულისხმობს იმ წესების არსებობას, რომლებიც ადამიანების ერთად ცხოვრებიდან გამომდინარეობს. ინდივიდთა თავმოყრა განსაზღვრულ გეოგრაფიულ ზონებში აიძულებს მათ კოლექტიური მოქმედებების განხორციელებას. ერთმა კოლექტიურმა მოქმედებამ ყველა ინდივიდს შეუძლია მოუტანოს სარგებლობა, მეორემ კი მხოლოდ ზოგიერთს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ყველა ინდივიდი

იღებს სარგებელს, ერთის სარგებელი შეიძლება დანარჩენების სარგებელზე მეტი იყოს, რაც წარმოშობს “სარგებლის განაწილების” პრობლემას. ამგვარად, შესაძლებელია კოლექტიური გადაწყვეტილებების ორი კატეგორიის გამოყოფა: ერთისაგან იღებს საზოგადოების ყველა წევრი, მეორისაგან კი ერთნი იღებენ, სხვები კი აგებენ. ეს დაყოფა შეესაბამება ჩვენთვის ცნობილ პარეტო-კეთილდღეობის საზღვრისაკენ და საზღვრის გასწვრივ მოძრაობას, ანუ დაყოფას ალოკაციად და გადანაწილებად.

ვიკსელის მნიშვნელოვანი იდეა მდგომარეობდა სახელმწიფო პოლიტიკის შედეგის, ალოკაციის ან გადაწყვეტილების იმ დანახარჯებთან მიმართების განხილვაში, რასაც გასწევნ მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნულ შედეგს აღწევენ ხმის მიცემის გზით. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ალოკაციასთან და გადანაწილებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს და პირველი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა. ვიკსელი მიიჩნევდა, რომ გადანაწილებასთან დაკავშირებით უკვე იქნა მიღებული სამართლიანი გადაწყვეტილება რაღაც წინა პერიოდში. ამის შემდეგ რჩება ალოკაციური ეფექტიანობის გაზრდის, ანუ ყველასათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების ამოცანა. აღნიშნულ საკითხში ვიკსელის იდეას გააჩნია კონტრაქტულ-ინდივიდუალისტური ხასიათი. ყველა ინდივიდი მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისგან საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით, თუმცა საბოლოოდ მიიღება ყველასათვის სასარგებლო შედეგი. ხმის მიცემა საშუალებას იძლევა საზოგადოებრივი დოვლათის ბაზარზე ისეთივე შედეგები იქნას მიღწეული, როგორსაც იძლევა გაცვლა კერძო დოვლათის ბაზარზე. სახელმწიფოსადმი ასეთი კონტრაქტული მიდგომა კიდევ უფრო ნათლად დაფიქსირებული ბიუკენენისა და მასგრევის ნაშრომებში, რაც საფუძვლად უდევს როგორც საზოგადოებრივი არჩევანის თეორიას, ისე საზოგადოებრივ რესურსებზე დამყარებული სახელმწიფო ფინანსების თეორიას. ამასთანავე, ზოგიერთი ეკონომისტი პესიმიზმს გამოხატავს დემოკრატიული ინსტიტუტების პოტენციალთან მიმართებაში. ეს პესიმიზმი



მეტწილად ემყარება ეროუს თეორემას და მის ლოგიკურ შედეგებს. ეროუმ სცადა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის მოძიება, რომელშიაც ალტერნატივები რანჟირდებოდა უპირატესობათა ინდივიდუალური შკალების შეკრების გზით. ის ფაქტი, რომ ამგვარი ფუნქცია ვერ მოიძებნა, ნიშნავს შედეგების არაეფექტიანობას პარეტოს მიხედვით.

ხმის მიცემის შემოთავაზებული ახალი პროცედურებიდან ზოგიერთმა შეიძლება გამოიწვიოს კარდინალური სარგებლიანობის შესახებ ინფორმაციის აგრეგირება. თუკი შემოვიფარგლებით ალოკაციური ეფექტიანობის გაზრდის ხელშემწყობი გადაწყვეტილებებით, მათ შეუძლიათ პარეტო-ოპტიმუმით ალოკაცია. ასევე შესაძლებელია სპეციალური პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნაც, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ადეკვატურად გამოვავლინოთ უპირატესობები ალოკაციური ეფექტიანობის ცვლილების შემთხვევაში. ამასთანავე, კვლავ რჩება კითხვა – როგორ შეიძლება გადაწყდეს განაწილებასთან დაკავშირებული პრობლემები? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია განსაკუთრებული პროცედურების გამოძებნა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გრძელვადიან კონსტიტუციურ გაურკვევლობას, რაც აიძულებს ინდივიდებს კონსტიტუციაში ჩართონ გადანაწილების ღონისძიებები. ეს შესაძლებლობა უფრო რეალური გახდება, თუკი მიღებული იქნება გადაწყვეტილება გაურკვევლობის გაზრდის თაობაზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია პარლამენტის წევრებმა ყურადღების კონცენტრირება მოახდინონ ალოკაციური ეფექტიანობის გაზრდაზე. როდესაც განაწილების პრობლემა ბინალური ხასიათისაა და ორივე მხარეს უპირატესობათა ინტენსივობის თანაბარი შკალა გააჩნია, ამ პრობლემების გადაჭრისათვის ყველაზე მისაღები იქნებოდა უმრავლესობის წესი. პრობლემის ბინალურობა მოითხოვს სასამართლოების გამოყენებას და აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ მიიღო უმრავლესობის წესი ამ პრობლემების (აბორტები, სკოლების დესეგრეგაცია) გადასაწყვეტად. შესაძლებელია აგრეთვე სხვა ინსტიტუტების გამოყენებაც.

ხმის მიცემის ახალი პროცედურები პირდაპირი დემოკრატიის პირობებში წარმოადგენს ინდივიდუალურ უპირატესობათა აგრეგირების მეთოდს, თუმცა მათი გამოყენება შესაძლებელია მმართველობის წარმომადგენლობითი ფორმის პირობებშიაც. მოქალაქეები მთავრობას ირჩევენ იმისათვის, რომ მან მართოს ქვეყანა განსაზღვრული ვადის განმავლობაში. როდესაც ხმის მიცემა ითვალისწინებს არჩევანს ორ კანდიდატს ან ორ პარტიას შორის, შესაძლებელია თანაბარწონიან პლატფორმებზე საუბარი. მათი მახასიათებლები (პარეტო-ოპტიმუმი) საზოგადოებრივი კეთილდღეობის კონკრეტული ფუნქციის მაქსიმიზირება აუცილებელი არ არის იმ წონასწორობაზე უარესი იყოს, რისი მიღწევაც ბაზრის მიხედვითაა შესაძლებელი.

კანდიდატებს შორის კონკურენცია სულ უფრო მეტად იღებს ხმების “ყიდვისათვის” ფულის დახარჯვის ფორმას. ეს ფული ინტერესთა იმ ჯგუფებიდან მოედინება, რომლებსაც სურთ მათთვის საჭირო კანონების “ყიდვა”. იმ შემთხვევაში, როდესაც ხმებისათვის კონკურენცია რაღაც აზრით, იწვევს კეთილდღეობის მაქსიმიზაციას, ყველა არ იქნება კმაყოფილი იმ “წონებით”, რომლებსაც მათი ინტერესები “მიიღებს” შედეგობრივ წონასწორობულ მდგომარეობაში. უფრო მეტიც, კანდიდატის მიერ დახარჯული ფულით არ ხდება ხმების ყიდვა. ამ ფულით იყიდება სატელევიზიო რეკლამა, პლაკატები, სამკერდე ნიშნები, დაიქირავება აგიტატორები და კონსულტანტები. ფაქტობრივად, იყიდება ყველა ინსტრუმენტი, რომელსაც თანამედროვე პოლიტიკური მარკეტინგი გვთავაზობს არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით. სინამდვილეში არჩევნების შედეგს ამომრჩევლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს, ამ შედეგების ხარისხი კი არჩევანის ხარისხითაა განპირობებული.

**საზოგადოებრივი არჩევანის თეორია და ლ. მიზეხის ნაშრომი  
“ადამიანური საქმიანობა”**

ლ. მიზეხმა შექმნა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა ურთიერთზემოქმედების თეორია, რომელსაც **პრაქსიოლოგია** ეწოდება. ეს უკანასკნელი საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. ადამიანის საქმიანობიდან გამომდინარე, მიზეხი თვლიდა, რომ ეკონომიკური თეორიის შესწავლის საგანია ადამიანის საქმიანობა მის მრავალგვარ, მათ შორის პოლიტიკურ გამოვლინებაში. მან ერთ-ერთმა პირველმა მწვავედ გააკრიტიკა პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართ ტრადიციული მიდგომა, რომლის თანახმადაც მმართველები ყოველთვის “ჭკვიანები და მიუმხრობლები” არიან, მათი მსახურება – სახელმწიფო ჩინოვნიკები და ბიუროკრატები კი ხორცშესხმული ანგელოზები. მიზეხის აზრით, “პოლიტიკოსი ყოველთვის ეგოისტია, მიუხედავად იმისა, თანამდებობის დასაკავებლად პოპულისტურ პროგრამებს უჭერს იგი მხარს თუ თანმიმდევრულად იცავს თავის არაპოპულარულ შეხედულებებს”. მიზეხი აგრეთვე თვლიდა, რომ “მმართველი ჩვეულებრივი მოკვდავია, რომელიც საკუთარი პერსონის, საკუთარი მოდგმის, მეგობრებისა და პარტიის ბატონობის უკვდავყოფას ესწარფვის... გერმანელმა მეტაფიზიკოსებმა, რომლებიც აღმერთებდნენ სახელმწიფოს, განგებ დააბნიეს საზოგადოება იმის მტკიცებით, რომ ყველა სახელმწიფო ჩინოვნიკი განასახიერებს ალტრუისტული თვითშეწირვის იდეალს”. ასევე საინტერესოა მიზეხის მოსაზრება “ადამიანთა ალიანსების” ან “ზეწოლის ჯგუფების” შესახებ. ყოველივე ამაში იგი გულისხმობდა “ადამიანთა ნებისმიერ გაერთიანებას, რომელიც ყოველი ღონით ცდილობს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის მიღწევას და შენარჩუნებას”. ეს ჯგუფები ცდილობენ, რომ “ყოველივე ეს საზოგადოების საკეთილდღეო ქმედებებად წარმოაჩინონ”.

საბოლოო ჯამში პოლიტიკოსების, ბიუროკრატებისა და გავლენის ჯგუფების საქმიანობა, მიზეხის აზრით, არღვევს დემოკრატიის ფუნქციონირებას და დემაგოგიური იდეების გამოყენებით აიძულებს უმრავლესობას მიიღოს არასწორი გადაწყვეტილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზეხი აყენებდა საკითხს ეკონომიკური გადაწყვეტილებების პოლიტიკური სფეროდან გამოტანის აუცილებლობის შესახებ.

## ლიტერატურა:

ნობელიანტი ეკონომისტები. ჯეიმს ბიუკენენი. გვ. 122–129. თბ., 2004.

ა. სილაგაძე, მ. ჭიაბრიშვილი, თ. ჭიაბრიშვილი. მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე. ჯეიმს ბიუკენენი. გვ. 184–190.

ა. სილაგაძე. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი. 2010. თავი 21 (9) გვ. 463-464.

**J. Buchanan.** The Public Finances. 2 ed. Homewood, 1965,

**J. Buchanan.** The Public Finance in Democratic Process. Chapel Hill, 1967.

**J. Buchanan.** Cost and Choice: an Inquiry in Economic Theory. Chicago, 1969.

**J. Buchanan.** The Limits of Liberty: Between Anarchy and Leviathan. Chicago, 1975.

**J. Buchanan.** What should Economists Do? Indianapolis, 1979.

**J. Buchanan.** Liberty, Market and State: Political Economy in the 1980s. Brighton, 1985.

**D. Mueller.** Public Choice II. A revisited edition of Public Choice. Cambridge University press, 1997.

**A. Drazen.** Political Economy in Macroeconomics. Princeton University Prss, 1997.

**Э. Аткинсон, Дж. Стиглиц.** Лекции по экономической теории общественного сектора. М., 1995.

**Л. Фон Мизес.** Человеческая деятельность. Трактат по экономической науке. Челябинск, 2005.

**Р. Нуреев.** Теория общественного выбора. М., 2005.